თბილისელები®
1,50 ლარი
23 ნოემბერ...
№46
www.tbiliselebi.ge



გვ. 70

რის გამო შეიძლებოდა მიეტოვებინა საკუთარი ნებით „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მარიამ როინიშვილს და ემზადებოდა თუ არა ის ცეკვაში პროექტში მონაწილეობამდე დიდი ხნით ადრე

გვ. 36

როგორ მოახდინა ერთ წელიწადში მოდის სამყაროში გადატრიალება ქართულმა ბრენდმა „ბიზიმ“ და როგორ გადაიქცა ყაზახეთში ის, მარკუს მეტრეველთან ერთად, ატომურ ბომბად

გვ. 14

რაში „გაუცრუა“ მეუღლეს იმედები ოთო ნემსაძემ და რაში არ აპირებს ის „ბრავოს“ გამო ლალი მოროშკინასთვის იმედების გაცრუებას

ISSN 1987-569X



გვ. 18

რის გამო იტანჯებოდა დიდი ხნის განმავლობაში გიორგი ყიფშიძე და ცხოვრების რა მომენტში გაუჩნდა მას ყოფილ და ახლანდელ მეუღლეებთან ურთიერთობაში კრიზისი



გვ. 41

როგორ გამეორდა სერიალის სცენარი მეგობრის მოღალატე ქმართან დაკავშირებით სალომე შარვაძის ცხოვრებაში და რა ბედი ელით სერიალის პერსონაჟებს



გვ. 42

როგორია ოლიგარქებთან თამაში, ირაკლი ლაბაძის აზრით და რომელ დღეს უთმობს ის მეგობრებს კვირის განმავლობაში



როგორ იქმნება უსინათლო მხატვრის – გიორგი ქობელაშვილის ნამუშევრები

გვ. 74

## კვირის ფრაზები

- ადამიანები ღმერთებმა შექმნეს უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ მზე მოემარაგებინათ საკვებით
- არცერთმა დაქალმა არ დამირეკოს ახლა და არ მკითხოს, ჩემი ქმარი ხომ არ ყოფილაო! ზუსტად ისეთი სიტუაცია იყო, „ბომბა“ ამბავია
- სიყვარულით ქორწინება ევროპაში გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნეში, რაც ინდოეთში დღემდე სირცხვილად ითვლება, ესე იგი, შენ სუსტი კაცი ხარ, თუ გრძნობებს აჰყევი
- კაბების შიდა სარჩული იყო 25 მეტრი ნატურალური აბრეშუმი

# საქართველოში პირველად: „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ ყველაზე პრესტიჟული ბრენდის – „მერსედესის“ მანქანას ხელმისაწვდომს ხდის!

## სრულიად ახალი პროდუქტი: „ავტოლიზინგი – შენი ახალი „მერსედესი“

„საქართველოს სალიზინგო კომპანია“ და „მერსედეს ბენცის“ ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში ავტომოყვარულებს სთავაზობს სრულიად ახალ პროდუქტს – „ავტოლიზინგი – შენი ახალი „მერსედესი.“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მოთხოვნადი ბრენდი „მერსედეს ბენცი“ მომხმარებლისთვის, როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირებისთვის, უკვე ხელმისაწვდომი ხდება. ეს მნიშვნელოვანი პროექტი „საქართველოს სალიზინგო კომპანიამ“ განახორციელა, რითაც საშუალება მისცა მომხმარებლებს, ისარგებლონ საუკეთესო შეთავაზებით.

საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

„ავტოლიზინგი – შენი ახალი „მერსედესი“ მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს ეგრეთ წოდებული trade in-ით, რაც ნიშნავს შემდეგს: „მერსედეს ბენცის“ ცენტრში ფიზიკური და იურიდიული პირი ლიზინგით იძენს სრულიად ახალ ავტომანქანას. ხოლო, თუ დროთა განმავლობაში მას მოუნდება მოდელის უკან დაბრუნება და ახლის შეძენა, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ და „მერსედეს ბენცის“ წარმომადგენლობა მას ამის შესაძლებლობასაც აძლევს. მომხმარებელი, ასევე, შეძლებს, გამოისყიდოს და მუდმივ სარგებლობაში დაიტოვოს ლიზინგით შეძენილი ავტომანქანა. საქართველოში პირველად, ლიზინგით სრულიად ახალი „მერსედესის“ შეძენა მინიმალური ყოველთვიური სალიზინგო გადასახადისა და ავტომანქანის ღირებულების მხოლოდ ათი პროცენტის გადახდის საფუძველზეა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ყოველთვიური სალიზინგო გადასახადი, ასევე, ფარავს გაფორმების, იურიდიულ, შეძენასთან დაკავშირებულ, სადაზღვევო და სხვა ხარჯებს. რაც შეეხება ავტომანქანით სარგებლობის პერიოდს, ექვს თვეში ერთხელ, მომხმარებელი სრულიად უსასყიდლოდ შეძლებს „მერსედეს ბენცის“ ცენტრში ავტომანქანის სრულ დიაგნოსტირებას.

„ავტოლიზინგი – შენი ახალი „მერსედესით“ სარგებლობისთვის მომხმარებელი უნდა ესტუმროს „მერსედ-




ეს ბენცის“ ცენტრს თბილისში, სადაც შეარჩევს ან შეუკვეთავს მისთვის სასურველ მოდელს, ხოლო „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ ზედმეტი პროცედურების გარეშე გაუფორმებს მას ავტოლიზინგს.

**თიკო გოგეჯიშვილი** ***(„საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ დირექტორი):*** მოგეხსენებათ, „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ დამწყებ, მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესს სალიზინგო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს, მათ შორის – ფინანსურ, დაბრუნებით და საოპერაციო ლიზინგს. კომპანიის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე მორგებული, მაღალი დონის მომსახურება და ინოვაციური პროექტები. ერთ-ერთი პროექტი ამჯერად სწორედ „მერსედეს ბენცთან“ განვახორციელეთ. პირველად საქართველოში ჩვენმა კომპანიამ პოპულარული „მერსედეს ბენცი“ ხელმისაწვდომი გახადა მინიმალური პირველადი შენატანისა და მინიმალური ყოველთვიური გადასახადების შედეგად. ყველას ეძლევა საშუალება, ლიზინგით გამოიყვანოს თავისი ახალი „მერსედესი“. ავტოლიზინგის მთავარი ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს მუდმივად შეუძლია, ჰყავდეს ახალი ავტომობილი. რაც შეეხება ნებისმიერ იურიდიული თუ ლოჯისტიკური საკითხის მოგვარებას, ჩვენ ვიღებთ საკუთარ თავზე. მომხმარებელს მხოლოდ ახალი ავტომობილის მართვის სიამოვნება ელის.

**დავით ჩიქოვანი** ***(„მერსედეს ბენცის“ წარმომადგენელი):*** თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ავტოლიზინგი ქართველი მომხმარებლისთვის სრულიად ახალი პროდუქტია. ყველასთვის ცნობილია, რომ „მერსედეს ბენცი“ პრემიუმ-კლასის ბრენდს განეკუთვნება და, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში, დიდი პოპულარობით სარგებლობს. „შენი ახალი „მერსედესი“ ახალი პროდუქტია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის, ვისაც სტაბილური შემოსავალი აქვს. ავტოლიზინგი „მერსედეს ბენცთან“ ერთად მაქსიმალურად მორგებულია მომხმარებელზე. მინიმალური პირველადი შენატანი და დაბალი ყოველთვიური შენატანი იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალი ავტომობილი ყველასთვის გახდეს ხელმისაწვდომი. კომფორტული მომსახურება ზედმეტი პროცედურების გარეშე და საუკეთესო პირობები ჩვენი მთავარი მიმართულებებია. საამაყოა, რომ ჩვენი კომპანიის დახმარებით ბევრს შეეძლება, აისრულოს თავისი ოცნება.

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს:**
**www.autoleasing.ge**

**სოფი ლორია**

# ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲣᲨᲕᲘᲚᲝ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ ᲔᲜᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘᲡᲢ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲐᲠᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ



**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲐᲠᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ასე ვიტყოდი, „ქირურგი ოქროს ხელებით," ყოველგვარი პათეტიკისა და გადაჭარბების გარეშე. როგორც ქალმა, საკუთარ თავზე გამოვცადე მისი პროფესიული კომპეტენცია და ოპერაციის შედეგები, რომელმაც დღეს მე გამაბედნიერა. ეს სტატუსიც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, დამსახურებული სტატუსია. ის მართლაც წლის გამორჩეული გინეკოლოგ-ლაპარასკოპისტია. რომ არა მის მიერ წარმატებით ჩატარებული ოპერაცია და მესამე ხარისხის ენდომეტრიოზის მკურნალობა 14-წლიანი უშვილობის შემდეგ, არ მომეცემოდა შანსი, რომ დავორსულებულიყავი. მე გახლავართ მაგალითი, უნაყოფობით გაწვალებულო ქალბატონებო, წლიდან წლამდე უშედეგოდ რომ დაიარებით ერთი კლინიკიდან მეორეში და ხშირად უშვილობის ზუსტ მიზეზებს დიდი ხნის განმავლობაში ვერ ადგენთ, მიბრძანდით ჟორდანიას კლინიკაში, ბატონ რამაზ ჩარექიშვილთან – უშვილობის ზუსტ მიზეზსაც დაგიდგენენ და მიზნობრივადაც გიმკურნალებენ.**

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲐᲠᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ** *(მინი-დოსიე):* მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლაპარასკოპიული გინეკოლოგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოში, რომელმაც ჟორდანიას ინსტიტუტში 90-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი აღნიშნულ მიმართულებას. პირველი ქისტერექტომია ანუ საშვილოსნოს ამოკვეთა ლაპარასკოპიული მიდგომით, საქართველოში სწორედ პროფესორ რამაზ ჩარექიშვილის სახელს უკავშირდება. ეს იყო 1995 წელს. სიმბოლურია, რომ სულ ახლახან ძირძველი ჟორდანიას ინსტიტუტის ფესვებიდან მომწყდარი რამაზ ჩარექიშვილი განახლებულ ჟორდანიას კლინიკას დაუბრუნდა და ამჟამად ინსტიტუტის ენდოსკოპიური ქირურგიის კლინიკის დირექტორია. ჩატარებული აქვს: 16 000-ზე მეტი ლაპარასკოპიული ოპერაცია, მათ შორის, საქართველოს ფარგლებს გარეთაც – აზერბაიჯანსა და რუსეთში. მის მიერ ჩატარებული ოპერაციების შედეგად, უამრავ წყვილს მიეცა შთამომავლობის გაგრძელების შანსი და შესაძლებლობა. ის ერთადერთი ექიმია საქართველოს სინამდვილეში, რომელიც თავის მიერ ჩატარებულ ოპერაციას ვიდეოფირზე იღებს და, პაციენტს ეძლევა საშუალება, გაეცნოს და შემდგომში დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ის. უკვე ოთხი წელიწადია, სამედიცინო უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, რამაზ ჩარექიშვილის უშუალო თაოსნობით, ხდება სტუდენტების გადამზადება ლაპარასკოპიული მედიცინის პროფილით; ასევე მისი უშუალო ინიციატივით, 2008 წლიდან, რამაზ ჩარექიშვილის ენდოსკოპიური ქირურგიის ბაზაზე დაფუძნდა „უშვილობასთან ბრძოლის საქველმოქმედო ფონდი". „რ.ჩარექიშვილის ენდოსკოპიური ქირურგიის კლინიკა" დაარსდა 2007 წლის მაისში და ცენტრს თავად ჩაუდგა სათავეში ენდოსკოპიური ქირურგიის პიონერი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი რამაზ ჩარექიშვილი. მან შექმნა საქართველოში მოქმედი გამოცდილი რეპროდუქტოლოგების, ქირურგების, რადიოლოგების, ენდოკრინოლოგის, მამოლოგის, კარდიოლოგის, ექიმ-ლაბორანტებისა და სპეციალურად მომზადებული მედპერსონალისგან შემდგარი არაჩვეულებრივი გუნდი. კლინიკაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკური და სტაციონარული განყოფილება. ცენტრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით, რომელიც საშუალებას იძლევა, გამოცდილმა ექიმებმა პაციენტებს ჩაუტარონ ხარ-



ისხიანი სამედიცინო მომსახურება. ბოლო სამი წლის განმავლობაში ცენტრს მიღწევები აქვს ენდოსკოპიურ ქირურგიაში, რომელიც ევროსტანდარტებს უტოლდება. კლინიკაში წარმატებით ტარდება ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები ნებისმიერი ზომის მრავალკვანძოვანი მიომების, ექტოპიური ორსულობის, სხვადასხვა ეტიოლოგიის კისტების არსებობის შემთხვევაში; ასევე, ენდომეტრიოზების დროს. ბატონი რამაზ ჩარექიშვილი გახლავთ საქართველოს ენდოსკოპისტთა ასოციაციის დამფუძნებელი.

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲩᲐᲠᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ**: „გარდა იმისა, რომ ჩვენთან ლაპარასკოპიული მეთოდით თითქმის ყველა ტიპის ოპერაცია კეთდება, ასევე, ვაკეთებთ ისეთ უიშვიათეს ოპერაციებს, როგორიცაა საშვილოსნოს და საშოს არარსებობის დროს ხელოვნური საშოს ჩამოყალიბება, რათა ქალბატონმა სრულფასოვან ქალად იგრძნოს თავი სოციუმში. გარდა ამისა, ჩვენთან ტარდება პრომონდოფიქსაცია, ანუ, ეგრეთ წოდებული საშვილოსნოს დაწევის შემთხვევაში, ლაპარასკოპიული ჩარევით მისი საწყის პოზიციაზე დაბრუნება. თანდაყოლილი პათოლოგიების დროს, რომლებიც ვლინდება საშვილოსნოსა და საშოს არსებობით, საქართველოში მხოლოდ ჩვენთან ტარდება ხელოვნური საშოს შექმნა ლაპარასკოპიული მეთოდით. ლაპარასკოპია დღეისათვის უნივერსალურ სადიაგნოსტიკო-კვლევით ითვლება, ქირურგიულ და სამკურნალო საშუალებად. თანამედროვე მედიცინაში ზოგადად უშვილობა ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან, მისი გამომწვევი მიზეზი, შეიძლება, რამდენიმე დაავადება იყოს, რამაც, საერთო ჯამში, ქალბატონის უნაყოფობის განვითარება გამოიწვიოს. ლაპარასკოპიის შემდეგ ქალბატონს აღარ უჩნდება კითხვა, თუ რატომაა უშვილო – მან ჩვენთან ჩატარებული დიაგნოსტიკის შემდეგ უკვე იცის, რა არის მისი უშვილობის კონკრეტული მიზეზი. ლაპარასკოპიით დგინდება ისეთი ენდომეტრიული უბნები, რომლებიც ხელს უშლის ნაყოფიერებას და მიზნობრივად ვმკურნალობთ მას თერაპიული თუ ქირურგიული საშუალებით, ამას გვკარნახობს მოცემულობა. ლაპარასკოპია, ასევე, გამოიყენება ზოგად ქირურგიაშიც, კერძოდ, ნაღვლის ბუშტის, აპენდიციტის, თიაქრისა და სხვა ოპერაციების დროსაც; აგრეთვე, ძალიან ეფექტურად გამოიყენება ეგრეთ წოდებული კუჭის დაპატარავების, ანუ, ბარიატრიული ოპერაციის დროს, წონაში დაკლებისა და ტიპი-2 დიაბეტის მკურნალობის მიზნით. ასე რომ, დღეისთვის ლაპარასკოპია არის არა მხოლოდ უშვილობის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ოქროს სტანდარტი, არამედ, 21-ე საუკუნის ქირურგია და უნივერსალური საშუალება არაგინეკოლოგიური ქირურგიული ოპერაციების დროსაც.

**ᲜᲘᲜᲝ ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲔ**

# „პრ.“-ის დიპლომატიური ვნებანი

## ღრმა ინტეგრაციისთვის მზადყოფნაში

მართალია, **თავი გასჭირვებიათ,** თანაც, **ისე, რომ რფ-მ**, აფხაზეთისგან განსხვავებით, **არც კი შესთავაზა ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება**, რაზეც **გული ისე დასწყდათ, რომ თავად შეუდგნენ დოკუმენტზე მუშაობას,** ზედაც – **დაგვპირდნენ, რომ ოსურ-სეპარატისტული ვერსია აფხაზური სეპარატისტებისთვის შეთავაზებულზე გაცილებით ღრმად ინტეგრაციული იქნებოდა.**

ჰოდა, **რაკი კანიდან ძვრებიან,** გასულ კვირას, როგორც „ინტერფაქსი“ იუწყება, ადგილობრივი ტელევიზიის ეთერით „იუჟნაია ოსეტიას“ **„პრ.“ თიბილოვმა განაცხადა, რომ ლუგანსკისა და დონეცკის „სახალხო რესპუბლიკებთან“ დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ!**

სახელდობრ, ამ **კონკრეტულმა „პრ.“-მა ბრძანა** შემდეგი: „იუჟნაია ოსეტიას“ ხალხმა იგივე გზა გაიარა, რაც დონბასის მოსახლეობამ. ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ ომის საშინელებები და **არ შეგვეძლო, მხარი არ დაგვეჭირა ადამიანებისთვის, რომლებმაც მოგვმართეს აღიარების თხოვნით** (არ შეეძლო და, მოკალი, თუ გინდა?!).“

მეტიც, **„რესპუბლიკის საგარეო უწყებას დაევალა, ეჭიროთ ხელი პულსზე** (ვითომ კვდება ვინმე?!) **და დაამყარონ დიპლომატიური და სხვა ურთიერთობები** (მაინც როგორი?!) **ამ სახელმწიფოებთან**.“

ისიც სათქმელია, რომ **ჩვენებურმა „პრ.“-მა** (თიბილოვი მყავს მხედველობაში) **ლუგანსკელი და დონეცკელი კოლეგები** (სეპარატიზმის თვალსაზრისით) **2014 წლის ივნისში აღიარა, ახლა კი უკვე დიპურთიერთობითაც შედუღაბდებიან**. ხოლო, თუ აქვე ზემონახსენებ **„სხვა ურთიერთობებს“ გავიხსენებთ,** საინტერესოა, **რა ჯიში გამოვა, თუკი ჩვენებურ სეპარატისტს დონეცკურზე დავამყნობთ?!**

# ხელფასითაც კმაყოფილი

## ანუ „შენ რომ გული არ გადამაშლევინეო?!“

გასული კვირის **დაისზე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტი ეწვია** და **სიტყვითაც გამოვიდა**, თუმცა **პარლამენტმა დებატებზე უარი თქვა**, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ამ გადაწყვეტილებით რეგლამენტი არ დაურღვევიათ,** წესითა და რიგით, **ამ დეტალს არეულობა არ უნდა შეეტანა ჩვენს კანონმდებელთა კანონშემოქმედებით მუშაობაში.**



მაგრამ, სავარაუდოდ, **იმ მიზეზით, რომ საპარლამენტო ოპოზიციას ტრიბუნაზე გაბრწყინება მოუნდა** (ან კი რად არ მოუნდებოდა?!), **დებატების არგამართვა ლამის დემოკრატიის საწინააღმდეგო დივერსიად შერაცხეს.**

**ხოლო, რაკი შერაცხეს**, პრეზიდენტის გამოსვლის დასრულებისთანავე, **„ნაციონალებმა“ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს,** რასაც, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარემ სამარცხვინო უწოდა.

სახელდობრ, **მოპროტესტეებმა კი სასესიო დარბაზის დატოვების მოტივი შემდეგნაირად განმარტეს:** საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება არ გვეძლევაო.

მეორე მხრივ, **შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია: „ტყუილი, ტყუილი და პაპიროზი პირში“,** ვინაიდან, საკუთარ პოზიციას, შენი მოწონებული, ისე გამოხატავენ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ამაზე მაინც დარდობენ, იქნებ უპრიანი იქნებოდა, პროტესტის ნიშნად, საერთოდაც, პარლამენტი დაეტოვებინათ?!** –

# დაბნეული „ქაჩლები“

## პრემიებს + ხელფასი

შესაძლოა, იმ მიზეზით, **ქაჩალმა ჯერ არ მოიფხანა, ბოლოს, მოიგლიჯაო,** ამ **ჩვენს ღია საზღვრების გადამკიდე, ორიოდე თვის წინათ მთავრობამ ისე გადაამლაშა** („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებების შეტანით), **რომ მოახერხა და უცხოელ სტუდენტებს, ტურისტებსა და თვით ინვესტორ-დიპლომატებსაც კი შეუქმნა პრობლემები.**



ჰოდა, **რაკი შეუქმნა, იუსტიციის სამინისტრომ აწ უკვე ახალი ცვლილებები მოამზადა** (ზემოხსენებულ კანონში შესატანად) **„იმ ხარვეზების გამოსასწორებლად, რომლებიც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებულმა ახალმა სავიზო და საიმიგრაციო წესებმა გამოიწვია.“**

მეტიც, **ეს ახალი ცვლილებები** საქართველოს **პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო** და, თუ გავითვალისწინებთ, რომ **იუსტიციის სამინისტრო მას შემდეგ დაქიჩმაჩდა** (ახალი ცვლილებებისთვის), **რაც პრემიერ-მინისტრმა შეახურა და უცხოელებს ბოდიშიც კი მოუხადა ახალი სავიზო პოლიტიკით შექმნილი პრობლემების გამო** (სულ რაღაც, ერთიოდე თვის წინათ), ისმის კითხვა: **იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტში ერთი ადამიანი მაინც რატომ ვერ მიხვდა წინასწარ, რომ ახალი რეგულაციები პრობლემებს შექმნიდა**?

ვითომ, **ხელფასისა და პრემიების ჯამმა დააბნიეს?!** –


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია,
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# თვალები „უნიტაზიდან“

## ანუ, შპიონი ერთი სართულით მაღლა ცხოვრობს

ისე ხდება, რომ ამ ბოლო დროს **რუსული ელმედია აქტიურად აშუქებს აქეთ – „ევრაზისტების“** (ვინმე არჩილ ჭყოიძის თამადობით) **აზრებს**, იქით –„**თავისუფალი ზონის“ რუსულენოვან ვერსიას**, შიგადაშიგ კი **აქვე, ჩვენთან, კომუნისტები აწყობენ მანიფესტაციებს** (არ დაგიმალავთ და, პირადად მე გულუბრყვილოდ მეგონა, რომ **ასეთები დინოზავრებივით გადაშენდნენ, მაგრამ,** როგორც ათიოდე დღის წინათ ბათუმში გამართული მანიფესტაცია მოწმობს, **ვაი რომ, თურმე, მწარედ შევმცდარვარ).**



მე არ ვიცი, **რა მოტივები ამოძრავებს რუსულ მედიას** და **არც ის მგონია, მაინცდამაინც, ზემონახსენებთა იმედზე იყოს მიზნების მისაღწევად,** თუმცა ვიცით, რომ გასულ კვირას რფ-ის სახელმწიფო **„დუმელმა“ კიდევ ერთი „ბრძნული“ მოსაზრება გაახმოვანა.**

კერძოდ, ვლ. **ჟირინოვსკის თანაპარტიელმა „დუმის“ სამთავრობო საათზე რფ-ის განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გაუმხილა,** რომ, მისი აზრით, **რუსი სტუდენტები, რომლებიც უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში აბარებენ,** არც მეტი, არც ნაკლები, **შპიონები არიან**. საქმე ეხება პროგრამა „გლობალურ განათლებას“, რომლის ფარგლებშიც **სახელმწიფო აფინანსებს რუსი სტუდენტების უცხოეთში სწავლას**, **გადახდილ თანხას კი სტუდენტები შემდეგ სამშობლოში დასაქმებისას ანაზღაურებენ რამდენიმე წლის განმავლობაში.**

„დუმის“ დეპუტატმა ბრძანა: **„ისინი ხომ მზა უცხოელი შპიონები არიან. ისინი აქ იმუშავებენ, შემდეგ წავლენ და ყველაფერს მოუყვებიან და ამის საფუძველზე დაგვიწესებენ ახალ სანქციებს.“**

**უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რფ-ის განათლების სამინისტრო,** თუმცა ადვილი წარმოსადგენია, რომ, **თუ თავისი ფრთის ქვეშ მოგვაყუჩა, შპიონაჟის ბრალდებით გასამართლება თვით დედა-წულსაც კი არ აგვცდება** (თუ, რა თქმა უნდა, დახვრეტას გადავურჩით).

P. S. ანუ უნიტაზიდან საბჭოთა მზვერავი ჭკვიანი თვალებით იმზირებოდა...

# ფიცი-მტკიცი

## უსაშველოები

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ჩვენს ქვეყანაში **ფრიად აქტიურად მიდიოდა სჯა-ბაასი,** ბოლოს და ბოლოს, **საით გვიჭირავს კურსი** და **ვართ თუ არა დასავლური მიმართულების ერთგულები** (ცოდვა გამხელილი ჯობს და, ძირითადად, იმ მოტივით, აქაოდა, დასავლეთმა გული არ აიყაროს ჩვენზეო და, ნაკლებად იმის გამო, რომ დასავლური ცხოვრ-



ების წესი მოგვწონს და გვხიბლავს – თავისი უფლებრივი მდგომარეობითა და სოციალური დაცულობით).

**კოალიციიდან „თავისუფალი დემოკრატების“ გამოცალკევებამ ეს სჯა-ბაასი კიდევ უფრო გაამწვავა** (თუმცა, საბოლოოდ, რამდენიც გავიდა, თითქმის იმდენივე დარჩა) და **ჩვენმა პოლიტელიტამ ლამის ხატზე დაიფიცა, რომ არათუ კუბოს კარამდე, სამყაროს აღსასრულამდე უერთგულებს დასავლურ კურსს!**

ამიტომაც, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ **პარლამენტში გამოსვლისას თვით პრეზიდენტმაც გაამახვილა ამ საკითხზე ყურადღება**, პათოსით, ვემსგავსოთ და თავი მოვაწონოთ ევროპასო (იმის **შიშით, ვაითუ, მშრალზე არ დაგვტოვოსო**?!).

მაგრამ, სანამ **ჩვენ ფიცი-მტკიცში ვართ** და, **თვით იმის შიშში**, ვაითუ, **თავზე დაგვახიონ ასოცირების შეთანხმება, თუ ლაზათიანად არ მოვიქცევით** (გულ-ფულისკანკალით ვუცქერთ თვით ევროსაბჭოს დადგენილებებსაც კი, რამე ფარცაკი არ ჩაგვიწერონ), იმას გარდა, რომ **საბაჟო კავშირში დავანებულ სომხეთსა და ყველანაირი კავშირების მიღმა გასულ აზერბაიჯანს გაშლილი გულით ეპატიჟებიან ასოცირებისკენ**, ევროპარლამენტმა 529 ხმით **მხარი დაუჭირა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას**, რაც ბადებს რიტორიკულ კითხვას: და მაინც, **რამ გაგვაჩინა ასეთი უსაშველოები?!** –

# კრეატიულად მებრძოლები

## „გარეთ მხდალი, შინ მამაცი“

სანამ სრულიად **„ნაციონალური მოძრაობა“ ოკუპაციას ფრიად კრეატიულად**, სახელდობრ, **წარწერებიანი მაისურებით ებრძვის** („არა ანექსიას!“), რაც იმასაც ნიშნავს, რომ, **თუკი აქამომდე ოკუპანტთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად ჯამჭურჭელს მოიაზრებდნენ**, აწ **იგი გაცილებით ჰუმანური საშუალებით – ქსოვილით ჩაანაცვლეს** (აი, მესმის **კაცთმოყვარეობა?!).**

**ოკუპაციასთან უკომპრომისო**, ანუ **მაისურებით მებრძოლებმა ერთობლივი ფოტოც კი გადაიღეს**, სავარაუდოდ, **იმ იმედით, რომ შთამომავლობას სამარადჟამოდ დარჩეს ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმული წინაპრების დოკუმენტური მტკიცება** (და მერე რა, რომ შთამომავლობა ნივთმტკიცებად მხოლოდ საქართველოს ამჟამინდელ რუკას მიიღებს?!) –

როგორც უნდა იყოს, **იმას გარდა, რომ მაისურებით ანექსიას თვით ზღაპრებშიც ვერ ამარცხებენ,** თუ გავიხსენებთ, რომ **ყოფილი ხელისუფლება ოკუპაციის წინააღმდეგ გალაშქრების იშტაზე რფ-ის მიერ აფხაზეთისთვის შეთავაზებული ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებამ მოიყვანა** (რაც, დამეთანხმებით, 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარების ლოგიკური გაგრძელებაა) და იმასაც **დავამატებთ, რომ 26 აგვისტოს აღიარების შემდეგ აწ მაისურიანი ოპოზციიონერები,** მაშინ კი შარვალ-კოსტუმიანი ხელისუფალნი, **აცხადებდნენ, რომ არასდროს ყოფილა საქართველო ისე ახლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან**, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომისა და რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების შემდეგ, სავსებით ბუნებრივია, რომ, ამ ლოგიკით, **ზემოხსენებული ინტეგრაციის შეთანხმება** (რფ-სა და აფხაზეთს შორის) **ტერიტორიულ მთლიანობას კიდევ უფრო გვაახლოებს**, რაც **ლოგიკურად ნიშნავს, რომ გასაპროტესტებელი არაფერია?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

– დღეს საზოგადოება იმდენად უკომპლექსო გახდა, იმდენად შეიცვალა ღირებულებები, ძნელად მგონია, არსებობდეს რამე კომპრომატი, რითაც ადამიანზე ზემოქმედება შეიძლებოდეს. კომპრომატები უფრო საბჭოთა კავშირის დროს იყო და იქაც ხშირად იმედგაცრუებაც მიუღიათ. მაგალითად, გადაუღიათ კაცის მიერ ცოლის ღალატი ან მამაკაცი მამაკაცთან, მაგრამ მიუღიათ პასუხი, ეს ჩემთვის კომპრომატი არ არის და ვისაც გინდათ, აჩვენეთო. დღეს ვის რა კომპრომატი უნდა წარუდგინო?! ან თუ წარუდგენ, გეტყვის, არც თავია ჩემი და არც ტანიო. ზღაპრად მიმაჩნია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს კომპრომატები ვინმეს მიმართ და ამით აშანტაჟებს. დღეს მოსმენებს, თვალთვალს აქვს კონკრეტული ოპერატიული დანიშნულება. არ გამოვრიცხავ, „ნაციონალებს“ ჰქონდეთ პორტატული აპარატები, რომლითაც უსმენენ ვილაცეებს და ამით რაღაც ამბებს იგებენ, თორემ ამის იქით კომპრომატების თემა რეალურად მკვდარია.

**– თქვენ მხოლოდ მორალური ტიპის კომპრომატები ახსენეთ, მაგრამ ხომ არსებობს სხვა ტიპის კომპრომატები, რომლებიც სულაც არ ეხება ინტიმს?**

– მაგალითად, კორუფცია?

**– ესეც, უცხოურ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, კომერციული საიდუმლოება, ყველაფერი, რაც ინტიმური ცხოვრების გარეთაა.**

– ეს თემები რჩება. სამწუხაროდ, დღეს კორუფცია კომპრომატად ვერ ჩაითვლება, არავის უწოდებენ, კორუმპირებულოო. დღეს მთავარი კომპრომატია: „რუსეთუმე“, „პუწინის მონა“. თუმცა ამ ტიპის კომპრომატი უნდა იყოს რუსეთში გადაღებული ჩანაწერი, რომ ვიღაც შედის „ლუბიანკაზე“. ამას გარდა, რა შეიძლება, იყოს კომპრომატი?! დღეს მე არ ვიცნობ საქართველოში პოლიტიკოსს, რომელსაც არ ჰქონია ურთიერთობა რუსეთის პოლიტიკოსებთან ან რუსეთის სპეცსამსახურებთან.

**– რუსეთის სპეცსამსახურებთან ურთიერთობაში რას გულისხმობთ?**

– ზოგმა შეიძლება, არც იცოდა, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლები შეხვდნენ, ეგონათ პოლიტიკოსები ან ბიზნესმენები, ზოგმა კი შეიძლება, იცოდა. ჩვენ მაინც ძველი წარმოდგენა გვაქვს სპეცსამსახურების საქმინობასა და მათთან ურთიერთობაზე. დღეს ეს ურთიერთობები გადის ნაცნობობაზე, მათგან შეპირებების მოსმენაზე და ამათგან შეპირებების მიცემაზე, რომ, თუ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, გავაუმჯობესებთ ურთიერთობებს.

**– ასე მარტივადაა ვითომ?**

– აბა, თქვენ რა გგონიათ, რუსეთის ხელისუფლებამ ჩანერგა აგენტი საქართველოს ხელისუფლებაში?! რა უნდა მოიპაროს, რომელი სახელმწიფო საიდუმლო?!

**– ეკონომიკური, უსაფრთხოების, იმავე ომის დროს საიდუმლოების მეტი რა უნდა გვქონოდა?**

– მიხეილ სააკაშვილმა უფასოდ გაყიდა თბილისის დაცვის საიდუმლოება: აქა და აქ

**კვლავ აქტუალურია მოსაზრება, რომ ძველი ხელისუფლება ახლებს კომპრომატებით აშანტაჟებს, რომლებიც თავის დროზე დაიმზადეს და იმასაც ამატებენ, რომ ძველებს დღესაც მიუწვდებათ ხელი მოსმენა-თვალთვალის საშუალებებზე. მეორე მხრივ, კომპრომატებით მართვის ტრადიციისთვის საფუძველის ჩაყრას ედუარდ შევარდნაძის სახელსაც უკავშირებენ. ამიტომ უშიშროების ექსშეფთან, ვალერი ხაბურძანიასთან შევეცდებით იმის გარკვევას, რა მიზნების მიღწევაა შესაძლებელი კომპრომატების ომით.**

# როგორ აბალანსებდა ვალერი ხაბურძანია უშიშროების სამინისტროში „ამერიკელების კაცი“ ირაკლი ალასანიათი საკუთარ „რუსეთის კაცობას“

ბეტონის კედელი გავაკეთეთ, ზარბაზნები უნდა დაგვეყენებინა, იქ თხრილები გავთხარეთო, დაღესტნიდან მქონდა დაცული გზა და ახლა ისიც დაუცველიაო.

**– იმას ამბობთ, რომ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის არ არის საინტერესო საქართველო და აქ არ ჰყავთ თავიანთი აგენტურა?**



**როდესაც პეტრე პირველმა შექმნა ძალოვანი სტრუქტურა, ჰკითხეს, ხელფასი რამდენი დავუნიშნოთო, პეტრემ უთხრა, არ უნდათ ხელფასი, თვითონ გამოიკვებავენ თავიანთ თავსო. დაახლოებით, ასე ვიყავით ჩვენც**

– დღეს როდესაც არსებობს პოლიტიკური ძალები, სპეცსამსახურები რა საჭიროა?! დღეს ყველაფერი უფრო აშკარა გახდა. სუფთა სპეცსამსახურული საქმიანობა საჭიროა სნოუდენის შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ფლობს კონკრეტულ სახელმწიფო საიდუმლოებებს. ეს შეიძლება, იყოს სამხედრო, ტექნოლოგიური საიდუმლოება, რაც ჩვენ არ გვაქვს.

**– თქვით, შეიძლება, „ნაციონალებს“ ჰქონდეთ პორტატული მოწყობილობები და იმ წამს მიყურადების საშუალება. რას აძლევს ეს მათ, თუ აქვთ ასეთი საშუალება? რამე უპირატესობას?**

– მაგალითად, მათ წინასწარ იციან, რა ნაბიჯს გადადგამს ხვალ კონკრეტული მინისტრი ან ხელისუფალი, შეუძლიათ წინასწარ გამოხტნენ და თქვან.

**– მაგრამ ეს ხომ ნიშნავს, რომ ბიზნესსაიდუმლოს გაგებაც შეუძლიათ და იმის, ვის დაჭერას აპირებენ და რა ბრალდებით?**

– ზოგადად შეიძლება, რუსეთსა და დიდ ქვეყნებში ძალიანაა განვითარებული ბიზნესდაზვერვა და კოტრდაზვერვა, მაგრამ ჩვენთან ნაკლებად. მაგალითად, ჩემ დროს საბჭოთა პერიოდის შიშით მიიღეს ნორმა, რომ ნორმატიული აქტი არ შეიძლება, იყოს საიდუმლო და სამინისტროს შიდა ნორმატიული აქტებიც კი არ იყო საიდუმლო. საერთოდ, ფორმალურად, შევარდნაძის ხელისუფლება იყო ყველაზე გახსნილი ხელისუფლება. მე თვითონ ვარ ამის მსხვერპლი, მაგალითად, ჩემი და გუბაზ სანიკიძის საუბრის ფალსიფიცირებული ჩანაწერი გამოაქვეყნა შსს-მ, ვანო მერაბიშვილი ჰყავთ დაჭერილი, მაგრამ რატომ არ წაუყენეს ბრალი ჩემი და გუბაზ სანიკიძის უკანონო მოსმენის გამო?! ეს რატომ არ არის დანაშაული?!

**– არსებობდა მოსაზრება, რომ შევარდნაძემ ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს შსს მინისტრობისას დანერგა კომპრომატებით მართვის მეთოდი, რასაც ფრიად წარმატებით იყენებდა შემდეგაცო. ანუ ყველა მაღალჩინოსანზე იქმნებოდა საქმე, რომელიც თაროზე იდო პროკურატურაში და თუ დასჭირდებოდათ იმ პირზე ზემოქმედება, ამოუწევდნენ ამ საქმეს. ეს გაგრძელდა სააკაშვილის დროსაც და, ამბობენ, ახლაც იგივე ხდებაო.**

– შევარდნაძის ხელისუფლების დროს ეს ამბავი გამორიცხული იყო ორი რამის გამო. ჯერ ერთი, ჩვენ ამის საკანონმდებლო შესაძლებლობა არ გვქონდა. ეს დღესაა შესაძლებელი, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ თავის დროზე მიიღო ისეთი კანონი, რომ შესაძლებელია, ისე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე კონკრეტული პირის მიმართ, რომ ამ პირმა არც იცოდეს და არც დაცვის საშუალება აქვს, შესაბამისად. ამიტომ ვამბობდი, სააკაშვილი და მისი გუნდი მათ მიერვე შექმნილი კანონმდებლობით უნდა გაასამართლონ-მეთქი. ერთი სიტყვით, ჩვენ დროს ეს ძალიან რთული იყო; მეორე – შევარდნაძის დროს ამის არც ტექნიკური საშუალება არსებობდა და არც ფინანსური. ასეთ საქმეებს სჭირდება ფული აგენტურისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად, ხალხის გადმოსაბირებლად, არადა, რა ფულზეა ლაპარაკი, როდესაც ჩემი სამინისტრო სულს ღაფავდა?! ჩვენი მდგომარეობა იყო სავალალო. შევარდნაძე, მართალია, ძალოვნებს ეყრდნობოდა, მაგრამ მას ჰყავდა პეტრე პირველის დროინდელი ტიპის ძალოვნები. როდესაც პეტრე პირველმა შექმნა ძალოვანი სტრუქტურა, ჰკითხეს, ხელფასი რამდენი დავუნიშნოთო, პეტრემ უთხრა, არ უნდათ ხელფასი, თვითონ გამოიკვებავენ თავიანთ თავსო. დაახლოებით, ასე ვიყავით ჩვენც.

**– პოლიცია გასაგებია, საიდან იღებდა ქრთამს, მაგრამ თქვენი უწყებისთვის, უშიშროებისთვის, ვის უნდა მიეცა ქრთამი, სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს ხომ არა?**

– პირველი ხუთი თვის განმავლობაში, რადგან „რუსთავი-2-ში“ შევიდნენ, გავაუქმე ეკონომიკური სამსახური და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მინისტრი არ მესალმებოდა.

**– რატომ?**

– არ მთვლიდნენ მნიშვნელოვან მინისტრად, ჯაშუშების მინისტრი ვიყავი, ჯაშუშად კი თავს არავინ მიიჩნევდა; ფული მე არ მქონდა და ტექნიკური შესაძლებლობები, რაც ყველამ იცოდა, ასე რომ, რა ზემოქმედება უნდა მომეხდინა ვინმეზე?! შემდეგ, როდესაც ისევ შევქმენი ეკონომიკური სამსახური, დამოკიდებულება შეიცვალა. მე უნდა გითხრათ პირდაპირ: იმის ფონზე, დღეს რა კორუფციაა, სააკაშვილის დროს რა კორუფციაც იყო, მე რომ ვინმემ მითხრას, კორუმპირებული ხარო, ჩემგან მიიღებს სილას.

**– მასშტაბების შედარებაც კი არ შეიძლება?**

– უდიდეს შეურაცხყოფად ჩავთვლი. ორნულიანი და სამციფრიანი კორუფცია შეადარეთ შვიდციფრიან და ექვსნულიან კორუფციას?!

**– მაგრამ მაინც ხომ იყო კორუფცია?!**

– 280 ლარი მქონდა ხელფასი და, აბა, როგორ ვიცხოვრებდი, თქვენი აზრით?!

**– როგორ ცხოვრობდით?**

– კორუფცია იყო ის, რომ ვიღაც რაღაცას მჩუქნიდა; ვიღაც სპეცრაზმზე მეხმარებოდა? ვიღაც თავისი ბიზნესიდან რაღაცას მომცემდა. პირობითად რომ ვთქვათ, თუ ვიღაც იხდიდა 100 ლარ ქრთამს, იქიდან 90 ლარი მიჰქონდა ფინანსთა სამინისტროს. ეს იყო მირიან გოგიაშვილის ფინანსთა მინისტრობისას. მე სხვა ფუნქცია და ამოცანები მქონდა: სამინისტროს უნდა ეარსება, აბა, როგორ იარსებებდა 120-ლარიანი ოპერატიული თანამშრომელი?! რა ინფორმაცია უნდა მოეპოვებინა, როდესაც აგენტურაზე 30 ლარი იყო გამოყოფილი, მაშინ, როდესაც ჩემს დროს ამერიკელები და რუსები თითო წყაროს უხდიდნენ 100 000 დოლარს. მაგალითად, ერთ ჩემს თანამშრომელს ამერიკელებმა ინფორმაციაში ოფიციალურად გადაუხადეს 80 000 დოლარი. მინისტრად რომ დამნიშნეს, პირველ დღეს ფეხით წავედი სახლში და 10 000 დოლარი მომცეს ამერიკელებმა, რომ მანქანა მეყიდა. ირაკლი ალასანია რომ მოვიდა, მანქანა არ ჰყავდა, ვიღაცას ვთხოვეთ და იმ კორუფციულ მანქანაზე იჯდა კარგა ხანს.

**– „კორუფციული მანქანა" რას ნიშნავს?**

– კორუფციულია, როდესაც ვიღაცამ გაჩუქა, თუ ვანო მერაბიშვილი ამას შემდეგ ოფიციალურად აფორმებდა, ჩემს დროს ეს კანონით აკრძალული იყო და ამიტომ ვერ ვაფორმებდით.

**– თქვენს თანამშრომელს 120 ლარი ჰქონდა ხელფასი და 80 000 დოლარს უხდიდნენ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურები ინფორმაციაში, ახლა ხელფასები გაცილებთი დიდია, ესე იგი, ინფორმაციის ფასიც ხომ გაიზრდებოდა, თქვენ კი ამბობთ, ამაში ფულს აღარავინ იხდისო?**

– ახლა არ არსებობს ისეთი პრობლემა, როგორიც მაშინ პანკისის ხეობა იყო.

**– რაც არსებობს?**

– რაც არსებობს იმისთვის ფულის გადახდა არ არის საჭირო, იმდენად გამჭვირვალეა ყველაფერი. პოლიტიკურ ინფორმაციაზე ვამბობ. რაში სჭირდება რუსეთის სპეცსამსახურებს, რომ გაიგოს პრემიერ-მინისტრისა თუ თავდაცვის მინისტრის შორის დამოკიდებულება?! ეს ხომ ისედაც აშკარაა?! თან, საზოგადოებაც ხომ ქმნის რაღაც განწყობებს და პოლიტიკოსებს ამისკენ უბიძგებს?! ამიტომ ამაში ფულს არავინ გადაიხდის, არც ამერიკელები და არც რუსები. დღეს მათ სჭირდებათ მხარდაჭერა. პოლიტიკური კორუფციის კლასიკური მაგალითია, რაც ამერიკის ელჩმა გააკეთა, როდესაც აშკარად დაუჭირა მხარი ირაკლი ალასანიას.

**– და რას მიიღებენ ამის სანაცვლოდ. რას ნიშნავს „პოლიტიკური კორუფცია"?**

**მინისტრად რომ დამნიშნეს, პირველ დღეს ფეხით წავედი სახლში და 10 000 დოლარი მომცეს ამერიკელებმა, რომ მანქანა მეყიდა**

– როდესაც ჩინოვნიკი დაუმსახურებლად იღებს რაღაც მხარდაჭერებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთგულია კონკრეტული პოლიტიკური ვექტორის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ჩინოვნიკი ერთგულია დასავლური ვექტორის.

**– ანუ ამერიკის აგენტია?**

– თქვენ ძველი გაგებით თქვით. მოდი, პირდაპირ ვთქვათ, ის არის ამერიკელების კაცი და ამერიკელობს იმაზე მეტად, ვიდრე ამერიკელები სთხოვენ.

**– ასე გაუჭირდათ „ამერიკელების კაცები" ჩვენს მთავრობაში?**

– მათ ჰყავთ თავიანთი კაცები, მაგრამ ამერიკელებს აქვთ ერთი თვისება, ისინი ბოლომდე ებღაუჭებიან თავიანთ კაცებს. ამერიკაში ისე ადვილად არ იცვლება პროექტები, როგორც რუსეთში. რუსეთი უცებ ცვლის, იმიტომ რომ ახლოსაა, ამერიკა შორსაა და ვისაც იცნობენ, ებღაუჭებიან.

**– მარტივად რომ ვთქვა, რუსეთი უფრო ადვილად სწირავს თავის კაცებს, ვიდრე ამერიკა?**

– თქვენ ასე დაარქვით, მე ასე ვიტყვი: რუსეთი უფრო ადვილად ცვლის, ვიდრე ამერიკა. მე, მაგალითად, ამერიკელები თავიანთ კაცად არ მთვლიდნენ.

**– ირაკლი ალასანია როდიდან გახდა ამერიკის კაცი? თქვენ როდის შეამჩნიეთ?**

– მე ამის გამო მოვიყვანე სამსახურში, დაბალანსება მჭირდებოდა.

**– რუსეთის კაცი ვინ იყო მაშინ თქვენს სამინისტროში?**

– ეს ნაწილი მე ვითავე, მე გავაკეთე გარღვევა ამ მიმართულებით. როდესაც ამერიკელებთან დავიწყე ურთიერთობა, მივხვდი, თუ ამას არ დავაბალანსებდი, ცუდად იქნებოდა საქმე. კარგა ხანს ეს ბალანსი გამომდიოდა, სანამ პანკისის საკითხს არსებითად არ გადავწყვიტეთ, 2002 წლის სექტემბრამდე, მაგრამ შემდეგ ამერიკელებმა დაიწყეს კონფრონტაცია: ამიკრძალეს რუსული ინტერესების გატარება ჩვენს სამინისტროში.

**– რაში გამოიხატებოდა რუსული ინტერესები?**

– არაფერი არ უნდა გამეკეთებინა რუსებისთვის.

**– მერედა, არ გაგეკეთებინათ?**

– როგორ?! პრობლემები ისევ იყო პანკისის ხეობაში, ამას გარდა, როდესაც შეთანხმებულები ვიყავით თანამშრომლობაზე, როგორ უნდა შემეწყვიტა?! მათ რომ სანაცვლოდ შემოეთავაზებინათ, ჩვენ მხარში დაგიდგებით, სამინისტროს აგიშენებთო...

**– თქვენ გეკითხათ, რას მპირდებით სანაცვლოდო?**

– არაფერს... იმ მოლოდინებს მიქმნიდნენ, რითაც დღეს აბრიყვებენ ხალხს ჩვენი პოლიტიკოსები და ვიცოდი, რომ ეს, გარდა კონფტრონტაციისა, არაფერს მომცემდა. რუსეთი ისევ დაიწყებდა აშკარად სხვა ტიპის საქმიანობას და ისევ მტრად გადავიკიდებდით. მაშინ არც მოყვარე იყო და არც მტერი. ამერიკელებმა კი, ფაქტობრივად, მომთხოვეს, რუსეთთან მტრობის დაწყება, რაც შემდეგ მოხდა კიდეც.

**ნინო ხაჩიძე**


# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



ცისანა ბურჭულაძე *(58 წ, ექიმი, თბილისი):* **დიაგნოზი** – ხერხემლის ოსტეოქონდროზი, მარჯვენა იშიალგია – „ჯანმრთელობა ყველაფერი არ არის, მაგრამ, ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი არაფერია" – ეს ცნობილი ფრაზა უკვე მერამდენედ მარწმუნებს ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. ისეთი ტკივილები მქონდა აქ მოსვლამდე, დღედაღამ არ მასვენებდა. აღარაფერი მიხაროდა, ტკივილმა საწოლს მიმაჯაჭვა. წამლები შედეგს არ მაძლევდა, მტკიოდა წელი, ტკივილი გადამდიოდა მარჯვენა ფეხში. ჩემმა კოლეგამ, ქალბატონმა მანანამ, საოცრად მოკლე ვადაში მოახერხა ჩემი ტკივილების კუპირება – 2 დღეში საკუთარი ფეხით მოვედი პროცედურებზე. დღეს მეშვიდე დღეა და, პრაქტიკულად არაფერი აღარ მტკივა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი მას!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში", სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

შალვა რატიანი *(42 წლის ინჟინერი, თბილისი):* ეს დაავადება რვა თვის წინ დამეწყო და ბოლოს უმწვავესი ტკივილით მომიყვანეს აქ. მქონდა წვა, ქავილი, კვანძები, კუჭის შეკრულობაც, გასტრიტიც, ქოლეცისტიტიც, შებერილობაც. დამინიშნეს ათდღიანი კურსი. წავიღე მალამოები, ბალახების ნაკრები, მცენარეული წვეთები. უძლიერესი ტკივილგამაყუჩებელი ტორადორი რომ ტკივილს არ მიყუჩებდა, ამ მალამოებმა ერთ დღეში გამინახევრა ტკივილი, სამ დღეში კი ჩემი ტკივილები მთლიანად ალაგდა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა კუჭის შეკრულობა და მომეხსნა ყველა სხვა ჩივილი. ნამდვილად ვერ ვიჯერებ, დილით რომ ვიღვიძებ და არაფერი აღარ მტკივა. სიტყვები არ მყოფნის ჩემი მადლიერების გამოსახატავად, რასაც ქალბატონი მანანასა და ბატონი სოსოს მიმართ ვგრძნობ.

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

# რას უნდა მივაქციოთ ყურადღება საკვები პროდუქტის შეძენისას და რატომ არ არის პროდუქტზე მითითებული ვადა მისივარგისიანობის გარანტია

*ოფიციალური ინფორმაციით, სურსათის უვნებლობის სააგენტომ მხოლოდ სექტემბრიდან მოყოლებული რამდენიმე ობიექტი დახურა და დააჯარიმა. კერძოდ, 4 სექტემბერს მცხეთასა და ბათუმში, კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის გამო, სურსათის ობიექტებს საწარმოო პროცესი შეუჩერა. 15 სექტემბერს ბათუმში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მდებარე მარკეტში საეჭვო შეფერილობის ღვინის რეალიზაციის ფაქტი გამოავლინა (მოქალაქის დახმარებით, რომელსაც „ქინძმარაულის" შეფერილობა საეჭვო ეჩვენა) და შემოსავლების სამსახურს გადასცა. 17 სექტემბერს თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, სახინკლე „თაღლაურას" შეუჩერეს საწარმოო პროცესი (სხვა დარღვევებთან ერთად, სახინკლეში ვერ წარმოადგინეს ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც მფლობელი – შპს „თაღლაურა მენეჯმენტ კომპანი" 1 000 ლარითაც დაჯარიმდა. 18 სექტემბერს კი იგივე ობიექტი განმეორებით დააჯარიმეს – ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო). 24 სექტემბერს ქობულეთში მდებარე შპს „ჯუდეს" აგრარულ ბაზარს შეუჩერეს საწარმოო პროცესი და ბიზნესოპერატორი დააჯარიმეს კიდეც (მიზეზები – დეზინფიცირების საშუალებების არქონა, კოროზირებული ხორცსაკეპი მანქანა და ხორცის საკიდი კაუჭები, ხორცი – ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე). 8 ოქტომბერს მარნეულში მდებარე საქაბაბეს, ასპინძაში მდებარე სურსათის მაღაზიასა და თელავის „რძის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოსაც" იგივე ბედი ეწია. 9 ოქტომბერს სააგენტომ მოქალაქეებს მიმართა, ვინც იმ დღეებში შპს „მადის" მიერ წარმოებული პელმენი, ხინკალი, ქაბაბი და სხვა ხორცპროდუქტები შეიძინა, ვინაიდან დადგინდა ამ პროდუქციაში პათოგენური მიკროორგანიზმის არსებობა. აღნიშნული წარმოების პროდუქცია ქსელიდანაც ამოღეს და გაანადგურეს. 23 ოქტომბერს იმერეთში 655 კგ დაუდგენელი წარმომავლობის ხორცი აღმოაჩინეს, საწარმოო დააჯარიმეს, ხორცი გაანადგურეს. 4 ნოემბერს კი გურჯაანის რაიონში შპს „ვიტოს" აგრარულ ბაზარსა და ზესტაფონის ერთ-ერთ რესტორანს საწარმოო პროცესი შეუჩერეს. 29 ოქტომბერს იგივე ბედი ეწია ბათუმში მდებარე ერთ-ერთ საშაურმესა და წყალტუბოში მდებარე ერთ-ერთ რესტორანს.*

*ამის მიუხედავადაც, ჩვენი სასურსათო ბაზარი მაინც დაუცველია, რადგან დიდწილად ისევ მწარმოებელთა და რეალიზატორთა კეთილსინდისიერების იმედზეა, სურსათის უვნებლობის სააგენტოს კი რესურსი არ ეყოფა ყველა ობიექტის შესამოწმებლად. რამდენად ხერხდება მომხმარებლის დაცვა საშიში საკვები პროდუქტებისგან, – თემას „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტი* ***ანზორ ხატიაშვილი*** *განგვიმარტავს.*

**– როგორია სამართლებრივი მდგომარეობა, რამდენად დაცული თუ დაუცველია მომხმარებელი სურსათისგან?**

– ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაშიც და პრაქტიკაშიც. როგორც მოგეხსენებათ, სურსათის უვნებლობის სააგენტო პასუხისმგებელია ბაზარზე არსებული პროდუქტის კონტროლზე. კონტროლი კი იმასაც ნიშნავს, მომხმარებელს მიაწოდონ ინფორმაცია, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთოს, რომელი პროდუქტი მოიხმაროს და რომელი – არა. დასახელდეს საწარმოები, რომლებიც უხარისხო პროდუქტს აწარმოებენ. ადრე სურსათის უვნებლობის სააგენტო მხოლოდ სტატისტიკის განსაჯაროებით შემოიფარგლებოდა ხოლმე, ახლა კი მათ საიტზე პერმანენტულ რეჟიმში განათავსებენ ინფორმაციას კონტროლის შედეგად აღმოჩენილ მავნე საკვებზე, ინსპექტირების შედეგებზე, თუ რომელი კომპანიის პროდუქტი აღმოჩნდა დაბინძურებული. ამ კუთხით, მისასალმებელია



**გენმოდიფიცირებული თესლით მოყვანილი პროდუქტი უნდა იყოს დახურულ სივრცეში, მაგრამ ეს ნორმა უნდა ამოქმედდეს 2015 წლიდან**

სააგენტოს აქტიურობა, რადგან მომხმარებელი ინფორმირებულია, რომელ მწარმოებელს ენდოს და რომელს – არა. ასევე, რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებაზე მინდა, გავამახვილო ყურადღება: ეტიკეტირებასთან დაკავშირებით ბოლო დროს შევიდა ცვლილება კანონში და ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს, არის თუ არა პროდუქტი გენმოდიცირებული. აქამდე რეალიზატორს ვალდებულება ჰქონდა, რომ ვადაგასული საქონელი ამოეღო ქსელიდან, მაგრამ კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული არანაირი სანქცია, ახლა კი ვადაგასული საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში, მცირე ბიზნესოპერატორი ექვემდებარება დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, სხვა დანარჩენი კი – 500 ლარით.

**აქამდე რეალიზატორს ვალდებულება ჰქონდა, რომ ვადაგასული საქონელი ამოეღო ქსელიდან, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული არანაირი სანქცია, ახლა კი ვადაგასული საქონლით ვაჭრობის შემთხვევაში გათვალისწინებულია 200 და 500-ლარიანი ჯარიმები**

**– ეს არ ვიცოდი, აწი ამ უფლებასაც აქტიურად გამოვიყენებ.**

– ეს ნორმა უკვე მოქმედებს. ასევე, ჯარიმებია ეტიკეტირების წესის დარღვევაზეც. თუმცა, ჩემი აზრით, ჯარიმა, 500 ლარი, მაინც მცირეა. მეორე მხრივ, „სხვაში" იგულისხმება დიდი ბიზნესი და უსამართლობა მგონია, ჯარიმის ასე განაწილება: მცირე ბიზნესოპერატორისთვის 200 ლარი დიდი თანხაა, მაგრამ დიდი ბიზნესოპერატორისთვის 500 ლარი უმნიშვნელო თანხა შეიძლება, იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში კი, პროდუქტი ექვემდებარება ამოღებას. მართალია, კანონმდებლობით, იმპორტირებული პროდუქციის ეტიკეტზე წარწერა უნდა იყოს ქართულ ენაზე, მაგრამ გვხვდება პროდუქცია, რომელსაც არ ახლავს ინფორმაცია ქართულ ენაზე.

მნიშვნელოვანია ის ცვლილება, რომ საბაჟო-გამშვებ პუნქტზეც დაწესდა კონტროლი და შემოსავლების სამსახური ახორციელებს იმპორტირებული საქონლის მონიტორინგს და გასცემს სერტიფიკატს საქონლის განბაჟებისას.

**– რის მიხედვით გასცემენ სერტიფიკატს, იმ საბუთებს ენდობიან, რომლებსაც წარმოადგენს იმპორტიორი?**

– დიახ, გათვალისწინებულია სამართლებრივი ნორმებით, თუ რა დოკუმენტაცია უნდა ახლდეს საქონელს და ისინი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში არსებულ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონელი ან უნდა გააბრუნონ ქვეყანაში, საიდანაც შემოიტანეს, ან შემომტან პირს დაავალონ მისი გადამუშავება, თუ ეს შესაძლებელია, რომ შესაბამისობაში მოვიდეს ჩვენთან არსებულ ნორმებთან. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის საიტზეც ხშირად ნახავთ ინფორმაციას, რომ ამა თუ იმ ქვეყნიდან შემოტანილი პროდუქცია ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და ის უკან გააბრუნეს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ამ კუთხით, შემოსავლების სამსახურიც მუშაობს. ასევე, მანამდე არსებული ვითარების ხარვეზი იყო ის, რომ მთავრობა განსაზღვრავდა არაკეთილსაიმედო ქვეყნების ჩამონათვალს. ძირითადად, ესენი იყო აფრიკისა და აზრიის ღარიბი, განვითარებადი ქვეყნები და იქიდან იმპორტირებულ საქონელზე აუცილებელი იყო, რომ მწარმოებელს ჰქონოდა იმპორტირების შესაბამისი ნებართვა. ასევე, თუ ეს საქონელი ექვემდებარებოდა ვეტერინარულ ან ფიტოსანიტარულ კონტროლს, სააგენტოს უფლება ჰქონდა, არაკეთილსაიმედო ქვეყნებში მიევლინა თავისი თანამშრომელი, რომ მას ადგილზე ენახა, რა მდგომარეობა იყო საწარმოში. თუმცა პრობლემა ის იყო, რომ ამ თანამშრომელს არ ჰქონდა არანაირი აღჭურვილობა და, ამდენად, ადგილზე ვერაფერს შეამოწმებდა.

**– ფაქტობრივად, სეირნობდა, ესე იგი.**

– მას მხოლოდ ვიზუალურად ჰქონდა პროდუქტის დათვალიერების საშუალება, მიკროდაბინძურებას ვერ შეამოწმებდა. არადა, ხშირად დაბინძურებული პროდუქტი ვიზუალურად ჯანსაღად გამოიყურება. ასევე, ბოლო დრო საუბარი იყო გენმოდიფიცირებული თესლით მოყვანილი პროდუქციის იზოლირებაზე ბუნებრივი პროდუქციისგან. გენმოდიფიცირებული

# რა ოდენობის 10-წლიანი იპოთეკური სესხი აქვს თავდაცვის მინისტრ მინდია ჯანელიძეს და რა უჯდება ყოველწლიურად მათი მომსახურება

აწ უკვე თავდაცვის მინისტრი, თადარიგის პოლკოვნიკი მინდია ჯანელიძე 1978 წლის ივლისშია დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აკადემიაში მიიღო, სადაც 1995-2000 წლებში სწავლობდა, შესაბამისად, აქვს იურისტის დიპლომი. ამას გარდა, პროფესიული კურსებიც გაიარა: 2006 წელს ვაშინგტონში – საქართველო-აშშ-ის ერთობლივი სასწავლო კურსი უსაფრთხოების საკითხებში; 2008 წელს თბილისში – საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი პროგრამა უსაფრთხოების საკითხებში; 2012 წელს, ასევე, თბილისში – საქართველო-დიდი ბრიტანეთის ერთობლივი პროგრამა უსაფრთხოების საკითხებში. მისი შრომითი ბიოგრაფია 2000 წელს იწყება საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურში – ოპერატიული სამსახურის ოფიცრად; 2004 წელს ოპერატიული სამსახურის განყოფილების უფროსი გახდა, ხოლო 2007 წელს – ოპერატიული სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილეც; 2008 წელს ინფორმაციული დირექტორატის სამმართველოს უფროსად დაინიშნა, ხოლო 2012 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორი გახდა: 2014 წლის იანვარში საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ გაამწესეს სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში, ხოლო გასულ კვირას კი საქართველოს თავდაცვის მინისტრის პორტფელი ჩააბარეს.

თავისი პირველი დეკლარაცია ბ-ნმა ჯანელიძემ 2013 წელს შეავსო, როგორც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: 1983 წელს დაბადებული მეუღლე და ორი შვილი: 2003 წელს დაბადებული თეიმურაზი და 2008 წელს დაბადებული მარიამი.

იმხანად ოჯახის უძრავი ქონება მხოლოდ მინდია ჯანელიძის საკუთრება იყო: ბინა თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე (ფართობი – 115 კვ.მ.); იქვე მდებარე ავტოფარეხი და მშენებარე ბინა თბილისში, მოსკოვის გამზირზე (ფართობი – 72 კვ.მ.). მასვე ჰყავდა 2002 წლის ავტომანქანა – „ML 320“.



2012 წლის განმავლობაში მინდია ჯანელიძემ, როგორც საქართველოს დაზვერვის სამსახურის ინფორმაციული დირექტორატის სამმართველოს უფროსმა, 29 549 ლარი მიიღო, ხოლო, როგორც შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორმა – 8 324 ლარი. რაც შეეხება ეკატერინე ჯანელიძის შემოსავალს, სტი „თრეველ ჯორჯიას“ თრეველ კონსულტანტად მუშაობისას მან 10 080 ლარი მიიღო. 2011 წელს მინდია ჯანელიძემ „საქართველოს ბანკიდან“ 26 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი აიღო 10 წლის ვადით, რომლის მომსახურებაც 2012 წელს 4 820 აშშ დოლარი დაუჯდა. თუმცა იმავე წელს ავტომანქანა „მიცუბიში პაჯეროს“ გასხვისებით 3 400 აშშ დოლარი მიიღო.

2014 წელს მინდია ჯანელიძემ დეკლარაცია შეავსო, როგორც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილმა დირექტორმა და ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე და სამი შვილი: 2014 წელს შესძენიათ მესამე შვილი – მათე.

გაიზარდა მათი უძრავი ქონებაც: ზემოჩამოთვლილის გარდა, აწ უკვე ეკატერინე ჯანელიძის საკუთრებაა არასაცხოვრებელი ფართი თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე (ფართობი – 90 კვ. მ.). მას, ასევე, უკვე ჰყავს 2013 წლის ავტომანქანა SUZUKI sX4 s-cross.

სამეწარმეო საქმიანობას ოჯახში ეკატერინე ჯანელიძე ეწევა, 2013 წლის განმავლობაში ის იყო იმ წელს დაფუძნებული შპს „თრეველ პორტის“ დირექტორი, რამაც მას 19 500 ლარის ოდენობის შემოსავალი მოუტანა და დამატებით კიდევ – 3 250 ლარიც. მინდია ჯანელიძემ კი, როგორც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორმა, 2 013 წლის განმავლობაში 92 566 ლარი აიღო.

2014 წელს მინდია ჯანელიძემ კიდევ ერთი 10-წლიანი იპოთეკური სესხი აიღო, ამჯერად 69 000 აშშ დოლარის ოდენობის, რომლის მომსახურებაც ამ წელს 12 000 აშშ დოლარი დაუჯდა. დამატებითი შემოსავალი ჰქონდა ეკატერინე ჯანელიძესაც – ფართის იჯარამ მას 12 000 ლარი მოუტანა.

**ნინო ხაჩიძე**

---

პროდუქტი უნდა იყოს მოყვანილი დახურულ სივრცეში და არ უნდა შეერიოს ბუნებრივ ჯიშებს.

**– იმას ამბობთ, რომ ყანები უნდა იყოს გამიჯნული?**

– დიახ. გენმოდიფიცირებული თესლით მოყვანილი პროდუქტი უნდა იყოს დახურულ სივრცეში, მაგრამ ეს ნორმა უნდა ამოქმედდეს 2015 წლიდან. მიუხედავად ამისა, არის პრობლემებიც, სურსათის უვნებლობის სააგენტოს მოქმედება შეზღუდულია ღია ბაზრობებსა და გარე ვაჭრობის შემთხვევაში.

**– ასევე, ჩვენ არ ვიცით დაზუსტებით, სურსათის მაღაზიებში ღამით თიშავენ თუ არა მაცივრებს.**

– დიახ, პრობლემაა როგორც გამყიდველების, ისე მომხმარებლების გათვითცნობიერებულობის დონე. როდესაც შევიძენთ მაღაზიაში პროდუქტს და აღმოჩნდება, რომ გაფუჭებულია, იქ უკვირთ და პრეტენზია უჩნდებათ, ვადა არ აქვს გასულიო. არადა, ამ დროს დარღვეულია პროდუქტის შენახვის პირობები და ბევრს არ ესმის, რომ შენახვის პირობების დაცვა მნიშვნელოვანია. ბევრი მაღაზია მინახავს, რომლებშიც არანაირი კონდიცირება არ ხდება და პროდუქციის დიდი ნაწილი მაცივრების გარეთ დევს. შესაბამისად, რა ვადაც უნდა იყოს დაცული, შენახვის პირობების დაუცველობა აფუჭებს პროდუქტს. ეს უფრო პატარა მაღაზიებს ეხება, დიდ სუპერმარკეტებს – ნაკლებად.

**– თუმცა დიდ სუპერმარკეტებში მინახავს პროდუქცია ვადაგასულიც და ერთ-ორ დღეში რომ გასდის ვადა.**

– რა თქმა უნდა, როგორც გითხარით, პრობლემურია მომხმარებლის გათვითცნობიერების დონეც.

**– და ძალიან სწყინს სურსათის მაღაზიების პერსონალს, როდესაც ვადას ეძებ.**

– თან, პროდუქტის შენახვის პირობები შესაძლოა, დაირღვეს არა მხოლოდ რეალიზაციის, არამედ დისტრიბუციის ან წარმოების ეტაპზე. ამდენად, ყველა უნდა შეეჩვიოს ეტიკეტზე დახედვას პროდუქტის ყიდვამდე. ზოგი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ეტიკეტს ან მხოლოდ მაშინ კითხულობს, როდესაც პროდუქტს სახლში მიიტანს.

**– ისიც პრობლემაა, რომ ქართულენოვანი ეტიკეტი ძალიან წვრილი შრიფტითაა დაწერილი.**

– გეთანხმებით, ჯობია, გაიზარდოს შრიფტის ზომა, მაგალითად, ისევე, როგორც სიგარეტის კოლოფებზეა: წარწერა, „მოწევა კლავს“, უნდა ფარავდეს და კოლოფის 30 პროცენტს შეადგენს და, როგორც ვიცი, მის კიდევ უფრო გაზრდას გეგმავენ. მსგავსი პრინციპი უნდა იყოს ქართულენოვან ეტიკეტთან მიმართებაშიც.

**– გაყინული ხორცის თემაა ძალიან საინტერესო. გემოთი არ ჰგავს, როგორც წესი, იმას, რისი ხორციცაა და ზომაშიც ცოტა უცნაურია.**

– როგორც გითხარით, შემოსავლების სამსახური აკონტროლებს საბაჟოზე შემოსულ საქონელს, შესაბამისად, გაყინული ხორციც კონტროლდება.

**– ანუ მოჰყვება საბუთი, რომელსაც უნდა დავუჯეროთ.**

– თუ პროდუქტმა გადმოლახა საქართველოს საბაჟო, მიიჩნევა, რომ ის ვარგისია საკვებად, თუმცა თუ შემდეგ აქ დაირღვა შენახვის პირობები და ამის გამო დაბინძურდა, ეს ჩვენი პრობლემაა და არა იმპორტირებული საქონლის.

**– მეორე პრობლემა ის არის, რომ ეგრეთ წოდებული ბარკლები ღირს საკმაოდ იაფი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფასში ასახულია ტრანსპორტირების ხარჯი, ყველანაირი გადასახადი და შემომტან-რეალიზატორის მოგებაც, გამოდის, რომ ადგილზე ის ძალიან იაფი ღირს.**

– ეს ცოტა საეჭვოა, გეთანხმებით. გამიგია, რომ თითქოს ამ ფრინველებს სპეციალური საშუალებებით ზრდიან და ამიტომ რამდენიმე დღეში იზრდებაო. შესაძლოა, მართლაც ასეთი ტექნოლოგიით მზადდება ეს პროდუქტი. წესით, ეს ინფორმაციაც უნდა იყოს მითითებულ დოკუმენტაციაში საბაჟოზე შემოსვლისას მწარმოებლის მიერ, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ არ არის.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**თუმცა, ზოგადად, ჩრდილო კავკასიელებსა და ჩვენებურ ოს და აფხაზ სეპარატისტებს ვერ დავაბრალებთ ქართველებისადმი კეთილ დამოკიდებულებას, როგორც აღმოჩნდა, მათ შენიშვნები ჩვენ მიმართ ყოფით დონეზეც აქვთ. კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ქართველი ქალები კავკასიაში ყველაზე თავისუფალი ქცევით გამოირჩევიან, რაც, მათი შეფასებით, იმის ბრალია, რომ ქართველი მამაკაცები, როგორც თავადვე ამბობენ, „სლაბაკები“ არიან. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას იზიარებენ რუსეთში მცხოვრები (მუდმივად) ქართველებიც. ქართველი ქალების „თავისუფალი“ ქცევა კი გამოიხატება შემდეგში: ისინი მამაკაცების თანდასწრებით სიგარეტს ეწევიან, აცვიათ მოკლე კაბები, ღამის კლუბებში დაიარებიან და მოითხოვენ ქორწინებამდე ურთიერთობების დაკანონებას (მე მათ ნათქვამს ვიმეორებ სიტყვა სიტყვით), რაც, მათი აზრით, ტრადიციების უხეში შეურაცხყოფაა (თუმცა ისიც სათქმელია, ისინი რატომ ზრუნავენ ქართული ტრადიციების გადასარჩენად). თუ ისტორიულ კონტექსტს გავიხსენებთ, ფაქტია, რომ ქართველები, მიუხედავად დანარჩენ კავკასიელებთან უპირობო მსგავსებისა, ყოველთვის გამოირჩეოდნენ მათგან თავისუფლების ხარისხით, რის მიზეზებზეც ფსიქოლოგ გაგა ნიჟარაძესთან ერთად ვისაუბრებთ.**

# რატომ არ აღმოჩნდნენ ქართველი კაცები მზად ქართველი ქალების მიერ მიღწეული თავისუფლების ხარისხისთვის და რატომ უწოდებენ მათ ჩრდილო კავკასიელები „სლაბაკებს“

**– ჩვენ არა მხოლოდ გარეგნულად, მენტალურადაც ვგავართ ჩვენს კავკასიელ მეზობლებს, თუმცა განსხვავებებიც თვალში საცემი იყო და არის. მხოლოდ ზღვაზე გასასვლელია ამის მიზეზი?**

– 20-30 წლის წინათ არ მგონია, ეს სხვაობა ყოფილიყო. იმის შემდეგ ბევრი რამ მოხდა და ჩვენ, მართლაც, დავიძარით ევროპისკენ. მაგალითად, ჩემი სტუდენტობის პერიოდში თბილისში იყო ერთადერთი სახინკლე, რომელშიც შეიძლებოდა გოგოსთან ერთად შესვლა.

**– სხვა სახინკლეებში არ შეიძლებოდა?**

– არა, ამის გამო, მართალია, არ გცემდნენ, მაგრამ არ შეიძლებოდა. ხოლო ქალების მარტო შესვლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო ასეთი ტიპის დაწესებულებაში. რესტორანში ორი გოგონა რომ დამსხდარიყო, ეს გამოიწვევდა მათდამი ძალიან სპეციფიკურ ინტერესს და შემხვედრი ინტერესის არარსებობის შემთხვევაში სკანდალს და შეიძლება, ძალადობასაც. მაშინ, როდესაც იმავე დროს რუსეთში კაბებიც უფრო მოკლე ეცვათ და ცეკვებიც უფრო თავისუფალი იყო. ვიცით, რომ საქართველოში ბოლო დრომდე ვერ დამკვიდრდა დისკოთეკები, თუმცა მთელ საბჭოთა კავშირში იყო. აქაც გაიხსნა ერთი-ორი, მაგრამ დაიკეტა, რადგან საჯარო ცეკვები აღვივებდა ეჭვიანობას, რაც საქართველოში, როგორც წესი, ჩხუბით მთავრდება ხოლმე. დღესაც ღამის კლუბებიდან საკაცეებით გამოჰყავთ ვიღაცეები.



მთელი დისპუტი გაიმართა კათოლიკურ პრელატებს შორის თემაზე, აქვს თუ არა ქალს სული და ერთი ხმით გადაწყდა, რომ მაინც აქვს

რაც შეეხება „სლაბაკებს“, ეს შესაბამისი ტერმინი არ არის, მაგრამ ერთი რამაა, ალბათ, დაჭერილი. ბოლო დროს ჩვენში მომხდარ ქალთა მკვლელობების სერიას მე დავუკავშირებდი იმას, რომ საქართველოში ქალები მართლაც უფრო თავისუფლები აღმოჩნდნენ და მამაკაცები ამისთვის მზად არ არიან. ამდენად, შესაძლებელია, გენდერულ საფუძველზე ძალადობები გაგრძელდეს და მოიმატოს კიდეც, რადგან ეს დამახასიათებელია გარდატეხის ეტაპებისთვის.

**– სანამ ბოლომდე არ გავთავისუფლდებით?**

– დიახ. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიელებსა და აფხაზებს: მათთვის ცხოვრების პატრიარქალური წესის დაცვა იდენტობის ნაწილია. ამის გარეშე ვერ იქნები, ვთქვათ, ჩერქეზი.

**– მაგრამ ძალიან მამალი ქალები ჰყავთ ჩეჩნებს, საერთოდ, ჩრდილო კავკასიელებს?**

– მაგრამ ეს არ გადადის ოჯახურ და გენდერულ ურთიერთობებში. მათ ეს ყველაფერი წინ აქვთ, თუ, რა თქმა უნდა, აქვთ, მაგრამ ახლა ეს განსხვავება ჩვენ შორის გამოიყენება, როგორც ჩვენდამი დაპირისპირების საშუალება. ყოველთვის, როდესაც ეთნოსებს შორის არის კონკურენცია ან დაძაბულობა, ერთის რაღაც თვისებას გააზუქებენ დაცინვის ან უარყოფით კონტექსტში წარმოსაჩენად. მაგალითად, ევროპელები ფრანგებს უწოდებენ „ბაყაყიჭამიებს“, იმიტომ რომ ფრანგულ სამზარეულოში არის ასეთი კერძი. მართალია, ყველა ფრანგი ამას არ მიირთმევს, მაგრამ დანარჩენი ევროპელები ამაზე აკეთებენ აქცენტს და დასცინიან. ასევე იქცევიან ქართველები სხვების მიმართ და სხვები – ქართველების მიმართ. ეს არის ეროვნული სტერეოტიპები. ჩვენთან, ფაქტია, ევროპისკენ სვლა დაიწყო და რაღაც ეტაპი გავლილიცაა ამ გზაზე. შესაბამისად, ტრადიციები ბევრისთვის უკვე აღარ არის იდენტობის ნაწილი.

**– ტრადიცია: ქალი – სამზარეულოში, კაცი – სანადიროდ?**

– დიახ, სამზარეულოში, არ ეწევა, მანქანაზე არ ზის, მაგრამ ამას უკვე მოვერიეთ.

**– დიახ, ქალები აქტიურად სხედან მანქანებზე, ისეთებიც, ძირითადად, სამზარეულოში რომ არიან და, თან, „პაპიროზსაც“ ეწევიან.**

– დიახ, ანუ იზრდება ინდივიდუალიზმი, მაგრამ არის საზოგადოების მეორე მხარე, რომელშიც ეს, დავარქვათ ამას, ტრადიციებისადმი ერთგულება ნარჩუნდება და ძლიერდება კიდეც. უცხოელების შემთხვევაში კი ისაა საინტერესო, რომ დასავლეთიდან ჩამოსული ყურადღებას აქცევს ტრადიციების ნაწილს, აღმოსავლეთიდან ჩამოსული – დასავლურ ნაწილს და ამის საფუძველზე ყალიბდება სტერეოტიპები. როდესაც გიჯიურებენ რამის გამო, ეს ნიშნავს, რომ საკუთარი ცხოვრების წესს განიხილავენ აბსოლუტურ უპირატესობად. ჩვენც ასე ვიქცევით, როდესაც ვამბობთ: ამას რა უნდა ელაპარაკო, ღვინის სმა არ იცის ან სვამს ისე, რომ არაფერს ამბობს.

**– ან ორ ჭიქაში გატიალებულია.**

– დიახ, რაც იმისთვის ჩვეულებრივი ამბავია, შენთვის უპირობო მტკიცებულებაა, რომ ჯობიხარ მას.

**– მეორე მხრივ, თუ ჩვენი ქალები იქნებიან ზედმეტად თავისუფლები, ჩვენი კაცები – სუსტები, რაც მათ არ მოსწონთ, თვითონ ხომ უფრო კარგები გამოდიან? ამიტომ ხარდახან მგონია, რომ ამ კრიტიკაში დიდია შურის ნაწილი?**

– ცხადია, რომ არის. ამ ბოლო 10-15 წლის განმავლობაში რუსულენოვან მოსახლეობაში, რუსეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, გაჩნდა ანეკდოტები ესტონელებზე, რომლებშიც ისინი აღწერილნი არიან, როგორც ნელები, რაჭველების მსგავსი, თუმცა ის რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ესტონეთში ცხოვრობს, არც აპირებს იქიდან წასვლას, მაგრამ ამით ინარჩუნებენ თავიანთ შურს. მაგალითად, საქართველოში ყველაზე გავრცელებული პლასტიკური ოპერაცია დღემდე არის საქალწულე აპკის აღდგენა, ოღონდ მოხდა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, თბილისიდან და ქალაქებიდან ამან გადაინაცვლა რეგიონებისკენ, ანუ სექსუალური თავისუფლებაც ნამდვილად მატულობს და დღეს საქართველოში ქალიშვილობის ინსტიტუტი აღარ არის ისეთი აქტუალური და ტრაგედიად აღარ მოიაზრება. აი, ამ პროცესში ვართ.

მე არ ვიცი, რა ხდება ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ მგონია, რომ საქართველო ერთგვარად რუსეთის ადგილს იკავებს სოციალურ წარმოდგენებში. კავკასია საბჭოთა დროს ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი იყო, ჩამოდიოდნენ რუსები, მათ შორის, ქალები და არსებობდა სტერეოტიპი, რომ ყველა რუსი ქალი არის ის, რასაც ვფიქრობთ და ყველა რუსი კაცი არის ლოთი, რომელსაც უნდა დაალევინო.

**– რომ შემდეგ მის ცოლთან გაისეირნო.**

– დიახ, რაც ხდებოდა კიდეც, მაგრამ არა ისე მასობრივად, როგორც ჩვენ გვეგონა. ახლა რუსები აღარ არიან კავკასიაში, თუ არიან, მხოლოდ სამხედროები, მისვლა-მოსვლაც არ არის ინტენსიური: წამსვლელი წავიდა. ამიტომ კონტაქტები უფრო საქართველოსთან აქვთ, ვიდრე რუსეთთან.

**– აქ ცოტა რთული არ არის, ქმარს დაალევინო და ამ დროს მის ცოლთან ისეირნო?! არ მგონია, ჩრდილო კავკასიელებმა რუსი ქალები ქართველი ქალებით ჩაანაცვლონ.**

– კი, ბატონო, ავიღოთ პოლონეთის მაგალითი. რომელიც გაცილებით უფრო თავი-

# ენდოკრინოლოგიური ცენტრი MG

## როგორ ავიცილოთ თავიდან ჩიყვის და დიაბეტის გართულებები

*ენდოკრინოლოგიური დაავადებები ბოლო ათწლეულების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. სტრესი, ეკოლოგიურად რთული გარემო, გენეტიკა ამ დაავადებების გამომწვევ ფაქტორებად არის აღიარებული. ბოლო წლებში საქართველოში საგრძნობლად იმატა ჩიყვით და დიაბეტით დაავადებულთა რიცხვმა. როგორც მედიკოსები ამტკიცებენ, დიაბეტი და ჩიყვი განაჩენი არ არის. დღეს თბილისში არაერთი ცნობილი ენდოკრინოლოგიური ცენტრი მუშაობს. ამ კლინიკათა შორისაა ენდოკრინოლოგიური ცენტრი MG, რომელსაც ათწლეულების გამოცდილება აქვს. ცენტრის საქმიანობის ძირითადი პროფილი ენდოკრინოლოგიური დაავადებების პრევენცია, კვლევა-დიაგნოსტიკა და მკურნალობაა. როგორ ავირიდოთ თავიდან ის გართულებები, რაც ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს შეიძლება მოჰყვეს, ამის შესახებ ენდოკრინოლოგიური ცენტრ MG-ის ხელმძღვანელს, ქალბატონ* **მანანა გაბისონიას** *გავესაუბრეთ, რომელსაც ენდოკრინოლოგიაში მუშაობის ოცდაათწლიანი გამოცდილება აქვს.*

**მანანა გაბისონია**: ენდოკრინოლოგიური ცენტრი MG დაფუძნდა ქალაქის ყოფილი დისპანსერის ბაზაზე, რომელიც წლების განმავლობაში, თბილისის ერთ-ერთი მთავარი ენდოკრინოლოგიური ცენტრი იყო. შესაბამისად, ჩვენს ცენტრში მუშაობენ გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის ექიმები – ნანა იზაშვილი, ნათელა მარგველაშვილი და სხვები, რომელთაც პრაქტიკულ ენდოკრინოლოგიაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. მე თავად ძალიან მეამაყება, რომ მოვასწარი და გავიარე ვაჟა ივერიელის ცნობილი სკოლა, რაც ძალიან გამომადგა ჩემს პროფესიულ საქმიანობაში. ენდოკრინოლოგიური დაავადებები დაკავშირებულია სტრესთან, ეკოლოგიურ პრობლემებთან. ამ ფაქტორებით არის გამოწვეული, რომ ჩვენთან ძალიან მოიმატა ენდოკრინოლოგიური დაავადებების რიცხვმა, განსაკუთრებით გახშირდა დიაბეტი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

**– რა არის თქვენი სამედიცინო ცენტრის საქმიანობის მთავარი პროფილი?**



– ყველა ის მიმართულება, რასაც მოიცავს ენდოკრინოლოგია. ლაბორატორიული, ულტრაბგერითი გამოკვლევებით ხდება დაავადებათა ზუსტი დიაგნოსტიკა, შემდეგ დგება მკურნალობის სრული კურსი. ამ დაავადებების ჩამონათვალშია შაქრიანი დიაბეტი, უშაქრო დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები, თირეოტოქსიკოზი, ჰიპოთირეოზი, თირეოდიტები, ფარისებრი ჯირკვლისა და თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები. ცენტრში კეთდება ფარისებრი ჯირკვლის ბიოფსია. ცენტრი მონაწილეობს შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის სახელმწიფო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც პაციენტებს უტარდებათ პოლიპროფილური (ნევროლოგი, ანგიოლოგი, კარდიოლოგი, ოკულისტი) კონსულტაციები. ჩვენ გავითვალისწინეთ ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც პირდაპირ ეხება ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს. შესაბამისად, ცენტრის შიდა სტანდარტით, ამ პროგრამის ფარგლებში დიაბეტიან პაციენტებს ძალიან ხელსაყრელ პირობებს ვთავაზობთ.

**– როგორ მივხვდეთ, რომ გვაქვს ფარისებური ჯირკვლის დაავადება? როდის მივმართოთ ექიმს?**

– სიმპტომატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. თუ იღლებით ადვილად, გაწუხებთ აპათია - უხალისობა, საერთო სისუსტე, სახის, განსაკუთრებით ქუთუთოების შეშუპება, კიდურების შეშუპება, კანის სიმშრალე, სხეულის წონის მატება, მეხსიერების გაუარესება, ყაბზობა, შფოთვა, ხშირად ტირილი, ხელების ან მთელი სხეულის კანკალი, თვალის კაკლების ბუდიდან წინ წამოწევა, ცრემლდენა, თვალებში ფხაჭნის შეგრძნება, აუცილებლად მიმართეთ ექიმს. ენდოკრინოლოგიური დაავადებების დროს ძალიან მნიშვნელოვანია დროული ვიზიტი ექიმთან. დიაბეტის დროს განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია დიეტა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, და უმთავრესად, ექიმის დროული ჩარევა, მკურნალობის სწორი კურსი, რათა თავიდან ავიცილოთ ის გართულებები, რაც დიაბეტსა და სხვა ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს მოსდევს.

*სამედიცინო ცენტრ MG-ში ჩვენ რამდენიმე მადლიერ პაციენტს გავესაუბრეთ. მათ შორის იყო ქალბატონი ხაშურიდან.*

**მადონა ლომსაძე** *(42 წლის):* ქალბატონ მანანასთან ძალიან რთულ მდგომარეობაში მყოფი მოვედი. ჩემი ჯანმრთელობის პრობლემები გართულებული იყო, მაგრამ ჩამიტარდა სრული დიაგნოსტიკური კვლევა და დამიდგინდა შაქრიანი დიაბეტი. დამენიშნა მკურნალობის კურსი, რომელსაც ექიმის კონსულტაციებით გავდივარ. დღეს ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს, მოწესრიგდა გლიკემია, დამიბრუნდა ცხოვრების ხალისი, რისთვისაც ქალბატონ მანანას და ამ ცენტრის მაღალპროფესიონალი ექიმების უზომოდ მადლიერი ვარ.

*დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74 64 97; 5 99 29 99 29; 5 99 22 02 09; 555 20 24 54.*

*წინანდლის ქ №9 (ყოფილი არამიანცის ტერიტორია).*

**თამუნა ნიჟარაძე**

---

სუფალია, ვიდრე შენი ქვეყანა ამ მომენტში და ამიტომ თავდაცვის მიზნით აბუქებ მის უარყოფით თვისებებს, რომ შენი იდენტობა შეინარჩუნო, ეს არის და ეს.

**– კიდევ მივაქციე ყურადღება, რომ ჩრდილო კავკასიელებს სოციალურ ქსელებში არ უდევთ ცოლების ფოტოები, ვიკითხე და ამიხსნეს, რომ ეს მათთან მიღებული არ არის.**

– ეს ჰარამხანის გადმონაშთია, შენი ცოლი არ უნდა ნახოს სხვამ. გასაგებია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მეტია ისლამის გავლენა და მამაკაცების დომინანტური მდგომარეობა. ეს მთელ მსოფლიოში ასე იყო, ბევრგან ახლაც ასეა და ამის საფუძველი იყო მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ მამაკაცი უფრო ძლიერია. შემდეგ მოხდა ამის ინსტიტუციონალიზაცია და ზოგან ქალი საერთოდ არ მიიჩნევა ადამიანად, თუმცა მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო ემანსიპაცია.

**– ქალის გაადამიანება.**

– დიახ და ეს არ არის მეტაფორა, ეს ნამდვილად ასე იყო. მთელი დისპუტი გაიმართა კათოლიკურ პრელატებს შორის თემაზე, აქვს თუ არა ქალს სული და ერთი ხმით გადაწყდა, რომ მაინც აქვს. გერმანული სამი „კ-ს" ტრიადა: ბავშვები, ეკლესია და სამზარეულო, შემორჩა მეოცე საუკუნეშიც. ეს პროცესია, თუმცა საქართველომ საკმაოდ სწრაფად გაიარა ეს გზა.

**– სწრაფი გავლის მიზეზი შეიძლება, იყოს მენტალური მზაობა? მეთორმეტე საუკუნეში გაყრა, ქალების გაგზავნა დიპლომატიური მისიით, სქესთა თანასწორობის აღიარება ქართველების ყველაზე მთავარ წიგნში.**

– საერთოდ, ქრისტიანულ ქვეყნებში ქალსა და კაცს შორის დისტანცია ნაკლები იყო. მაგალითად, სიყვარულით ქორწინება ევროპაში გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნეში, რაც დღემდე ინდოეთში ითვლება სირცხვილად, ესე იგი, შენ სუსტი კაცი ხარ, თუ გრძნობებს აჰყევი და შენი მშობლების წინააღმდეგ წახვედი.

**– მგონია, რომ პირველი ფემინისტები იყვნენ შეყვარებული კაცები, რომლებსაც**

> **სიყვარულით ქორწინება ევროპაში გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნეში, რაც დღემდე ინდოეთში ითვლება სირცხვილად, ესე იგი, შენ სუსტი კაცი ხარ, თუ გრძნობებს აჰყევი**

**უნდოდათ, რომ მათ საყვარელ ქალებს ჰქონოდათ იგივე უფლებები, რაც მათ ჰქონდათ, მიუხედავად წარსულისა და სტერეოტიპებისა.**

– სავსებით შესაძლებელია. საბოლოოდ, ეს კაცების დასუსტება კი არა, ქალების გაძლიერებაა და საქართველოში მოხდა ის, რომ ქალი ეკონომიკურად გახდა უფრო შეძლებული, ვიდრე კაცი.

**– ეგრეთ წოდებულ ტრადიციონალისტებს აქვთ ასეთი არგუმენტი, თუ ქალი და კაცი თანაბარია, მაშინ რატომ არ მუშაობს ქალი ნიჩბით, რაზეც მარტივია პასუხი: თუ მომცემ თანაბარ პირობებს, მე გამოვიმუშავებ ფულს და ნიჩბის დამჭერსაც დავიქირავებ და მძიმე ჩანთების ამწევსაც.**

– და, სადაც საჭიროა, ნიჩბითაც მუშაობენ ქალები. ასე რომ, გლობალური პროცესია, როდესაც გენდერებს შორის უთანასწორობა და დაპირისპირება მცირდება. საქართველოში, ამ მხრივ, უფრო წინ წავიწიეთ, მაგრამ გაცილებით ნაკლებად, ვიდრე ჰოლანდიასა თუ სხვა დასავლურ ქვეყნებში.

**– თუმცა იქ, დასავლეთში, მამაკაცებში შეინიშნება ფემინური ნიშნები. დასავლელი კაცების უმეტესობის სქესს ვერც გრძნობ.**

– სწორედ იმიტომ, რომ გული უსკდებათ, თუ რამეს გამოამჟღავნებენ, წაართმევთ ყველაფერს, რაც გააჩნიათ, ამდენად, ყველანაირად რეპრესირებულია მამაკაცური ქცევა, რაც ჯერჯერობით აქ არ არის. თორემ, აბა, ჩადით სამხრეთ იტალიაში ან საფრანგეთში?! მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ასეთი კანონებია შემოღებული, გაჩნდა სექსტურიზმი და მთელი რუსეთი თურქეთში დადის, მთელი ევროპა კი – ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში.

**– ეს მეორე უკიდურესობაა აშკარად.**

– ამდენად, თუ ნორმალური ადამიანი ხარ, ყოველთვის იპოვნი შენს ადგილსა და ნიშას, მაგრამ, როდესაც ასეთი კიჟინაა, ბრალდებების სროლა ერთმანეთის მისამართით, ცხადია, ეს რაღაც კომპლექსზე მეტყველებს. ნორმები იცვლება და საკმაოდ სწრაფად.

**ნინო ხაჩიძე**



# როდის უნდა დახუჭოს ცოლმა „რაღაცაზე“ თვალი და არ იეჭვიანოს

**ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ უეჭვიანია თავის პარტნიორზე. ეს სრულიად ბუნებრივი გრძნობაა და ზომიერების ფარგლებში მისი არ უნდა გვეშინოდეს. „ზომიერების ფარგლებშიო“ – ვამბობთ იმიტომ, რომ გადაჭარბებულ ეჭვს ყველაზე მყარი ურთიერთობის დამსხვრევაც კი შეუძლია. ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ, მაშინაც კი არ უნდა ავყვეთ ეჭვს და არ დავემორჩილოთ მას, როცა ამის საფუძველი გაგვაჩნია. ჯერ უნდა დავფიქრდეთ, ხომ არ ვკარგავთ ჩვენს ეჭვებზე ბევრად უფრო ღირებულს. მისი დადასტურება ზოგჯერ ვერც შვებას გვგვრის და ვერც პრობლემას აგვარებს, პირიქით, ბევრად გვიმძიმებს მდგომარეობას.**

**ლენუკა** ***(38 წლის):*** ძალიან უცნაურად შეიცვალა ჩემი ცხოვრება. უცნაური და უჩვეულო განცდები მაქვს. ჩემი სიყვარული ჩემი მეუღლისადმი მისი პირველად ნახვისთანავე დაიწყო. ამას ახსნას ვერ ვუძებნი. ახლა ვერ ვუძებნი, თორემ მაშინ, ალბათ, მქონდა პასუხი კითხვაზე – რატომ შემიყვარდა... ვფიქრობ ჩემს გათხოვებაზე და, არც სიხარულს ვგრძნობ, აღარც ტკივილს – ეტყობა, ძალიან „დავიცალე“ და გამოვიფიტე, რაც კიდევ უფრო დიდი საშინელებაა იმასთან შედარებით, რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მჭირს. ჩემი რვაწლიანი, თითქმის იდეალური ურთიერთობა ქმართან სერიოზულ ჩიხში შევიდა. ნეტავი, ვინმეს თუ უმართლებს ისე, რომ ოჯახი მისთვის კომფორტი და ბედნიერებაა?! უკვე ეჭვი მეპარება, რადგან, პრაქტიკულად, მქონდა ყველაფერი, რაც ჰარმონიული ოჯახური ცხოვრებისთვის არის საჭირო.

**– მაინც, რას გულისხმობთ?**

– უპირველესად – სიყვარულს. მე მიყვარდა ჩემი ქმარი და ვუყვარდი მასაც. პრინციპში, მე ახლაც მიყვარს, საკმაოდ ძლიერი გრძნობა მაქვს მის მიმართ, მაგრამ ეს მე სიხარულს აღარ მგვრის, პირიქით, სერიოზულ ტკივილს მაყენებს და თავს კომფორტულად აღარ ვგრძნობ. მუდმივად დაძაბული ვარ, მოჭიმული მშვილდივით. იყო დრო, როცა ჩემს ქმარში ყველაფერი მომწონდა. ახლაც ვფიქრობ, რომ ის ჩემი ბედისწერაა, მაგრამ ურთიერთობა ჩვენ შორის ძალიან გართულებულია. ზოგჯერ ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების ეს ცხრა წელი, რომელიც ქორწინებაში გავატარე, ხომ არ არის წყალში გადაყრილი-მეთქი.

**– შვილები არ გყავთ?**

– როგორ არა. ვიცი, რატომაც მკითხეთ. შვილები ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერებაა – ამაზე ორი აზრიც არ არსებობს, მაგრამ, სრულფასოვან ადამიანად არ ვგრძნობ თავს, რადგან, მუდმივ სტრესში ვიმყოფები... ვუყურებ ხოლმე ჩემს ქმარს და ვფიქრობ, უფრო სწორად საკუთარ თავს ვეკითხები – სად დავუშვი შეცდომა. იქნებ, რაღაცის შეცვლა შემეძლო? რატომ მივეცი უაზრო გრძნობას ჩემი ბედნიერების დანგრევის უფლება? ეჭვს ვგულისხმობ. შემეძლო, რაღაცეები „გამეტარებინა“, მე კი როგორ მოვიქეცი? პარანოიაში გადავვარდე უარყოფითი, ნეგატიური ემოციები. მე დღესაც არ ვიცი, სინამდვილეში მიღალატა თუ არა ჩემმა ქმარმა. თავიდან ისტერიულად ვცდილობდი ამის გადამოწმებას, გამწარებული და გაცოფებული ვიქექებოდი, ვეძებდი... არავის ვუსურვებ ამ ყველაფრის განცდასა და გადატანას... მთელი სხეულით ვკანკალებდი და ვცახცახებდი. ღამე არ მეძინა, ვერ ვჭამდი და სიცოცხლე აღარ მინდოდა... ვტიროდი, ვნერვიულობდი, ოღონდ, თავიდან ჩემთვის და, ვცდილობდი, შესამჩნევი არ ყოფილიყო ჩემი ეს მდგომარეობა.

**– ეჭვი რატომ გაგიჩნდათ, ასეთი რა გააკეთა თქვენმა ქმარმა?**

– არაფერი არ გაუკეთებია. მის ტელეფონში წავიკითხე ისეთი მესიჯი, რომელმაც, ეჭვი გამიჩინა და, ფაქტობრივად, დამაავადა ამ ეჭვმა. ეს მართლა დაავადებაა, საშინელი და ღალატზე ბევრად უარესი.

**ხშირად ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების ის ცხრა წელი, რომელიც ქორწინებაში გავატარე, ხომ არ არის ფუჭად დაკარგული-მეთქი**

**– ღალატზე უარესი როგორ შეიძლება, ეჭვი იყოს?**

– თურმე, შესაძლებელი ყოფილა. მე ვერ წარმომედგინა, მაგრამ, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი. იცით, რას მივხვდი კიდევ? ღალატი ერთხელ მაგრად გატკენს და მერე უკვე დგება ეტაპი, როცა არჩევანი უნდა გააკეთო – აპატიო თუ დაამთავრო ყველფერი. რაც შეეხება ეჭვს, ეს აბსოლუტურად სხვა რამეა. რომ შეგეყრება, მერე დაღუპული ხარ – ებრძვი საკუთარ თავს, ნერვიულობ, ცდილობ, საკუთარ თავს დაუმტკიცო, რომ ცდები. არადა, ხვდები, რომ კვამლიც არ არსებობს უცეცხლოდ... მგონი, მე დავუშვი სერიოზული შეცდომა, რომ მაშინვე არ დავივიწყე ის მესიჯი. როგორ დავუშვი, რომ ასე ღრმად შემოეღწია ჩემში, მოვეწამლე და მოვეშხამე.

**– არ სცადეთ, ქმარს დალაპარაკებოდით?**

– ჩემი ეჭვების თუ მესიჯის შესახებ? თავიდან არა, მაგრამ, თუ მანამდე მშვიდად ვიყავი, როცა მობილურს დღის განმავლობაში გამორთავდა ან არ მიპასუხებდა, ამის შემდეგ ეს ძალიან მაშფოთებდა. საკმარისი იყო, არ ეპასუხა ან გამორთული ჰქონოდა, რომ „იზმენები“ მეწყებოდა. რა თქმა უნდა, ეს ჩემს ხასიათსა და ქმედებებზეც პირდაპირ აისახებოდა. ყველაფერზე ვეჩხუბებოდი ჩემს ქმარს, მაღიზიანებდა მისი მანერები, ხუმრობები, შენიშვნები, თხოვნებიც კი. ამ ყველაფერში დამნაშავე იყო ჩემი ეჭვები, რომლებიც აგრესიას მიჩენდა. მზად ვიყავი, გამეგლიჯა ჩემი ქმარი. მაგრამ, გავიდოდა სახლიდან და მაშინვე ვნანობდი ჩემს საქციელს – მენატრებოდა და საკუთარ თავს პირობას ვაძლევდი, ეს აღარ განმეორდება-მეთქი. გალწრფელად ვწუხდი იმაზე, როგორ თვალსა და ხელს შუა მიფუჭდებოდა საყვარელ მეუღლესთან ურთიერთობა. გამოსავალს დავუწყე ძებნა და აქაც შეცდომა დავუშვი – გამომძიებელივით დავიწყე მოქცევა: ყოველ საღამოს დაკითხვას ვუწყობდი ჩემს ქმარს – სად იყავი, რატომ დაგაგვიანდა, მობილურზე რატომ არ პასუხობდი ჩემს ზარს, ფული რაში დახარჯე...

**– ფული რაში დახარჯა, ანუ, საყვარელს ხომ არ დაახარჯა?**

– დიახ, სწორედ მაგის ეჭვი მკლავდა და მაწამებდა. თუმცა, იმასაც ვხვდებოდი, რომ ყოვლად აუტანელი ვიყავი ჩემი შეკითხვებით. მაგრამ, რა მექნა, ვერაფერს ვუხერხებდი საკუთარ თავს და ნევროზი ავიკიდე.

**– არ ჯობდა, პირდაპირ გეკითხათ ქმრისთვის, რა ხდებოდა?**

– ალბათ, ჯობდა, მაგრამ, ერთი, რომ არ ვიყავი მზად საშინელი პასუხისთვის, როგორიც არის – „დიახ, მე საყვარელი მყავს” და, მეორე – არაფერი მქონდა ხელჩასაჭიდი, რომ ეთქვა, გიჟი ხომ არ ხარ, რაებს მიგონებო. ბოლოს მაინც აქამდე მივედით. ჩემი სულელური ეჭვიანობით იმასაც გავუფუჭე ხასიათი და მეც გადავირიე. მშურს იმ ქალების, რომლებსაც დიპლომატიური ნიჭი აქვთ და შეუძლიათ, ქმრები თავის ნებაზე ათამაშონ. ისინი მაშინაც კი არ ეჭვიანობენ, როცა დარწმუნებულები არიან ქმრის ღალატში.

# ვინ ეძებს მამასა და ძმას რუსეთიდან საქართველოში და როგორ დაიკარგა კავშირი მათ შორის

***რუსუდან სიხარულიძე ეძებს დაახლოებით 57-59 წლის (ზუსტი ასაკი უცნობია) შოთა სიხარულიძეს და ირაკლი სიხარულიძეს.***

**ისტორია**: ვეძებ მამასა და ძმას (მამა – შოთა სიხარულიძე, ძმა – ირაკლი სიხარულიძე). ბოლოს ისინი საქართველოში, ქალაქ ბათუმში და ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში ცხოვრობდნენ. უკვე წლებია, უკვე რაც მათთან კავშირი აღარ მაქვს. ძალიან მინდა მათი პოვნა და მათთან შეხვედრა. თავად მე დედასთან ერთად რუსეთში, ტვერსკის მხარეში ვცხოვრობ. დამოუკიდებლად მამა და ძმა ვერ ვიპოვე. ჩემ მიერ გაგზავნილი წერილები ადრესატამდე ვერ აღწევს. ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი ნათესავები.



**– რუსუდან, გვიამბე შენი ისტორია, როგორ დაკარგეთ მამა-შვილმა ერთმანეთი?**

– ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და მამაჩემი თავის სამშობლოში, საქართველოში (კერძოდ, ბათუმში) დარჩა, დედაჩემი კი ჩემთან ერთად რუსეთში, თავის სამშობლოში დაბრუნდა. სკოლის არდადეგებზე ჩავდიოდი ხოლმე მამასთან, იქ ვისვენებდი. დაახლოებით 80-იან წლებში მოხდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და მას შემდეგ არც მამა და არც ძმა არ მინახავს. მას მერე წლებია გასული და, დღე არ ყოფილა, რომ მამაზე და ძმაზე არ მეფიქრა. ძალიან განვიცდი და მინდა მათი პოვნა. მამაჩემი მეორედ დაქორწინდა, შეეძინა ბიჭი (ჩემი ნახევარძმა) ირაკლი. მინდა, ირაკლი და მამა ვიპოვო. უამრავჯერ გავგზავნე წერილი ჩემთვის ცნობილ ბოლო მისამართზე, მაგრამ, უკან გვიბრუნდებოდა. იმედი მაქვს, რომ, იქნებ, ფოტოზე მაინც იცნოს ვინმემ მამაჩემი და გამოგვეხმაურონ. ძალიან მიჭირს გაურკვევლობაში ცხოვრება.



**– ამდენი ხნის განმავლობაში მამას არ უცდია თქვენთან დაკავშირება?**

– იმ მისამართზე, რომელიც მამასთვისაა ცნობილი, ჩვენ აღარ ვცხოვრობთ. შეიძლება, ისიც ცდილობდა ჩვენს მოძებნას, მაგრამ, ვერც მან მოახერხა. დარწმუნებული ვარ, რომ მამაც მეძებს და, იმედი მაქვს, ჩემს ძმასაც გაუხარდება, თუკი ჩვენ შორის დაკარგული კავშირი აღდგება. ყველაფერი, რაც მე მამაზე და ძმაზე ვიცი, არის ის, რომ მამა ბოლოს ქალაქ ბათუმში ცხოვრობდა, ჩემი ძმა კი – ჩოხატაურის რაიონში. არ ვარ დარწმუნებული, რომ სოფლის სახელწოდება სწორად მახსოვს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, შუაგანახლება ჰქვია.

**– როგორ ფიქრობ, ერთმანეთის პოვნის შემთხვევაში, შეხვდებით თუ არა ერთმანეთს და თუ მოახერხებ საქართველოში ჩამოსვლას?**

– ამ ეტაპზე ნამდვილად არ ვიცი, რა იქნება მომავალში და როგორ მოვახერხებთ ერთმანეთის ნახვას, მაგრამ, მათი პოვნის შემთხვევაში, აუცილებლად ვეცდები მათთან შეხვედრას. მათზე ახლო ნათესავი მე არავინ მყავს დედის გარდა. დედაჩემი კი ძალიან განიცდის, რომ ჩვენ ერთმანეთი იმ კონფლიქტის შემდეგ დავკარგეთ და, მამისა და ძმის მოძებნაში გვერდში მიდგას და მგულშემატკივრობს.

**– არცერთხელ არ გიცდია, ჩამოსულიყავი და მამა აქ მოგეძებნა?**

– ჩემთვის ეს ძალიან რთული იქნებოდა, რადგან, მისი მისამართიც კი არ მახსოვს ნორმალურად, თან, ქართული ენაც არ ვიცი სათანადოდ. ამიტომ, გადავწყვიტე, დახმარებისთვის „ჟდი მენიას“ სამძებრო სამსახურისთვის მიმემართა. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემები ისევ საქართველოში ცხოვრობენ და მათ მოძებნაში თქვენ და თქვენი მკითხველი დამეხმარებით.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

**– აბა, რას აკეთებენ?**

– მოქმედებენ, ოღონდ, მშვიდად და ცივი გონებით; ქმრებს დიპლომატიურად უგრეხენ კისერს, ისე, რომ ისინი მადლობლები და კმაყოფილებიც კი რჩებიან. მაგრამ,

**არავის ვუსურვებ ამ ყველაფრის განცდასა და გადატანას. მთელი სხეულით ვცახცახებდი და სიცოცხლე აღარ მინდოდა... ავად ვიყავი ამ ეჭვით**

მე არ ვიცი მათი მეთოდები. რომ ვიცოდე, ახლა ასეთ დღეში არ ვიქნებოდი.

**– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ღალატზე თვალის დახუჭვა ჯობია?**

– იცით, როგორ არის საქმე? თუ ზუსტად იცი, რომ გღალატობს; თუ საყვარელი მეორე ოჯახად ჰყავს და, უკაცრავად, ამას რომ ვამბობ, „თავზე გიშვება“, მაშინ ამაზე თვალს ვერაფრით დახუჭავ, გამორიცხულია; მაგრამ, ისეთი ეჭვიანობა, როგორითაც მე თავი დავიტანჯე, სრული იდიოტიზმია. რა მოვიგე ამით? არაფერი, გარდა იმისა, რომ დეპრესია, ნევროზი და თავის ტკივილები გავინაღდე. ქმართან ურთიერთობა საშინლად გავიფუჭე – ვგრძნობ, როგორი დაძაბულია მუდმივად. მეც ვეღარ ვახერხებ სიტუაციის უკეთესობისკენ შემობრუნებას და უკვე ინერციით მივექანები თავდაღმართზე. უკვე ვხვდები, რომ ღალატზე უფრო ხშირად ეჭვიანობა ანგრევს ყველაზე მყარ ურთიერთობასაც კი. ჩემს ქმარს უკვე ყელში ამოუვედი, ვგრძნობ ამას. მეშინია, უკვე აღარ ვიცი, კრიტიკულ ზღვრამდე თუ მივედით, მერე რაღა იქნება. თავიდანვე იცოდა ჩემი ეჭვიანი ხასიათის შესახებ და მეუბნებოდა, კარგია, რომ ღელავ, ესე იგი, ისევ ძალიან გიყვარვარო, ახლა კი სულ მიბღვერს, ოხრავს და ცდილობს, საერთოდ არ შემოვიდეს კონტაქტში. ესეც საშინელებაა.

**– ფიქრობთ, რომ ოჯახი დაგენგრევათ?**

– დიახ და ძალიან მეშინია ამის. არ მინდა, აქამდე მივიდეთ, არადა, ცოტაღა მაკლია. საკუთარი თავის ხელში აყვანას ვერ ვახერხებ – უკვე ძალიან შორს შევტოპე. აღარ ვიცი, ჩემი ქმრის კეთილგანწყობა როგორ დავიბრუნო. მითხრა, უკვე სულ დაძაბული ვარ შენ გვერდით, ჩასაფრებული და ჩემზე დაგეშილი მგონიხარ და, ამიტომაც, სული მეხუთება, ვერ ვისვენებ და ასე დიდხანს ვერ გავუძლებო. მე რა ვუთხარი? – აღარ გიყვარვარ-მეთქი. რომ მიყვარხარ, იმიტომაც ვცდილობ, გაგიძლოო. ესეც შემაშფოთებელია. ვნერვიულობ. იქნებ, უკვე ისეთ ჩიხში შევედი, საიდანაც ვეღარ გამოვალ? არადა, მართლა ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი და არ მინდა, ოჯახი დამენგრას.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ეჭვიანი ვარ, თუმცა, მიჭირს ამასთან შეგუება. საშინელი განცდაა და, მინდა, არ ვეჭვიანობდე. მით უფრო, რომ ქმარი ამის საბაბს იშვიათად მაძლევს. თუმცა, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩემი ეჭვები არც ისეთი უსაფუძვლოა. როგორ მოვიქცე, დაველაპარაკო ქმარს? იქნებ, გავთავისუფლდე ამ მტანჯველი განცდებისგან და დავმშვიდდე? თუ, აჯობებს, ჩუმად ვიყო, რომ ისიც არ ავაფორიაქო?**

**გამოხმაურება:** ჯობია, ჯერ მეუღლეს არაფერი უთხრათ და საკუთარ თავში, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ. გახსოვდეთ ისიც, რომ ეჭვი ძალიან ცუდი მრჩეველია. ფრთხილად უნდა იყოთ, რომ გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ. თუ თქვენი მეუღლე ნდობას იმსახურებს, უსაფუძვლო ეჭვებით მას თავმოყვარეობას შეულახავთ და გულს ატკენთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ოთო ნემსაძე**: მიხარია, რომ „ბრავო“ ქართული პროექტია. ჩემთვის, „ჯეოსტართან“ შედარებით, „ბრავო“ უფრო მაღალი საფეხურია. მასში უკვე შემდგარი მომღერლები იღებენ მონაწილეობას. თან, მინდა, ჩემს თავს რაღაცეები დავუმტკიცო.

**– რა გაქვს საკუთარი თავისთვის დასამტკიცებელი?**

– ბევრი რაღაც. მე ხომ ყოველდღე ვიზრდები... რომ შემიძლია, იმაზე მეტი, ვიდრე აქამდე გამიკეთებია. არა მხოლოდ სიმღერის მხრივ, ყველაფერში. თან, მინდა, უფრო მეტი ახალი რაღაც ვაკეთო. „ბრავოს“ იქით ვერ ვიხედები. თუმცა, თავში ძალიან ბევრი იდეა მაქვს. მინდა, ჩემი პოპ-როკჯგუფის გაკეთება. მერე აქტიურად ვიმუშავებთ ახალ სიმღერებზე. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ „ბრავოს“ შემდეგ მომეცება საშუალება და დრო, ამ საქმეს მივხედო.

**– უკვე გყავს კანდიდატურები შერჩეული?**

– რამდენიმე ძალიან კარგი და კეთილი ადამიანი მყავს შერჩეული. და ძალიან უნდა უყვარდეთ პოპ-როკმუსიკა, ანუ, როკ-მუსიკა. ხერხს არ დავიჭერ ხელში და არაფერს გავხერხავ „დრუჟბით“, მაგრამ, ძალიან მინდა, კულტურული პოპ-როკმუსიკა ვაკეთო ცხოვრების ბოლომდე. დიდი იმედი მაქვს, რომ ცხოვრებაში ერთხელ, მომეცემა ამის საშუალება. ძალიან აქტიური პერიოდი მაქვს. არ მცალია, რომ ორ-სამ რაღაცაზე ერთად ვიფიქრო. სამი კურდღლის დაჭერის ამბავია. მირჩევნია, სამი სუსტი კურდღლის დაჭერას, ერთი და ჯანმრთელი დავიჭირო.



**ოთო: „ღმერთმა დაგიფაროთ, ვინმემ რამე ცუდი მისწეროთ თათას. პირჯვარი გადაისახეთ, სიმონ, თორემ ბუა გამოგეცხადებათ“**

**– თათა, ოთომ თქვა, მთლიანად „ბრავოზე” ვარ გადართული, ჩემთვის მხოლოდ „ბრავო“ არსებობსო და ხომ არ მოგაკლო ყურადღება?**

**თათა კუპრავა**: ჩემთვისაც მხოლოდ „ბრავო“ არსებობს. მეც სულ ამაზე ვარ გადართული.

**ოთო**: ცხოვრებაში იმას, თუ ვინ ხარ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ბედნიერი ვარ არა იმიტომ, რომ მომღერალი ვარ და ბევრი ადამიანი მიცნობს, იმიტომ რომ, ბევრს ვუყვარვარ და მადლობა მათ ამისთვის. ვფიქრობ, რომ არასდროს გაგიცრუებთ იმედებს და არასდროს ვიქნები ცუდი ბიჭი.

**– თათას ხომ არ უცრუებ იმედებს?**

**თათა**: თავიდან ვარსკვლავებს მიკრეფდა ციდან და ახლა ნაგვის გატანაზე გვაქვს ჩხუბი. სახლში თავხედია, ყველაფერს მიმოფანტავს ხოლმე. სადაც იხდის, იქ ყრის. მერე მე უნდა ავალაგო.

**ოთო**: არც ეს აკლებს.

**თათა**: მე თუ ვურევ, იმას ვალაგებ და შენ?

**ოთო**: ჰოდა, დაალაგებ ცხოვრების ბოლომდე.

**– ვილაცეებისთვის თანაცხოვრების პირველ ეტაპებს გარკვეული სირთულეები უკავშირდება.**

**ალბათ სუბიექტური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ოთო ნემსაძე „ბრავოს“ ერთ-ერთი საუკეთესო და ძლიერი მონაწილეა. მისმა შესრულებამ, ემოციურობამ და საოცარმა ხმამ, არ შეიძლება, ვინმე გულგრილი დატოვოს. ასე რომ, ფინალში ოთო ნემსაძეს მთელი გულითა და სულით ვუსურვებ წარმატებას, ამისთვის კი მის ნომერზე უნდა დავრეკოთ.**

# რაში „გაუცრუა“ მეუღლეს იმედები ოთო ნემსაძემ და რაში არ აპირებს „ბრავოს“ გამო ის ლალი მოროშკინასთვის იმედების გაცრუებას

**თათა**: საერთოდ არ ვართ სტრესში, „ფან ჰაუზი“ გვაქვს – ხან ვინ არის ჩვენთან, ხან ვინ. ვალდებულებებიც ჯერჯერობით არ გვაქვს, მერე ვნახოთ. ახლა, ძაღლი რომ გვყავს, არ ვიცი, ვინ გაასეირნებს ხოლმე.

**ოთო**: მე შენ გაჩუქე და მიხედე, ხომ გინდოდა?

**თათა**: მე ისე, „დვარნიაშკა“ მინდოდა, ყველაზე ერთგულები არიან. მაგრამ ეს მაჩუქა, ძალიან საყვარელია. არ ვიცოდი, თუ იყიდა. ჩემთვის მეძინა, უცებ შემომიძვრა ლეკვი და გამაღვიძა.

**– თქვენი პირველი შვილობილია, ოჯახის ახალი წევრი.**

**ოთო**: კი, ჩვენი ოჯახის პირველი წევრია. აუცილებლად ჩემს გვარზე დავწერ, პასპორტს ავუღებ. ვეტერინარმა ნახა დღეს და გვითხრა: კარგი გოგოაო. ჯეკ რასელ ტერიერია, კარგი ძაღლია. გასეირნებაზე არ გვექნება არც ერთს პრობლემა. ორივეს ძალიან გვიყვარს ცხოველები, ძაღლები. თათა თუ არა, მე გავასეირნებ, დიდი სიამოვნებით.

**– თათა, რაც ოთოს ცოლი ხარ, პირველად გამოდის კონკურსზე. შენც მუდმივად მის გვერდით ხარ თუ ღელავ ან ნერვიულობ?**

**თათა**: არ ვარ მღელვარე ადამიანი. ოთომ ერთი, რაც იცის – ეს სიმღერაა და ზუსტად ვიცი, რომ კარგად გააკეთებს.

**ოთო**: მეტი არაფერი ვიცი?

**თათა**: იცის, რასაც აკეთებს და რატომ უნდა ვინერვიულო – ვაიმე, ახლა რას იზამს, ამ ნოტს გაარტყამს თუ არა... ან, ჩემი ქმარია და იცოდეთ...

**ოთო**: სამაგიეროდ, მე ვღელავ. იმაზე არა, გავვარდები თუ არა, ან ჩემი კონკურენტი რას იზამს. ჩემთვის მთავარია, ჩემი საქმე გავაკეთო, თან, იმის მაქსიმუმით, რაც შემიძლია. შესაბამისად, აღარ ვფიქრობ იმაზე: დავრჩები თუ არა კონკურსში. თუმცა, ძალიან მინდა, მოვიგო პროექტი. თითქმის ყველა კონცერტის წინ ისე ვარ, რომ მგონია, მთელი ხმა არ მაქვს. რეალურად, ეს ნერვული სპაზმებია. სცენაზე რომ გავდივარ, ყველაფერი კარგად არის – ხმაც მოდის და ჯანებიც. არ შემიძლია, მადლობა არ გადავუხადო მათ, ვინც ჩემს გვერდით დადგნენ და ბოლომდე გამომყვნენ. ამიტომ, განსაკუთრებული მადლობა ზვიად ბოლქვაძეს, ზურა მოსიავას, ამირან დიასამიძეს და „ბრავო“ ბენდს.

**– „ბრავოში“ კიდევ უფრო გაზრდილი და სხვანაირი ხარ – უფრო მეტი ემოციით, ენერგეტიკით სავსე, რაც არც ადრე გაკლდა.**

– ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთი, თუმცა, შეიძლება, არა სატელევიზიო პროექტებში, ჩემს კონცერტებზე. მოიცადეთ, კიდევ უფრო სხვანაირ ოთოსაც ნახავთ.

**– შენც რამე სკანდალს ხომ არ გვიმზადებ?**

– მე არ ვარ სკანდალისტი. დღემდე პოპულარული ვარ, აქტიური და დიდი იმედი მაქვს, ეს დიდხანს გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ სკანდალური არასდროს ვყოფილვარ – მსგავსი არაფერი მომიფიქრებია: გამეხადა, ან ჩამეცვა. ასეთი რაღაცეები მაღიზიანებს კიდეც. გარკვეულწილად, მსგავსი მოთხოვნა ყოფილა, მაგრამ მე ყოველთვის უარს ვამბობ. ჩემგან მსგავსი რამ არავის გაუგია და დიდი იმედი მაქვს, არც გაიგებენ, თუ შემთხვევით არ მომივა სადმე.

**– რომ დაოჯახდი, ამან ხომ არ შეამცირა შენი თაყვანისმცემლების რიცხვი, ან თათას ხომ არ ერჩიან რამეს, როგორც ამას სხვები ამბობენ ხოლმე.**

– ერთ განცხადებას გავაკეთებ: ღმერთმა დაგიფაროთ, ვინმემ რამე ცუდი მისწეროთ თათას. პირჯვარი გადაისახეთ, სიმონ, თორემ ბუა გამოგეცხადებათ.

**თათა**: უაზრო რაღაცეებს ოთოსაც წერენ, მაგრამ, რამე ისეთი არ მოუწერიათ ჩემთვის.

**ოთო**: ამას წინათ, ვიღაცამ გამლანძღა. მე ასეთი ადამიანები გულით მეცოდებიან და ჭკუას ვასწავლი ხოლმე: ცხოვრებაში ასეთი რაღაცეები არ გამოგადგება-მეთქი. სანამ თვითონ არ დამბლოკა, თავი არ დავანებე. ბოლო დროს წერენ: ამ ბიჭმა ოთარ რამიშვილის შედევრებს რა უქნაო. ცუდი არაფერი მიქნია. ჯანსაღ კრიკიტას ყოველთვის ვიღებ. მაგრამ, იმ ალბომში, რომელშიც ზვიად ბოლქვაძე უკრავს, ისე მივიტანეთ ბატონი ოთარის სიმღერები ახალ თაობამდე, რომ გენიოსად დარჩენილიყო ეს ადამიანი. ამიტომაც, ბოდიში და შენიშვნას ვერ მივიღებ.

**– შენმა ლობისტმაც მშვენიერი შოუ შემოგვთავაზა.**

– ქალბატონი ლალი ძალიან ნიჭიერი და განათლებულია. გამიხარდა, რომ ის არის „ბრავოში“ ჩემი ლობისტი. ეს არის ადამიანი – მოსიარულე შოუ. თან, არც ვიცოდი, რას გააკეთებდა, რეპეტიციაზე ვნახე. კულტურული შოუ გააკეთა – ჩარლი ჩაპლინი ჩანგლით ძალიან კარგი იყო. მადლობა, რაც ჩემთვის გააკეთა და მინდა, რომ დავუფასო.

**– ახლადაქორწინებულებს გჭირდებათ ერთი ბინა. მოგებას გისურვებ!**

– ყველამ იცის, რომ მოწუწუნე ელემენტი არ ვარ და არც ახლა ვწუწუნებ. თუმცა, ძალიან გამიხარდება, თუ სახლი მექნება. ამით ბევრი პრობლემა გადამეჭრება, თუმცა, თუ ვერ მოვიგებ, არც არაფერი ჩამომენგრევა. ასე რომ, ყველას ვუსურვებ წარმატებას პროექტში, განსაკუთრებით საკუთარ თავს.

**ნათია უტიაშვილი**

# შებერილობა ბავშვებში

## რატომ ტირის ჩვილი?



**ჩვილ ასაკში ბავშვის ტირილის და ჭირვეულობის უხშირეს მიზეზს მუცლის კოლიკა წარმოადგენს. მუცლის კოლიკა ჩვილ ასაკში გამოწვეულია ნაწლავებში დიდი რაოდენობით აირების დაგროვებით, ნაწლავების სხვადასხვა უბნის გადაჭიმვით, სპაზმით და ტკივილით. ჩვილ ბავშვთა დიდ უმეტესობას მუცლის კოლიკა სხვადასხვა სიხშირითა და ინტენსივობით აღენიშნება. 3-4 თვემდე მუცლის კოლიკა თითქმის ყველა ბავშვს აწუხებს, ხოლო შემდეგ, როდესაც საჭმლის მონელება ნორმაში დგება, არ არის გამორიცხული პერიოდული შეტევები მომდევნო თვეებშიც.**

**როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვი მუცლის კოლიკის გამო ტირის?**

მუცლის კოლიკის დროს პატარა ძალიან შეწუხებულია, დროდადრო წამოიყვირებს, ფეხებს ხრის და მუცელთან მიაქვს, დაჭიმულია, ვერ პოულობს მოსახერხებელ პოზას, ასხამს ოფლი, ვერ ამშვიდებს ვერც საკვები, ვერც საწოვარა. სიამოვნებს სითბო. მუცელი შებერილი აქვს, ისმის ყურყური და ხმაური.

**რა იწვევს მუცლის კოლიკას?**

მუცლის კოლიკა ჩვილი ასაკის ბავშვებში გამოწვეულია 3 ძირითადი მიზეზი: ჭარბი რაოდენობით ჰაერის ყლაპვით (აეროფაგია), ნაწლავებში აირების გაძლიერებული წარმოქმნით და აირებისაგან დაცლის გაძნელებით.

ჩვილი ბავშვები ჰაერს ყლაპავენ ტირილის, ჭამის ან სიცილის დროს. აეროფაგიას ხელს უწყობს სწრაფი ჭამა, სითხის სწრაფად და დიდი ყლუპებით მიღება ან ბავშვის კვება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

აირთა გაძლიერებულ წარმოქმნას სხვადასხვა მიზეზი აქვს. მეტეორიზმი ძირითადად გამოწვეულია ჩვილ ბავშვებში საჭმლის მომნელებელი სისტემის არასრული სიმწიფით. ახალშობილებისთვის დამახასიათებელია ნერწყვის, კუჭისა და პანკრეასის ფერმენტების შედარებით მცირე რაოდენობა და დაბალი აქტივობა, კუჭის სუსტი მოტორიკა და დაბალი მჟავიანობა. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფერმენტული მოუმწიფებლობის გამო ფერხდება საჭმლის მონელება. მოუნელებელი საკვების ნაწილი ნაწლავებში გროვდება და დიდი რაოდენობით აირებს გამოყოფს.

ნაწლავებში სასარგებლო (ლაქტობაქტერიები და ბიფიდობაქტერიები - პრობიოტიკები) და პათოლოგიურ ბაქტერიებს შორის წონასწორობის დარღვევა, რაც უფრო ხშირია ხელოვნურ კვებაზე მყოფ ან საკეისრო კვეთით დაბადებულ ბავშვებში, ასევე, იწვევს აირების ჭარბად წარმოქმნას, ნაწლავების პერისტალტიკის შემცირებას და ყაბზობას.

**როგორ მოვიქცეთ მუცლის კოლიკის დროს?**

მუცლის კოლიკის შეტევის დროს პატარა ხელში ან საწოლში დაარწიეთ, მიალებინეთ თბილი აბაზანა ან მუცელზე რბილი თბილი ნაჭერი შემოახვიეთ, დასამშვიდებლად საწოვარა მიეცით, ხელისგული საათის ისრის მიმართულებით ნაზად დაუსვით მუცელზე და მიეცით ნაწლავებში აირის წარმოქმნის შემამცირებელი პრეპარატი, როგორიცაა კუპლატონი.

კუპლატონი შეიცავს დიმეთიკონს, რომელიც ახდენს გაზების ბუშტუკების გაერთიანებას, აადვილებს მათ გამოთავისუფლებას, შესაბამისად, ხსნის მუცლის შებერილობას და ტკივილს. სხვა მსგავსი მოქმედების პრეპარატებისგან განსხვავებით, კუპლატონი ამოფენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანს და იცავს მას დაზიანებისგან, აქვს ასევე, განავლის დამარბილებელი მოქმედება, ამცირებს ყაბზობას და აიოლებს დეფეკაციას ისე, რომ არ იწვევს ფაღარათს, რადგან არ არღვევს წყლის შეწოვას მსხვილ ნაწლავში.

კუპლატონის 1 ფლაკონი ახალშობილებში გამოყენებისას საკმარისია 3 თვის განმავლობაში, უფრო მოზრდილ ასაკში კი უფრო ხანგრძლივად. ამდენად, კუპლატონი მნიშვნელოვნად - 2-6 -ჯერ ეკონომიურია მსგავსი მოქმედების ყველა პრეპარატთან შედარებით.

კუპლატონი არ შეიწოვება ორგანიზმში და აბსოლუტურად უსაფრთხოა სიცოცხლის პირველივე დღიდან.

**როგორ ავიცილოთ თავიდან მუცლის კოლიკა?**

ბუნებრივი კვების დროს ყურადღება უნდა მიექცეს დედის კვების რეჟიმსა და რაციონს. ყავა, მაგარი ჩაი, ყურძენი, კომბოსტო, ლობიო, ბარდა, უმი ხილი და ბოსტნეული, ტკბილეული - ამ პროდუქტების სიჭარბემ დედის რაციონში შეიძლება გამოიწვიოს შებერილობა და მუცლის კოლიკა ჩვილ ბავშვებში. მნიშვნელოვანია ძუძუთი კვების წესების დაცვა, რომ ბავშვს ჭამის დროს აირები არ ჩაეყლაპოს. თუ ჩვილი ხელოვნურ კვებაზეა, ბოთლი ისე დაიჭირეთ, რომ საწოვარას ბოლო ყოველთვის სავსე იყოს საკვებით. ეცადეთ, კვების დროს ჩვილი ვერტიკალურად გეჭიროთ. კვების შემდეგ დაელოდეთ, ვიდრე არ დააბოყინებს. ამით თავიდან აიცილებთ ჭარბი რაოდენობით ჰაერის მოხვედრას კუჭსა და ნაწლავებში.

ზოგჯერ, განსაკუთრებით ხელოვნური კვების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწლავის ფლორის მოწესრიგებას პრო- და პრებიოტიკებით. ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვებისთვის შექმნილია სპეციალური ადვილად მოსანელებელი საკვები ფორმულა "ნუტრიბენი ანტიკოლიკა", რომელიც შეიცავს ჰიდროლიზებულ რძეს, ადვილად მოსანელებელ საკვებ ნივთიერებებს და პრებიოტიკებს. "ნუტრიბენი ანტიკოლიკა" აადვილებს საკვების მონელებას და ამცირებს აირების წარმოქმნას. "ნუტრიბენი ანტიკოლიკა" ბავშვს შეიძლება მივცეთ ხანგრძლივად, ყოველი კვების სახით, ასევე, დედის რძესთან ერთად, როგორც დამატებითი საკვები.



**კომპეტენტური აზრი:**

**ინგა მამუჩიშვილი**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

1. რამდენად ხშირად ხდება საჭირო კუპლატონის დანიშვნა?

ნაწლავის კოლიკა 2-3 კვირიდან 3-4 თვემდე თითქმის ყველა ბავშვს აღენიშნება. კოლიკის მოხსნის სხვადასხვა საშუალებები არსებობს, ყველაზე მარტივი და უსაფრთხო გზა კი გაზმდენი წვეთების მიცემაა. მე ჩემს პრაქტიკაში ძალიან ხშირად ვიყენებ ევროპული, ფინური ხარისხის Orion corporation-ის წარმოების მაღალ ეფექტურ და უსაფრთხო გაზმდენ პრეპარატს - კუპლატონს.

---

2. როგორ უნდა მივცეთ ბავშვს კუპლატონი?

კუპლატონი ბავშვმა შეიძლება მიიღოს როგორც კვების დროს ასევე კვების წინ და შემდეგაც. კუპლატონი მარტივად მისაღებია, არ აქვს სპეციფიკური სუნი და გემო. კუპლატონის წვეთები ბავშვს შეიძლება პირდაპირ დაეწვეთოს ენაზე ან გაიხსნას სითხეში. კუპლატონის წვეთების რაოდენობა დისკომფორტის მოსახსნელად საჭიროა მინიმალური ოდენობით.

---

3. რამდენად ეფექტურია კუპლატონი, თქვენი გამოცდილებით?

კუპლატონი ევროპული ხარისხის მაღალეფექტური პრეპარატია. მისი აქტიური ნივთიერება დიმეთიკონი ამცირებს გაზების ბუშტუკების ზედაპირულ დაჭიმულობას, ახდენს ბუშტუკების გაერთიანებას და აიოლებს მათ გამოყოფას. კუპლატონი ამცირებს მუცლის ყურყურს, შებერილობას და ტკივილს, რაც ჩვილს შვებას ანიჭებს. კუპლატონს ახასიათებს სწრაფი მოქმედება და არ გააჩნია გვერდითი მოვლენები. მუცლის შებერილობის, კოლიკის და დისკომფორტის შემთხვევაში, თქვენს პატარას კუპლატონი სწრაფად მიანიჭებს სრულ სიმშვიდეს.




**დღეს სასულიერო პირების შემოსავლები ხშირად ხდება დიდი ინტერესისა და სერიოზული განხილვის თემა და ამ საკითხის შესახებ წარმოდგენებიც ზოგჯერ არასწორია. ამ ყველაფრის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# აქვთ თუ არა სასულიერო პირებს საპატრიარქოდან დანიშნული ხელფასები და ვის შეუძლია ეკლესიაში შესული თანხების განკარგვა

– მართლმადიდებლობა ის რელიგიაა, რომელიც 2000 წელია არსებობს ჩვენს ქვეყანაში. მართალია, ეკლესია და მისი აღმსარებლობა „პრივილეგირებულ" ადგილს იკავებს, მაგრამ, ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლობა, როგორც ასეთი, სახელმწიფო რელიგია არ არის. რომ იყოს სახელმწიფო რელიგია, როგორც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებსა და უწყებებს აფინანსებს სახელმწიფო, ბუნებრივია, დააფინანსებდა ელესიასაც, ვგულისხმობ მთლიანობაში. თუმცა, არსებობს კეთილი ნება, როდესაც სახელმწიფო საპატრიარქოს ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ლარს გამოუყოფს ბიუჯეტიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია სასულიერო სასწავლებლებისთვის, სემინარია-აკადემიისთვის, იგივე უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომლებიც საპატრიარქოს ეგიდით აწარმობენ სწავლა-განათლებას; მათი თანამშრომლებისთვის, მასწავლებლებისთვის; ასევე, იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც საპატრიარქოდან მჭიდრო თანამშრომლობაში არიან სახელმწიფო აპარატთან. გარდა ამისა, ეს თანხა მოიცავს საპატრიარქოს ვიზიტებს უცხოეთში, განკუთვნილია შიდა მოწყობისა და ბევრი საჭირო საკითხისთვის. ანუ, ამით იმის თქმა მინდა, რომ უნდა გავმიჯნოთ საპატრიარქოს დაფინანსება და ეკლესიის დაფინანსება, რადგან, ეკლესია და საპატრიარქო ერთი და იგივე არ არის. ცხადია, საპატრიარქოს შიდა სტრუქტურული შემადგენელი ნაწილი, წმიდა სინოდი, ანუ მღვდელმთავრების საბჭო, გამოხატავს ეკლესიის არსს ამა თუ იმ შემთხვევასთან ან პრობლემასთან დაკავშირებით ერისა და ეკლესიის სულიერ ცხოვრებაში, მაგრამ, საპატრიარქო სხვა არის და ეკლესია – სხვა. რა თქმა უნდა, არიან ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც სამსახურებრივად არ მიეკუთვნებიან საპატრიარქოს შიდა სტრუქტურას, იქ არ მოღვაწეობენ, არ ხელმძღვანელობენ სხვადასხვა დეპარტამენტს, კომისიებს და არ იღებენ ანაზღაურებას ხელფასის სახით. შესაბამისად, ასეთ სასულიერო პირებს არანაირი ოფიციალური შემოსავალი არ გააჩნიათ, მათ შორის, არც საპატრიარქოდან. თუმცა, ბევრს შეიძლება ჰგონია, რომ საპატრიარქო ყველა მღვდელს უხდის ხელფასს, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ არანაირი ოფიციალური ანაზღაურება, ხელფასი, არ არსებობს მღვდლისთვის. მღვდელი თავიდან ბოლომდე საკუთარ მღვდელმსახურებაზე, ანუ, შესაწირზეა დამოკიდებული. არის ერთი მომენტი, რომელიც უნდა გამოვყოთ ამ შემთხვევაში – ნებისმიერი ეპარქიის ადგილობრივი მღვდელმთავრის კეთილი ნება, რომელიც ინდივიდუალურ და არა სისტემატურ სახეს ატარებს; ანუ, მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში მომსახურე არა მღვდელს, არამედ დიაკონს, რომელსაც სხვა შემოსავლის მიღების ანლტერნატივა არ გააჩნია, ყოველთვიურად უხდის გარკვეულ თანხას. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ იყო ასეთი განჩინება მიღებული სინოდის კრებაზე: რადგან ეპარქიებში ჭირს, რადგან ხალხს არ გააჩნია ნორმალური შემოსავალი, მღვდელმთავრებმა უნდა დაურიგონ გარკვეული თანხა დიაკვნებს და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, გაჭირვებულ მღვდლებსაც, რომლებსაც დიდი ოჯახები აქვთ. თუმცა, ეს განჩინება არ შესრულებულა. შეიძლება, რომელიმე მღვდელმთავარი ამას ასრულებს, მაგრამ, მასობრივი სახე არ მიუღია.



**ბევრს, შეიძლება, ჰგონია, რომ საპატრიარქო ყველა მღვდელს უხდის ხელფასს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არანაირი ოფიციალური ანაზღაურება, ხელფასი არ არსებობს მღვდლისთვის**

**– ვინ განკარგვს ეპარქიაში შემავალ ეკლესიებში არსებულ შემოსავლებს?**

– ნებისმიერ ეპარქიაში რამდენიმე ტაძარია, ზოგან – ბევრი, ზოგან – ცოტა. ყველა ტაძარი გარკვეულ შემოსავალს იღებს მთელი წლის განმავლობაში თავისი მსახურებიდან, სანთლიდან იქნება თუ სხვა რამიდან. საბოლოოდ, ტაძრებიდან მიღებულ შემოსავალს, მთლიანად დაგროვილ შესაწირს ეპარქიის ეკონომოსი, ანუ საქმეთა გამგე აცნობს ეპარქიის მღვდელმთავარს. შესაბამისად, მის გახარჯვას ტაძრებისა და ეპარქიების საჭიროებისთვის უკვე მღვდელმთავარი განაგებს. გამომდინარე იქიდან, რა შემოსავალი გააჩნია ეპარქიას, მღვდელმთავარი რაღაც თანხას აძლევს დიაკვანს ან მღვდელმსახურს. ეს ხდება ძირითადად პატარა ეპარქიებში, სადაც მეტი საშუალებაა სრული კონტროლისთვის; ანუ, შემოსავლები კონტროლდება ეკონომოსის მიერ, რომელიც საბოლოოდ მღვდელმთავარს აცნობებს იმასთან ერთად, თუ რა არის ეპარქიაში გასაკეთებელი. მაგრამ, როცა საქმე ეხება მცხეთა-თბილისის ეპარქიას, რომელიც ძალიან დიდია და აქ უამრავი ტაძარია, ერთი ეკონომოსი ამას ვერ განკარგავს. ასევე, არა მხოლოდ დიდ, არამედ პატარა ტაძრებშიც ეკონომოსი ვერ იქნება. თუმცა, მე, როგორც ტაძრის წინამძღვარს, შემიძლია, დავნიშნო მრევლიდან ეკონომოსი, რომელიც საშემოსავლო საკითხებს განკარგავს; ოღონდ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომოსმა ეს ფული და შესაწირი როგორც უნდა, ისე განკარგოს. მან იცის თავისი უფლებები – შაბათკვირას არის მსახურება და რა არის ამისთვის საჭირო: რამდენი სეფისკვერი ან საბარძიმე ღვინოა მოსატანი და ასე შემდეგ. მან იცის, რამდენია საჭირო და ელემენტარულ საკითხებს აგვარებს, ამისთვის მას აღარ სჭირდება შეთანხმება წინამძღვართან. რაც ეხება შემოსავლების მთლიანად განკარგვას, შესაწირს ყუთებიდან, სანთლის ფულიდან შემოსულს, ანუ, მთლიან თანხას, განკარგავს წინამძღვარი და არა ეკონომოსი, რომელიც მისი დამხმარეა. აქ საუბარია ისეთ ტაძრებზე, სადაც შემოსავალია იმ გაგებით, რომ დიდი ტაძარია, ძველია და ხალხიც მეტი შედის. რაც შეეხება პატარა ტაძრებს, სადაც ცოტა ხალხი შედის, ათი კაცი დგას წირვალოცვაზე, იქ, ბუნებრივია, ეკონომოსი არც იქნება – ისეთი მიზერული თანხა შემოდის თვიდან – თვემდე, რომ საჭიროც არ არის. ანუ, მთლიან თანხას წინამძღვარი განკარგავს საჭიროებისამებრ.

**– რას უნდა მოახმაროს წინამძღვარმა შემოსული თანხა, შესაწირი?**

– თუ ტაძარში არის გარკვეული რაოდენობის შემოსავალი, წინამძღვარი გადაწყვეტს, რა არის საჭირო ეკლესიისთვის, რა დგას დღის წესრიგში. დროთა განმავლობაში ინვენტარი ცვდება, შესაბამისად, საჭიროა მათი შეძენა და, თუ ამის ფინანსური საშუალება არსებობს შემოწირულობიდან, რა თქმა უნდა, წინამძღვარი ყიდულობს ინვენტარს, ისევე, როგორც მსახურებისთვის საჭირო ნივთებს. მესანთლეს, რომელიც ყოველდღე ემსახურება ტაძარს, ალაგებს, გარკვეულ საქმიანობას ეწევა, ბუნებრივია, სჭირდება ხელფასი არსებობისთვის, რაც ძალიან მწირია – ზოგჯერ თვეში 30-40 ლარი. მგალობლებსაც სჭირდებათ თანხა, მსახურებისთვის საჭირო ნივთების შეძენა; ასევე, თავად სასულიერო პირს, რომელსაც ოჯახი ჰყავს სარჩენი, ხშირად, ბევრი შვილით. რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაწირზეა დამოკიდებული, რაც ზოგჯერ პატარა ტაძარში, შეიძლება, თვეში 20 ლარი იყოს ან ცოტა მეტი – ეს არავინ იცის. კიდევ ვიმეორებ: ეს ადამიანების მიერ გაღებულ შესაწირზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, გარკვეულ პრეისკურანტის ტრადიციას თუ არ გამოვიყენებთ.

**– რაც ხშირია ბევრ ტაძარში, სადაც კონკრეტულად გეუბნებიან, რა ღირს ესა თუ ის მსახურება.**

– ხშირად ფასი ტაძრიდან გამომდინარეობს, ანუ, უხეშად რომ ვთქვათ, მისი „პრესტიჟულობიდან" და სიძველიდან. ზოგან შეიძლება, ჯვრისწერა 100 ლარი ღირდეს, ზოგან – 150 და ზოგან – 300 ლარიც, ზოგან კი – არაფერი. რა თქმა უნდა, ასეთი პრეისკურანტების დადგენა არ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ასეთი რამ არ შეიძლება. შესაძლოა, ადამიანი მოვიდეს ეკლესიაში და 20 ლარი შესწიროს, რადგან არ აქვს მეტი, ამ დროს კი, რომელიმე საიდუმლო 100 ლარი ღირს, რის შესახებაც არაფერი წერია სახარებაში, ანუ, რატომ ღირს მაინცდამაინც 100 ლარი და არა უფრო მეტი ან ნაკლები. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მეც უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები და ისიც. ბევრმა, მათ შორის სასულიერო პირებმა, შეიძლება, ჩემი საუბარი გააკრიტიკოს: გვიმსახურია, მაგრამ, მაინც არ აგდებენ შესაწირს და რითი ვიცხოვროთო. მეც მქონია ბევრჯერ შემთხვევა, როდესაც ორი ან სამი მსახურება შემისრულებია, მაგრამ არანაირი შესაწირი არ გაულიათ, მადლობა გადაუხდიათ და წასულან. მაგრამ, ერთი თუ არ გაიღებს შესაწირს, მეორე და მესამე ხომ მაინც გაიღებს. თუმცა, როდესაც ადამიანი მუშაობს და უყვარს თავისი საქმე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმის სიყვარულის გამო ხელფასზე თქვას უარი თვის ბოლოს. ერში, სამწუხაროდ, ასეთი ბუნდოვანი მიდგომაა: მღვდელმა ფული არ უნდა აიღოს, არ სჭირდება, მის შვილებს არაფერი სჭირდებათ. მე, როგორც მღვდელი, ვემიჯნები, რომ დაწესებული თანხები მოვითხოვო რამე მსახურებაში, მაგრამ, მრევლმაც უნდა გაიღოს შესაწირი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველას ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაქვს. სასულიერო პირმა არ უნდა მოითხოვოს თანხა, მაგრამ, მლოცველმაც უნდა გაითვალისწინოს, რომ სასულიერო პირი მას ემსახურება, მასაც სჭირდება არსებობა და, ამიტომ, თვითონაც უნდა გაიღოს რაღაც.

**– რისი კეთება შეუძლია სასულიერო პირს დამატებით იმისთვის, რომ გარკვეული შემოსავალი ჰქონდეს ოჯახის შესანახად?**

– გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ბევრ სასულიერო პირსაც და ტაძრებსაც უჭირთ, რამდენიმე წლის წინ პატრიარქმა ასეთი კურთხევა გააჟღერა: ვისაც ძალიან გიჭირთ, შეგიძლიათ, საქმე წამოიწყოთ – ისეთი საქმე, რომელიც მღვდლის ფუნქციასთან და საქმიანობასთან წინააღმდეგობაში არ მოვა.

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

### ... „მე შენი უფლის დედა ვარ“...

ძლიერი იყო წმიდა ათანასე მოღვაწეობაში და მტკიცე მოთმინებაში, მაგრამ შიმშილმა მაინც დაძლია, შერყა მისი სულის სიმტკიცე და წმიდა მამამ გადაწყვიტა, დაეტოვებინა ლავრა, და სადმე სხვა ადგილზე წასულიყო. დილით, წმიდა ათანასე თავისი კვერთხით, სევდიანად მიუყვებოდა კარისკენ მიმავალ გზას, მისი სული კი შფოთვას მოეცვა. ორი საათის სიარულის შემდეგ, იგრძნო, რომ ძალა ელეოდა და სწორედ მაშინ, როცა გადაწყვიტა, ცოტა ხნით ჩამომჯდარიყო და დაესვენა, დაინახა, რომ მისკენ მოდიოდა ვილაც ქალი, რომელსაც ცისფერი ჰაეროვანი მოსასხამი ებურა. შემცბარმა წმიდანმა, რომელიც საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, პირჯვარი გადაიწერა: „საიდან უნდა გაჩენილიყო აქ ქალი? – დაეკითხა ბერი საკუთარ თავს – როდესაც აქ შეუძლებელია ქალის შემოსვლა?“ (ათონის მთაზე ქალის შესვლა აკრძალულია). ამ ხილვით გაოცებული წმიდა ათანასე ქალის შესახვედრად გაეშურა. ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ, ქალმა თავმდაბლურად ჰკითხა წმიდა მამას: „საით მიდიხარ, ბერო?“ წმიდა ათანასემ თავით ფეხებამდე შეათვალიერა ქალი, ჩახედა თვალებში და უნებლიე მოწიწების გრძნობამ აიძულა, თვალები დაეხარა. სამოსის მოკრძალებულობა, წყნარი, ქალწულებრივი გამოხედვა, გულში ჩამწვდომი ხმა – ყველაფერი ცხადყოფდა მასში, რომ ეს არ იყო შემთხვევითი გამვლელი ქალი. „ვინ ხარ შენ? აქ როგორ შემოხვედი?“ – ჰკითხა ბერმა უცნობ ქალს; „ან რაში გჭირდება იმის ცოდნა, თუ სად მივდივარ? ხედავ, აქაური ვარ, მეტი რაღა გაინტერესებს?“ „შენ თუ ბერი ხარ, – უპასუხა უცნობმა, – მაშინ პასუხიც სხვაგვარად უნდა გამცე, არა ისე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა – გულღია, მიმნდობი და თავმდაბალი უნდა იყო. მე მსურს, ვიცოდე, სად მიდიხარ. ვიცი შენი მწუხარება და ყველაფერი, რაც გჭირს. შემიძლია, დაგეხმარო, მაგრამ მანამდე, მსურს ვიცოდე, სად მიდიხარ?“ საიდუმლოებით მოცული უცნობი ქალის სიტყვებით გაოცებულმა წმიდა ათანასემ უამბო მას თავისი უბედურების შესახებ. უცნობმა ქალმა კი ასე უპასუხა: „შეესაბამება კი ეს საქციელი მოსაგრეობის სულისკვეთებას? დაბრუნდი, ყველაფერი უხვად გეწყალობება, მხოლოდ არ მიატოვო შენი განმარტოებული სამყოფელი, რომელიც განითქმება და უპირველესი იქნება აქ აღმოცენებულ სავანეთა შორის.“ „და მაინც, ვინ ხარ შენ?“ – ჰკითხა ათანასემ. – „იგი, ვის სახელსაც მიუძღვენი შენი სავანე, ვისაც ავედრებ მის ბედს და შენს საკუთარ ხსნას. მე შენი უფლის დედა ვარ“, – უპასუხა უცნობმა ქალმა. წმიდა ათანასემ უნდობლად და ეჭვით შეხედა მას, შემდეგ უთხრა: „მეშინია დაჯერების, რადგან მტერიც ხანდახან მართლის ანგელოზის სახით გვევლინება. რით დამარწმუნებ შენი სიტყვების კანონიერებაში?“ – „ხედავ ამ ქვას? – უპასუხა უცნობმა ქალმა, – დაჰკარი კვერთხი და მაშინ მიხვდები, ვინ გელაპარაკება. ამასთან, იცოდე, რომ მე სამუდამოდ დავრჩები შენი ლავრის ეკონომოსად.“ ათანასემ დაარტყა კვერთხი ქვას, რომელიც თითქოს ელვამ გააპო, ნაპრალიდან კი მაშინვე გამოჩქეფა ხმაურიანი წყლის ნაკადმა და დაეშვა ბორცვის ფერდობზე ზღვისკენ.

ასეთი სასწაულით გაოგნებული წმიდა ათანასე შემობრუნდა, რომ მუხლებზე დაცემულიყო ღვთაებრივი უცნობის ფეხებთან, მაგრამ ის უკვე იქ აღარ იყო, ელვასავით მიფარებოდა ბერის გაოცებულ მზერას.

### ღვთისმშობლის ხატის – „შენ ხარ ვენახის“ აღსრულებული სასწაული

მე, ჩემი შვილები და შვილიშვილები მივდიოდით მანქანით. ავტომობილს მუხრუჭმა უმტყუნა. სიჩქარის შენელება და მანქანის გაჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ქუჩა საკმაოდ ვიწრო იყო და ჩახერგილი ორივე მიმართულებით მიმავალი მანქანებით. ერთდროულად რამდენიმე მანქანა უნდა შეჯახებოდა ერთმანეთს და შედეგიც უმძიმესი იქნებოდა. თითქმის სასოწარკვეთილებმა შევყვირეთ და შემწეობა ვთხოვეთ ღმრთისმშობლის ხატს – „შენ ხარ ვენახი“ (ეს ხატი უკურთხებელი, უბეში ედო ჩემს შვილს). არანაირი გამოსავალი არ ჩანდა... არც ადამიანის გონებას, არც მოხერხებას არ შეეძლო ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა. ჩვენ არ ვიცით, როგორ გავიარეთ ერთმანეთს მიჯრილ მანქანებს შორის და აღმოვჩნდით უსაფრთხო ადგილას. დიდხანს ვისხედით მანქანაში მომხდარი სასწაულით გაოგნებულები და ხმას ვერ ვიღებდით, მხოლოდ შეშინებული ბავშვის ტირილმა გამოგვაფხიზლა.

დიდება უფალს.

*მანანა არჩვაძე*

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### არიანელი ეპისკოპოსის დაბრმავება

წმიდა გრიგოლი დიოლოღოსი: ერთი სასწაულის შესახებ მოგიყვებით, რომელიც მხოლოდ სამი დღის წინ შევიტყვე ჩემი მონასტრის ბერის, ბონიფანტესგან. იგი ოთხი წლის წინ ლონგობარდებთან იმყოფებოდა (ლონგობარდები – ძველი გერმანული ტომი). ერთხელ ქალაქ სპოლეტოში არიანელი (არიოზის ერესის მიმდევარი) ეპისკოპოსი მოვიდა და რადგან ტაძარი არ ჰქონდა, ქალაქის ეპისკოპოსს სთხოვა, ეკლესია დაეთმო თავისი ერეტიკული მსახურების შესასრულებლად. ეპისკოპოსმა მტკიცე უარი განუცხადა, არიანელი კი დაემუქრა, რომ მეორე დღესვე ძალადობით დაიკავებდა იქვე ახლოს მდებარე წმიდა პავლე მოციქულის სახელობის ტაძარს. ეს ამბავი ეკლესიის მნათემ გაიგო. ის მაშინვე ტაძრისკენ გაეშურა, ჩაკეტა იგი და კარს კლიტე დაადო. საღამოს ყველა კანდელი ჩააქრო, თავად კი შიგნით დაიმალა. გამთენიისას მოვიდა არიანელი ეპისკოპოსი, უკან ხალხის ბრბო მოჰყვებოდა; განზრახული ჰქონდათ ეკლესიის კარი შეემტვრიათ, მაგრამ უეცრად ღვთაებრივი ძალით ყველა კარი შეირყა, კლიტეები შორს გაიტყორცნენ და ძლიერი ხმაურით ყველა საეკლესიო კარი და ურდული გაიხსნა; ზემოდან გარდამოვიდა ნათელი და ყველა ჩამქრალი კანდელი თავისით აინთო. არიანელი, რომელიც იმ განზრახვით მოვიდა, რომ ძალადობით დაუფლებოდა ტაძარს, ზეციური სინათლით დაბრმავდა და თავის საცხოვრებელში მხოლოდ სხვების დახმარებით შეძლო დაბრუნება. ამ ამბავმა იმ ქვეყანაში მყოფი ლონგობარდები დააშინა და მას შემდეგ უკვე ველარავინ ბედავდა მართლმადიდებლურ ტაძარში შესვლას.

ამგვარად, როდესაც წმიდა პავლეს ტაძარში არიანელი ეპისკოპოსის გამო კანდელები ჩაქრა, სასწაულმა მწვალებელი მღვდელმთავარი დააბრმავა, ხოლო ეკლესია კვლავ გაანათა.

**მოამზადა რევაზ ტომარაძემ**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ოჯახში შემონახული გვაქვს საეკლესიო ნივთი. გვაქვს თუ არა მისი სახლში დატოვების უფლება, თუ, ეკლესიაში უნდა მივიტანოთ?**

**პასუხი:** საეკლესიო ნივთის, მით უმეტეს, თუ ის სიწმინდეა, ოჯახში გაჩერება არ შეიძლება. ზოგიერთ საეკლესიო ნივთზე შეხების უფლება ყველა საეკლესიო პირსაც კი არ აქვს, მით უმეტეს – საეროს. ასე რომ, თუ სახლში გაქვთ საეკლესიო ნივთი, დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ ეკლესიას, რათა თავისი წმინდა დანიშნულება შეასრულოს.



**კითხვა: უპირველესად რით უნდა დაიწყოს ქრისტიანული ცხოვრება ადამიანმა?**

**პასუხი:** ქრისტიანული ცხოვრება უპირველესად უნდა დაიწყოთ სინანულით: უნდა მოინანიოთ ცოდვები გულწრფელად და დადოთ აღთქმა, რომ აღარ შესცოდავთ; ასევე, უნდა ილოცოთ და ღმერთს სთხოვოთ მოთმინება და შეეწეობა, რათა განმტკიცდეთ რწმენაში.

**კითხვა: რატომ ხდება, რომ ხშირად კეთილი საქმე ფერხდება?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ ღვთისთვის სათნო ყოველ საქმეს თან სდევს ბოროტთან ბრძოლა. რაც უფრო მაცხონებელია საქმე, მით უფრო ძლიერად ესხმის მტერი კაცს, რომ ჩაშალოს მისი კეთილი საქმე.

**კითხვა: რატომ არის საჭირო ცოდვის ჩადენის შემდეგ მალევე მონანიება?**

**პასუხი:** ცოდვა უფლის მადლს გვაშორებს. თუ ცოდვას არ მოვინანიებთ, ის საკუთარი ტვირთის სიმძიმით იწვევს სხვა ცოდვას და ადამიანი ცოდვათა მორევში ეფლობა.

**„ნიჭიერის“ სცენაზე ვანიკო თარხნიშვილისა და გიორგი ყიფშიძის ტანდემი აშკარად წარმატებული აღმოჩნდა. ისინი არა მხოლოდ კულისებში ამხნევებენ მონაწილეებს, მაყურებელს და ჟიურის ხალისიანი რეპლიკებითა და ქცევებითაც ამხიარულებენ.**

# რის გამო იტანჯებოდა დიდი ხნის განმავლობაში გიორგი ყიფშიძე და ცხოვრების რა მომენტში გაუჩნდა მას ყოფილ და ახლანდელ მეუღლეებთან ურთიერთობაში კრიზისი

**გიორგი ყიფშიძე**: დიდი ხნის წინ რალაცეებს მთავაზობდნენ და მე სულ უარს ვამბობდი, რადგან მეგონა, ამას თავისი ცალკე ნიჭი სჭირდებოდა. არ არის აუცილებელი, კარგი მსახიობი იყო და ამიტომ გახდე კარგი წამყვანი. ერთი პერიოდი „პოკერ რინგის“ წამყვანი ვიყავი, ვიტანჯებოდი. გზაში ვფიქრობდი: ნეტავ, ავარია მომიხდეს, ფეხი მომტყდეს, ან რამე ასეთი მოხდეს, რომ გადაიდოს-მეთქი. პირდაპირ რომ არ მივსულიყავი – არ გამოვიდოდა. საპატიო, თან სერიოზული მიზეზი მინდოდა, ფეხის მოტეხვაზეც კი თანახმა ვიყავი. ისე ვიტანჯებოდი, ისეთ დისკომფორტში ვიყავი, ბურუსში იყო ყველაფერი... მერე რაღაც გადაცემებზე მეძახდნენ, მე სულ გავურბოდი. ყველა მეუბნება: ფულია, კარგია. მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია. ძალიან მეშინია ასეთი რაღაცეების. მერე „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ რომ ვიცეკვე, ისე ამიტაცა ცეკვებმა, ნოეს ვუთხარი: ვიცი შიდა სამზარეული, პირველად ვგრძნობ, რომ რაღაც შემიძლია და იქნებ ზემოთ, მონაწილეებთან ვიმუშაო-მეთქი. ბაზარი არ არისო და მომდევნო სეზონში დავიწყე. კარგად ვისიამოვნე.



**პირველ ცოლთანაც იგივე დროს დამემართა ეს კრიზისი, სამწუხაროდ. იქ დამთავრდა – პატარა ვიყავი და აქ არ დამთავრებულა**

**– როგორც მივხვდი, ეს პროექტი ბევრ რამეში დაგეხმარა.**

– ბევრ რამეში დამეხმარა, ბევრი რამ მასწავლა. პიროვნულადაც ვგრძნობ, რომ რაღაცეებში გავიზარდე, ფასეულობებშიც. ვიცი: რა, როგორ გიფასდება.

**– საკმაოდ მონდომებული იყავი.**

– ისეთი „პარტნიორშა“ მყავდა, ისეთი ტიპია ჯულიანა, მის გვერდით მონდომებული რომ არ იყო, არ არსებობს. თან ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა, სიგარეტის მოწევისაც კი.

**– თქვენმა წყვილმა ჭორებიც გააჩინა.**

– სალომესა და გიორგის თემა მოგვარგეს, ეტყობა, მე და ჯულიანასაც. იყო ამაზე მთელი ამბები. იმდენად ინტიმური ურთიერთობაა ქალსა და კაცს შორის, გვერდიდან ისე ჩანს, რომ ამბობენ: აბა რა, საყვარლები და რაღაც სისულელეები...

**– ჯულიანას მომდევნო პარტნიორებზე ეჭვიანობდი. ნოდიკოზეც ეჭვიანობ?**

– ვეჭვიანობ არა, ჩემს თავს ვადარებ ხოლმე. ძალიან მინდა, ნოდიკო იმაზე წინ გავიდეს, ვიდრე მე ვიყავი. მესამეზე ხომ გავედი და ნოდიკო ფინალშიც რომ გავიდეს, დაგლიჯავს, ძალიან გამიხარდება. უპირველეს ყოვლისა, ნოდიკოს გამო კი არა, ჯულიანას პონტში. ამდენი იწვალა და ფინალში არც ერთხელ არ მოხვდა

**– ეს ჭორები თქვენს ურთიერთობაზე აისახა? ხომ არ გააფუჭა თქვენი ურთიერთობა? ჯულიანა ასეთ რაღაცეებზე უხერხულად გრძნობს ხოლმე თავს.**

– ჰო, იკეტება, არ უყვარს, როდესაც მასზე ლაპარაკობენ, რაღაცეებს რომ აბავენ. მე სულ ვეუბნებოდი: შენ ისეთ სფეროში გაიჩითე, ამას ყურადღებას თუ მიაქცევ, ძალიან დაითრგუნები-მეთქი. გაიგებ რაღაცას – გაატარე, ღიმილით, სიცილით შეეგებე. უჭირს, მაგრამ ცდილობს, გაატაროს.

**– ის კრიზისი, რომელიც ცოტა ხნის წინ ოჯახში მეუღლესთან გქონდა, ამ თემას დაუკავშირეს.**

– ყველაფერი დაემთხვა. იმ პერიოდში სახლში პატარა ბავშვი მყავდა – მე ვერ ვახერხებდი სახლში ყოფნას, ჩემი ცოლი ვერ მაქცევდა ყურადღებას, სპექტაკლებზე ვერ დადიოდა, რადგან ბავშვს ვერ დატოვებდა და ასეთ დროს მამაკაცთან ურთიერთობაში ყოველთვის ჩნდება კრიზისი. პირველ ცოლთანაც იგივე დროს დამემართა ეს კრიზისი, სამწუხაროდ. იქ დამთავრდა – პატარა ვიყავი და აქ არ დამთავრებულა.

**– როცა შენ და ანი დაქორწინდით, მაშინ არც ის ფიქრობდა, რომ ამდენი წელი იქნებოდით ერთად.**

– მე ასეთ რაღაცეებზე ვერ ვიტყვი: მგონია, არ მგონია, მაგრამ ფაქტია: თერთმეტი წელია ერთად ვართ. როდესაც სერიოზული კრიზისია ურთიერთობაში და ამის მერე ისინი კვლავ ერთად ცხოვრებას გადაწყვეტენ, მიხვდებიან, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ, ეს ურთიერთობა უფრო მყარდება. ანუ, რაღაცეები არ ულირთ რაღაცეებად. მერე უფრო ჯიგრული, ძმაკაცური ურთიერთობა ჩნდება, სიყვარულობა იწყება თავიდან. ჩემი ყველაზე მაგარი ძმაკაცია, ყველაზე მაგარი მესაიდუმლე, კარგი გვერდში დამდგომი. კრიტიკულიც არის ჩემ მიმართ და ყველაზე მეტად მჯერა მისი, ვენდობი.

**– იმ ყველაფერს, რაც შენ გარშემო ხდება, ჭორები იქნება თუ სხვა რამ, აქცევს ყურადღებას?**

– იცის, რომ ეს ჩემი ცხოვრებაა. ჯიგრულად უყურებს ყველაფერს, ესმის – რაღაცნაირი ტიპია.

**– ცამეტი წლის გოგონას მამა რომ ხარ, თან, ასეთი ლამაზის, ჭკვიანის...**

– ეს დღემდე არ მჯერა, ცამეტი წლის არის, თან, დიდია უკვე, ქალია. რაღაც გადაცემაში ერთად რომ მივდივართ, მე ხმას არ მაღებინებს იმდენს ტლიკინებს, თან, ჭკვიანურად. ბოლო პერიოდში ხშირად არ ვარ სახლში და დიდი ხანი გამოვიდა, რაც ისე აქტიურად ვერ ვხედავ. თან, ისიც იშვიათად მირეკავს, მეც იშვიათად ვურეკავ. იმ დღეს ვიჩხუბეთ კიდეც. დიდი გოგოა. თან, იოგაზე დადის.

**– დედის გავლენაც დიდია – კრისტი ძალიან კარგი დედაა.**

– რა თქმა უნდა, გენიალური დედაა და მიხარია, რომ მისი გავლენის ქვეშ არის.

**– იმაზე გიფიქრია, რომ შეყვარებული ეყოლება, დიდი გოგონაა უკვე. ჯერ გათხოვებაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ მაინც...**

– ამაზე არც მინდა ფიქრი. მე ხომ მაგას ვერ გავექცევი. ვიცი, გული გამისკდება, ისედაც ჭაღარა თმა უფრო გამიჭაღარავდება. ახლა შეიძლება ვთქვა, რომ ჩავერევი მის ამბებში, მაგრამ შეიძლება, მერე არ ჩავერიო, ან პირიქით, ვთქვა და იქ, იმ მომენტში გავხდე ვეფხვი.

**– და პატარა, უსაყვარლესი ბიჭის მამა რომ ხარ, მისთვის, ალბათ, სულ ცდილობ, დრო გამონახო, დიდი დრო გაატარო მასთან ერთად.**

– ეს რა ტიპია, საოცრებაა. პირველი მომენტი, რომლითაც მე ამ ბავშვს მივეწებე და ის მომეწება, ეს იყო მისი დაბადებისთანავე. საკეისროთი გაჩნდა, ამიტომ მამას უნდა დავაწვინოთო, გამხადეს უცებ და დამაწვინეს მკერდზე. წარმოიდგინე, ჯერ გასუფთავებულიც რომ არ არის, ოხშივარი ასდის და ეგრევე დაიწყო ძუძუს ძებნა. გავგიჟდი, გადავირიე, ახლაც შოკში ვარ. რაღაც დამემართა, არ ვიცი. ეს არის ადამიანის ცხოვრების აზრიც – შენი ხორცები მერე დადიან, ლაპარაკობენ, გიღიმიან, შენზე არიან დამოკიდებულები, შენ უნდა გადაეფოფრო. დღესაც ვისეირნეთ ერთად, ქვიშაში ვითამაშეთ.

**– შენ და ანი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცალ-ცალკე რომ ცხოვრობდით, ალბათ, როგორ გაგიჭირდებოდა ბავშვის გარეშე.**

– კი და ბავშვიც ძალიან განიცდიდა. ანიც მეუბნებოდა: ბავშვი ძალიან ნერვიულობს, მოიფიქრე რამე, მამის გარეშე არ უნდა იყოსო. რა სისულელეა, რა მამის გარეშე-მეთქი – ეს მკლავდა. ახლა კარგად არის ყველაფერი, ერთად ვართ.

**– „ნიჭიერმა“ და „ბრავომ“ თეატრს ხომ არ მოაკლო დრო?**

– თეატრში რეკავენ, ესენიც ითვალისწინებენ და სპექტაკლის დღეს არ ნიშნავენ არაფერს. გიორგი სიხარულიძემ გააკეთა სპექტაკლი „ვეფხვი და მოყმე“, მაგარი სპექტაკლია, ნახეთ. ჩემი ფუნქცია არ არის თამაში, ტამტამზე უნდა მივცე რიტმები. 10 წლის წინ ჩემთვის რაღაცას ვუპრაკუნებდი ტამტამზე, დამკვრელი არ ვყოფილვარ და ახლა გასწავლიანო. უბრალო რიტმია გასაკეთებელი, პერფორმანსივით იქნება ჩემთვის.

**– „ნიჭიერში“ შენ და ვანიკო მოუხდით და კარგად შეეწყვეთ ერთმანეთს.**

– ვანიკო რომ არ ყოფილიყო, მარტო, ვილაცასთან, ვერ წამოვიდოდი. მე და ვანიკო იმდენად შეთამაშებულები და შეთამამებულები ვართ, რომ იმას ვაკეთებთ, რასაც ცხოვრებაში ან საგრიმიოროში სპექტაკლის წინ. ასეთი როლი გვაქვს – კეთილად ვხულიგნობთ. იმის მიხედვით, როგორი შეფასებები აქვს ხალხს, ამ პონტმა გაისროლა და მსიამოვნებს.

**– გაქვს ისეთი ნიჭი, რომელიც ჯერ არ გამოგივლენია?**

– „ბრავოში“ მინდა ექსტრემალური რაღაც გავაკეთო, „ვიშკიდან“ ჩამოვიდე გარედან ტროსით. კინოში ჩემი თავის „ტრიუკაჩი“ მე ვარ. „ცეკვავენ ვარსკვლავებშიც“ ტრიუკი იყო აბა, რა იყო: თოკს მოვკიდე ხელი, გავფრინდი ერთხელ, ორჯერ. სიმაღლის მეშინია და მთელი „კაიფი“ სწორედ სიმაღლის დაძლევაა. ბავშვობაში, მახსოვს, ასეთი ჭორი გავრცელდა: წყლის სიღრმეში აკვალანგისტები ხალხს ითრევენ, ქვემოთ აბამენ და ახრჩობენ. მერე კი მათთან მიდიად ადამიანები, სთხოვენ: გვიპოვე დამხრჩვალიო და ამაში ფულს იღებენო. ისე შემეშინდა, ღრმა წყალში ველარ გავდიოდი. ფობია გამიჩნდა, რომ ვიღაცეები დამქაჩავდნენ. ახლაც ვერ ჩავდივარ სიღრმეში, მეშინია.

**ნათია უტიაშვილი**

# „ოქროს ბურთის" გარეშე დარჩენილი ფეხბურთის ვარსკვლავები

*წლის ბოლოს, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია „ოქროს ბურთის" ლაურეატებს დაასახელებს. ცნობილია 30 ფეხბურთელისგან შემდგარი სია, სადაც, ტრადიციულად, ფიგურირებენ: კრიშტიანუ რონალდუ, ლიონელ მესი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ნეიმარი, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები და სხვები; თუმცა, არიან ფეხბურთის ვარსკვლავები, რომელთა ნახვა პრეტენდენტების სიაში შეუძლებელია. ისინი ვერ მოხვდნენ გაფართოებულ სიაში და, ცხადია, რომ ვერ გახდებიან ჯილდოს მფლობელები. გთავაზობთ იმ ვარსკვლავების ჩამონათვალს, რომლებსაც „ფიფამ," უბრალოდ, იგნორირება გაუკეთა.*

### ლუის სუარესი – „ლივერპული"/ „ბარსელონა", ურუგვაი

ლუის სუარესის არმყევანა პრეტენდენტების გაფართოებულ სიაში „ფიფას" მიერ ჟურნალისტებმა მთავარ მოულოდნელობად დაასახელეს. ურუგვაელმა ფორვარდმა ფენომენალური სეზონი გაატარა „ლივერპულში", 38 მატჩში 31 გოლი გაიტანა და ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მისი ტრანსფერი „ბარსელონაში" ასევე წლის ერთ-ერთ მოვლენად დასახელდა, თუმცა, ყველა ეს მიღწევა დაჩრდილა სუარესის სიყვარულმა კბენის მიმართ. მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ სუარესმა 4-თვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მაინც, ამის მიუხედავად, ის ნამდვილად იმსახურებდა 30-კაციან სიაში მოხვედრას.

### დიეგო გოდინი – „ატლეტიკო", ურუგვაი

კიდევ ერთი ურუგვაელი, რომელიც ვერ მოხვდა „ფიფას" სიაში. გოდინმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა „ატლეტიკოში". იგი ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლება, ხოლო მისი გოლების შესახებ ყველა ლაპარაკობს „ბარსელონის" კარში გატანილმა სწორედ გოდინის გოლმა მოუტანა „ატლეტიკოს" პრიმერადივიზიონის ჩემპიონის ტიტული, რომელსაც მადრიდული გუნდი 18 წელი ელოდა; ასევე, დიეგოს დამსახურებაა, რომ ურუგვაის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის „პლეიოფში" მოხვდა. დიეგო გოდინი თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლება და მისი არჩაწერა სიაში ასევე, მოულოდნელობად დასახელდა.

### კარლოს ტევესი – „იუვენტუსი", არგენტინა

კარლიტო ტევესი „იუვენტუსთან" ერთად იტალიის ჩემპიონი გახდა, ხოლო 19 გატანილი გოლით მან ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილი დაიკავა. არგენტინის ნაკრების მწვრთნელთან, ალეხანდრო საბელასთან უთანხმოების გამო, ტევესი მსოფლიო ჩემპიონატზე არ იყო, თუმცა, მისი საკლუბო დამსახურებების გათვალისწინებით, ის ნამდვილად იმსახურებდა მოხვედრას სიაში.

### არტურო ვიდალი – „იუვენტუსი", ჩილე

არტურო ვიდალის თქმით, იგი არ ცნობს გამოკითხვებსა და კონკურსებს და საკუთარ თავს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევს. ვიდალისთვის 2014 წელი წარმატებული იყო, რადგან „იუვენტუსთან" ერთად ის ჩემპიონი და გუნდის ლიდერი გახდა, ხოლო, ჩილეს ნაკრებთან ერთად, უმძიმესი ტრავმის მოშუშებიდან რამდემიმე დღეში, წარმატებით იასპარეზა. მიუხედავად ამ წარმატებებისა, მისთვისაც არ მოინახა ადგილი პრეტენდენტების სიაში, თუმცა თავად ფეხბურთელი ამაზე დიდად არ წუხს.

### მატს ჰუმელსი – „ბორუსია", გერმანია

მატს ჰუმელსი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გერმანიის ნაკრებთან ერთად. „ბუნდესლიგის" ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველზე დიდი ხანია ნადირობა აქვთ გაჩაღებული ევროპულ გრანდებს და, შესაძლოა, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ის ინგლისური ან ესპანური კლუბის წევრი გახდეს. ცნობილია, რომ „ფიფა" სიის შედგენისას ნაკლებად აქცევს ყურადღებას მცველებს და, სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტის გამო ვერ გახდა ჰუმელსი პრეტენდენტი იმ ჯილდოსი, რომელზეც პრეტენზიას მისი არაერთი თანაგუნდელი აცხადებს გერმანიის ნაკრებიდან.

## პორნოვარსკვლავის თამამი განაცხადი

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტარტი აიღო „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის" ახალმა სეზონმა და, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო გუნდი „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" იქნება, რომელსაც ჯერაც არ მოუპოვებია გამარჯვება. საყვარელი გუნდის კრიზისიდან გამოყვანის ორიგინალური ხერხი მოიფიქრა პორნოინდუსტრიაში ცნობილმა ვარსკვლავმა სედი სანტანამ, რომელმაც პირობა დადო, რომ, თუკი კობი ბრაიანტის გუნდი დარჩენილ მატჩებში ქულათა მაქსიმალურ მარაგს დააგროვებს, ის კლუბის ყველა წევრს ორალური სექსით მოემსახურება.



## რონალდუს ბრენდის ერთი წელი

ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კრიშტიანუ რონალდუმ საკუთარი ბრენდის – CR7-ის პრეზენტაცია მოაწყო. მამაკაცებისთვის განკუთვნილი თეთრეულის საკუთარი მოდელებით შეაბიჯა რონალდუმ მოდის სამყაროში და ბრენდმა მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ერთი წლის იუბილესთან დაკავშირებულ წვეულებაზე რონალდუმ ტრუსის ფორმის ტორტის გაჭრის ფოტოები განათავსა „ინსტაგრამის" საკუთარ გვერდზე.

# ინტერნეტბიზნესის ლეგენდა – სერგეი ბრინი

ამერიკელი ბიზნესმენის, მეცნიერის, „გუგლის" შემქმნელისა და თანადამაარსებლის, სერგეი ბრინის ისტორია იმის დასტურია, რომ წარმატებისკენ მიმავალი გზა შემოქმედებით ძიებაზე, სამეცნიერო ნიჭზე, ალღოზე, გამბედაობასა და არასტანდარტულ გადაწყვეტილებებზე გადის.

სერგეი დაიბადა 1973 წელს, მოსკოვში, ებრაელთა ოჯახში. მისი ბაბუაც და მამაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატები იყვნენ და ენერგეტიკის ინსტიტუტში ასწავლიდნენ. სერგეი 6 წლის იყო, როდესაც ოჯახი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მამა მერილენდის უნივერსიტეტში მოეწყო პედაგოგად, დედამ კი NASA-ში დაიწყო მუშაობა. ამერიკაში სერგეი იმ სკოლაში დადიოდა, სადაც სწავლება მონტესორის სისტემით მიმდინარეობდა. ახლა მას მიაჩნია, რომ სწორედ ეს დაეხმარა წარმატების მიღწევაში. სერგეიმ ვადაზე ადრე აიღო მერილენდის უნივერსიტეტის დიპლომი, სპეციალობით – მათემატიკა და კომპიუტერული სისტემები. ის ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის სტიპენდიანტი იყო. 1993 წელს ბრინი სტენფორდის უნივერსიტეტში მოეწყო და ამავე უნივერსიტეტის ასპირანტთან, ლარი პეიჯთან ერთად, დაამუშავა თემა: „მასშტაბური ჰიპერტექსტური ინტერნეტსაძიებო სისტემის ანატომია", რითაც, ფაქტობრივად, ჩაეყარა კიდეც საფუძველი Google-ს, რომელზეც, ბრინის აზრით, დამოკიდებულია ადამიანთა თვითგანათლება, კარიერა და ჯანმრთელობაც კი.

1997 წელს დარეგისტრირდა დომენი Google.com, მალე კი პროექტმა უნივერსიტეტის კედლები დატოვა და განვითარებისთვის მოიკრიბა ინვესტიციები. დასახელება Google წარმოიშვა სიტყვიდან – Googo (10-ის მესაე ხარისხი). მეგობრებმა მას Googol დაარქვეს, მაგრამ, ინვესტორებმა, რომლებსაც ბრინმა და პეიჯმა იდეა წარუდგინეს, მათთვის მისაცემი ფულის ჩეკში შეცდომით Google ჩაწერეს.

Google-ის პირველი ინვესტიცია 1 მილიონ დოლარს უდრიდა. პირველი ოფისი ავტოფარეხი იყო, სადაც 4 თანამშრომელი მუშაობდა, თუმცა, ის უკვე მაშინ შევიდა 100 საუკეთესო საიტის ჩამონათვალში. 2000 წელს Google მსოფლიოში ყველაზე დიდი საძიებო სერვერი გახდა, 2003 წელს კი – საძიებო სფეროს ლიდერი. 2004 წელს მისი შემქმნელები მილიარდერთა სიაში შევიდნენ. 2007 წელს Google.inc-მა შეიძინა საიტი YouTube. იმავე წელს ყურადღება გამახვილდა ახალ ბაზარზე, სპეციალურ პროექტზე, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის კომპიუტერიზაციას ეხებოდა. 2008 წელს Google.inc 100 მილიარდ დოლარად შეფასდა.

სერგეი ბრინი არ ჰგავს ბევრ სხვა თანამედროვე მილიარდერს. მისი კორპორაციული დევიზია: „არ შექმნა ბოროტება". მას სურს, რომ იყოს მაღალზნეობრივი და მსოფლიოს ნამდვილი ცვლილებები მოუტანოს. მიუხედავად მისი ქონებისა (16,3 მილიარდი), სერგეი მოკრძალებულად ცხოვრობს, სამაგიეროდ, ეწევა ქველმოქმედებას: 2011 წელს „ვიკიპედიას" 500 ათასი დოლარი აჩუქა და, გეგმავს, რომ 20 წლის განმავლობაში 20 მილიარდს გასცემს.

ცნობილია ბიზნესმენის მკვეთრი გამონათქვამები: ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთი – ნიგერიაა თოვლზე, თუმცა, მოგვიანებით, ეს სიტყვები უკან წაიღო; 2012 წელს კი სოციალური ქსელი Facebook და კომპანია Apple თავისუფალი ინტერნეტის მტრებად გამოაცხადა.

სერგეი 2007 წელს დაქორწინდა ანა ვოიჯიცკიზე. წყვილს ჰყავს ქალ-ვაჟი. როგორც ამბობენ, სერგეის უყვარს სან-ფრანცისკოში რუსულ საჩაიე „კატიში" შესვლა და სტუმრებს ურჩევს, ბორშჩი, ბლინები და პილმენები მიირთვან.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ



## რა კავშირშია ზურგის ტკივილი დეპრესიასთან

ოსტეოქონდროზი იმ ადამიანებს აწუხებს, ვინც ბევრს მოძრაობს, ან, პირიქით, დიდხანს ზის. ზურგთან დაკავშირებული პრობლემები, ძირითადად, იმ მამაკაცებს აღენიშნებათ, ვინც ფიზიკურად მძიმე სამუშაოს ასრულებს. მისი განვითარების რისკის ქვეშ არიან, ასევე, ორსული ქალებიც. მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითი ფაქტორიც, ამიტომ, თუ თქვენს წინაპარს ჰქონდა ოსტეოქონდროზი, ხერხემალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ.

არსებობს ადამიანების განსაკუთრებული კატეგორია, რომელსაც ოსტეოქონდროზით დაავადების საკმაოდ დიდი შანსი აქვს. ასეთთა რიცხვს განეკუთვნებიან: მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის მოყვარული ქალები – მთელი დღის განმავლობაში წვრილ, მაღალ ქუსლზე დგომა საშიშია, რადგან, ამ დროს მთელი დატვირთვა გადადის ტერფის წინა ნაწილზე, რაც განივი მყესების გადაძაბვასა და გამკვრივებას იწვევს.

ოსტეოქონდროზი ხშირად უვითარდებათ ნევრასთენიკ ქალბატონებს – როგორც კი ოდნავ ინერვიულებენ, მაშინვე ეწყებათ ტკივილი ზურგის არეში. ზოგადად კი, სტრესი ამ დაავადების პროვოცირებას იწვევს, განსაკუთრებით – კისრის მალების ოსტეოქონდროზის დროს. საქმე ისაა, რომ ხერხემალთან გადის ტვინის მკვებავი სისხლძარღვები. მალთაშუა დისკების წანაცვლებისას ხდება ამ სისხლძარღვებზე ზეწოლა, ფერხდება ტვინის სისხლმომარაგება და ადამიანს ეწყება თავის ტკივილი და თავბრუხვევა, შედეგად კი ვითარდება დეპრესია და შიშები. კისრის კუნთების დაჭიმვა იწვევს ტკივილსა და დეპრესიას, ხოლო ეს უკანასკნელი ძალიან საშიში დაავადებაა.

გახსოვდეთ, რომ ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკა ადვილია და მცირე დროს მოითხოვს, მკურნალობა კი გაცილებით დიდ დროში იწელება. ეცადეთ, არ ასწიოთ მძიმე ტვირთი მოხრილმა. თუ ეს მაინც უნდა გააკეთოთ, აჯობებს, ჩაიმუხლოთ. ასეთ დროს ძირითადი დატვირთვა ფეხის კუნთებზე მოდის. თუ მძიმე ტვირთის ტარება გიწევთ, ხშირად გადაიტანეთ ის ხელიდან ხელში. ასეთ დროს არ შეიძლება ტანის მკვეთრი მოძრაობა.

თუ დიდხანს გიწევთ ფეხზე დგომა, ეცადეთ, დაძაბოთ მუცლისა და კუდუსუნის კუნთები – ამგვარად შეამცირებთ ხერხემლის დატვირთვას – ან, მიეყრდენით კედელს. საერთოდ კი, ჯობია, ხშირად დაჯდეთ სკამზე და საზურგეს მიეყრდნოთ. ჯდომისას ფეხები იატაკს უნდა ეყრდნობოდეს.

იძინეთ მაგარ საწოლზე, რომელზეც თხელი ლეიბია დაგებული. ერიდეთ დაცემას და ხერხემლის დარტყმას.

არ გაცივდეთ, რადგან, ზოგჯერ კუნთები გადაციებაზე რეფლექსური სპაზმით რეაგირებს. მათი შეკუმშვა კი მალის წანაცვლებას იწვევს, რაც ტკივილის მიზეზი ხდება.

მოიშორეთ ზედმეტი კილოგრამები – ჭარბი წონა ისევე აზიანებს ხერხემალს, როგორც ტრავმა ან ხშირი დატვირთვა.

დილით, საწოლიდან ადგომისთანავე, ხელებით დაეკიდეთ ძელს – ეს განტვირთავს ზურგის კუნთებს.

ოსტეოქონდროზის პროფილაქტიკისთვის ყველაზე კარგია ცურვა – ის ავითარებს იმ კუნთებს, რომლებიც საჭიროა ხერხემლის გასამაგრებლად; ასევე, მთლიანად ხსნის დატვირთვას მალთაშუა დისკებზე.

გაუფრთხილდით ხერხემალს, რადგან, ის თქვენი მთავარი საყრდენია და ამით დიდხანს შეინარჩუნებთ ჯანმრთელობას.

## თუ ყოველდღიურად ერთ ცალ ფორთოხალს შეჭამთ, შემცირდება თრომბის წარმოქმნის რისკი

ფორთოხალი შეიცავს კალიუმს, ასევე, A პროვიტამინს, $B_1$ ვიტამინს, C ვიტამინებს, ფოლის მჟავას, მაგნიუმს, მანგანუმს, ფოსფორს, რკინას, სპილენძსა და თუთიას.

ფორთოხალი ბევრ დაავადებას ებრძვის, ორგანიზმიდან გამოაქვს ნივთიერებათა ცვლის ნარჩენები და ტოქსინები.

ფორთოხალი აძლიერებს იმუნიტეტს. დადგენილია, რომ ვიტამინები, იმ ნივთიერებებთან ერთად, რომლებსაც ფორთოხლის ქერქი შეიცავს და მას ყვითელ ფერს ანიჭებს, სტიმულს აძლევს ორგანიზმს ანტისხეულების გამოსამუშავებლად, ეს კი, თავის მხრივ, აძლიერებს ორგანიზმის გამძლეობასა და სხვადასხვა ინფექციისაგან დაცვას; ასევე, იცავს ორგანიზმს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან.

გარდა ამისა, ფორთოხალი ამცირებს კიბოს წარმოშობის რისკს. კუჭში დალექილი ნიტრატები წარმოქმნის კანცეროგენულ ნივთიერებებს, მასში შემავალი C ვიტამინი კი მათ წარმოქმნას აფერხებს.

თუ ყოველდღიურად ერთ ცალ ფორთოხალს შეჭამთ, შემცირდება თრომბის წარმოქმნის რისკიც.

ჯანმრთელი ადამიანისთვის უზმოზე ფორთოხლის ჭამა აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას, ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ფორთოხლის წვენის ინტენსიური სმა და, საერთოდ, ციტრუსების მიღება, ალერგიულ რეაქციებს იწვევს.

საუზმეზე დალეული ფორთოხლის ახალგამოწურული წვენი ენერგიით აგავსებთ მთელი დღის განმავლობაში, ოღონდ, წვენი მომზადებისთანავე უნდა დალიოთ, რადგან ვიტამინების ნაწილი სწრაფად იშლება; სამხარზე კი მთლიანი ფორთოხალი მიირთვით, რადგან ქერქში არსებული პექტინები აკონტროლებს ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს.

თუ გსურთ, ზედმეტი კილოგრამები მოიშოროთ, კვირაში ერთი დღე განტვირთვის დღედ გამოაცხადეთ და საუზმეზე, სადილსა და ვახშამზე მხოლოდ ფორთოხალი მიირთვით. მასში მცირე კალორიებია, სამაგიეროდ, ბევრი უჯრედისია, რაც შიმშილის გრძნობას გარკვეული დროით თრგუნავს.

ახლა სწორედ ფორთოხლის სეზონია, ამიტომ, გაითვალისწინეთ ამ ციტრუსის სასიკეთო თვისებები და გამოიყენეთ ის ორგანიზმის დასაცავად მთელი სეზონის განმავლობაში.

## ბრინჯი გულ-სისხლძარღვთა პრობლემებს მოგიგვარებთ, სოია კი სიმსივნისგან დაგიცავთ

ბრინჯი ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლო პროდუქტია. ის B ჯგუფის ვიტამინების შეუცვლელი წყაროა, რისი წყალობითაც, ბრინჯის მოყვარულებს ნერვულ სისტემასთან, თმასთან და კანთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათად აწუხებთ. ხოლო, ვიტამინი E, რომელიც ბრინჯში ასევე დიდი რაოდენობითაა, ორგანიზმს დაბერებისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისგან იცავს. შესაძლოა, სწორედ ამაში მდგომარეობს იაპონელების სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლო. ამას გარდა, ბრინჯი მიკროელემენტების ნამდვილი საბადოა. ის დიდი რაოდენობით შეიცავს: რკინას, თუთიას, მაგნიუმს, კალციუმსა და კალიუმს.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლოა ყავისფერი ბრინჯი. ის თეთრი ბრინჯისგან იმით განსხვავდება, რომ გადამუშავების დროს მას მხოლოდ ჩენჩოს აცლიან, დარჩენილი მარცვალი კი ბევრ მიკროელემენტსა და ვიტამინს შეიცავს. ყავისფერი ბრინჯი შეიცავს, ასევე, ეთერზეთებს, რის გამოც მალე ფუჭდება. უმჯობესია, ბრინჯი ორთქლზე მოხარშოთ, რათა ვიტამინები არ დაიკარგოს.

რაც შეეხება სოიას, მას ხშირად განიხილავენ როგორც ხორცეულის შემცვლელ პროდუქტს. ამ მცენარეს უნიკალური თვისებები აქვს. ბევრი სხვა მცენარეული პროდუქტისგან განსხვავებით, სოია ადამიანის ორგანიზმს უზრუნველყოფს არა უჯრედისით, არამედ, სრულფასოვანი ცილით. სოიისგან ამზადებენ რძის პროდუქტების შემცვლელებსაც, მაგალითად, სოიის რძეს, იოგურტს, ხაჭოსა და ყველს. მასში შემავალი ცილა ყველა მცენარეულ ცილასთან შედარებით უფრო სრულფასოვანია, თანაც, ის სოიაში გაცილებით მეტია, ვიდრე ხორცში. ცილის გარდა, სოია საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს კალციუმს,

რომელიც აახალგაზრდავებს ორგანიზმს და ებრძვის სიმსივნის განვითარებას. ასევე, შეიცავს ჰორმონის მაგვარ ნივთიერებას – ფიტოესტროგენებს, რაც არც ხორცშია და არც თევზში. ამიტომ, აუცილებლად მიირთვით სოია (ოღონდ, ცხადია, არ უნდა იყოს გენმოდიფიცირებული); მნიშვნელობა არ აქვს, რა სახით, მაგრამ, აუცილებლად შეიტანეთ ის თქვენს რაციონში.

### ნიახურის წვენით ადვილად გაუმკლავდებით ავიტამინოზს

ნიახურის წვენი დიდი რაოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ ნატრიუმს. იმის გამო, რომ ნიახური ოთხჯერ მეტ ორგანულ ნატრიუმს შეიცავს, ვიდრე კალციუმს (რაც კალციუმის ხსნადობას უზრუნველყოფს), ის ყველაზე სასარგებლო წვენია მათთვის, ვინც ფართოდ მოიხმარს კონცენტრირებულ შაქარსა და სახამებელს. ნებისმიერი საკვები, რომელიც კონცენტრირებულ შაქარს შეიცავს, მაგალითად, უალკოჰოლო სასმელები, კანფეტები, ნაყინი და ასე შემდეგ, მიეკუთვნება კონცენტრირებული ნახშირწყლების კლასს. ასეთი საკვების დიდი რაოდენობით მიღება აზიანებს ორგანიზმს და იწვევს ბევრ დაავადებას.

კალციუმი ორგანიზმისთვის აუცილებელია, მაგრამ, ის უნდა იყოს ბიოლოგიურად აქტიური და ორგანული. როცა იხარშება კალციუმის შემცველი ნებისმიერი საჭმელი, ის ავტომატურად არაორგანულში გადადის, უხსნადი ხდება, ვერ კვებავს უჯრედებს და ადამიანის ორგანიზმი მას ვერ ითვისებს. ასეთი საკვები ახშობს ორგანიზმს და ვითარდება ისეთი დაავადებები, როგორიცაა: ართრიტი, დიაბეტი, გულის კორონარული დარღვევები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ბუასილი, ქვების დაგროვება ნაღვლის ბუშტში და ასე შემდეგ. ასევე, ორგანიზმში იზრდება გადაუმუშავებელი კალციუმის რაოდენობა, რაც მეტად არასასურველია. სწორედ ასეთ დროსაა აუცილებელი ორგანული ნატრიუმი, რომელიც ათავისუფლებს ორგანიზმს ამ დანალექებისგან. ნატრიუმი, ასევე, დიდ მონაწილეობას იღებს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ პროცესებში, მაგალითად, სისხლისა და ლიმფის გათხელებაში.

ნიახურის წვენის მიღება არეგულირებს ორგანიზმის ტემპერატურას.

ორგანული ნატრიუმის უკმარისობა იწვევს ბრონქულ და ფილტვების დაავადებებს, ნაადრევ სიბერეს, განსაკუთრებით – ქალებში.

ნიახურის წვენით ავიტამინოზის მკურნალობისას საოცარი შედეგებია მიღებული. ნიახური მდიდარია მაგნიუმითა და რკინით, სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებები კი გამოწვეულია, ძირითადად, ორგანიზმში არაორგანული მინერალური ელემენტებისა და დამამშვიდებელი პრეპარატების ნარჩენების დაგროვებით. ნიახურისა და სტაფილოს წვენების ნარევი კარგი საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ჩავიტარო გვირილის ნაყენის 20-წუთიანი მჯდომარე აბაზანები სოკოვანი დაავადების დროს და აქვს თუ არა ამას ეფექტი?**

პასუხი: ჯობია, მიმართოთ გინეკოლოგს, რომელიც დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას. დღეს ეს მეთოდები ჩანაცვლებულია შედარებით თანამედროვე საშუალებებით: ვაგინალური სანთლებით, აბებით.

**კითხვა: ვარ 25 წლის გოგო. ძალიან მოვიმატე წონაში, რის გამოც სტრიები გამიჩნდა მუცელზე, მკლავების შიდა მხარეს, თეძოებზე და ცოტა მკერდზეც (ჯერ კიდევ წითელი ფერისაა), რასაც საშინლად განვიცდი. იქნებ, მირჩიოთ სახლის პირობებში სტრიების გაქრობის ყველაზე ეფექტური გზა? პროფესიონალის რჩევა მჭირდება.**

პასუხი: დაუყოვნებლივ მიმართეთ ენდოკრინოლოგს, გამოსარიცხია ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია ან კუშინგის სინდრომი (დაავადება).

**კითხვა: ტრავმატოლოგმა დამისვა დიაგნოზი: მარჯვენა მუხლის სახსრის კვირისტავის მედიალური იოგის დაზიანება/კვირისტავის ლატერალიზაცია. მითხრა, რომ საჭიროა ოპერაცია – კვირისთავის მედიალური იოგის პლასტიკა. არის თუ არა ამ შემთხვევაში ოპერაცია ერთადერთი გამოსავალი, თუ, შესაძლებელია სხვა ტიპის მკურნალობაც?**

პასუხი: ამ შემთხვევაში მკურნალობა ოპერაციულია.

**კითხვა: საკუთარი კბილი საშუალოდ რამდენი წელი გამიძლებს?**

პასუხი: ეს დამოკიდებულია თქვენი კბილების და თქვენს ზოგად ჯანმრთელობაზე. თუ კბილი დაზიანებული არ არის, შესაძლოა, ცხოვრების ბოლომდეც კი გაგიძლოთ.

**კითხვა: რას ნიშნავს გიიენ-ბარეს სინდრომი და რა ემართება ამ დროს ადამიანს?**

პასუხი: გიიენ-ბარეს სინდრომი პერიფერიული ნერვული სისტემის ერთ-ერთი დაავადებაა, რომელიც პერიფერიული დამბლების ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია. ამ დროს ხელებსა და ფეხებში ირღვევა მოძრაობითი ან მგრძნობელობითი ფუნქციები. ზოგს აღენიშნება სხვადასხვა ჯგუფის კუნთების ტკივილი. ხშირად პაციენტებს უძნელდებათ ყლაპვა, გაორებული აქვთ მხედველობა. მგრძნობელობის დაკარგვა და კუნთების სისუსტე იწყება ქვედა კიდურებში და რამდენიმე ხანში ზედა კიდურებზეც ვრცელდება. ზიანდება მიმიკური კუნთები, დაავადების მძიმე შემთხვევაში კი ირღვევა შარდვის გამოყოფაც. საბედნიეროდ, გიიენ-ბარეს სინდრომი ერთ-ერთია იმ მძიმე დაავადებებს შორის, რომელიც, სწორი მკურნალობისას, უმრავლეს შემთხვევაში, პაციენტთა სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება.

**კითხვა: ვარ 22 წლის და ამ ბოლო პერიოდში შევამჩნიე, რომ უმიზეზოდ მიბუჟდება მარცხენა ხელი, რაც რამდენიმე წუთი გრძელდება. რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

პასუხი: უნდა მიმართოთ ნევროპათოლოგს. შესაძლოა, მიზეზი ხერხემლის კისრის ნაწილის ოსტეოქონდროზია, ან განსაზღვრული ცხოვრების წესი და საქმიანობა, რომელიც ხელების ერთ პოზიციაში ხანგრძლივად გაჩერებას მოითხოვს. ბოლო წლებში, კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელებასთან ერთად, ეს სინდრომიც გახშირდა, თუმცა, კონკრეტული მიზეზის დადგენა მხოლოდ ექიმთან უშუალო ვიზიტის შემდეგ არის შესაძლებელი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### ნევროლოგიური დაავადებების დროს C ვიტამინი აუცილებელია

ბოლო დროს ჩატარებული კვლევებით მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ, თუ თავის ტვინის რომელიმე სენით დაავადებული ადამიანი სამკურნალო პრეპარატებთან ერთად C ვიტამინსაც მიიღებს, მკურნალობის ეფექტი მეტი იქნება, რადგან, C ვიტამინი თავის ტვინში პრეპარატების შეღწევას აიოლებს. კერძოდ, ასკორბინის მჟავის დამატება პრეპარატებს ჰემატოენცეფალური ბარიერის გადალახვაში ეხმარება, ჩვეულებრივ მდგომარეობაში კი ტვინში ნივთიერებების შეღწევა გაძნელებულია.

ექიმების მოსაზრებით, C ვიტამინის ამ თვისების გამოყენება მნიშვნელოვნად გააადვილებს შიდსის, ასევე, სხვა ნევროლოგიური დაავადებების, კერძოდ კი, ეპილეფსიის, პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადებების მკურნალობას.



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# ვისი სირეგვენე აგიჟებდა ლადო ასათიანს და რას სთხოვდა ის აბასთუმნიდან ცოლს

*„ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა*
*ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა!*
*ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, -*
*ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა...”*



დღეს მინდა, ძალიან ახლოდან გაგაცნოთ ამ და კიდევ სხვა ბევრი ლამაზი სტრიქონის ავტორი, ლადო ასათიანი – ადამიანი, რომელიც ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან. მეუღლისადმი და მეგობრისადმი მიწერილი მისი პირადი წერილებით გაიგებთ, თუ რა დიდი სულის ადამიანი იყო ის, რა სტკიოდა, რა უხაროდა, რაზე ოცნებობდა, როგორ წერდა ლექსებს... რამდენიმე მათგანი შევკრიბე და მისი ცხოვრების დღიურებში გადმოვეცი.

### მეუღლეს, ანიკო ვაჩნაძეს

ანიკო, ძვირფასო! როსტოვიდან ლისკში ჩავედით. გზაში ძალიან ცუდად ვიყავი. ახლა ლისკში ვარ (ლამის 5 საათია) და ვორონეჟისაკენ მივდივართ. ნეტავ რად მივდივარ, ვიცოდე მაინც, ან, რა მომელის?!

შენ, ალბათ, კარგად ხარ, დადიხარ თბილისის ცის ქვეშ არხეინად...



ლადოს მეუღლე ანიკო

სურათები თუ გამოიტანე? იყავი კარგად და კარგად. მომიკითხე ნიკა და სხვ.

*გკოცნის შენი ლადო ასათიანი.*
*6.11.1939.*
*ლისკი.*

***

ანიკუშა! გაზეთი და წერილი მივიღე. როდის დაიწყე ასეთი მოკლე წერილების წერა? შენ თუ ცუდ ხასიათზე ხარ, მერე მე რა დავაშავე? ცუდ ხასიათზე რომ იყავი, მაშინ უფრო მწერდი, მგონი და, ახლა რა მოგივიდა, ა? პასუხს მოგწეროო. რას ჰქვია, პასუხს მომწერ... ხომ იცი, რომ მე მიყვარხარ და, მიყვარხარ არა ისე, როგორც უყვართ, არამედ, უფრო მეტად და სხვანაირად, ამიტომ, ასეთი რამეები არ არის საჭირო.

ახლა ერთ რამეს გეტყვი: ამ თვის ბოლოს შვებულება აიღე... იქნებ, ჩემი წიგნის დარჩენილი ჰონორარის აღება მოახერხო, შენც ხომ მიიღებ ფულს და ჩამოდი. აქ, საჭმელი, ხომ იცი, იშოვება... თუ ფეხმძიმობა ძალიან არ შეგაწუხებს და თუ სუსტად არ იქნები, აგვისტო აქ რომ გავატაროთ, არაფერი გიჭირს, მეც შენთან ერთად უზომოდ გავიხარებ... ასე თუ მოხერხდება, ეს გავაკეთოთ, ძალიან გთხოვ, შენთვისაც კარგი იქნება. მერე აქედან ერთად წავიდეთ. სხვაგან წასვლაზე კი ვერ დაგეთანხმები, შენზე გაბრაზებული ვარ. დღეს შენს წერილს ველი, თუ მივიღე, შეგირიგდები. ასე. გკოცნის შენი ლადო ასათიანი.



ლადოს მეუღლე ანიკო ვაჩნაძე

*12.7.1940.*
*აბასთუმანი.*

***

ანიკუშა, გენაცვალე! მივიღე შენი გამოგზავნილი „თაობა," წერილებითურთ. მივიღე ყურძნის წვენი. რად გინდოდა ამდენი ყურძნის წვენი, ა? რას ხარჯავდი ამდენ ფულს, გქონდეს მაინც?! ეჰ, ჩემო ანიკო, არავითარი საჭირო არ იყო ამდენი „ხლაფორთი", რა საჭიროა, თუ ღმერთი გწამს, ა? უშენოდ ამ ერთი თვის მეტს ვერ გავჩერდები. ანიკო, გენაცვალე! გამიგე და მომწერე, – რადიანი თუ არის თბილისში, გაზეთში გიორგი ნატროშვილია თუ ის. მომწერე ეს მალე. ნახე ჟაკი და ჰკითხე თავისი მისამართი და მომწერე, ქუჩა ვიცი, მაგრამ ნომერი არ მახსოვს, კოტე მესხის... არ ვიცი.

ო, ჭირიმე, კაპიკი ფული არა მაქვს უკვე და სამი თუმანი ვალიც მაქვს.

ერთი კიდევ: „თაობაში" გამიგე, № 6-ში ლექსი თუ იბეჭდება ჩემი, ანდა, საჯაიამ თუ მიუტანა ნიკას ლექსი, ორი ლექსი აქვთ მანდ ჩემი. მოიწერე ამაზეც. ნიკა აგიაშვილს რა მოუვიდა, რომ არაფერს მწერს? პრეზიდიუმი თუ იყო? ასე, ჩემო გოგო, შენ რომ ამდენი რალაცეები გამომიგზავნე, მე რა გამოგიგზავნო? ალია შოვშია, ხომ?

ასე ჩემო ანიკო! როგორც მე გეუბნები, ისე მოიქეცი, ნუ გეშინია, ჯერ არ მოვკვდები. გკოცნის შენი ლადოია.

საჩქაროდ მომწერე წერილი. მომიკითხე ხალხი და დედაშენი.

*შენი ლადო ასათიანი*
*24.VII.1940.*
*აბასთუმანი.*

***

ანიკო, გენაცვალე! მივიღე ფული და გავაგრძელე კიდეც ვადა 1-მდე. ძალიან კარგად ვარ, ოღონდ შენი ამბავი მაწუხებს. შეწუხებული იქნები, მაგრამ ყველაფერს დაგავიწყებ, რაც გაჭირვება გინახავს.



ლექსები თუ მიიღე, თუ მიიტანე, როგორაა საქმე? ხომ იცი, როგორც ვწერდი, ისე, „ჩვენს თაობაში". იმ ერთი ლექსის გარდა, რომელიც მაგათი ანგარიშით № 7-ში უნდა დაიბეჭდოს, კიდევ აქვთ ერთი ლექსი „ასათიანური" და, თუ არ დაბეჭდავენ, გამოართვი.

ბიჭები ხომ არ ჩამოსულან თბილისში? ალბათ, 1-სათვის ჩამოვლენ. ალიოშა ხომ არ ჩამოსულა? ლექსები არ დამიბნიო, გიგზავნი ცნობას, მაგრამ, რად გინდა?

*გკოცნის შენი ლადო ასათიანი*
*14.8.1940.*
*აბასთუმანი.*

***

ჩემო ანიკო! წაიკითხე ახლა ეს წერილი და გაიგე ერთხელ და სამუდამოდ, როგორ არის საქმე და როგორ უნდა მოიქცე. რომ მწერ, ზამთარში მანდ დარჩიო, ზამთარში აქ ძალიან მკაცრი სიცივე იცის, საჭიროა კარგი თბილი ოთახი, შეშა, ნავთი, საჭმელი, ესენი კი ზამთარში აქ ძალიან ძნელი საშოვნელია, ბაზარი იხურება, სურსათი თითქმის არ იშოვნება, შეშა არ არის. ტყეები რომაა, ხომ არ გგონია, აქ ბევრი შეშა იყოს? ოჯახები, რომლებიც აქ ცხოვრობენ, აქედანვე იმარაგებენ შეშას, სურსათს და ყველაფერს. ჩემსავით მარტოკაცის ცხოვრება აქ ზამთარში შეუძლებელია. ასე მირჩია ყველამ – ექიმებმაც და სხვებმაც. მერე, მე, კიდევაც რომ მქონდეს ეს პირობები, ხომ იცი, რანაირი კაციცა ვარ, ჩემი თავის მოვლაც როგორ შემიძლია, ხომ იცი?!



ლადოს ცოლ-შვილი

აქ ზამთარში მხოლოდ ისეთი ოჯახები არიან, რომლებიც საკმაოდ შეძლებულნი არიან და რამდენიმე წელია ცხოვრობენ. ზამთარში აქ ამდენი ხალხი კი არ არის, ერთი დუქანია და მეტი არაფერი. მერე, სხვას რომ თავი დავანებოთ, სამსახურზე აქ ერთი ამბავია, ერთი ადგილის გათავისუფლებას ოცი კაცი შეჰყურებს... როგორც ხედავ, მე აქ ზამთარში ასე ვერ დავრჩები. თუ შენ შეგიძლია, მოაწყო ეს ყველაფერი – ოთახიც იშოვნო, შეშაც, სამსახურიც, ფულიც და სურსათიც, დიდი სიამოვნებით, მაგრამ... ვერც შენ და ვერც მე ამას ვერ შევძლებთ. თბილისში უნდა დავბრუნდე, უნდა ვიმუშაო სადმე და რეჟიმით უნდა ვიცხოვრო. ასე კი არ კვდება ხალხი, ექიმობს და ცოცხლობს. ნამეტან ახსნა-განმარტებებს და მსჯელობებს თავი დაანებე, მე შენზე უფრო მინდა ყველაფერი. უკვე აღარ შემიძლია წერა, ისე მომეშალა ნერვები. თბილისში დავბრუნდები, დავწყნარდები და, სადაც დაწყნარებულად ვიქნები, იქ უკეთესია ჩემთვის და ჩემი ავადმყოფობისათვის. რა ვქნა, შენ ძალიან შეწუხდები, ფეხმძიმედ ხარ, საერთოდ ხალხის შეწუხება კიდევ სირცხვილია. ამიტომ, თბილისში ეცადე ისევ ბინის

შოვნას. მოვრჩები, ნუ გეშინია. არჩილმა კიდევ გამსინჯა და უკეთესი მდგომარეობააო. მერე, ჩემი ავადმყოფობა, ხომ იცი, სხვანაირია, ნელ-ნელა მიდის. ჩემი გამოგზავნილი ამანათი თუ მიიღე? ფული არ მაქვს 5 მანეთის მეტი და ფეხსაცმელიც დამეხა. ასე, ჩემო ანიკო, მე უშენოდ ერთ თვესაც ვერ გავჩერდები, გინდა აქ იყოს და გინდა სხვაგან, ასეა ეს!

***შენი ლადო***
***1940. აბასთუმანი.***

***

ანიკო! მივიღე შენი წერილი. მე არა მიშავს. დღეს დავითვალე და უკვე 10 ახალი ლექსი აღმომაჩნდა... კაცო, რა ეშმაკი მოუვიდა „ერთცახე" წიგნს, მაგან გამიჩინა მე ჭლექი, უკვე თვენახევარი გავიდა და კიდევ არაა. დღეს ვარ კარგად, ფოსტალიონმა მითხრა, დიდი წერილია შენიო. წიგნი მეგონა, მივედი და, შენი და რეზოს წერილები იყო.

მოიწერე დაწვრილებით, ბავშვი როგორაა. წიგნი თუ იქნა, გამომიგზავნე.

***შენი ლადო ასათიანი***
***10.3.1941.***
***აბასთუმანი.***

***

ანიკო, გენაცვალე! გიგზავნი ლექსებს (სულ 6 ლექსია), მიეცი სიმონ ჩიქოვანს... „მნათობისათვის". უნდა დაიბეჭდოს აუცილებლად ასე – ექვსივე, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მინდა; თუ რაიმე შეიცვლება, თუნდაც ერთი სიტყვა, არც მაშინ მინდა, არაფერია აქ შესაცვლელი, არც სადაოა რამე. აგვისტოს ნომერში რომ დაბეჭდონ, კარგი იქნება. ისევ გიმეორებ: თუ ასე დაიბეჭდება, თორემ, არ მინდა. იცოდე, გავგიჟდები, რომ სხვანაირად რამე მოხდეს, ქვეყანას შევაწრიალებ. თუ დაბეჭდვა გადაწყვიტონ, მაშინ, მანქანაზე რომ გადააბეჭდინებენ, მერე ნიკას შეადარებინე, თორემ, შეცდომები იქნება და გავგიჟდები. თუ ასე არ დაიბეჭდოს, მაშინ გამოართვი, არ დაკარგო, შეინახე, ნურავის ნუ აჩვენებ, ჩუმად და წყნარად გააკეთე ეს. კიდევ გიმეორებ, თუ ასე არ დაიბეჭდება, არ მინდა, კარგად დაიმახსოვრე. სხვას არავის მისცე, სიმონი ჯობია, ან – კარლო. საგზურისას რას შვრები, უკვე მითავდება ვადა. როგორც გწერდი, ერთი თვის იშოვნე კიდევ, მეტი არ მინდა, მალე, თორემ, აქ ახლა ერთი ამბავია. წერილები და ცნობა თუ მიიღე? საგზური თუ მოხერხდეს, გზის ფული გამომიგზავნე და, ან ქუთაისში წავალ და ან მანდ ჩამოვალ. ასე, გენაცვალე, საჩქაროდ გააკეთე ეს, ანიკო. ლექსებს არაფერი ჩხიკინი არ დაუწყო, არ გადამრიო, შვილივით გაბარებ, იცოდე!..


ლადოს და

***გკოცნის მრავალს შენი ლადო ასათიანი.***


ლადო მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად

***

ჩემო ანიკო! გამოგიგზავნე ქეთო დადიანის ხელით „მანი კრუპა" და წერილი, ალბათ, მიიღებდი. ამ წერილს ისე ვწერ საჩქაროდ, ბორჯომში ჩააგდებს კაცი. მე არა მიშავს, ვარ ისე, ნელთბილადო, რომ იტყვიან... ეს ხველება ვერ მოვიშორე.

ანიკო, ასე, ამ თვის დამლევისათვის, თუ მოახერხო, ცოტა ფული გამომიგზავნე გზის ფულად და გზაში რომ მეყოს; შეიძლება, სულ მალე დამჭირდეს წამოსვლა. ხომ იცი, ეს რას ნიშნავს?! შეიძლება, სხვანაირად დატრიალდეს საქმე. ისე კი არ მინდა ფული. იქნებ, წამოსვლაც იქნეს საჭირო სულ მალე, ეს იცოდე.

მე კი არ მინდა, ძალიან კარგად ვარ ამ სიცხეში აქ და ამიტომ ვთხოვ განგებას, ცოტა ხანს, სანამ ეს სიცხეები გათავდებოდეს, ნუ გამომაგდებს აქედან, თანაც, გაძლიერებულ კვებაზე ვარ გადაყვანილი. ანიკო, შენ გენაცვალე, იქნებ ახლა სასაცილოც იყოს წიგნების გაგზავნ-გამოგზავნა, მაგრამ, ერთი წიგნი მჭირდება, ძალიან მჭირდება, ერთ რაღაცას ვწერ და, ის თუ არ მექნა, ვერაფერს ვერ გავაკეთებ. ეს წიგნი არის ჩემი მაგიდის უჯრაში, რომელში – არ ვიცი, ერთ-ერთში იქნება, პირველად ზევითა უჯრაში ნახე – მარცხნივ რომ ზევითა უჯრაა. წიგნს სათაური არა აქვს, კანი შემოხეული აქვს, პატარა, თხელი, თეთრი წიგნია, თავზე აწერია, მგონი, „ქართველები უძველეს დროში", თუ „ქართველების უძველესი ადგილმდებარეობა". აი, ეს წიგნი გამომიგზავნე ვინმეს ხელით, თუ ქალი ხარ. თუ დავრჩი აქ, ძალიან მჭირდება. გიგზავნი წიგნის ზომას (ქაღალდს), რომ უფრო კარგად მიაგნო. მანდ მედო სულ მაგიდაზე პატარა, თხელი, თეთრი წიგნი. ასე, აბა, შენ იცი, თუ გამიკეთებ ამას.

მანანა როგორ არის? ავად იყოო, იწერებოდი...

კარგად დაუკვირდი, სხვა არ გამომიგზვნო. თუ ზევით უჯრაში არაა, მერე მარჯვენა ქვეითაში ნახე. იყავი კარგად. წერილი მომწერე, აკოცე მანანას.

* * *

## რევაზ მარგიანს ძმაო რეზო!

მივიღე შენი ბარათი სწორედ იმ დროს, როცა შენთვის წერილის მოწერას ვაპირებდი და, ჰა, გწერ კიდეც. საყვედურს ვერ მივიღებ, ძმაო, არ დამვიწყებიხარ. სხვა?! საღამოებს მართავთ და მართავთ. ალიოშა მწერს, რეზო საღამოსთვის ემზადება, დატვირთულიაო. ჯაბუშანურის საღამო... ახლა შენგელიას საღამოც იქნება თურმე, მაგრამ ლექსებს თვითონ რომ ვერ წაიკითხავს?! თუმცა მერე რა, ჟაკი წაიკითხავს, ალბათ...

მე ვარ საშუალოდ, არც იქით, არც აქეთ. უკვე მომწყინდა, იდიოტობაა ირგვლივ. ჩემთან ერთად ისვენებს პროკოფი რატიანი. იცი, ალბათ, ვინცაა. ავად არის ისიც. კარგი ბიჭია, ოღონდ, ლაპარაკი უყვარს ისეთების, ჩვენ რომ ვიცით... შენზე თქვა: მდაა, მარგიანი! ია ეგო ზნაიუ, ნიჩეგო სებე, ნიჭიერი, იმედისმომცემი ახალგაზრდაა, დახმარება სჭირდებაო... – ვიხრჩობი სიცილით...

რაც შეეხება „ვინმე" კრიტიკოსს, სულელია მაგ საწყალი... მაგისი ასე და ისე! მაგისი გასაბითურებელი თუ ვარ, მაგასაც ნახავს მაგ უთავო, მაგი! ბიჭო, მე, კაცი, რომელიც ლექსისთვის ვარ დაბადებული, რომელსაც ნახევარჯერ არ მძინავს, რომელსაც სტრიქონი არ დამიწერია ყალბი, ერთი ცუდი საქმე არ ჩამიდენია, მაგან უნდა გამაბითუროს, მაგ სულელმა?! როდის წერდენ, თუ ძმა ხარ, გრიგოლ ორბელიანი და გრიშაშვილი ფიროსმანზე, ა?! ან, თუ გინდა, სხვები წერდნენ, განა ჩემი ფიროსმანი ვინმესას ჰგავს, ან, მე ისე მესმის ფიროსმანი, როგორც სხვებს ესმოდათ?! თუ ამას ჩვენს მწერლობაში ერთი ჭკვიანი კაცი იტყვის, მე ხელს ვიღებ ყველაფერზე. მაგრამ მაგ სულელმა არ იცის, რომ ფიროსმანზე თითო-ოროლა სტრიქონი თუ ვინმეს აქვს აქა-იქ, თორემ, მთელი თავისი შემოქმედებისათვის არავის არ დაუკავშირებია ფიროსმანი, მე კი ჩემს ცხოვრებასა და ამ უილბლო კაცის ცხოვრებას შორის მოვნახე რაღაც ნათესაური. მე ფიროსმანის „პრიმიტივი" მესმის როგორც მაღალი ხელოვნება. ყოველი დიდი კულტურული პოეტი ასე რომ აკეთებდეს (ეს ტერმინი ფიროსმანს არ უდგება, მაგრამ არაფერია!) ლექსებს, როგორც ფიროსმანი თავის სურათებს, რაღა გვიჭირდა მაშინ! ფიროსმანის უზრუნველობა მინატრია მე ჩემი ლექსებისათვის. კაცს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი – ხატავს, მორჩა და გათავდა. რამდენი „კულტურული" მხატვარი ინატრებდა მის სურათებს! ვიმეორებ, ყოველი ჭეშმარიტად კულტურული პოეტი ისე უნდა წერდეს ლექსს, როგორც ნიკო ფიროსმანი წერს თავის სურათებს. თუმცა ფიროსმანი ნასწავლი მხატვარი არ იყო, მაგრამ ნიჭმა გადაწყვიტა ყველაფერი, ნიჭი ქმნის კულტურას. რა თქმა უნდა, უდიდესი ბედნიერებაა, როცა კულტურული პოეტიც ხარ, ნიჭიერიც და, ფიროსმანის სურათების გვარად უბრალო და ცოცხალ ლექსებს ქმნი. აი, ეს არის, რეზო, ჩემი ნატვრა! განა სიყვარულზე რომ წერდნენ, ჩვენ აღარ უნდა ვწეროთ იმავე სიყვარულზე?! მეც ვწერ და, სხვანაირად რომ ვწერ, ამის გამოცნობა ჭკვიანს არ გაუჭირდება და სულელებისათვის მე არ ვწერ... ეს უნდა ყველამ იცოდეს... მე მართალი კაცი ვარ, ჩემი ლექსების თემა მუდამ საქართველოა... იჭია-ბიჭია, ცრუ პატრიოტიზმი ჩემი საქმე არ არის. აი, ასეთი თანამედროვე პოეტი ვარ და ასეთი თანამედროვეობა მწამს მე, მორჩა და გათავდა! ვინც ეს არ იცის, ის სულელია, ეს ბევრმა არ იცის, არ იცის ოთხმოცდაათმა პროცენტმა მაინც. ნიკა აგიაშვილმა კარგად იცოდა ეს, მაგრამ მაგას, მგონი, გაუშრა სახელოვანი ქაიხოსრო აგიაშვილის სისხლი! მაგას ესმოდა კაცის და მაგანაც უგვერდა ახლა?!


ლადოს მშობლები

ასეა, რეზო, არც შეიძლება, სხვაგვარად იყოს, ასეა და ასე იქნება სიკვდილამდე, ეს ვარ მე! ეს, რასაკვირველია, შენ კარგად იცი, მაგრამ მაინც გწერ, რომ გული ვიჯერო. მომკლა, ბიჭო, ამდენმა სირეგვნემ!.. გკოცნის

***შენი ლადო ასათიანი.***

**ეკა პატარაია**

**დღეს ჩვენ გვერდით უამრავი გაჭირვებული ადამიანი ცხოვრობს. ბევრი მათგანი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და ყველაფრის იმედი დაკარგული აქვს. როგორც პარაფსიქოლოგი ქალბატონი ირინა ამბობს, ეს არასწორი პოზიციაა, რადგან, სასოწარკვეთით საქმე არ კეთდება. მისივე თქმით, ძველი, გამოცდილი მეთოდების გათვალისწინებით, შესაძლოა, რეალობა უკეთესობისკენ შევცვალოთ. ამისთვის კარგად უნდა დააკვირდეთ, რა მოქმედებს თქვენზე უარყოფითად, რას მოაქვს წარმატება და, მიხვდებით, რა უნდა გააკეთოთ, რომ წარმატების კოდი გაააქტიუროთ და ოპტიმიზმი დაიბრუნოთ.**

# რომელ პერიოდში უნდა ვაკონტროლოთ ფინანსები და სურვილები განსაკუთრებით და რაზე მეტყველებს მოზღვავებული ენერგია



**ირინა**: უიღბლობასა და ცუდ განწყობას ადვილად დააღწევთ თავს, თუ ამას გულით მოინდომებთ; ასევე, საკუთარი ძალებითვე შეძლებთ მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებას, თუ საცხოვრებელს სწორად მოაწყობთ. სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანები სულიერ განტვირთვას, ძალების მობილიზებასა და სიმშვიდეს პოულობენ. თუმცა, ბევრს, ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, მაშინვე თავს ახსენებს უიღბლობა და პრობლემები. სახლი თანამედროვე ადამიანისთვის არა მხოლოდ საცხოვრებელი ადგილი, არამედ, წინასწარმეტყველური მინიშნების საშუალებაცაა. ყოველმა ჩვენგანმა ისე უნდა მოაწყოს ბინა, რომ თავი კომფორტულად და ენერგეტიკულად დაცულად იგრძნოს.

**– გამიგია, რომ, თუ ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას სახლიც გრძნობს და შესაბამისადაც რეაგირებს.**

– დიახ, სწორია, ამიტომ, ცუდი განწყობა და უგუნებობა სახლის კარს იქით დატოვეთ და შინ ხალისითა და ღიმილით შეაბიჯეთ. ასაკოვანი ხალხისგან გამიგია წესები, რომლებსაც უკვე საუკუნეებია, ტრადიციულად იცავს ბევრი ოჯახი და, დარწმუნებულები არიან, რომ ეს მათ უბედურებასა და უიღბლობას აცილებს თავიდან. ეს ცრურწმენები კი არა, ეზოთერიკული წესებია, რომელთა გათვალისწინებითაც თავს ვიცავთ. მაგალითად, ფული რომ არ გამოგელიოთ ჯიბეში, ნუ ჩაიყოფთ შარვლის უკანა ჯიბეებში ხელებს და ასე ნურც ივლით. არ დადგათ ცარიელი ბოთლი მაგიდაზე; გვიან, მზის ჩასვლის შემდეგ, სახლი არ გამოგავოთ.

**– როგორც მივხვდი, სამყაროში თითოეულ ქცევას თავისი შედეგი მოაქვს. სწორია?**

– რასაკვირველია. აქვე, მინდა გითხრათ ისიც, რომ კარმული ჩავარდნის პერიოდში ადამიანი უბარაქობის მსხვერპლი ხდება, შემდეგ კი აუცილებლად მოდის კარმული ალმასვლის პერიოდი და სიტუაციაც გამოსწორდება. ეს პერიოდები ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაში დგება. კარმული დაღმასვლის პერიოდში კი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ საკუთარი თავის მიმართ, მეტად უნდა აკონტროლოთ ფინანსები და სურვილებიც კი. როცა მოზღვავებულ ენერგიას გრძნობთ, ეს ალმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წარმატების მისაღწევად. კოსმოსში ადამიანი საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული დაღმასვლის პერიოდში გზავნის. სწორედ ამიტომ გითხარით, რომ ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ და მეტი სიფრთხილით უნდა გაიაროთ ეს პერიოდი.

**– ასევე, გამიგია, რომ არსებობს რჩევები ეზოთერიკაში, რომლებიც ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება და საქმეს ამ მხრივ უიოლებს. იქნებ, დაგვარიგოთ, როგორ მოვიქცეთ?**

– ყველა ოთახში არსებობს ადგილები, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი. მაგალითად, ასეთი ადგილია შემოსასვლელი კარი. მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ, სულ მოწესრიგებული უნდა გქონდეთ, განმენდილი და სუფთა. არ უნდა დადოთ შესასვლელში ჭუჭყიანი ნივთები, უნდა გააფორმოთ ნათელი ნახატებით და ყვავილებით. ეს ადამიანს სახლში შესვლისთანავე სასიცოცხლო ენერგიით ავსებს, წარმატებისკენ მიმავალ გზას უხსნის და, აქტიური მოქმედების შედეგად, კარგ შემოსავალსაც უქადის. ასეთი განწყობით კი ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრას და ნეგატიური ენერგიის განეიტრალებას ადვილად შეძლებთ. ბევრი ჩვენგანი დიდი სიყვარულით უფრთხილდება და ინახავს ზოგიერთ ნივთს და, ზოგჯერ, გაუცნობიერებლად, მათ მიმართ უცნაური ლტოლვაც გვიჩნდება. მაგალითად, ერთ დღეს, შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ, ტანსაცმელს ან სამკაულს, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ, ერთგვარი თილისმური ძალა აქვს – ავი თვალისგანაც გვიცავს და წარმატების მიღწევასაც გვიადვილებს. სხვათა შორის, ფინანსური პრობლემაც შეგვიძლია თავად გადავჭრათ, თუ კარგად დავაკვირდებით საკუთარ სამოსს, სამკაულებსა და აქსესუარებს, რომელსაც ყოველდღიურად ვატარებთ.

**ერთ დღესაც შესაძლოა, აღმოვაჩინოთ, რომ ტანსაცმელი ან სამკაული, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვატარებთ, ერთგვარი თილისმური ძალის მქონეა, ავი თვალისგანაც გვიცავს და წარმატების მიღწევასაც გვიადვილებს**

**– ესე იგი, ტანსაცმელი, რომელშიც თავს კომფორტულად ვგრძნობთ, შესაძლოა, ჩვენი ერთგვარი თილისმა და დამცავია?**

– დიახ, მას თილისმური ძალა აქვს და ეს ბევრმა არ იცის. დააკვირდით, რომელი ფერის ტანსაცმელში გრძნობთ თავს უფრო კომფორტულად; გიმართლებთ თუ არა იმ დღეებში, როცა ამ ფერის სამოსი გაცვიათ და თავად მიხვდებით, რომ ის თქვენი დამცველია და ერთგვარი მაგიური გავლენაც აქვს.

**– პირად საუბარში აღნიშნეთ, ეზოთერიკაში არსებობს წესები, რომლებიც საცხოვრებელში ფინანსების მოზიდვასა და ბედნიერების კოდის გაძლიერებას უწყობს ხელსო. ალბათ, ეს ბევრს დააინტერესებს.**

– ის გამიკვირდება, თუ ეს ვინმეს არ დააინტერესებს ***(იცინის)***, თორემ, ინტერესი რომ გაუჩნდებათ, ეს ბუნებრივია. მოკლედ, გასწავლით ერთ მარტივ წესს, რომელსაც საცხოვრებელში ფინანსებისა და ბედნიერების მოზიდვა შეუძლია: აიღეთ ღრმა თეფში, დადგით ოთახის კუთხეში, ჩაყარეთ მასში ერთი მუჭა ბრინჯი, შაქარი, ხორბალი და ბლის პატარა, დამტვრეული ტოტები. ყოველი თვის პირველი კვირის ორშაბათს კი ჩაყარეთ მასში ხურდა ფული. თუ ასე მოიქცევით, ბარაქა არ მოგაკლდებათ. როცა თეფში აივსება ხურდა ფულით, შაბათს ან კვირა დღეს, ეს ხურდა მათხოვრებს დაურიგეთ. ერთი ხურდა ფული კი თეფშში ჩატოვეთ და ისევ დაიწყეთ დაგროვება, რომ კვლავ შეჭირვებულ ადამიანებს დაეხმაროთ. ეს ქველმოქმედება ბედნიერებასა და ფინანსურ შემოსავალს მოგიტანთ; ხორბალი – დოვლათისა და ნაყოფიერების სიმბოლოდ, ბრინჯი – სიმდიდრის, შაქარი – სიტკბოს, ბლის ტოტები კი – ავი თვალისა და ნეგატიური ენერგიის გამანეიტრალებლად მოიაზრება. როცა მათში ხურდა ფულს დააგროვებთ, ის თქვენზე ასევე ტკბილად, დოვლათიანად, ნაყოფიერად და პოზიტიურად იმოქმედებს და თქვენი ფინანსური და პირადი საქმეები უკეთ წავა.

**ნონა დათეშიძე**

## რომანტიკა აუცილებელია!

შუა საუკუნეები წარსულს ჩაბარდა... აღარ არიან აღარც რაინდები და აღარც გმირები, რასაც ქალები, თავიანთი რომანტიკული ბუნებით, ძნელად ეგუებიან. რომანტიკა, რა თქმა უნდა, საჭიროა, აუცილებელიც კი; სხვანაირად, ცხოვრება ძნელი იქნებოდა. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გმირები ხელოვნურად უნდა შევქმნათ ჩვენს წარმოსახვაში. ქალები ამას ჩიხში შეჰყავს და, როცა რეალობას აწყდებიან, იმედგაცრუება პანიკაში აგდებთ.

ზღაპრებში ცუდი არაფერია, მაგრამ, მათგან პოზიტივი უნდა მივიღოთ და არა ნეგატივი. რომანტიკა აუცილებელია, ოღონდ, ურთიერთობაში და არა ფანტაზიებში. არსებობენ ქალები, რომლებიც ძერწავენ და ქმნიან გმირებს, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა. თუ არ იცით, ეს როგორ გააკეთოთ, ჯობია, საერთოდ არ მოჰკიდოთ ხელი საქმეს, რომელიც მარცხს განგაცდევინებთ. უმჯობესია, გიყვარდეთ რეალური ადამიანი თავისი ნაკლით, ვიდრე მითიური პერსონაჟი – უნაკლო აბსურდულობამდე. რისთვის გჭირდებათ ზღაპარში ცხოვრება, ეს ხომ საინტერესო არ არის?! ცხოვრება ბევრად უკეთესია, ადამიანები კი თავიანთი ინდივიდუალურობითა და ორიგინალურობით არიან საინტერესოები.

რომანტიკა მოსწონთ კაცებსაც, თუმცა ისინი ამაში გაცილებით მოზომილები არიან და ეს კარგია. გული ნუ დაგწყდებათ ზღაპრულ უფლისწულებზე, ისინი არც ისეთი უნაკლოები არიან, როგორც ზღაპრებში აღწერენ...

## ყველაფერს შევძლებ!

„მე თავად შევძლებ ყველაფერს...“ „მოვერევი ყველა პრობლემას“, „შეუძლებელი არაფერია, მთავარია, ძალიან, ძალიან მოვინდომო“... – ძალიან მარტივი მეთოდია, იმუშაო საკუთარ თავზე და ჭეშმარიტად მიაღწიო დასახულ მიზანს. აუტოტრენინგი ქალსაც და კაცსაც ერთნაირად სჭირდება. საკუთარი თავის რწმენა დაგეხმარებათ ბედნიერების პოვნაში. თუ არ გჯერათ, რომ ყველაფერი შეგიძლიათ, რომ პრობლემების მოგვარებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით, ცხოვრება კიდევ უფრო გაგირთულდებათ. სულერთია, როგორია თქვენი რეალობა ახლა, ყველაფერი მაინც თქვენზეა დამოკიდებული.

მთავარია, საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების გჯეროდეთ, მერე ფრთებსაც გაშლით და არც დაბრკოლებები შეგაშინებთ.

სხვათა შორის, ქალები უფრო ადვილად ახერხებენ ამას. მამაკაცებს მარცხი აშინებთ და იშვიათად მიდიან რისკზე, ხოლო, როცა მიდიან, არცთუ იშვიათად აგებენ, რადგან, რისკავენ იქ, სადაც არ უნდა გარისკონ.

ქალს შეუძლია, ჩაუნერგოს მამაკაცს საკუთარი თავის რწმენა. მამაკაცი უფრო სუსტია და ადვილად მართვადიც; უბრალოდ, ზოგიერთმა ქალმა არაფერი იცის საკუთარი შესაძლებლობების შესახებ.

რესურსი ყველა ადამიანშია, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ხარისხის, მაგრამ, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ხშირად უთხარით საკუთარ თავს და თქვენს რჩეულსაც, „მე ყველაფერი შემიძლია!“ – და, მართლაც შეძლებთ ყველაფერს.

## მე ასეთი ვარ!

შეიძლება, დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ, არცთუ ისე ცოტანი არიან წყვილები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში არიან ერთად და ამ ხნის განმავლობაში არცერთხელ არ უჩხუბიათ; ყველა პრობლემას, რომელიც მათ უჩნდებათ, ისინი მშვიდად განიხილავენ.

ყველა ოჯახს ბედნიერების საკუთარი ფორმულა აქვს. ზოგი წყვილი ჩხუბობს და მაინც ერთად არის... ერთი სიტყვით, სხვებს ნურასდროს მიჰბაძავთ. იყავით ის, ვინც ხართ. საყვარელმა ადამიანმაც ისეთი უნდა მიგიღოთ, როგორიც ხართ და თქვენც ზუსტად ასევე უნდა მოიქცეთ, რადგან, განხეთქილება ადამიანებს შორის სწორედ ერთმანეთის გადაკეთების სურვილს მოაქვს.

სისულელეა, ქოთანში ია იყოს ჩარგული და მისი ნაძვის ხედ გადაკეთება სცადოთ. შესაბამისად, ვერაფრით შეუცვლით ადამიანს ხასიათს, ვერ გადააჩვევთ მის ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვევებს – ეს გამორიცხულია და ყოველი მცდელობა გამოიწვევს მძაფრ უკურეაქციას. დაიწყეთ თქვენით: ჯერ მიიღეთ საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხართ სინამდვილეში. უკეთესობისკენ შეცვლა, პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ, ნუ დაატანთ თავს ძალას, ნუ გახდებით ისეთი, როგორიც უნდათ სხვებს, თუნდაც საყვარელ ადამიანს და ნუ მოითხოვთ იმავეს იმისგანაც.

ხშირად უთხარით საყვარელ ადამიანს: „გმადლობთ, რომ ჩემ გვერდით ხარ“, „რა ბედნიერებაა შენთან ერთად ცხოვრება,“ – მთავარია, სიყალბეში არ დაგადანაშაულონ. ეს ბედნიერი, მშვიდი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

## როლები შეიცვალა!

დღეს რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, დავინახავთ, რომ ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის – ურთიერთობის ფორმაც და ბალანსიც. ბევრია ისეთი შემთხვევა, როცა ქალი, თავის მეუღლესთან შედარებით, იერარქიული კიბის ზედა საფეხურზეა და ამაში გასაოცარი არაფერია. უბრალოდ, როცა ქალი ძალიან აქტიურია, მამაკაცი თავის როლს ვეღარ ხედავს, რაც მის თვითშეფასებაზე უარყოფითად მოქმედებს. „შეცვლილი როლები“ იწვევს ჩხუბს, კონფლიქტებს, გაუგებრობებსა და სერიოზულ განხეთქილებასაც კი და, თუ გონიერებას არ გამოიჩენთ, განქორწინება გარდაუვალი იქნება.

მამაკაცი, როგორი პროგრესულიც არ უნდა იყოს ის, ძნელად ეგუება ქალის გაზრდილ როლს ცხოვრებაში, მით უმეტეს, თუ ის ამბიციურია, მამაკაცების დიდი უმრავლესობა კი სწორედ ასეთია.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენი მეუღლე აღფრთოვანებით არ შეხვდება თქვენს სურვილს, გაიკეთოთ კარიერა, მით უმეტეს, თუკი პარალელურად, ნებსით თუ უნებლიეთ, უმოქმედებაში ადანაშაულებთ – ბრალს სდებთ, რომ ზარმაცია და შურს თქვენი. კაცს წარუმატებლობა დეპრესიაში აგდებს. მხოლოდ იშვიათ გამონაკლისებს შეუძლიათ, დაბრკოლება სტიმულად აღიქვას და წინსვლა განაგრძოს. ცდებით, როცა ფიქრობთ, რომ ის ვალდებულია, თავად დაძლიოს პრობლემები, თქვენი დახმარების გარეშე და, საერთოდ არ ხართ ვალდებული, მხარში დაუდგეთ. თუ გიყვართ, თუ მასთან გინდათ ცხოვრება, თქვენი წარმატება მისთვის ტრაგედიად არ უნდა აქციოთ.

სიყვარული, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიდეს უკანა პლანზე – მთავარი ეს არის და არა თქვენი კარიერული წარმატება. ეს წარმატებაც მისთვის – საყვარელი მამაკაცისთვის უნდა გინდოდეთ და მხოლოდ მაშინ იქნება თქვენი ურთიერთობა სრულფასოვანი.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სპორტი - სილამაზე, მხნეობა და ჯანმრთელობა

ახალი წელი ახლოვდება. შესაბამისად, შეგვეცვლება კერძების ასორტიმენტი და, ზოგადად, ცხოვრების რეჟიმიც. ამიტომ, წინასწარ უნდა დაიჭიროთ თადარიგი და ახლავე დაიწყეთ გარეგნობაზე ზრუნვა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მარტო დიეტა არ იქნება საკმარისი. აუცილებელია, შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი სპორტის ერთ-ერთი სახეობა, ან, სულაც, რამდენიმე სახეობის „ასორტი" შეადგინოთ. მაგალითად: დილით – ძუნძული (ან გამამხნევებელი ვარჯიში აივანზე); საღამოს – ველოსიპედით სეირნობა; კვირაში ორჯერ – საცურაო აუზი ან წყლის პროცედურები სახლის პირობებში. ერთი სიტყვით, არჩევანი დიდია, ოღონდ, უსათუოდ უნდა დაიცვათ „ოქროს წესი" – არც ერთი ვარჯიში არ გამოტოვოთ დაზარების, მოუცლელობის ან სხვა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზის გამო.



თუ დიეტის დაცვა გიჭირთ, მაინც აუცილებლად გჭირდებათ რამდენიმე ზედმეტი კილოგრამის მოშორება და, როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად გაახალგაზრდავება, სპეციალისტის დახმარებით, შეადგინეთ ვარჯიშების ექსპრეს-კომპლექტი. გაითვალისწინეთ და შეასრულეთ გამოცდილი კოსმეტოლოგის რჩევები და მიირთვით დიეტოლოგის კოქტეილები, რომლებსაც ასევე გამოცდილი დიეტოლოგი დაგინიშნავთ. მაგრამ, კიდევ შეგახსენებთ, რომ სასურველი შედეგის მიღების თავი და თავი, უპირველეს ყოვლისა, ინტენსიური ვარჯიშია და, სულაც არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად რა სახის ვარჯიშებს შეარჩევთ.

სხვათა შორის, გამოკითხული ქალბატონების 34-მა პროცენტმა აღიარა, რომ დიეტისა და კანის კოსმეტიკურ მოვლაზე მეტად, სპორტმა დაუბრუნა მათ ახალგაზრდობა – შინაგანადაც და ვიზუალურადაც.

თუ ვარჯიშების პარალელურად, კონკრეტული დიეტის დაცვის არც დრო და არც საშუალება არ გაქვთ, ან, უბრალოდ, გეზარებათ, სამსახურში ატაროთ რამდენიმე კონტეინერი სალათებითა და სხვა დიეტური საკვებით, შეგიძლიათ, ამ შემთხვევაში, გამოძებნოთ მარტივი და სასარგებლო ალტერნატივა:

1) დაივიწყეთ ცომეული, ტკბილეული და სხვა სასუსნავები;

2) უარი თქვით 19 საათის შემდეგ ნებისმიერი საკვების მიღებაზე;

3) დაივიწყეთ გაზიანი სასმელები და მზა წვენები. შეცვალეთ ისინი გაზგასული მინერალური და ჩვეულებრივი სასმელი წყლით (რომელშიც, შეგიძლიათ, შეურიოთ ჩაის კოვზი თაფლი და ნახევარი ლიმონის წვენი), სახელდახელოდ მოხარშული უშაქრო კომპოტით ან ახალგამოწურული ხილის წვენით (გააზავეთ 1/3 წყალში).

თუ ამ მარტივი წესების დაცვა არ დაგეზარებათ, იმათზე გაცილებით უკეთეს ფორმაში შეხვდებით ახალ წელს, ვინც ჩვენს რუბრიკას არ კითხულობს.

# „3 ექსპრეს-დიეტის" №3 დიეტა

***დიეტოლოგებმა მას „სწორი დიეტა" უწოდეს. ის 14 დღე გრძელდება და, თუ ყველაფერს ზუსტად დაიცავთ, უმტკივნეულოდ და მყარად დაიკლებთ 5-7 კილოგრამს.***

***ამ დიეტის დაცვის დროს კატეგორიულად აუცილებელია დილის საუზმე: ყავა ან მწვანე ჩაი (1 კოვზი თაფლით), 1 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ნაჭერი ტოსტი, 1 ნაჭერი ყველი (შეგიძლიათ ყველი ხაჭოთი ჩაანაცვლოთ). დანარჩენი დღის განმავლობაში კი ერთი და იმავე მენიუთი უნდა იკვებოთ მთელი 14 დღე: ხილის სალათა, ტოსტი, ჩაი, ყავა, მჭლე ხორცი, უცხიმო თევზი, ბოსტნეული, დიეტური რძის პროდუქტები.***

**პირველი დღე**

***სადილი:*** 150 გრამი მოხარშული მჭლე ხორცი უმი ან მოთუთქული ბოსტნეულის გარნირით; უშაქრო ჩაი, ყავა ან წყალი.

***ვახშამი:*** 150 გრამი მოხარშული თევზი, თითო ცალი კიტრისა და პომიდვრის სალათა, 1 ნაჭერი ტოსტი; მწვანე ჩაი უშაქროდ.

შუალედებში – ხილი. წყალი – 2 ლიტრამდე.

**მეორე დღე**

***სადილი:*** უცხიმოდ მოხარშული ბრინჯი ძალიან ცოტა მარილით, ხილის სალათა; უშაქრო ყავა ან ჩაი.

***ვახშამი:*** 150 გრამი მოხარშული უცხიმო ხორცი (ფრინველის ან საქონლის) ბოსტნეულის გარნირით, 1 ჩის ჭიქა უცხიმო კეფირი.

შუალედებში – იგივე.

**მესამე დღე**

***სადილი:*** მოხარშული თევზი – თინუსი; ბოსტნეულის სალათა; 1 ცალი გრეიპფრუტი.

***ვახშამი:*** რაგუ ბოსტნეულითა და მოხარშული მჭლე ხორცით; 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი.

შუალედებში – იგივე.

**მეოთხე დღე**

***სადილი:*** 2 ცალი მოხარშული კვერცხი; 100 გრამი უცხიმო ხაჭო; 1 ცალი პომიდორი, 1 ნაჭერი ტოსტი; უშაქრო მწვანე ჩაი ან ყავა.

***ვახშამი:*** მოხარშული წიწილა; ისპანახი; 1 ცალი ვაშლი; გაზგასული მინერალური წყალი.

შუალედებში – იგივე.

**მეხუთე დღე**

***სადილი:*** უცხიმო ყველის ასორტი (3-4 პატარა ნაჭერი); ისპანახის სუპ-პიურე, თითო ცალი პომიდვრისა და კიტრის სალათა ყველანაირი მწვანილით; უშაქრო ყავა.

***ვახშამი:*** 150 გრამი უცხიმო ხაჭო; ბოსტნეულის სალათა; უშაქრო მწვანე ჩაი.

შუალედებში – იგივე.

**მეექვსე დღე**

***სადილი:*** ფრინველის მოშუშული ხორცი; ბოსტნეულის სალათა; 1 ცალი გრეიპფრუტი; ყავა.

***ვახშამი:*** 300 გრამი ხილის ასორტი, ჩაი.

შუალედებში – იგივე.

**მეშვიდე დღე**

***სადილი:*** მოხარშული ფრინველის ხორცი ცოცხალი ბოსტნეულის გარნირით; 1 ჩაის ჭიქა კეფირი, 1 ცალი გრეიპფრუტი.

***ვახშამი:*** მოხარშული ხბოს ხორცი მოთუთქული ბოსტნეულის გარნირით. 1 ცალი ვაშლი. უშაქრო მწვანე ჩაი.

შუალედებში – იგივე.

თითოეული ულუფის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდას 250-300 გრამს, ბოლო კვება კი არ უნდა გადააცილოთ 18 საათს. თუ დაძინებამდე ძალიან მოგშივდათ, მიირთვით 1 ცალი ვაშლი, 1 ჭიქა მაწონი, 1 ცალი უმი სტაფილო ან 1 ცალი უმი ბულგარული წიწაკა.

მერვე დღიდან მეთოთხმეტე დღის ჩათვლით, თავიდან ბოლომდე გაიმეორებთ პირველ 7 დღეს.

ამ დიეტის განმეორება შეიძლება მხოლოდ 2-3-კვირიანი შუალედის შემდეგ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ვიცი, რომ სახის კანზე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს სტრესი. როგორ უნდა მოვუარო სახის კანს ასეთ შემთხვევაში?**

**პასუხი:** კანზე სტრესი მართლაც ძალიან მძაფრად მოქმედებს – შედეგად, კანი დუნდება, კარგავს ფერსა და ელასტიკურობას, ჩნდება წვრილი ნაოჭები. არსებობს ამ პრობლემის მოგვარების რამდენიმე ხერხი, მაგალითად, სახის ოსტეოპათიური მასაჟი და აკუპუნქტურა. ოსტეოპათი ეხმარება კანს, შიგნიდან აღიდგინოს ახალგაზრდობა, ასწორებს ნაოჭებს და ხელს უწყობს საერთო რელაქსაციას; ნემსოთერაპია (აკუპუნქტურა) კი მუშაობს ზედაპირზე: ის ეხმარება კანს ელასტინისა და კოლაგენის გამომუშავებაში; ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ლიმფოდრენაჟს და, რაც მთავარია, იწვევს ენერგიის ადეკვატურ ცირკულაციას. აკუპუნქტურის შედეგად, სწორდება ნაოჭები, მცირდება თვალების ქვეშ გაჩენილი „ტომსიკები", ცხრება კანის შეშუპება, იჭიმება კანი თვალების გარშემო და იკვეთება სახის ოვალი.

**კითხვა: როგორ მოვუაროთ თმას დღის განმავლობაში?**

**პასუხი:** დღეში 3-4-ჯერ გაშლილი თითებით „დაივარცხნეთ" თმა შიგნითა მხრიდან, ძირებიდან – ღერების ბოლოებამდე, შემდეგ კი მთელ სიგრძეზე ჩამოივარცხნეთ ნატურალურჯაგრისიანი სავარცხლით. ხმარებიდან ამოიღეთ ხშირკბილებიანი სავარცხლები. აგრეთვე, არასასურველია ისეთი სავარცხლის გამოყენება, რომელსაც ბოლოში გაგანიერებული კბილები აქვს – ისინი შეამცირებს ვარცხნილობის მოცულობას. თუ თმის დახვევა გსურთ, გამოიყენეთ მსუბუქი ფიქსაციის საშუალებები სტაილინგისთვის.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# ინტიმური საუბრები

### ჩემს დებს ვერაფრით ვეხმარები

ვართ სამი და. ისეთი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან, ყველა ჩვენ შემოგვნატროდა. ერთმანეთის შვილებს საკუთრებში ვერ ვარჩევდით და სამივემ ერთად გავზარდეთ ბავშვები. მამა რომ გარდაიცვალა, რიგრიგობით ვრჩებოდით დედასთან თვეობით ან ჩვენთან მიგვყავდა. ერთხელაც არ მომხდარა ჩვენ შორის არანაირი უსიამოვნება, მეგობრებიც კი საერთო გვყავდა და, ისედაც, ერთ წრეში ვტრიალებდით.

ერთ დღეს კი ისე მოხდა, რომ ჩემი უფროსი დის, ანას ქმარს, სოსოს, რაღაც თანხა დასჭირდა და მეორე დამ, ინგამ ასესხა: თან, ისე მოხდა, რომ იმ დროს ინგას ქმარი, კოკა, თბილისში არ იყო, ინგა ვერ დაუკავშირდა, ისე მისცა ფული სოსოს (საკმაოდ მსხვილი თანხა). კოკა რომ დაბრუნდა, ინგამ უთხრა, ფული სოსოს ვასესხე და ორ კვირაში დაგვიბრუნებსო. მაგრამ ვერც ორ კვირაში და ვერც ორ თვეში ვერ დააბრუნა, არადა, თურმე, ის ფული კოკასი არც იყო. ამიტომ, იძულებული გახდა, მივიდა თავის ქვისლთან და აუხსნა მდგომარეობა, იმან კი საკმაოდ უხეშად უპასუხა: რა ვქნა, მაქვს და არ გაძლევ? როცა რამე გამომიჩნდება, აუცილებლად დაგიბრუნებ, მაგრამ, კონკრეტულად როდის, არ ვიციო. ამის გამო კაცებს შორის კარგა სერიოზული შელაპარაკება მოხდა. მე და ჩემს ქმარს არც ფული გვქონდა და არც რამე ნივთი (რომ გაგვეყიდა ან დაგვეგირავებინა) და ვერანაირად ვერ დავეხმარეთ. მაშინ ანამ თავის დაქალს გამოართვა ოქროს ნივთები, დააგირავა და ნაწილი ვალი იმით დაუბრუნა კოკას, მაგრამ, ახლა იმ სამკაულის პროცენტები ვეღარ გადაიხადა და იმ გოგოსაც ყველაფერი დაუკარგა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა. მოკლედ, ის დაქალიც დაკარგა, იმისი ნივთებიც და საკუთარი დაც, რომ აღარაფერი ვთქვა სიძეზე. შესაბამისად, ბავშვებიც საკმაოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რასაც კატასტროფულად განვიცდი დღემდე, მაგრამ ვერაფერს ვშველი. ის კი არა, შარში ვარ გახვეული: ანა ბრაზობს, რატომ მაქვს ურთიერთობა ინგასთან; ინგა კი იმაზე მებუტება, ანამ ასეთ დღეში ჩამაგდო და რატომ ელაპარაკებიო. მოკლედ, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ცხადია, ვერც ერთს ვერ დავკარგავ, მაგრამ, რომ ვერც ვარიგებ?!

ისე კი, ანას ქმარს ვამტყუნებ ძალიან: როცა უახლოეს ადამიანს ამხელა თანხას ართმევ და ვეღარ უბრუნებ, მაშინ, ნება უნდა იბოძო და, ან მანქანა გაყიდო, ან მიწის ოთხი ნაკვეთიდან ერთ-ერთი. ის კი არცერთს არ იმეტებს და გაიძახის, ეგ რა ნათესაობაა, თუ ყველაფერი გამაყიდვინაო. ამ ყველაფრის გარდა, ინგას ძალიან სერიოზული უსიამოვნება აქვს თავის ქმართან და ის კაციც არ არის მტყუანი – ცოლს იმაზე ეჩხუბება ყოველდღე, უჩემოდ როგორ მიეცი ამხელა თანხა თუნდაც დას, ხომ იცოდი, რომ ჩემი ფული არ იყოო. მოკლედ, ვატყობ, რომ ინგას მალე დაენგრევა ოჯახი, ანას და სოსოს კი აქეთ აქვთ დიდი გული და, მგონი, სულაც არ ანაღვლებთ, რაც ჩაიდინეს.

არაფერი მაქვს გასაყიდი, თორემ, მე მივცემდი იმ თანხას, ოღონდ კი რამე საშინელება არ მოხდეს, მაგრამ, მთელი უბედურება ისაა, რომ ვერაფერს ვშველი და, თან, ორივესთან მიფუჭდება ურთიერთობა. რომ ვმუშაობდე მაინც, კრედიტს გამოვიტანდი, მაგრამ, ეს ვარიანტიც გამორიცხულია. ჩემს ქმარს კი უკვე გამოტანილი აქვს კრედიტი, იმასაც ძლივს ფარავს და, ნამდვილად ვერ ვეტყვი, ახალი კრედიტი აიღე-მეთქი.

აი, ასეთ ორ ცეცხლს შორის ვარ ჩავარდნილი და, არ ვიცი, როგორ ვუშველო ჩემს დებს.

**მარინა, 38 წლის.**

### მშობლები ცუდ მაგალითს მაძლევენ

20 წლის ვარ, საკმაოდ ბევრი და სერიოზული თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ ჩემი მშობლების შემხედვარე, ალბათ, არასდროს გავთხოვდები; ყოველ შემთხვევაში, 30-35 წლამდე ნამდვილად არ ვიფიქრებ გათხოვებაზე. ქართველი კაცები ჯერ ისედაც არ არიან მზად ოჯახის შესაქმნელად და საპატრონოდ, მით უმეტეს – პატარა ასაკში.

დედაჩემი და მამაჩემი რომ შეუღლდნენ, ორივე 27 წლის იყო. თითქოს არც ისე პატარები იყვნენ და, თან, მართლა ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ, რაც თავი მახსოვს, სულ გაშორება-შერიგებაში არიან. ოფიციალურად კი არ ეყრებიან ერთმანეთს, მამაჩემი დარბის წინ და უკან, ლაწირაკი ბიჭივით დასდევს ქალებს და მერე ისევ ჩვენთან ბრუნდება; დედა კი გადმოყრის ცრემლებს; დაემუქრება, მეტს აღარ გაპატიებ და, კიდევ თუ წახვალ, სახლში აღარ შემოგიშვებო, მაგრამ, მაინც უშვებს. მგონი, მინიმუმ ათჯერ მაინც აპატია და შეურიგდა. უკვე მოზრდილი ვიყავი, დედას რომ ვუსაყვედურე – ასე რატომ ამცირებინებ თავს, ერთხელაც, ადექი და გაშორდი-მეთქი, მაგრამ, პასუხად ისეთი რამ მითხრა, ლამის თვალები გადმომცვივდა გაოცებისგან: რომ იცოდე, რამდენი ქალი შენატრის ჩემს ბედს. მამაშენი ვისთანაც არ უნდა წავიდეს, ბოლოს მაინც მე მიბრუნდება, რადგან, ნამდვილი სიყვარულით მხოლოდ მე ვუყვარვარ, იმათთან კი ერთობაო. ისე გავბრაზდი, აღარ დავინდე და პირდაპირ ვუთხარი – შენი ვის უნდა შურდეს, ნახევარჯერ ვიღაც ბოზებთან არის შენი ქმარი. შენთან მაქსიმუმ ერთ თვეს თუ გაჩერდება, სხვებთან კი ლამის ნახევარი წელიწადი რჩება, თანაც, რაში გჭირდება ვიღაც ოხრებთან ნაკოტრიალები და მათთან ზიარი ქმარი-მეთქი. დედაჩემმა კი, იმის ნაცვლად, იმაზე დაფიქრებულიყო, რაც ვუთხარი, ლამის გამარტყა, ისე გამიბრაზდა; მერე კი მიყვირა, როგორ ბედავ საკუთარ მამაზე ასე ლაპარაკს. შენ ჯერ პატარა ხარ და არ იცი, როგორ უნდა შეუწყო ხელი ქმარს, რომ სამუდამოდ არ გაგექცესო.

მაპატიეთ, მაგრამ, ეგეთი „მიდი-მოდი" ქმრის დედაც ვატირე. ან, როგორ არ ეზიზღება დედაჩემს ათას ქალთან ნამყოფ ქმართან მიკარებაც კი, ვერ წარმომიდგენია.

არ ვიცი, ათი და ოცი წლის შემდეგ როგორ შემეცვლება აზრი ამ საკითხზე, მაგრამ, მე მგონი, სიბერემდე ამ ჭკუაზე ვიქნები. ლამის 50 წლის კაცი თხუთმეტი წლის ბიჭივით რომ დაცუნდრუკობს, ის მართლა არ უნდა შემოუშვა სახლში.

**ია, 20 წლის.**

### ვეძებ რაინდს!

არ ვიცი, რა ვუყო ჩემს ხასიათს. ვაღიარებ, რომ არანორმალურივით ვიქცევი ბიჭებთან მიმართებაში, მაგრამ, რა ვქნა, თავს ვერ ვერევი და სწორედ ამიტომაა, რომ 32 წლის ასაკში მინდვრის თაგვივით მარტო ვარ დარჩენილი (შეყვარებულს ვგულისხმობ).

თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, მართლა ისეთი გარეგნობა მაქვს, ბავშვობიდან ვიქცევდი ბიჭების ყურადღებას და ახლაც არაერთი თაყვანისმცემელი მყავს. მე კი არც ერთი არ მომწონს. არ გეგონოთ, რომ გარეგნობას ან სიმდიდრეს ვგულისხმობ – ეს ჩემთვის მეასეხარისხოვანია. ამხელა ქალი ვარ და, სკოლის ასაკიდან მოყოლებული, ვეძებ ბუნებით რაინდ მამაკაცს, რომელმაც ქალის პატივისცემაც იცის, სიტყვა-პასუხი და საქციელიც დახვეწილი აქვს, ოღონდ, არ გეგონოთ, რომ „დედიკოს ბიჭები" მომწონს.

ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაში ბებიაჩემს ვადანაშაულებ – იმან გამზარდა ასეთი არაამქვეყნიური. თვითონ თავადის ქალი იყო, სხვანაირ საზოგადოებაში გაიზარდა და მეც ისე მზრდიდა, თითქოს სასახლის კარისთვის მამზადებდა. მაგრამ, თეთრი ყვავივით გამოვჩნდი ყველგან.

ძალიან ბევრი ბიჭი დამიწუნებია იმის გამო, რომ სუფრასთან ჯდომა და დანა-ჩანგლის ხმარება არ იცოდა; ან, ხმაურით სვამდა ყავას და ხალხში სალეჭ რეზინს აღლაჭუნებდა. ისეთებიც მომიშორებია თავიდან, საუბრისას მარტივ წინადადებასაც რომ ვერ ამბობდნენ გამართულად და ისეთებიც, ქალის თანდასწრებით უპრობლემოდ რომ ყვებიან უწმაწურ ანეკდოტებს. მოკლედ, გვიან მივხვდი, რომ ჩემი მოსაწონი კაცი, როგორც ჩანს, არ დადის საქართველოში და, ან მარტო უნდა დავრჩე მთელი ცხოვრება, ან კაცების ხეპრეობას უნდა შევეგუო, ანდა სადმე, სხვა ქვეყანაში ვეძებო ჩემი ოცნების მამაკაცი. ცხადია, თუ, ასეთი ქვეყანა არსებობს დედამიწაზე.

**ანა, 32 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ეძიე კაცი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-45(724)**

ლექსოს მაშინვე გაუქრა სახიდან ცინიკური გამომეტყველება და დაბნეულობისა თუ სიბრაზისგან თვალის გუგები გაუფართოვდა, მაგრამ, მაინც მოახერხა თავის ხელში აყვანა, კიდევ ერთი ღერი ამოიღო დაუკითხავად სოფოს კოლოფიდან, სკამის საზურგეს



მიეყრდნო, სიგარეტს მოუკიდა და ქალს დაუფარავი აგრესიითა და სიძულვილით მიაშტერდა, მერე წინ გადაიწია, სახე სახესთან ახლოს მიუტანა და ძალიან დამცინავად ჰკითხა:

– ესე იგი, შენ ხარ ეგრეთ წოდებული სესილი და შენმა დაქალმა დაგავალა, ჩემთან რომანი გაგება? რა უნდა, ველარ ძლებს უჩემოდ და ახლა სხვების დახმარებით მეჩალიჩება? გადაეცი, რომ არაფერი გამოუვა. მე მაგას იმდენი რამე ვაპატიე, წესით, სხვანაირად უნდა მომქცეოდა. რა ეგონა, მე თუ გამაგდებდა, მისი რომელიმე საყვარელი შეირთავდა ცოლად და აშენდებოდა? მიაც და მისი ნაბიჭვარიც ჩემთვის უკვე განვლილი ეტაპია, უსიამოვნო წარსულია, რომელში დაბრუნების სურვილიც ნამდვილად არ მაქვს და ასეც გადაეცი, გაიგე?

სოფო ისე გააგიჟა ლექსოს არაკაცობამ, კინაღამ თავი ვერ შეიკავა და თვალები ამოკაწრა, მაგრამ, დიდი ძალისხმევის შემდეგ, მოახერხა, შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინა სიმშვიდე და უთხრა:

– მე სესილი არ ვარ, სესილის დეიდაშვილი ვარ და, მთხოვა, მე შეგხვედროდი და მისი სიტყვები გადმომეცა, რადგან, ვერაფრით ვერ მოახერხა დღეს მოსვლა. მია კი აქ არაფერ შუაშია.

– მერე, რაში სჭირდებოდა შუამავლები, ვერ დამირეკა? – დაეჭვდა ლექსო.

– ასე მითხრა, ერთხელ უკვე გადავადებინე პაემანი და, ახლაც რომ იგივე ვუთხრა, ეგონება, რომ ველადავები და გაბრაზდებაო.

– რაო, რა დაგაბარა სესილიმ? – ლექსოს შეეტყო, რომ სოფოს სიტყვები დაიჯერა, – დღეს რატომ ველარ მოახერხა მოსვლა?

– სესილის ძმა დიდ ვალში გადავარდა და, რომ არ დაეჭირათ ან არ მოეკლათ, სასწრაფოდ სჭირდებოდა დიდი თანხა, რომელიც ვერ იშოვა. ამიტომ, სესილიმ ორ დღეში გაყიდა თავისი ბინა და ფული ძმას მისცა. ბოლო სამი დღეა, გადაფორმებაზე დარბის და ამიტომ ვერ მოიცალა.

– რა?! ბინა გაყიდა და ფული ძმას აჩუქა? თვითონ სად უნდა იცხოვროს?

– მშობლებთან. ის ფული კი ძმას ასესხა, ანუ, როცა იმას მდგომარეობა გამოუსწორდება, დაუბრუნებს. შენთან კი დამაბარა, როგორც კი გადაფორმების საქმეებს მოვრჩები, მე თვითონ დავურეკავო, – უთხრა სოფომ და კინაღამ ხმამაღლა გაეცინა, როცა დაინახა, როგორ უცბად შეეცვალა სახე ლექსოს.

– გადაეცი, რომ ნულარ შეწუხდება.

– რატომ? – ვითომ გაუკვირდა ქალს.

– ვერ ვიტან გამოსირებულ გოგოებს.

– რატომ არის გამოსირებული, ძმას რომ დაეხმარა?

– ჰო, თუნდაც.

– ასე რატომ გაგიფუჭდა ხასიათი, რამე გეგმები ხომ არ ჩაგიშალა სესილის ამ ნაბიჯმა?

– ნუ მეიაზვები, გოგო, ეგ შენი საქმე არ არის, მე რა გეგმები ჩამეშალა. იმ შენს სესილის კი გადაეცი, ნულარ შემეხმიანება, კაროჩე, დამივიწყოს.

– მიას და შენს შვილს არაფერი გადავცე? – ჰკითხა სოფომ და წამოდგა.

– მე შვილი არ მყავს. მიას კი... ჰო, მიას გადაეცი, რომ ბავშვი თავის გვარზე გადაიყვანოს და ნურც ალიმენტის მოლოდინი ექნება ოდესმე. არავითარი სურვილი არ მაქვს, ვილაცის შვილი ჩემს გვარსა და სახელს ატარებდეს, და მე კი ფულს ვუგზავნიდე. რაც უფრო მალე გააკეთებს ამას, მით უკეთესი.

სოფომ ოფიციანტს დაუძახა და დანახარჯი გადაიხადა, მერე მაგიდაზე დადებული სიგარეტის კოლოფი ლექსოსკენ გააცურა და გამამცირავი ღიმილით უთხრა:

– ეს შენ დაიტოვე. მართალია, შენი სიგარეტიც გიდევს ჯიბეში, მაგრამ, რატომღაც, არ გამოაჩინე. ესეც გქონდეს, ცოტა ეკონომია გამოგივა. თან, ხომ იცი, მუქთა ყველაფერი კარგია.

ლექსომ პირი გააღო, რომ საპასუხოდ რამე მწარე ეთქვა, მაგრამ ქალს აღარ დაუცდია მის მოსასმენად და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაფედან.

– თქვენი დედაც, ყველასი ერთად!.. – მიაგინა გაცოფებულმა ლექსომ და მაგიდას მუშტი დაჰკრა. დღევანდელი დღის ასე დასრულებას ნამდვილად არ ელოდა. ხმაურით გააჩოჩა სკამი და წამოდგა. მერე გვერდითა სკამიდან ყვავილებიანი ცელოფანი აიღო, სოფოს დატოვებულ კოლოფში ჩაიხედა, კმაყოფილი სახით ჩაიდო ჯიბეში და კაფედან გავიდა.

... სოფომ ფეხით გასწია სახლისკენ. დრო სჭირდებოდა, რომ მომხდარი გადაეხარშა. თვითონ კიდევ ერთხელ რომ არ გაუმართლა, ეს ყველაზე ნაკლებად ადარდებდა. ახლა იმაზე ფიქრობდა, როგორ ეთქვა ეს ყველაფერი გოგოებისთვის და, კონკრეტულად – მიასთვის, ან, საერთოდ, ეთქვა თუ არა. სახლამდე ისე მივიდა, მთელი გზა ამაზე ფიქრობდა, მაგრამ, ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

სადარბაზოში რომ შეაბიჯა, დაინახა, რომ ლიფტში ვილაცა შევიდა, დაუძახა, დამიცადეო და ნაბიჯს აუჩქარა.

– გმადლობთ, – უთხრა სოფომ და ღიმილით შეხედა უცნობ მამაკაცს, მაგრამ, გაოცებისგან პირი დააღო – მის წინ კიანუ რივზის ორეული იდგა და მაცდუნებლად ულიმოდა.

„აქ პირველად ვხედავ, ნეტავი ვისთან მიდის?“ – გაიფიქრა და თავისდაუნებურად თმა შეისწორა.

– რომელ სართულზე მიბრძანდებით? – ჰკითხა უცნობმა ხავერდოვანი ბარიტონით და ქალი თავიდან ფეხამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– ბოლო სართულზე, – ძლივს ამოიღო ხმა სოფომ და რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ შედარებით თამამად დააზუსტა: – მეცხრეზე.

– მართლა? მეც მეცხრეზე მივდივარ, – თქვა კაცმა და ღილაკს თითი მიაჭირა.

– ვისთან? – უნებურად ჰკითხა სოფომ, – მეცხრე სართულზე სულ სამი ბინაა, ერთში მე ვცხოვრობ, ერთი დაკეტილია – პატრონები უცხოეთში წავიდნენ, ერთი კი ახლახან გაიყიდა და ჯერ არავინ გადმოსულა – რემონტს აპირებენ.

– ჰოდა, გამოდის, რომ თქვენთან მოვდიოდი, – მაცდურად გაუღიმა კაცმა.

– ჩემთან? – თვალები გაუფართოვდა სოფოს, – ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს?

– ჯერ არა, მაგრამ, ახლა გავიცნობთ: მე ალეკო მქვია, თქვენ?

– სოფო, – მექანიკურად უპასუხა ქალმა და სახე შეეჭმუხნა.

– რამე მოხდა? – მაშინვე შენიშნა ალეკომ.

– ისეთი არაფერი, უბრალოდ, რატომღაც, დღეს ყველა და ყველაფერი მეტნაკლებად ამ სახელს უკავშირდება, – უკმაყოფილო სახით თქვა სოფომ და დაამატა: – ამ ლიფტს რაღა დაემართა, რომ მეცხრე სართულამდე ველარ მიაღწია! – მერე ჩანთიდან წინასწარ ამოიღო ბინის გასაღები და კაცს ცოტა დაძაბული ხმით ჰკითხა: – თქვენ მართლა ჩემთან მოდიოდით? ვინ ხართ და რა გნებავთ?

ლიფტი, როგორც იქნა, გაჩერდა და კარი ჯაყჯაყით გაიღო. სოფო კაბინიდან გავიდა და გაუბედავი ნაბიჯით დაიძრა თავისი ბინისკენ. მაგრამ კაცი უცებ წინ გადაუდგა, თავზე ხელი გადაუსვა და ჩუმად უთხრა:

– ვინ ვარ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, რაც მნებავს, ახლავე გეტყვი: მნებავს თქვენი საფულე და ის სამკაულები, რაც თქვენს ხელებს, ყელსა და ყურებს ამშვენებს. თუ თავად ვერ შეძლებთ, მე მოგეხმარებით მოხსნაში, – უცნობმა ღიმილით ჩახედა თვალებში შიშისგან გულგახეთქილ ქალს, ნაზად გამოართვა ხელი, ფრთხილად მოხსნა ბეჭდები და ჯიბეში ჩაიწყო, მერე აკანკალებულ თითებზე აკოცა და „დაამშვიდა“: – ნუ გეშინია, არაფერს გავნებ, – და საყურეების მოხსნას შეუდგა.

სოფო დაჰიპნოზებულივით იდგა გაქვავებული. მხოლოდ ერთ რამეს გრძნობდა: როგორ სათუთად ეხებოდა მამაკაცი ჯერ ყურებზე, მერე ყელზე და, როცა უცნობის დაოსტატებულმა ხელმა ძენკვიც შეხსნა და „მადლობის" ნიშნად ყელზე ნაზად აკოცა, უცებ დაუბნელდა თვალთ და გულწასული მიესვენა მძარცველის მკერდს.

კაცი ასეთ ფინალს არ ელოდა. მექანიკურად აიყვანა სოფო ხელში, ძირს დავარდნილი გასაღები გაჭირვებით აილო და ბინის კარი გააღო. ქალი დივანზე დააწვინა და შეყოვნდა. პირველად თავის ცხოვრებაში, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ქალს გახედა და, რაღაცნაირად, შეეცოდა, ისეთი უმწეო და უბედური მოეჩვენა. მერე სასწრაფოდ ჩაკეტა შემოსასვლელი კარი, სამზარეულო მოძებნა და ჭიქა წყლით აავსო. ოთახში რომ დაბრუნდა, სოფო იმავე მდგომარეობაში დახვდა. კაცი მის თავთან ჩაიცუცქა, ხელი დაისველა და, ჯერ ყურები დაუზილა, მერე კი სახეზე და ყელზე მიასხურა წყლის წვეთები. სოფომ ოდნავ გაახილა თვალი და, რატომღაც, აღარ შეშინებია, ისევ ის სახე რომ დაინახა.

– უკეთ ხარ? – ჰკითხა კაცმა და წამოდგა, – ერთი-ორი ყლუპი წყალი დალიე და კარგად გახდები, – უთხრა და ჭიქა პირთან მიუტანა.

სოფომ მორჩილად დალია და წამოჯდომა სცადა.

– ცოტა ხანს იწექი, – თქვა კაცმა, ოთახი მოათვალიერა, სავარძელზე დადებული დაკეცილი თხელი პლედი აილო და დააფარა, – გინდა, ყავა მოგიდუღო?

– არა, – ჩურჩულით თქვა სოფომ და თვალები დახუჭა.

– კონიაკი ხომ არ გაქვს? ორი ყლუპი სასმელი მთლიანად აღგიდგენდა ძალას.

სოფომ ხელით ანიშნა პატარა ბარისკენ. კაცმა ბოთლი და კარგა მოზრდილი ჭიქა გამოიღო, თითქმის ნახევრამდე შეავსო და ტუჩებთან მიუტანა.

– ამდენს ვერ დავლევ, გავითიშები, – უმწეოდ გაეღიმა სოფოს.

– არ გაითიშები, დალიე, – დააძალა უცნობმა და ძალით გადააყლაპა რამდენიმე ყლუპი.

– შენთვისაც დაისხი, – უთხრა რამდენიმე წუთის შემდეგ სოფომ ჩუმად, – შენც კარგად შეშინდი.

– არა, არ მინდა. შენ უკვე უკეთ ხარ და მე წავალ, – კაცმა კონიაკიანი ჭიქა ჟურნალების მაგიდაზე დადო და უხერხული ნაბიჯით გაემართა კარისკენ.

– არ დამტოვო... – ამოიჩურჩულა სოფომ და თვალები თავისით დაეხუჭა.

სოფოს მთელი ღამე თითქმის უშფოთველად ეძინა. მხოლოდ რამდენჯერმე გაახილა თვალი, რომ შეემოწმებინა, ალეკო ისევ იქ იყო თუ არა და, როცა სავარძლის საზურგეზე მისვენებულ და ჩაძინებულ კაცს დაინახავდა, ისევ მშვიდად განაგრძობდა ძილს.

რომ გაეღვიძა, უკვე კარგად იყო გათენებული. მაშინვე სავარძლისკენ გაიხედა და, ცარიელი რომ დაინახა, შეშფოთებული წამოდგა. ცოტა კი დაბარბაცდა, მაგრამ, აშკარად უკეთ იყო. ჯერ სამზარეულოში გავიდა, მერე აბაზანასა და ტუალეტშიც შეიხედა, მაგრამ ალეკო არსად ჩანდა.

„წავიდა!.." – რატომღაც, შეშფოთებულმა გაიფიქრა და საოცრად დასწყდა გული. მიუხედავად იმისა, რაც გუშინ გადახდა, აზრადაც არ მოსვლია, ბინა დაეთვალიერებინა და შეემოწმებინა, რამე ხომ არ გააყოლა ხელს მისმა ახალმა ნაცნობმა.

ოთახში რომ დაბრუნდა, მხოლოდ მაშინ დაინახა ჟურნალების მაგიდაზე დადგმული ყავით სავსე ფინჯანი და მის გვერდით დაწყობილი გუშინდელი „ნაალაფევი" სამკაული. თვითონვე გაუკვირდა, მაგრამ, ეს ნივთები ახლა უფრო შეუყვარდა. მაშინვე აილო, ჯერ ხელით მოეფერა და სასწრაფოდ გაიკეთა, მერე სავარძელში ჩაჯდა და ფინჯანი აილო. ყავა საკმაოდ შეგრილებულიყო, მაგრამ ასეთი ნეტარებით ცხოვრებაში არ დაულევია. სურნელოვანმა სასმელმა აშკარად გამოაცოცხლა. ცოტა ძალები რომ მოიკრიბა, იქვე დადებული თავისი მობილური აილო და გაუკვირდა, გამორთული რომ დახვდა.

„ეტყობა, ალეკომ გამორთო, ვინმეს რომ არ შევეწუხებინე", – მიხვდა და კმაყოფილმა გაიღიმა, მერე კი ხმამაღლა გაეცინა – ცხოვრებაში პირველად იზრუნა მასზე ასე მამაკაცმა; მართალია, ძალიან საეჭვო პიროვნებამ, მაგრამ, მაინც მამაკაცმა და, თანაც, საოცრად მომხიბლავმა.

სოფოს თვითონვე გაუკვირდა, მაგრამ, უცბად უცნაური სიმშვიდე დაეუფლა – კმაყოფილების, სიხარულისა და ბედნიერების შემცველი. კინაღამ ხმამაღლა სიმღერა დაიწყო. ერთადერთი, რაც ამ განწყობას ჩრდილავდა, ის იყო, რომ არ იცოდა ალეკოს არც გვარი, არც ტელეფონის ნომერი და არც მისამართი, თორემ, ახლავე მოძებნიდა.

„არ მაინტერესებს, ვინ არის და რას წარმოადგენს. ცუდი ადამიანი რომ ყოფილიყო, გული რომ წამივიდა, გადამაბიჯებდა და გაიქცეოდა; ან, სულაც, ბინიდან გაიტანდა ყველაფერს, რაც მოეწონებოდა", – გაიფიქრა და მობილური ჩართო. გოგოებს, ალბათ, ათ-ათჯერ ჰქონდათ დარეკილი. ესემესებიც წაიკითხა. ძირითადად, სწერდნენ, სად ხარ, რა დაგემართა, ხომ მშვიდობააო. ბოლო მესიჯით მიხვდა, რომ დაქალებმა სახლშიც მოაკითხეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ალეკომ კარი არ გაუღო და ამის გაფიქრებაზე კმაყოფილმა გაიღიმა – ახლა მასაც ჰქონდა პირადი საიდუმლო, თუმცა, ზუსტად იცოდა, რომ ეს საიდუმლო მაქსიმუმ შუადღემდე თუ გასტანდა – ნამდვილად არ გაუძლებდა გული, რომ გოგოებისთვის დაწვრილებით არ მოეყოლა ყველაფერი.

„ისე, პრინციპში, მართლაც აწსორებს თავგადასავლები – ერთფეროვნებასაც ახალისებს და ადრენალინსაც გაგრძნობინებს," – გაიფიქრა და ხმამაღლა დაამატა: – ოღონდ, ცხადია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება.

ის იყო, მობილური აილო და გოგოებიდან რომელიმესთან უნდა დაერეკა, რომ ტელეფონი აწკრიალდა – მია რეკავდა.

– ნუ გეშინია, კარგად ვარ! – მაშინვე ჩასძახა ყურმილს.

– გოგო, შენ ნორმალური ხარ? – კიოდა მია, – კინაღამ ინფარქტი დაგვემართე!

– კარგი, დაწყნარდით, ყველაფერი რიგზეა, მე ძალიან კარგად ვარ; ასე კარგად ჯერ ცხოვრებაში არ ვყოფილვარ, მართლა, – გახარებული ხმით უთხრა სოფომ, – თქვენ სად ხართ?

– სად ვართ და, ახლა გამოვედით შენი სამსახურიდან. იქაც გიჟებს ჰგავნან, ვერ გაიგეს, სად გაქრი! ახლავე დაურეკე შენს უფროსს და, რაც გინდა, მოატყუე, ოღონდ კი შენი ხმა გააგონე.

– კარგი, დავურეკავ. თქვენ როდის მოხვალთ?

– რადგან ცოცხალი და ბედნიერი ხარ, საღამოს მოგაკითხავთ სახლში.

– ყველანი?

– როგორც მოვახერხებთ. რა იყო, გინდა რამე?

– არა, უბრალოდ, ძალიან ბევრი მაქვს მოსაყოლი და, მინდა, ყველას ერთად მოგიყვეთ. გუშინ იმდენი რამ გადამხდა, ჭკუაზე არ ვარ, თავი სიზმარში მგონია.

– კარგი, მოვალთ. სხვათა შორის, გუშინ, ეტყობა, განსაკუთრებული დღე იყო ყველასთვის?

– ანუ?

– ანუ, მეც ძალიან ბევრი რამ გადამხდა, რამდენადაც ვიცი, დანარჩენებსაც და, შესაბამისად, მოსაყოლი ჩვენც ბევრი გვექნება. ერთი სული მაქვს, როდის მოვალ, მაგრამ, მანამდე მხოლოდ ერთ რამეს გკითხავ: შეხვდი იმ ალეს?

– ჰო, – მოკლედ უპასუხა სოფომ.

მერე?

– მერე არაფერი, შენი ეჭვები გამართლდა, დანარჩენს კი საღამოს გეტყვი.

– მშვიდობით დაშორდით ერთმანეთს? – ვერ მოითმინა მიამ.

– პრინციპში, ჰო. ნუ გეშინია, ცოცხალი და ჯანმრთელი დაგხვდებით, – გაეცინა სოფოს, – თუმცა, საკმაოდ მძიმე თემებზე გვექნება საუბარი, – სოფომ სწორედ მიასთან ლაპარაკის დროს გადაწყვიტა, მისთვის ყველაფერი მოეყოლა ლექსოზე, რომ უფრო დაცული ყოფილიყო თავისი ყოფილი ქმრისგან.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**




**ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი**

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

***ჩაწერა ხდება წინასწარ.***

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# რა ოპერაცია ჩაატარეს „სიკვდილის ჯაშუშებმა“ სტალინის ბრძანებით



### „სმერშის“ საიდუმლო

სამხედრო კონტრდაზვერვის ამ სპეცსამსახურზე, რომელიც 1943 წელს შეიქმნა და თავზარს სცემდა საბჭოთა კავშირის მტრებს, ახლაც ლაპარაკობენ. მხოლოდ 70 წლის შემდეგ მოეხსნა გრიფი „სრულიად საიდუმლო“ ათობით წარმატებულ ოპერაციას, რომლებიც „სმერშის“ („სიკვდილი ჯაშუშებს“) თანამშრომლებმა ჩაატარეს.

### აგენტი უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში

სამხედრო კონტრდაზვერვის მთავარი დანიშნულება იყო, არა მარტო „აბვერის“ წინააღმდეგ მოქმედება, არამედ საბჭოთა თანამშრომლების ჩანერგვა „რაიხის“ უმაღლეს ეშელონებში, გერმანულ სადაზვერვო სკოლებში, ასევე, დივერსიული ჯგუფების ლიკვიდაცია, სამშობლოს მოღალატეებთან ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „სმერში“ სტალინმა მოიგონა. წამოყენებულ წინადადებას, კონტრდაზვერვისთვის „სმერნეში“ („სიკვდილი გერმანელ შპიონებს“) დაერქმიათ, უმაღლესმა მთავარსარდალმა საფუძვლიანი არგუმენტი შეაგება: „ლაპარაკია არა მარტო გერმანელ შპიონებთან ბრძოლაზე, ჩვენთან სხვა ქვეყნების სადაზვერვო ჯგუფებიც აქტიურად მოქმედებენ. დავარქვათ, უბრალოდ – „სმერშ“. რა თქმა უნდა, სტალინს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყველა წევრი დაეთანხმა. ახალი ორგანო მისი პირადი ხელმძღვანელობით შეიქმნა „აბვერთან“ საბრძოლველად, რომელმაც კრემლშიც კი შეაღწია.

დაწყებული 1942 წლის გაზაფხულიდან „აბვერმა“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „ვერმახტის“ მზადებას ზაფხულის შეტევაზე კავკასიასა და სტალინგრადზე. ამ მიზნით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სამდივნოში გერმანელებმა ბრიგადის კომისარი – ვლადიმირ მინიშკი ჩანერგეს. მინიშკი ომამდე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომელი იყო, 1941 წლის ოქტომბერში კი ვიაზმასთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა. „აგენტი 438“ – ასეთი მეტსახელი მიიღო მან „აბვერში,“ რამდენიმე დღით ადრე სტალინგრადის ბრძოლის დაწყებამდე. მინიშკიმ კარგად მოირგო მზვერავის როლი, ის წერდა პროტოკოლს სახელმწიფო კომიტეტის სხდომების დროს და გერმანიის დაზვერვის ცენტრს საკმაო ინფორმაცია მიაწოდა, მათ შორის, სტალინგრადის მიმართულების ჯარებისა და ქალაქის დაცვის ღონისძიებების შესახებ. „აგენტ 438-ის“ ხელში ჩაგდება ვერ მოხერხდა. როგორც ამბობდნენ, სტალინი თავის თავს არ ჰგავდა, საკმაოდ ეტყობოდა, რომ განრისხებული იყო. 1942 წლის გაზაფხულზე ხარკოვთან მომხდარი კატასტროფა, პაულიუსის არმიის მარშით სვლა სტალინგრადისკენ, გერმანული სადაზვერვო სკოლებისა და სადივერსიო ჯგუფების გააქტიურება, კარნახობდა ისეთი სპეცსამსახურის შექმნის აუცილებლობას, რომელსაც უნარი ექნებოდა, არა მარტო წინააღმდეგობა გაეწია „აბვერისთვის“, არამედ ეჯობა მისთვის.

### ოპერაცია „ბერეზინო“

გერმანიის დაზვერვას საგრძნობი დარტყმა მიადგა 1944 წლის ზაფხულში ოპერაცია „ბერეზინოს“ ჩატარებისას. 1944 წლის ზაფხულში ბელორუსიის ტყეებში ალყაში აღმოჩნდა 2 000-ზე მეტი გერმანელი პოდპოლკოვნიკ შერხორნის ხელმძღვანელობით. „აბვერმა“ ოტო სკორცენს დაავალა, ალყაში მოქცეული გერმანელებისგან დივერსიული ჯგუფი ჩამოეყალიბებინა, რომელიც წითელი არმიის ზურგში იმოქმედებდა. მაგრამ, სამი ჯგუფი, რომლებსაც მომავალ დივერსანტებთან კავშირი უნდა დაემყარებინათ, უკან აღარ დაბრუნდა. მხოლოდ მეოთხემ, ორი-სამი ღამის ძებნის შემდეგ შეძლო, აღმოეჩინა „ლიფტვაფეს“ თვითმფრინავები, რომლებიც დივერსიული ჯგუფისთვის ტვირთს ყრიდნენ. თუმცა, ყველა როდი მოხვდა დანიშნულების ადგილზე, რადგან ტყვედ ჩავარდნილი პო-

**ბერლინში „პრავდის“ ნომერი დაბეჭდეს**

ლკოვნიკ შერხორნის ნაცვლად, ჯგუფში პოდპოლკოვნიკი მაკლიარსკი ჩაინერგა, რომელიც შერხორნს ძალიან ჰგავდა. ჩაინერგა ასევე, სახელმწიფო უშიშროების მაიორი ვილიამ ფიშერი (რუდოლფ აბელი). „აბვერის“ ხელმძღვანელობამ შერხორნთან რადიოსეანსის შემდეგ, უბრძანა მას ჯგუფთან ერთად გზა გაეკვლია გერმანიისკენ, მაგრამ არც ერთი გერმანელი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

### ნადირობა სტალინზე

„სმერშის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაცია სტალინზე თავდასხმის განეიტრალება იყო. არაერთხელ ყოფილა მსგავსი მცდელობა, მაგრამ თავდასხმა, რომელიც საბჭოთა ბელადზე 1944 წლის ზაფხულისთვის დაიგეგმა, „აბვერმა“ საფუძვლიანად მოამზადა. თავიდან ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. სმოლენსკის რაიონში დედამიწაზე დაშვების შემდეგ, დივერსანტი ტავრინი და მისი რადისტი ცოლი მოტოციკლზე დასხდნენ და მოსკოვს გაემგზავრნენ. ტავრინს წითელი არმიის მაიორის ფორმა ეცვა და მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი მიემაგრებინა. ჰქონდა აგრეთვე 39-ე არმიის „სმერშის“ განყოფილების უფროსის უტყუარი დოკუმენტები. სპეციალურად „მაიორისთვის,“ ბერლინში „პრავდის“ ნომერი დაბეჭდეს, სადაც გამოქვეყნებული იყო ბრძანებულება, მისთვის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. თუმცა „აბვერის“ ხელმძღვანელობამ არ იცოდა, რომ საბჭოთა აგენტმა გერმანიის დედაქალაქიდან უკვე შეატყობინა საბჭოთა ხელმძღვანელობას აქციის მომზადების შესახებ და მომენტალურად ამოქმედდა გეგმა „ჩაჭერა“.

მოტოციკლი რჟევ-მოსკოვის გზაზე პატრულმა შეაჩერა და დოკუმენტების საფუძვლიან შემოწმებას შეუდგა. ტავრინი აჩქარებდა მათ, თითქოსდა საჩქარო პაკეტი მიჰქონდა მოსკოვში. პატრულის უფროსმა ყურადღება მიაქცია „მაიორის“ პასუხს კითხვაზე, თუ საიდან მოდიოდნენ ისინი. ტავრინმა შორეული დასახლებული პუნქტი დაასახელა, სადაც მთელი ღამე განუწყვეტლივ წვიმდა, თუმცა მოტოციკლი და მისი მგზავრები მშრალები იყვნენ.

საეჭვო მგზავრები სამორიგეოში შეიყვანეს. შენობაში ცხელოდა. ტავრინმა ტყავის ქურთუკი გაიხადა და ცხადი გახდა, რომ ის არ იყო, ვისადაც თავს ასაღებდა. სკორცენმა, რომელიც „მაიორს“ ავარჯიშებდა, ყველაფერი გაითვალისწინა, გარდა ერთისა – გეგმა „ჩაჭერის“ მიხედვით, ჯილდოების ტარების ახალი წესი შემოიღეს... წამიერი შებრძოლება და დივერსანტი გადაგრეხილი ხელებით გაოგნებული უყურებდა ირგვლივ მყოფთ. შეეცადა, პროტესტი გამოეთქვა, მაგრამ პატრულმა შემოიყვანა მისი თანამგზავრი ქალი. შემოიტანეს მოტოციკლიდან ამოღებული რადიოსადგური, ასაფეთქებელი, ფულის დასტა და მანამდე არნახული იარაღიც.

საქმე ის იყო, რომ სტალინზე თავდასხმისთვის სპეციალურად „აბვერის“ ლაბორატორიებში ახალი რეაქტიული იარაღი „პანცერკნაკე“ დაამუშავეს – მინიატურული ყუმბარმტყორცნი. ის ადვილად თავსდებოდა ფარაჯის სახელოში. სათადარიგოდ, ტავრინი ასაფეთქებელი მოწყობილობითაც იყო აღჭურვილი, რომელიც პორტფელში ჰქონდა დამალული. იმ შემთხვევაში, თუ ტერაქტი პირველივე ცდისას ვერ მოხერხდებოდა, „მაიორს“ ბილეთიც ჰქონდა – 1944 წლის 7 ნოემბრის სხდომაზე დასასწრები მოსაწვევი, რომელიც მოსკოვში გაიმართებოდა. დაგეგმილი იყო, რომ დივერსანტს პორტფელი სხდომათა დარბაზში, პრეზიდიუმის ახლოს დაედო. ამის შემდეგ ტავრინი „აბვერთან“ რადიოთამაშებში გამოიყენეს და შემდეგ დახვრიტეს.

**ლაშა გაბელია**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ჩადუნაშვილი

**ჩადუნაშვილისა** და **ჩადუნელის** გვარებთან დაკავშირებით მკვლევარი ილია მაისურაძე წერდა: „სავარაუდოა, ეს გვარი მომდინარეობდეს დასახლებული პუნქტის სახელიდან და სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვიდან იყოს გვარად ქცეული. სადუნა მცენარეა, ის გვიმრის ერთ-ერთი სახეობაა. თუმცა, ამას ეწინააღმდეგება **ჩადუნაშვილის** ეტიმოლოგიის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, **ჩადუნა** საკუთარი სახელი უნდა იყოს."

1823 წელს, კაპიტან გიორგი ბარათოვის გლეხებად დიდ ენაგეთში მოიხსენიებიან ბეჟანა და გიგა **ჩადუნაშვილები**.

1873 წლის აღწერაში მოიხსენიებიან იაკობ და ივანე **ჩადუნაშვილები.**

საქართველოში 56 **ჩადუნაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 34, რუსთავში – 15, თბილისში – 7.

### სულთანიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სულთანი**, რომელიც წარმოიშვა არაბულ ქვეყნებში და მეფის ტიტულის აღმნიშვნელია.

1569 წლის ყმების შეწირულობის წიგნში, რომელიც კახთა მეფეს, ლეონ მეორეს, მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისთვის მიუცია, მოიხსენიება ლაწუკელი **სულთანა.**

ბასილა, გიორგი და კაცია **სულთანიშვილები** მოიხსენიებიან 1743 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, რომელსაც იასე საგინაშვილი აძლევს თავის ძმისწულს, როსტომ ბეჟანიშვილს.

საქართველოში 633 **სულთანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 363, ონში – 98, რუსთავში – 62. არიან სხვაგანაც.

### სტეფანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **სტეფანე**. **სტეფანე** ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გვირგვინს. ეს სახელი ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა იყო **სტეფანოზ**, რომელიც გვხვდება ჯერ კიდევ მცხეთის ჯვრის წარწერებში, მეექვსე საუკუნეში. ამ სახელიდან წარმოქმნილია გვარები: **სტეფანაშვილი, სტეფანიშვილი, სტეფანია, სტეფნაძე და ტეფნაძე.**

1873 წლის აღწერით, სოფელ ბორბალოში, იასე და ალექსანდრე სოლოღოვების, იგივე სოლოღაშვილების მამულში მოიხსენიებიან ივანე და მისი ვაჟი – იოსებ **სტეფანაშვილები.**

საქართველოში 137 **სტეფანაშვილი** ცხოვრობს.

### ვიბლიანი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვიბლიან**.

„ბატონი **ვიბლიანები** ამოწყვიტეს ლენჯერელებმა. **ვიბლიანები** ცხოვრობდნენ ლენჯერის თემის სოფელ ნესგუნში, სადაც მათი სახლ-კარი ახლაც არის. ისინი ძალიან მდიდარი მოსახლეები იყვნენ. ეს **ვიბლიანები** ლენჯერის ბატონები ყოფილან და მთელი სოფელი დაბეგრილი ჰყავდათ. ისინი ბეგარად ხალხს ხან რას სთხოვდნენ და ხან – რას. იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ მათ უკითხავად გზაზეც კი ვერავინ გაივლიდა. ამიტომ, მათ გამო სოფელი ძალიან შეწუხებული იყო." ეს ტექსტი გვხვდება სვანური დიალექტის ქრესტომათიაში.

გადმოცემის თანახმად, ერთხელ ვინმე ჯაფარიძემ **ვიბლიანების** უკითხავად, გზაზე გაიარა. როცა ეს **ვიბლიანმა** შეიტყო, ჯაფარიძეს დაეწია, ჯორიდან გადმოაგდო და ტყვია დაახალა.

ლენჯერელებს მალე მოსწყინდათ მათი ბატონობა, **ვიბლიანების** ღალატი ჩაიფიქრეს და ამოწყვიტეს. ეს გადმოცემით იციან სვანეთში.

საქართველოში 937 **ვიბლიანი** ცხოვრობს. მესტიაში – 386, თბილისში – 188, დმანისში – 177. არიან სხვაგანაც.

### ხრიკაძე

ესაა სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი.

**ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად, ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც ეძახიან.

ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ორშიმოს ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ სიტყვა – **ხრიკა**. აღმოსავლეთ მთიანეთში ხშირად გვხვდება სახელი **ხრიკა**.




**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს. ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### ალელიშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ალელი**, რომელიც საკუთარ სახელად ქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა.

გადმოცემის მიხედვით, **ალელიშვილების** ადრინდელი გვარი ნოზაძე ყოფილა. ისინი სოფელ **ალიდან** მესხეთში გადასახლებულან. ახალციხელ **ალელიშვილებს** არდელანის უწოდებენ, ამის გამო, სავარაუდოა, რომ ისინი სოფელ **არალიდან** არიან, ადიგენის რაიონიდან. **ალელიშვილი** მოიხსენიება 1713-1838 წლებში, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში, დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის შვილიშვილის, დავითის მიერ ბეჟანა ნაზარაშვილის სახელზე გაცემულ ყმის, სახლ-კარისა და მამულის ნასყიდობის წიგნში.

საქართველოში 298 **ალელიშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 111, გარდაბანში – 63, ახალქალაქში – 28. არიან სხვაგანაც.

### ხოჯაბეგიშვილი-ხოჯაბეგოვი

გვარი შედგენილ-ნაწარმოებია ორმაგი ძირით, სიტყვებით: **ხოჯა** და **ბეგი**. უცხოურობის (არაქართველობის) ელფერს სძენს ისიც, რომ სუფიქსად გამოყენებულია არა **შვილი** და **ძე**, არამედ, რუსული ფორმანტი – **ოვი.**

ქართული გვარების **ოვი**-თა და **ევ**-ით გაწყობის პრაქტიკა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ დაიწყო. მეფე ერეკლე მეორის დროს, აქედან წალებული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია რუსულად ასეთნაირად გადაასხვაფერეს და შეცვალეს: აბაშიძე – აბაშიცე, აბაშიზე; ბაგრატიონ-დავითაშვილი – ბაგრატიონ-დავიდოვი; თუშიშვილი გახადეს დუშიევი; ხიდირბეგიშვილი (იგივე ამილახვარი) გახდა ხიდირბეგოვი ან ხიდირბეკოვი; შალბელიძიშვილი გახდა შალბელიკოვი; ასევე დაემართა ქართულ გვარს – **ხოჯაბეგიშვილს.**

ფუძით **ხოჯა** გვაქვს გვარები: **ხოჯავა**, (მეგრულად **ხოჯი** იგივეა, რაც ხარი); **ხოჯი** გვხვდება საკუთარ სახელადაც. **ხოჯაშვილი, ხოჯელანი, ხოჯიშვილი, ხოჯანაშვილი, ხოჯივანიშვილი** (გადმოცემით, ამ უკანასკნელის გვარეულობის წინაპარი ყოფილა მასწავლებელი, სახელად ივანე. მესხეთში თურქთა ბატონობის დროს მას „**ხოჯა** ივანას" ეძახდნენ, რაც გვარის წარმოშობას დაედო საფუძვლად).

**ხოჯაბეგოვი** მცირერიცხოვანი გვარია. ისინი წმინდა წყლის ქართველები არიან და არაფერი აქვთ საერთო სხვა ეროვნების ხალხთან.

საქართველოში სულ 20 **ხოჯაბეგაშვილი**, იგივე **ხოჯაბეგოვი** ცხოვრობს.

### ღარიბაშვილი

ქანისხეობელი **ღარიბაშვილები** მთიულეთიდან ყოფილან. მათი დედაგვარია ნარიმანიძე. ასევე, ნარიმანიძეები სახლობდნენ ცხრაძმის ხეობის სოფელ ჩიტიანებში.

სოფელ ანატაში ცხოვრობდა **ღარიბაშვილების** 30 კომლი.

„ახატნელი **ღარიბაშვილები** ვართ გადმოხვეწილი ქისტის სამხმის შთამომავალნი. 150 წელი იქნება, რაც ჩვენი წინაპარი ახატაში მოსახლეობდა. აქ გვაქვს სალოცავი „სამება ოქროსკარაი".

საქართველოში 1 844 **ღარიბაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 595, გურჯაანში – 416, დუშეთში – 239. არიან სხვაგანაც.

### გოგინაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგი**. მისი კნინობითი ფორმაა **გოგინა**.

1704 წელს პაპუა **გოგინაშვილი** მოიხსენიება პაპუნა გოსტაბაშვილის ყმის ნასყიდობის წიგნში.

1781 წელს კოდაში მოიხსენიება დავით ბარათაშვილის ყმა – ივანე **გოგინაშვილი**.

ამავე ძირისაა გვარი **გოგიშვილი**.

საქართველოში 2 608 **გოგინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 744, გურჯაანში – 444, გორში – 399. არიან სხვაგანაც.

### ფადარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ფადარა**.

1781 წელს კოდაში ბევრელი ლაზარე და **ფადარა** გადასულან. ლაზარედან წარმოშობილა გვარი ლაზარიაშვილი, ხოლო **ფადარადან** კი – **ფადარაშვილი.**

ამავე გზითაა გაჩენილი გვარები: ოსიყმაშვილი, პოჩიკაშვილი, ოპენეზაშვილი, სარქისაშვილი, აბატაშვილი, მატიაშვილი, დალაქიშვილი, რევაზიშვილი, ყვავილაშვილი და ასე შემდეგ.

საქართველოში 138 **ფადარაშვილი** ცხოვრობს: თეთრი წყაროში – 103, თბილისში – 29, ბოლნისში – 4. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

20 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

21 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

22 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

23 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ელექტრა"** - (ბილეთის ფასი - 6, 8, 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, ბესო ზანგური, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, გაგი სვანიძე, ლაშა ჯუხარაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

17 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„სამი და"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), (დიდი სცენა), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - „მოსსოვეტის თეატრი" (მოსკოვი). რეჟისორი: ანდრონ კონჩალოვსკი. მონაწილეობენ: ალექსეი გრიშინი, ნატალია ვდოვინა, ლარისა კუზნეცოვა, იულია ვისოცკაია, იულია პერესილდი, გალინა ბობი, ალექსანდრ ბობროვსკი, ალექსეი დომოგაროვი, პაველ დერევიანკო, ვიტალი კისჩენკო; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

18 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10,50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე, ზვიად სხირტლაძე, იოსებ გოგიჩაიშვილი, ია ჭილაია, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო წულაძე, თენგიზ პაპიძე, ანა წერეთელი, გიორგი შავგულიძე, რატი გოგუაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30წთ.;***

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ქალები"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ზაუტაშვილი, ნინო დუმბაძე, ქეთი ჩხეიძე, ქეთი გეგეშიძე, ირმა ბერიანიძე, ეკა მჟავანაძე, ზაზა გოგუაძე, თემო კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

23 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„ტოიბელე და მისი დემონი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოგა თავაძე. მონაწილეობენ: ანა ვასაძე, მალხაზ აბულაძე, ნათია გუბენკო, პაატა პაპუაშვილი, მარლენ ეგუტია, გიგა გოგიჩაძე, ნიაზ ხუციანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

18 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ფაუსტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

20 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შეხვედრებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

21 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

22 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეპტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;***

23 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

17 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„ჰელვერის ღამე"** - (ბილეთის ფასი - 20, 25, 30, 40 ლარი), ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი" - ვერა კომისარჟევსკაიას სახელობის სანქტ-პეტერბურგის აკადემიური დრამატული თეატრი. რეჟისორი: ალექსანდრე ბარგმანი. მონაწილეობენ: დენის პიანოვი, ოქსანა ბაზილევიჩი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

20 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„7 პ.პ."** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

21 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„რამ შემქნა ადამიანად"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობს: მზია არაბული; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

22 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„თავისუფალი წყვილი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, პაატა ბარათაშვილი, ვანო დუგლაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

23 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„მელოტი მომღერალი ქალი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: ნანა შონია, თემო ნატროშვილი, ვანო თარხნიშვილი, მაია გელოვანი, გიორგი ნაკაშიძე, ნანუკა ლითანიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

18 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯულიეტა, ჯულიეტა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7 ლარი), რეჟისორი: იარი იუტინენი. მონაწილეობს: ანი ალადაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

21 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

22 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

23 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტკივილი არის ახალგაზრდობა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: თორნიკე გოგრიჭიანი, პაატა ინაური, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

23 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„სტრიპტიზი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნიკა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი**, 19.00 – **„ჩრდილოეთის ციალი“** – (ბილეთის ფასი 7, 10

ლარი), რეჟისორი ვლადიმერ სნეგურჩენკო, *ხანგრძლივობა 55წთ.;*

23 ნოემბერი, **კვირა**, 19.00 – **„იმერული რეკვიემი“** – *(ბილეთის ფასი 10, 15 ლარი),* რეჟისორი ირაკლი გოგია, პრემიერა, *ხანგრძლივობა 85წთ.*

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

20-21 ნოემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ჩიპოლინო“** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: ანა ზამბახიძე, იური ვასაძე, მარინა ჯოხაძე, მანანა ტატიშვილი, თინა მერკვილაძე, ლაშა რამიშვილი, ალეკო ზეგალიშვილი, გიორგი ყველაშვილი, ანა ჯავახიშვილი, ანა ქურთუბაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22-23 ნოემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„გაყრა“** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით ალმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

18 ნოემბერი, **სამშაბათი** 12.00 - **„ირინეს ბედნიერება“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18 ნოემბერი, **სამშაბათი** 12.00 - **„ამიკო“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19, 21 ნოემბერი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 12.00 - **„ნაცარქექია“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.;*

19 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 15.00 - **„მე ვხედავ მზეს“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ, 30 წუთი;*

20, 23 ნოემბერი, **ხუთშაბათი, კვირა** 12.00 - **„ფიფქია და შვიდი ჯუჯა“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, თამარ ლორთქიფანიძე, ნინო შუშიაშვილი, თამარ ჭანუყვაძე, კახა ბაბელაია, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

20 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 15.00 - **„ამიკო“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

21 ნოემბერი, **პარასკევი** 12.00, 15.00 - **„სათაგური“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

21 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„რექვიემი“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22 ნოემბერი, **შაბათი** 12.00 - **„სევილიელი დალაქი“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), თოჯინების საოპერო თეატრი „პწკალა". რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. *ხანგრძლივობა: 50 წუთი;*

22 ნოემბერი, **შაბათი** 14.00 - **„სიცოცხლის ხე“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22 ნოემბერი, **შაბათი** 15.00 - **„სათაგური“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

23 ნოემბერი, **კვირა** 13.00 - **„სამეფო კროხა“** (რუსულად) - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

23 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს“** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ.: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

21 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22 ნოემბერი, **შაბათი** 20.00 - **„რამონა“** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი) - ავტორი, რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი - რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

23 ნოემბერი, **კვირა** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა“** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

## გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
**კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568 14-51-99.**

23 ნოემბერი, **კვირა** 12.00 - **„ნატვრის ხის ზღაპარი“** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: დავით მაცხონაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ.*

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკასუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

## ორშაბათი 17 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.00** "მოამბე" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** მხ/ფ **"დრაკონის გული"** **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** "ჩემი წიგნი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"რადგან ბეისბოლი მიყვარს"** (კ.კოსტნერი) **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ.**"ქარადაი"** **22.00** ნიჭიერი **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქ-ტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00** **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე - შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00** **სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40** ინ-ფაქტი **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **23.25** ინ-ფაქტი **23.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხატვრული ფილმი.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** მხ/ფ **"ლოკაუტი"** **00.10** მხ/ფ **"რემბო - 4"**.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"პირველი მერცხალი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე" **13.30** კონცერტი – **ანდრე რიე** **15.05** სპექტაკლი **"ძველი ვოდევილები"** **17.25** დ/ფ "ოსტატები" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"მონანიება"**I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.30** ღვთის სახლი **21.45** დ/ფ "ლახტის გაკვეთილი" **22.25** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ხაფანგი"** I ნაწ. **02.05** ირაო.

## სამშაბათი 18 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისე-ული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "სპექტაკლის დრო" – **"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს"** **18.00** "ტელებლოგი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "საიდუმლო პრეპარატი" **23.00** მხ/ფ **"მაგნოლია"** **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00** **სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00** **სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45** **სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **23.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"იპმანი"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"ლოლუა მაიამიდან"** **01.50** მხ/ფ **"ლოკაუტი"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** ეთნოგრაფია **06.50** მხ/ფ **"ხაფანგი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** წმინდა თეოდორე ტირონი **10.40** პატერიკი **10.45** დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" **11.35** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **13.25** კონცერტი -ნუნუ გაბუნია **15.05** კარაბადინი **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **16.00** მხ/ფ **"მე დევიდი ვარ"** **17.30** დ/ფ "ქართული საჭურველი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ **"ჭა"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი" **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი ფონდი" **23.40** დ/ფ "ქართული მონეტები" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ხაფანგი"** II ნაწ. **01.10** ირაო.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

## კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**17 – 23 ნოემბერი**

*დარბაზი 1*

12.00, 15.30, 19.15, 22.30 - **„ინტერსტელა-რი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.10, 22.15 - **„ნა-ღმი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.45 - **„უიჯი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.45, 20.15 - **„დრაკულა”**, *ხანგრძლივო-ბა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„გაუჩინარებული ქალი”**, *ხანგ-რძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30, 17.00, 19.50, 22.30 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00, 16.15 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.30, 20.30, 22.30 - **„უიჯი”**, *ხანგრძლივ-ობა: 1სთ. 30 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი”
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 15.30, 19.15, 22.30 - **„ინტერსტელა-რი”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.30, 17.30 - **„დიდი გმირი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

19.30, 22.30 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივო-ბა: 2სთ. 15 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„რისხვა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

14.45, 19.50 - **„უიჯი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15 - **„უიჯი”** (ინგლისურად), *ხანგრძლი-ვობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.00 - **„ინტერსტელარი”** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com




მოწევა კლავს

მოწევა იწვევს კანის

ნაადრევ დაბერებას

**თუ გინდათ, თავი ყველასგან განსხვავებულად, გამორჩეულად იგრძნოთ, თან მთელი დღე ყურადღების ცენტრში გაატაროთ, აუცილებლად უნდა ჩაიცვათ ქართული ბრენდის – „გიზის“ სამოსი. „გიზის“ დამფუძნებელი გიზი ჭავჭანიძეა, ხოლი დიზაინერი – ალექსანდრ ვოლკოვი, ბევრი საინტერესო იდეით, ხედვით და რაც მთავარია, საოცარი გარეგნობით, იმიჯით, რითიც გულგრილს ნამდვილად ვერ დაგტოვებთ. ამ გუნდის კიდევ ერთი წევრი მომღერალი მარკუს მეტრეველია, რომელმაც ცოტა ხნის წინ ყაზახეთის მოდის კვირეულზე „გიზის“ ჩვენება ჯგუფ „ნექსტ ლეველთან“ ერთად გააფორმა.**

# როგორ მოახდინა ერთ წელიწადში მოდის სამყაროში გადატრიალება ქართულმა ბრენდმა „გიზიმ“ და როგორ გადაიქცა ყაზახეთში ის, მარკუს მეტრეველთან ერთად, ატომურ ბომბად

**გიზი ჭავჭანიძე**: მე ვარ ბრენდ „გიზის“ დამფუძნებელი და არტდირექტორი. ალექსანდრ ვოლკოვი კი ჩვენი ბრენდის მთავარი დიზაინერია. როდესაც უცხოეთში დავდიოდი სხვადასხვა შეხვედრაზე, პრეზენტაციაზე. ერთ რამეს დავაკვრიდი: როგორც კი ალექსანდრეს შერჩეულ ლუქებს ჩავიცვამდი, ყოველთვის დიდ ყურადღებასა და მოწონებას ვიმსახურებდი, ხალხი ამას ამჩნევდა, რადგან უცხო იყო, განსაკუთრებული და ყველასგან განსხვავებული. მე საქართველოში „ვალენტინოს“ ექსკლუზიური წარმომადგენელი ვიყავი. ალექსანდრეს ნიჭმა მიმიყვანა იმ აზრამდე, რომ ცნობილი ბრენდების წარმომადგენლობა კი არ უნდა გამეგრძელებინა, არამედ შემექმნა ჩემი ბრენდი. ერთ წელიწადში ჩვენმა ბრენდმა ძალიან ბევრს მიაღწია: პარიზში ვიყავით, ყაზახეთის მოდის კვირეულზე უკვე სამჯერ გამოვედით. ალმა-ატაში იყო მესამე ჩვენება, ასტანაში – პირველი, რადგან ასტანაში ახალი პროექტია.

**ალექსანდრ ვოლკოვი**: როდესაც ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორი ბრენდი უნდა ჩამოგვეყალიბებინა, როგორი ხასიათის, ფილისოფიის უნდა ყოფილიყო, გადავწყვიტეთ, გვემუშავა მხოლოდ ნატურალურ ქსოვილებზე. ჩვენს კოლექციაში ყოველთვის ძვირფასი ქსოვილებია გამოყენებული – ეს იქნება ბეწვი, ტყავი თუ სხვა რამ. პირველი პერსონალური ჩვენება „მათე მოტორსის“ პავილიონში ჩავატარეთ. გვყავდა 25 ბავშვისგან შემდგარი აკაპელა, ცოცხალი ორკესტრი, დრეს-კოდი – დაცული, მოკლედ, ჩვენებამ გრანდიოზულად ჩაიარა. სხვა სტუმრებთან ერთად ყაზახეთიდან იყვნენ მოდის კვირეულის არტდირექტორები, მოდის კრიტიკოსები როგორც პარიზიდან, ასევე სხვა ქალაქებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ახლები ვიყავით, დებიუტანტები, ჩვენი შოუს შემდეგ მოგვცეს იმის უფლება, გაგვეხსნა მოდის კვირეული. შოუმ დიდი ფურორი მოახდინა, იმ წუთიდანვე ყაზახეთში ძალიან პოპულარულები გავხდით – მიგვიწვიეს ტელევიზიებში, აიღეს ინტერვიუები, ინტერნეტსივრცე გაივსო ჩვენი ფოტოებით და სადაც უნდა წავსულიყავით, ყველგან ყურადღების ცენტრში ვექცეოდით. მიუხედავად იმისა, რომ ბაერები სამი წლის განმავლობაში გაკვირდებიან, ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირად მოხდა. სპეციალურად ჩამოვიდნენ ბაერები, ვისაც ჩვენი ლუქ-ბუქი ჰქონდათ ნანახი და ჩვენების შემდეგ შეისყიდეს ყველა ლუქი. ფაქტობრივად, კოლექციიდან არაფერი დაგვრჩა. მეორედაც მიგვიწვიეს ყაზახეთის მოდის კვირეულზე, ორ კვირაში შევქმენით ახალი კოლექცია და ეს კოლექციაც მთლიანად გაიყიდა.

**გიზი:** ფაქტობრივად, ყოველთვის ხელცარიელები ვბრუნდებით კოლექციის გარეშე. ყაზახეთის შემდეგ პარიზში ვიყავით და კიდევ ახალი კოლექციის გაკეთება მოგვიწია. სოფო ჭყონიას აქვს პროექტი „არტ-ჯორჯია“, სადაც ჩატარდა გამოფენა და არტ-კოსტუმები გვქონდა წაღებული. მოდიოდნენ ბლოგერები, ბაიერები, მოდის კრიტიკოსები, რომ დაეთვალიერებინათ ქართველი დიზაინერების შემოქმედება. პირველივე ჩასვლაზე ჩვენმა კოსტიუმებმა, ბრენდმა და დიზაინერმა დიდი მოწონება დაიმსახურა.



**მარკუსი: „გიზი“ ყაზახეთში მეგავარსკვლავია, რომ დადიხარ, ყველა „გიზია“, მეც „გიზი“ ვიყავი. ბევრს აცვია და რაც მთავარია, ყველა მოგმართავს არა სახელით, არამედ „გიზი“**

**ალექსანდრ ვოლკოვი**: ყველაფერი ჰენდ მეიდი იყო, გამოვიყენეთ ნატურალური ბეწვი, ტყავი, ძველი მაქმანები და სპილოს ძვლისგან დამზადებული მეთვრამეტე საუკუნის „კამეები“. კაბების შიდა სარჩული იყო 25 მეტრი ნატურალური აბრეშუმი, დაქუცმაცებული და ხელით აწყობილი. როდესაც ამას მოდის კრიტიკოსები ხელს ჰკიდებდნენ, ათვალიერებდნენ, აბსოლუტურად შოკირებულები რჩებოდნენ. იქ იყვნენ „კენზოს“, „გალიანოს“ მოდის სახლების მთავარი დირექტორები და ყველა აღფრთოვანებული დარჩა. საქართველოში რომ ჩამოვედით, სოფო ჭყონიამ დაგვირეკა და გვითხრა: დაიან პერნე თავის მთავარ გვერდზე წერს თქვენს შესახებო. ეს არის ცნობილი ბლოგერი, მოდის კრიტიკოსი. რომ წავიკითხე, აბსოლუტურად შოკირებული დავრჩი. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ჩვენი შრომა ფასდება, რადგან 24 საათის განმავლობაში ვმუშაობ. ეს ისეთი პროფესიაა, უბრალოდ, ვერ მოდუნდები, თან თუ გაქვს იმის პრეტენზია, რომ დაეწიო ისეთ ბრენდებს, როგორიც არის „არმანი“, „გუჩი“ და გინდა მაღალ მოდაში მოხვედრა.

**– რამდენიმე დღეა, რაც ყაზახეთიდან დაბრუნდით, სადაც ნამდვილი ფურორი მოახდინეთ. ახლა, როდესაც გიყურებთ „გიზის“ სამოსში გამოწყობილებს, საოცარ ემოციას იწვევს და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ.**

**გიზი**: მეორე ჩასვლაზე დიდი იყო მოლოდინი და შეიძლება ითქვას, უფრო დიდი ფურორით ჩატარდა შოუ. ხალხი ემოციებისგან ტიროდა.

**ალექსანდრ ვოლკოვი**: „გიზი“ ყოველთვის ასოცირდება დიდ, სერიოზულ შოუსთან, რომელსაც კონკრეტულ ადამიანებთან ერთად ვაკეთებთ.

**მარკუს მეტრეველი**: მადლობა მინდა, გადავუხადო მოდის სახლ „გიზის“, რომელმაც ასეთ მასშტაბურ შოუში მონაწილეობა შემომთავაზა. ვამაყობ, რომ ასეთი ბრენდის სახელით წარვდექი და შევასრულე ჩემი ახალი სიმღერა, რომელიც „გიზის“ დაკვეთით ამ ჩვენებისთვის ჩაიწერა. შოუზე, მეცვა „გიზის“ სამოსი, რომელიც შეეფერება ჩემს ხასიათს. „გიზის“ სამოსში ჩემი შინაგანი „მეა“ აღბეჭდილი. შოუსთვის ყველაფერი ჩემს სხეულზე შექმნეს. ჯგუფ „ნექსტ ლეველთან“ ერთად ექვსი თვის განმავლობაში ვმუშაობდით ამ ნომერზე. ყველაფერი „ევროვიზიის“ რეჟიმში იყო – ყველა წუთი გათვლილი, გაწერილი. დიდი გამოცდილება მივიღე. თუმცა, არ იყო ადვილი, რადგან უპირველეს ყოვლისა, ბრენდის სახელით ვიდექი და უნდა წარმომეჩინა არა მხოლოდ ჩემი თავი, არამედ ბრენდიც. მინდა აღვნიშნო, რომ „გიზი“ ყაზახეთში მეგა-ვარსკვლავია. რომ დადიხარ ყველა „გიზია“, მეც „გიზი“ ვიყავი. ბევრს აცვია და რაც მთავარია, ყველა მოგმართავს არა სახელით, არამედ „გიზით“.

**გიზი**: ჩვენ გვყავს ჩვენი სახე – დუდი ზირაქაშვილი. ის ჩვენთან არის მუდმივად. პირველად რომ წავედით, ყაზახეთში გვყავდა უცნაური პატარძალი: თავგადაპარსული, ფეხშიშველი, ეცვა თეთრი თხის ბეწვის კაბა დიდი ლითონის კორსეტით, რომელზეც დიდი მარგალიტები იყო დამაგრებული, წამწამებზე კი – თეთრი ბუმბულები ჰქონდა.

**– როგორც ვხვდები, „გიზისგან“ ყველანაირი სიგიჟეა მოსალოდნელი.**

**მარკუსი**: რა თქმა უნდა, ასტრალში არიან გასულები. მათთან თანამშრომლობა დიდი კომფორტი და სიამოვნებაა. თუმცა, ეს არის ატომური ბომბი. კომენტარებში სულ გვიდებდნენ პატარ-პატარა ბომბებს და საბოლოოდ, ჩვენი შოუ ერთი დიდი ატომური ბობმი იყო. ყველას გვაქვს ჩვენი „ექშენები“.

**ალექსანდრ ვოლკოვი**: თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თავად ყაზახეთს ასეთი გრანდიოზული შოუ არასდროს ჰქონია. ჩვენ ცოტა გვათამამებენ, რადგან გვაძლევენ ყველანაირი შოუს კეთების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ „ფეშენ-ვიქის“ ფორმატი ამის საშუალებას დიდად არ გაძლევს.

**გიზი:** როგორც ბრენდის მეპატრონე, ვფიქრობ, რომ ჩვენი ტანდემი გამართლებულია და ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი დიზაინერით, რომელიც უნიჭიერესი ადამიანია. მას, თავისი ნიჭიდან გამომდინარე, აქვს კიდევ ერთი თვისება: „გიზის“ ხაზს ხალხი ცნობს ყოველგვარი მარკის გარეშე. შეხედავენ და ამბობენ, ეს არის „გიზი.“ ეს კი ჩვენს სფეროში დიდი მიღწევაა.

**ალექსანდრ ვოლკოვი**: უკრაინის მოდის კვირეულზე ვიყავით მიწვეულები, როგორც „ვიაიპ“ სტუმრები. მოლაპარაკებებზე გვეცვა „გიზის“ სამოსი და უცბად მოვექეცით ყურადღების ცენტრში. იქვე, მივიღეთ „ნიუ-იორკის ფეშენ-ვიქიდან“ დიდი შემოთავაზება. უბრალოდ, ასე უცებ ამდენ ქვეყანას ვერ გავწვდებით. თუმცა, კონტაქტები დღემდე გვაქვს და მომავალში ამ გეგმასაც განვახორციელებთ, გველოდებიან.

**ნათია უტიაშვილი**

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები



# ძროხის ხორცი ლუდში






**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ძროხის ხორცი (რბილი ნაჭერი), 1 კილოგრამი კარტოფილი, 2-3 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1-2 ცალი ხახვი, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 6 კბილი ნიორი, 300 გრამი მწვანე ბარდა, 1 ბოთლი მუქი ლუდი, 500 მილილიტრი ბულიონი (ქათმის ან ძროხის კუბიკის), მარილი, შავი პილპილი, ნიახური ან მწვანილი – თქვენი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** სასურველია, ხორცი ძალიან ცხიმიანი არ იყოს. დაჭერით 3 სანტიმეტრის ზომის ნაჭრებად. კარტოფილი ოთხად გაჭერით. ხახვი დაჭერით წვრილად, ნიორი – თხელ ფირფიტებად. ხორცს მოაყარეთ მარილი და პილპილი. სათითაოდ ამოგანგლეთ ფქვილში.

ტომატ-პასტა გახსენით 500 მილილიტრ ბულიონში. მოათავსეთ ღრმა მინის თასში ყველა ინგრედიენტი ანუ, ხორცი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, ბულიონი და ტომატ-პასტა მოათავსეთ ერთად. დაასხით ლუდი. უყავით მარილი, პილპილი და კარგად აურიეთ (სასურველია, ხელით). გადაიტანეთ ეს ყველაფერი მოზრდილ ქვაბში, რომელსაც სქელი ძირი ექნება. დადგით ძლიერ ცეცხლზე, მიიყვანეთ ადუღებამდე. შემდეგ დაუკელით ცეცხლს მინიმუმამდე. დაახურეთ თავსახური მჭიდროდ. შუშეთ 2 საათის განმავლობაში. ამ დროის გასვლის შემდეგ მოხადეთ თავსახური. დაუმატეთ მწვანე ბარდა. აკურატულად ამოურიეთ. 5 წუთის შემდეგ ჩაუმატეთ მწვანილი და გადმოდგით ცეცხლიდან. მიირთვით მწვანე სალათასთან და კიტრთან ერთად.

# ღვიძლის სალათა












**საჭირო ინგრედიენტები:** 450 გრამი ქათმის (ან ინდაურს) ღვიძლი, 200 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი მდნარი ყველის ფირფიტა, 3 ცალი კვერცხი, 250-300 გრამი მაიონეზი, ცოტა მაგარი ყველი, ზეთი, 1 ცალი დამწნილებული კიტრი, მწვანილი, მარილი, შავი პილპილი.



**მომზადების წესი:** ღვიძლი ხარშეთ მარილიან წყალში და მოხარშვამდე 15-20 წუთით ადრე, ამოიღეთ. გააციეთ. გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. მოხარშეთ კვერცხები. სოკო დაჭერით თხელ ფირფიტებად, მოხრაკეთ ძალიან ცოტა ზეთში. ხახვი და სტაფილო გაასუფთავეთ. ხახვი დაჭერით კუბიკებად, სტაფილო გახეხეთ. ხახვი და სტაფილო ოდნავ მოხრაკეთ ზეთში.

სასალათეში პირველ ფენად მოათავსეთ ღვიძლი და წაუსვით ოთხი სადილის კოვზი მაიონეზი. აურიეთ კარგად, უყავით პილპილი. მოასწორეთ ზედაპირი. მეორე ფენა იქნება მოშუშული ხახვი და სტაფილო. შეეცადეთ, ბევრი ზეთი არ გაყვეს. მესამე ფენა უნდა იყოს მოხრაკული სოკო, რომელსაც წინასწარ მაიონეზს შეურევთ. სოკოს ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი. წაუსვით ორი სადილის კოვზი მაიონეზი. ბოლო ფენაა კვერცხის. მოხარშულ კვერცხს გახეხავთ მსხვილკბილა სახეხზე და წინასწარ შეურიეთ ორი სადილის კოვზი მაიონეზი. წაუსვით ყველის ფენას. ბოლოს მოაყარეთ ძალიან წვრილად დაჭრილი კიტრი. მორთეთ ცოცხალი ოხრახუშით ან კამით.

* როცა შოკოლადის მუსს ან მინანქარს აკეთებთ, უკეთესია, თუ შაქარსა და კაკაოს ფხვნილს წინასწარ, მშრალად შეურევთ ერთმანეთში.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# შჩი სოსისით, ბადრიჯნითა და მწვანილით





**საჭირო ინგრედიენტები:** 1,5 ლიტრი კუბიკის ბულიონი (ქათმის ან ძროხის), 3 ცალი საშუალო ზომის ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი, 3 ცალი კარტოფილი, 1 ცალი სტაფილო, 250 გრამი კომბოსტო, 2 ცალი საშუალო ზომის ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 6 ცალი სოსისი (400 გრამი), 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, ერთი ქილა მწვანე ბარდა (150 გრამი), 4 კბილი ნიორი, მარილი, ფქვილი, ცოტა თეთრი პილპილი, არაჟანი, მწვანილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით რგოლებად, 0,5 სანტიმეტრი სისქის. მოაყარეთ ცოტა მარილი და გააჩერეთ ნახევარი საათი. ჩხირებად დაჭერით კარტოფილი. გახეხეთ ყაბაყი. ერთი თავი ხახვი წვრილად დაჭერით. ასევე, დაჭერით ბულგარული წიწაკა. სტაფილო გახეხეთ. ბადრიჯანი კარგად გარეცხეთ გამდინარე, ცივ წყალში და დაწურეთ ქაღალდის ხელსახოცზე. შემდეგ სათითაოდ ამოგანგლეთ ფქვილში და დააწყვეთ ზეთწასმულ გამოსაცხობ ტაფაზე. მოათავსეთ ცხელ აირღუმელში, 220 გრადუსზე. ხუთი წუთის მერე წაუსვით ბადრიჯანს ზემოდან ზეთი ფუნჯით და ღუმელში კიდევ 15-20 წუთი გააჩერეთ.

მდუღარე ბულიონში მოხარშეთ კარტოფილი, ყაბაყი, სტაფილო და ერთი დაქუცმაცებული ხახვი. ხარშეთ 15 წუთი. უყავით ცოტა მარილი, გემოვნებით. ღრმა ტაფაში მოხრაკეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. დაუმატეთ დაჭრილი სოსისი და ერთად მოშუშეთ. დაუმატეთ რგოლებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა და შუშეთ კიდევ 3 წუთი. ეს ყველაფერი ჩაუმატეთ ქვაბში წვნიანს. ასევე ჩაუმატეთ ბადრიჯანი. სულ ბოლოს ჩაყარეთ წვრილად დაკეპილი კომბოსტო. ხარშეთ 3 წუთი. ტომატ-პასტა გახსენით 100 მილილიტრ წყალში და ჩაუმატეთ წვნიანს. უყავით პილპილი, დანაყილი ნიორი და ბარდა. შუშეთ ყველაფერი ერთად კიდევ 10 წუთს განმავლობაში. სუფრასთან მიიტანეთ 15 წუთის შემდეგ, მანამდე კი მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი. ცხელი ძალიან გემრიელია არაჟანით.

# ვაშლის შტრუდელი




**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ჩაის კოვზი დარიჩინი, ქიშმიში, ნიგოზი, საფანელი, 100 მილილიტრი ნაღები (ან 100 გრამი კარაქი), 3 სადილის კოვზი შაქარი, 3 ცალი მოზრდილი ვაშლი, 1 სადილის კოვზი ზეთი, 100 მილილიტრი წყალი (80 მილილიტრი – ცომში + 2 სადილის კოვზი შიგთავსში), 300 გრამი ფქვილი.

**მომზადების წესი:** მოზილეთ რბილი ცომი ფქვილით, ზეთითა და წყლით. წყალი ნელ-ნელა უნდა ამატოთ, რომ ცომი ადვილად მოიზილოს. გააკეთეთ ცომისგან ბურთი და წაუსვით გარედან ცოტა ზეთი. გაახვიეთ საკონდიტრო ცელოფანში და ნახევარი საათით გააჩერეთ სითბოში. ვაშლი და ნიგოზი დააქუცმაცეთ. ტაფაზე დაყარეთ 3-4 სადილის კოვზი შაქარი, დაასხით 2 სადილის კოვზი წყალი და მოურიეთ. ჯერ ვაშლი დაამატეთ, მერე ქიშმიში, ბოლოს ნიგოზი და დარიჩინი. ურიეთ 10-15 წუთი, დაბალ ცეცხლზე. ცომი დადეთ ფქვილმოყრილ ფიცარზე და ჯერ ხელით გააბრტყელეთ, შემდეგ სპეციალური საბრტყელებლით ძალიან თხლად უნდა გააბრტყელოთ. მოაყარეთ მთელ ზედაპირზე თხლად საფანელი და წაუსვით ვაშლის სატენი. ნაპირებამდე არ მიიყვანოთ. გადაახვიეთ თქვენი შტრუდელი სიგრძეზე. ნაპირები ჩაუკეცეთ. დადეთ გამოსაცხობ ტაფაზე და ჩანგლით ალაგ-ალაგ ჩაჩხვლიტეთ. 25 წუთის შემდეგ გამოიღეთ, მოასხით ნაღები და მოაყარეთ შაქარი. შეაბრუნეთ ღუმელში და 15 წუთში მზად არის. ძალიან გემრიელია ნაყინთან ერთად ან ჩაიზე.



# მაკარონი აზიურად – თამუნა მუსერიძისგან



*დაძაბული დღის რეჟიმის და „გადარბენებ-ის“ გამო, ხშირად მიწევს კვების რეჟიმის დარღვევა. თუმცა, იმისთვის, რომ შევინარჩუნო სხეულის ფორმა, არ მოვიმატო წონაში ზედმეტად და თან ჯანმრთელობაც შევინარჩუნო, ზომიერად ვიკვებები. აზიურად მომზადებული მაკარონი, რომლის რეცეპტსაც ახლა გეტყვით, დაბალკალორიული კერძია, არც ზედმეტი კილოგრამების მომატებას იწვევს და, თან, საკმაოდ მარტივი მოსამზადებელია.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 20 გრამი ნედლი ჯანჯაფილი, 0,5 ცალი ცხარე წითელი წიწაკა, 1 კონა ქინძი, 2 სადილის კოვზი მოხალული მარილიანი მიწის თხილი, 200 გრამი გრძელი მაკარონი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 სადილის კოვზი თხელი თაფლი, 200 მილილიტრი ფორთოხლის ახალგამოწურული წვენი, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ქვაბში აადუღეთ წყალი. ჯანჯაფილი გაფცქვენით და გახეხეთ. 4-5 ღერი ქინძი და წიწაკა დაკეპეთ. მოხალული მიწის თხილი მსხვილად დაფქვით. მაკარონი ჩაყარეთ მდუღარე მარილიან წყალში და მოხარშეთ, ამოიღეთ და დაწურეთ. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, ჩაყარეთ ჯანჯაფილი, წიწაკა და ქინძი. 1 წუთში დაუმატეთ თაფლი და ფორთოხლის წვენი. როდესაც ადუღდება, დაასხით სოიის სოუსი და მოაყარეთ მარილი. მოხარშულ მაკარონს აურიეთ მომზადებული მასა და მოაყარეთ მიწის თხილი. მორთეთ ქინძის ფოთლებით.



სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ქათამი ნიგვზითა და ბრინჯით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ქათმის ხორცი, 1,5-2 ჭიქა დარჩეული ნიგოზი, 7-10 ცალი ახალი ან დაკონსერვებული ტყემალი, 1 თავი ხახვი, დაფქული შავი პილპილი, მარილი – გემოვნებით, გარნირად კი უხდება მოხარშული ბრინჯი.

**მომზადების წესი:** ქათამი დაჭერით და მარილიან წყალში მოხარშეთ. ბულიონი გადაწურეთ და შეინახეთ. ნიგოზი ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. ტყემალს გამოაცალეთ კურკა. ხახვი წვრილად დაჭერით. ქვაბში ქათამთან ერთად მოათავსეთ მომზადებული ინგრედიენტები, მოაყარეთ მარილი და პილპილი, დაასხით ბულიონი და დაახლოვებით ერთი საათი ხარშეთ. მიირთვით მოხარშულ ბრინჯთან ერთად.





# ქამა სოკო ბოსტნეულით

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 თავი წითელი ხახვი, 4-5 კბილი ნიორი, 120 გრამი წვრილად დაჭრილი ისპანახი, 0,5 ჭიქა მოხალული და დაფქული ნიგოზი, 0,5 ჭიქა დაჭყლეტილი პომიდორი, 100 გრამი წვრილად დაჭრილი რუკოლა, 2/3 ჭიქა წვრილად დაჭრილი ოხრახუში, 2 ნაჭერი დაფხვნილი პური, 0,5 ჩაის კოვზი მარილი, 1/4 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 700 გრამი საშუალო ზომის ქამა სოკო, 1,5 სადილის კოვზი მოხარშული ბრინჯი.

**მომზადების წესი:** ღუმელი გაახურეთ მაღალ ტემპერატურაზე. ზეთი გააცხელეთ და დაბალ ცეცხლზე შუშეთ ხახვი დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. ცეცხლს აუწიეთ, ტაფაში ჩაუმატეთ ისპანახი, 1 სადილის კოვზი მოხარშული ბრინჯი, პომიდორი და შუშეთ ისპანახის დარბილებამდე. დაუმატეთ რუკოლა, ნახევარი ოხრახუში, დაფხვნილი პური, ნიგოზი, ნიორი, მარილი და პილპილი. სოკოები ამოავსეთ გულსართით, ზემოდან მოაყარეთ დარჩენილი მოხარშული ბრინჯის მარცვლები და 20-25 წუთით შედგით ღუმელში. მზა სოკოები 5 წუთი გააჩერეთ ღუმელში, შემდეგ კი დარჩენილი ოხრახუში მოაყარეთ.



# სანათი სამ ლარად

დიახ, ზუსტად ეს თანხა დაგიჯდებათ ორიგინალური, ლამაზი სანათის დამზადება. მასალად გამოიყენებთ ჩვეულებრივ, სარეცხის ხის სარჭებს, ანუ „შპილკებს“.

კარგად დააკვირდით სურათებს და მიხვდებით, როგორ დაწნათ ორი, განსხვავებული ფორმის სანათი. შეგიძლიათ ძველი სანათის ძირი გამოიყენოთ ან ჩამრთველიანი ნათურის სამაგრი იყიდოთ და სარჭების სანათი მასზე მოათავსოთ.

# მშვენიერი დეკორი

სამშვენისები და აქსესუარები საკმაოდ ძვირია. გთავაზობთ, თქვენი ხელით დაამზადოთ ძალიან ლამაზი დეკორი საკმაოდ ადვილად და იაფად.

ყურადღებით დააკვირდით სურათებს. ჯერ მოაგროვეთ ის „ფუტლარები“, რომელზეც ტუალეტისა და სამზარეულოს ქაღალდია დახვეული. შეღებეთ მწვანედ და დაჭერით ზომაზე. როგორც სურათზეა ნაჩვენები, ისე მიაწებეთ ერთმანეთს და მიიღებთ მშვენიერ ყვავილებს. გააფორმეთ წითელი ან ფერადი მძივებით. დაამაგრეთ კედელზე. მართლაც ძალიან ლამაზია.



როცა შოკოლადის მუსს ან მინანქარს აკეთებთ, უკეთესია, თუ შაქარსა და კაკაოს ფხვნილს წინასწარ, მშრალად შეურევთ ერთმანეთში.

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობს სალომე შარვაძეს, მაყურებელი კარგად იცნობს. ის ერთ-ერთ საინტერესო პერსონაჟს – ქეთის ასახიერებს. სალომესთვის ეს როლი პირველი ნამდვილად არ არის, განსხვავებით ბახვა ბრეგვაძისგან, რომელიც იმავე სერიალში პირველად იხილა საზოგადოებამ ცოტნე ცოტაშვილის პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთი წარმომადგენლის როლში.**

# როგორ გამეორდა სერიალის სცენარი მეგობრის მოღალატე ქმართან დაკავშირებით სალომე შარვაძის ცხოვრებაში და რა ბედი ელით სერიალის პერსონაჟებს

**– თქვენს პერსონაჟებს სერიალში საერთო არაფერი აქვთ, თუმცა, როგორც ვიცი, რეალურ ცხოვრებაში მეგობრობა გაკავშირებთ.**

**ბახვა**: გარდა იმისა, რომ სერიალი გვაერთიანებს, მეორე სამსახურშიც ერთად ვმუშაობთ. მეგობრები ვართ. როგორი საყვარელიც არის ქეთი, ისეთია რეალობაში სალომე. ძალიან კარგი მეგობარია, მხიარული.

**სალომე**: თავიდანვე ძალიან კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ბახვას ძალიან კარგი ხასიათი აქვს. მხიარულთან ერთად ძალიან საქმიანია და რამდენიმე ადგილას მუშაობს. თავის საქმესაც ძალიან კარგად აკეთებს და მეგობრებისთვისაც ყოველთვის აქვს დრო.

**ბახვა**: ოღონდ, სალომე სულ „გამძვრალია". ძალიან არადისციპლინებული ადამიანია და სულ გვპირდება, რომ იმ კვირიდან გამოსწორდება *(იცინის).*

**– ქეთი სერიალში არასაიმედო მეგობარია, რეალობაში როგორია სალომე?**

– სინამდვილეში განსხვავებულია. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვმეგობრობთ, ბევრი საერთო მეგობარიც გვყავს და ყველასთვის სანდო მეგობარია. ყველაფერი შეგიძლია, უამბო, არავის არ ეტყვის *(იცინის).*

**– ბახვა, ეს შენთვის პირველი როლი იყო, არა?**

– დიახ. მე მსახიობი არ ვარ. დამირეკეს, მითხრეს, რომ პატარა როლია შესასრულებელი. ამ სერიალის მაყურებელი ვიყავი და სიამოვნებით დავთანხმდი. ალბათ, გამომივიდა, რადგან დამტოვეს.

**– ერთმანეთის პერსონაჟებზე რას იტყვით?**

**სალომე**: როგორც ქეთია თავისებური და ცოტა საყვარელი, გურამსაც უკვე აქვს თავის ნიშა – სულ რაღაცას ჭამს *(იცინის).* დადებითი პერსონაჟია, მხიარული და ერთგული.

**ბახვა**: ქეთი ძალიან საყვარელი და სახასიათო პერსონაჟია. წინა სეზონში ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი იყო. თავიდან ცოტა გავბრაზდი, როცა ანკას საიდუმლო გაამხილა, მაგრამ, მაინც ვაპატიე, რადგან, თვითონაც ინანა და ინერვიულა ამის გამო. კეთილი პერსონაჟია, უბრალოდ, ჭორიკანაა.

**– ბახვა, როგორც ვიცი, შოუ-ბიზნესი სულ უცხოც არ იყო შენთვის.**

– მარკეტინგისა და პიარის უფროსი ვარ „სარაჯიშვილში,“ ამიტომ, ამ სფეროსთან ურთიერთობა სულ მიწევდა. კამერები არ იყო ჩემთვის უცხო, მაგრამ, ეს მაინც სულ სხვაა.

**სალომე**: სპექტაკლშიც ითამაშა, მაგრამ, ჩვენ არ დაგვპატიჟა *(იცინის).* რამდენიმე ხნის წინ ჰქონდა პრემიერა.

**– მეგობრები რატომ არ დაპატიჟე?**

**ბახვა**: მეშინოდა, არ გამცინებოდა, როდესაც დარბაზში მათ დავინახავდი *(იცინის).* სალომეს რაც შეეხება, ძალიან კარგი იუმორის გრძნობა აქვს, რაც ჯერ სერიალში არ ჩანს. ქოთქოთა რეალურადაც არის და სერიალშიაც, უბრალოდ, იქ ცოტა „ტრადიციული" ქმარი ჰყავს.



**სალომე: „რაღაც მაქვს თქვენთვის მოფიქრებული, ძალიან ლამაზი გოგოები მინდა გადავიღო თქვენს კვერცხებთან ერთადო“**

**სალომე**: ტრადიციული კი არა, ეგეთი ქმრები არიან ახლა, ცოლებს რომ კლავენ წარამარა. სადღაც ვარ და ვიღაც მეუბნება – აუ, რა მაგარი ქმარი გყავსო. მამუკაზე, ჩემს მეუღლეზე ვიფიქრე, მაგრამ, თურმე, ზაზაზე მეუბნებოდა.

**ბახვა**: ასეთი მოძალადეც არ არის.

**სალომე**: ზაზა ისეთი ტიპაჟია, რომ უარს არ იტყოდა ძალადობაზე – დევს მაგ პერსონაჟში ეს და მჩაგრავს. რეალურად ვინ დამჩაგრავს, მითხარი, აბა?! *(იცინის).*

**ბახვა**: ვერავინ. იქით არ დაჩაგრო სხვა *(იცინის).*

**სალომე**: ბახვას რაც შეეხება, ძალიან მზრუნველია, მამასავით არის. გოგოები „მამასახლისს" ვეძახით. ყველას პრობლემა იცის და ხელს გვიწყობს. უკვე მერიდება, იმიტომ რომ, ჩემი პრობლემები არ მთავრდება *(იცინის).* მაგრამ, კარგად მიცნობს და იცის, რომ ღიმილით უფრო მომიტყუებს *(იცინის).*

**ბახვა**: დილის 11 საათიდან იწყებს – „მოვდივარ“ და მოდის 3 საათზე. „ახლა გამოვედი, უკვე ჩავჯექი"... – მოკლედ, საშინლად არაპუნქტუალურია *(იცინის).*

**სალომე**: მაგრამ, გადაღებაზე ეს არ ხდება. ვრეკავ და ვკითხულობ, ვინ იღებს. მეტყვიან – „ლიფონავა“ და – ორ წუთში იქ ვარ *(იცინის).* ბახვას რაც შეეხება, სერილშიც ისეთივე პოზიტიური და მზრუნველია. ცოტნეს უღალატებენ, მაგრამ ეს მაინც მისი ერთგული რჩება, იდეებს აწვდის. რეალობაშიც ძალიან კრეატიული ადამიანია და ისეთ რაღაცას იტყვის ხოლმე ერთ წამში, ჩვენ რამდენიმე დღე რომ ვიფიქროთ, ვერ მოვიფიქრებთ. ძალიან საქმიანია. ჩემხელაა და ხუთი სერიოზული სამსახური აქვს. კვების ამბებს არც აქ უჩივის და არც სერიალში *(იცინის).*

**ბახვა**: სერიალშიც და რეალობაშიც საჭმელზე განსაკუთრებით ვრეაგირებ *(იცინის).*

**სალომე** მარკეტინგის მენეჯერია და ერთ-ერთი ვარსკვლავი არის ამ სფეროში. მაგრამ, სასაცილო შემთხვევებიც ბევრი ჰქონია. ერთხელ, დაურეკა ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს, რომელიც კვერცხებს აწარმოებს და ძალიან მხიარულად ეუბნება: რაღაც მაქვს თქვენთვის მოფიქრებული, ძალიან ლამაზი გოგოები მინდა გადავიღო თქვენს კვერცხებთან ერთადო *(იცინიან).* გაგიჟდა კაცი. ვერ შედგა ეს გარიგება – იმ მამაკაცს არ უნდოდა საჯაროდ, მის კვერცხებთან ერთად გადაღებული ლამაზი გოგონები *(იცინიან).*

**– სერიოზულ რჩევებს თუ აძლევთ ერთმანეთს?**

– სულ მეუბნება, გახდიო. ნუ, კომპანიაში, საქმიანობიდან გამომდინარე – თავისთავად. პირად ცხოვრებას რაც შეეხება, აქ გოგოები მულებივით ვართ: ეს გოგო მოგვწონს, ის – არა *(იცინის).*

**ბახვა**: სალომე გათხოვილია და, რჩევა არა, მაგრამ, ერთადერთი, რასაც მის მეუღლეს ვთხოვ – დროზე გამოუშვას სახლიდან *(იცინის).*

**– სალომეს პირადი ცხოვრების შესახებ ვიცით, შენს ცხოვრებაში რა ხდება?**

– მე დასაოჯახებელი ვარ *(იცინის).*

**– სერიალის შემდეგ თაყვანისმცემლების რაოდენობამ არ მოიმატა? არაფერი ხდება?**

– არა, სერიოზული არაფერი. ვაკანტურია ადგილი.

**– როგორი უნდა იყოს გოგო, რომ მოგეწონოს?**

– ქერა თუ შავგრემანი – ასეთი კრიტერიუმები არ მაქვს.

**სალომე**: კარგი ხასიათი უნდა ჰქონდეს, სხვანაირად წარმოუდგენელია.

**ბახვა**: შარმიანი უნდა იყოს

**– აი, ქეთისნაირი რომ იყოს?**

– ქეთი ძალიან მომწონს, მაგრამ, ცოტა თუ გახდება, კარგია *(იცინიან).*

**სალომე**: მამუკამ *(სალომეს მეუღლე, – ავტორი)* დაგარიგა?

**– შენ თუ იქნებოდი ზაზასნაირი ქმარი?**

**ბახვა**: არა, ზაზასნაირი არ ვიქნებოდი, ცოტა უფრო ლიბერალი ვარ.

**– თქვენი გმირების მომავალზეც ვისაუბროთ, რა ელით, მათ?**

– ჩემი პერსონაჟი განაგრძობს არსებობას – ისევ უბრუნდება პოლიტიკას. ცოტნეს ძველი გუნდიდან მარტო მე ვრჩები და ცოტნესთან ერთად ვაგრძელებ ბრძოლას. იმედი გვაქვს, რომ, უკვე ამ შემთხვევაში, წარმატებებს მივაღწევთ პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების გუნდთან ერთად.

**სალომე**: ქეთი ძალიან მოწყენილია, რადგან ნინას ახალი სამსახურის გამო საერთოდ აღარ აქვს დრო. თვითონაც განერვიულებულია, რომ სახლში ზის და ემატება ისიც, რომ ეს ზაზა აქეთ-იქით დადის ვილაცეებთან. ბევრი ახალი ისტორია ჩნდება. დეტალებს ვერ გეტყვით. ცოტა იქითა სერიებიდან ერთვება თავისი პრობლემებით ქეთი აქტიურად.

**– თუმცა, ეს პირველი არ ყოფილა ქეთისთვის, მანამდე დათოს საიდუმლოც ხომ გაამხილა.**

– იცი, რომ რეალურ ცხოვრებაში ზუსტად „ქეთი" დამემართა? არცერთმა დაქალმა არ დამირეკოს ახლა და არ მკითხოს, ჩემი ქმარი ხომ არ ყოფილაო! ზუსტად ისეთი სიტუაცია იყო. „ბომბა" ამბავია. მაგრამ, ეს ისეთია, ვერ იტყვი. ეს რომ მოხდა, ჩემთან ერთად ვინც იყვნენ, მეუბნებოდნენ, ახლა „ქეთი" ხარო. ზუსტად „ქეთი" დამემართა. მაგრამ, ორი ადამიანის ურთიერთობაში მესამე არასდროს არ უნდა ჩაერიოს და მეც არ ჩავრეულვარ. მეც რომ მითხრას ვინმემ ჩემს ქმარზე მსგავსი რამ, შეიძლება, არ ვაპატიო, მაგრამ, მე თვითონ რომ გავიგო, შეიძლება, ნელ-ნელა რაღაცნაირად ვაპატიო. ანუ, გააჩნია, გიღირს პატიება თუ არა.

**ქეთი კაპანაძე**

**ირაკლი ლაბაძე, დღეს რუსეთში ცხოვრობს და საკუთარ საქმიანობას იქ აგრძელებს. ჩოგბურთის გარეშე ერთი წუთიც არ უცხოვრია. ტრავმის შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. იმდენადაა საკუთარ პროფესიასა და ბავშვებზე შეყვარებული, რომ არანაირი შემოთავაზების სანაცვლოდ არ დათმობს მათ. ირაკლი უკვე 33 წლისაა. ამ პერიოდის განმავლობაში მისგან არა ერთი წარმატება ახსოვს ქათველებს. სამშობლოს სახელიც ბევრჯერ გაუტანია ქვეყნის გარეთ. როგორ ცხოვრობს დღეს ახალგაზრდა, მაგრამ ვეტერანი ჩოგბურთელი და არის თუ არა მის პირად ცხოვრებაში სიახლე, ამაზე თავად მოგვიყვება.**

# როგორია ოლიგარქებთან თამაში, ირაკლი ლაბაძის აზრით და რომელ დღეს უთმობს ის მეგობრებს კვირის განმავლობაში

**– როგორ ცხოვრობს დღეს ირაკლი ლაბაძე მოსკოვში? რით ხართ ძირითადად დაკავებული?**

– ძალიან ჩვეულებრივად ვცხოვრობ. როგორც ადრე, ახლაც ჩოგბურთთან მაქვს შეხება. მწვრთნელი ვარ. ვფიქრობ, ეს საქმე უფრო საპასუხისმგებლოა. როცა მოთამაშე ხარ, ნაკლებად ნერვიულობ. თამაშის დროს აზარტში შედიხარ და ნერვიულობაც გავიწყდება. იყო მწვრთნელი – რთულია. ჩემი მოსწავლის თამაშს რომ ვუყურებ, ამ განცდას ნერვიულობას ვერ დავარქმევ. ეს უფრო მეტია. ძალიან კარგი ბავშვები მყავს და იმედი მაქვს, რამდენიმე წლიწადში თქვენც გაიცნობთ. მათთან ერთად ვარ სულ. კვირაში ექვსი დღე ვმუშაობ, შესაბამისად, ძირითადად, სამსახურში ვარ. მცირე დრო მრჩება მეგობრებისა და გართობისთვის. თუმცა, ამასაც ვახერხებ *(იცინის)*. დაახლოებით 2 წელია, რაც აქეთ ვარ. მეგობარს ჩამოვყევი და შემდეგ დავრჩი. კარგი შემოთავაზებები იყო და მეც აღარ წავსულვარ.

**– საქართველოში არ აპირებთ ჩამოსვლას და თქვენი საქმიანობის აქ გაგრძელებას?**

– ვის არ უნდა საკუთარ ქვეყანაში ცხოვრება და არც მე ვარ გამონაკლისი. რა თქმა უნდა, დავბრუნდები, მაგრამ ჯერ არა. პირდაპირ რომ გითხრათ, ეს ყოველივე ფინანსებთანაა დაკავშირებული. სადაც კარგი ანაზღაურება გაქვს, შენც იქ გირჩევნია ყოფნა. ცოტა განსხვავება რომ იყოს ანაზღაურებაში, მირჩევნია, ჩემს თბილისში ვიყო და იქ ვასწავლო ბავშვებს ჩოგბურთი. მაგრამ, ისე არაა როგორც ჩვენ გვინდა. აქ უფრო კარგად ესმით ჩოგბურთის მნიშვნელობა, ძალიან ბევრი თამაშობს და უყვართ ეს სპორტი. შესაბამისად, დაფასებაც მეტია. მოსკოვში უფრო ვგრძნობ პატივისცემას, ვიდრე საქართველოში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებზე ნაწყენი ვარ ან რამე მსგავსი, უბრალოდ, აქ გისმენენ, გეკითხებიან – რა როგორ უნდა. ჩემი სიტყვა ამათთვის ბევრს ნიშნავს. ეს ყოველივე ერთად კი, ძალიან სასიამოვნოა. საქართველოში ხომ იცით, როგორც არის – ბავშვი რომ თამაშს მოიგებს, დედაც და მამაც ჩოგბურთელი ხდება *(იცინის)*. ბოლოს ისე გამოდის, რომ ყველამ ჩოგბურთი იცის, მწვრთნელი კი არავის ახსენდება. რამდენიმე წელი არსად ვაპირებ წასვლას, მოსკოვში დავრჩები. ბავშვობიდან ჩემი ცხოვრება ისე იყო, რომ ვერასდროის ვიტყოდი: 5 წელი აქ ვიქნები, 3 – აქ და ასე შემდეგ. მაგრამ როგორც ახლა მაქვს დაგეგმილი, ერთი 5 წელი ნამდვილად არ დავტოვებ მოსკოვს.

**– სხვა ქვეყნიდან რომ იყოს შემოთავაზება მაინც არ წახვიდოდით?**

– არა. ვერ დავთმობ, ერთი უბრალო მიზეზის გამო. რომ წავიდე, აქ უნდა დავტოვო ყველა. იმ ოლიგარქებს თავი რომ დავანებოთ *(იცინის)*, ჩემი ბავშვების დატოვებაც მომიწევს. მარტო მაგათ გამო არსად წავალ.

**– ოლიგარქებთან თამაშობთ, რთულია?**

– არა, რატომ უნდა იყოს რთული. რადგან ადამიანს შენზე მეტი ფული აქვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან თამაში რთულია. გულწრფელად გეუბნებით, ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. უბრალოდ, წარმატებული ხალხია თავის სფეროში. ნამდვილად მდიდრები არიან, მაგრამ ეს რამეს არ ცვლის თამაშის დროს.

**– სამსახურის, ჩოგბურთის გარდა, კიდევ რა ხდება თქვენს ცხოვრებაში?**

– ჯერჯერობით არაფერი. მხოლოდ სამსახური, მუშაობა და მუშაობა. ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით მაქვს შემდეგი გრაფიკი: სამსახური – სახლი *(იცინის)*. კი შემიძლია, კვირაში რამდენიმე დღე დავისვენო და ჩემი დამხმარე დავაყენო, მაგრამ არ მინდა. როცა საქმე ბავშვებს ეხება, უფრო სერიოზულად უნდა შეხედო. ეს არის პროფესია, როცა პასუხისმგებლობას იღებ თითოეული ბავშვის მომავალზე. ამიტომ, თავს ვერ მივცემ უფლებას, დავისვენო და მათ ყურადღება მოვაკლო. კვირა დღე მაქვს მეგობრებისთვის შენახული *(იცინის)*. ვისვენებ და ვცდილობ, მათთან ერთად ვიყო. ხანდახან ჩემი მეგობრებიც ჩამოდიან მოსკოვში. ამჟამად დედაა აქ. თბილისშიც ჩამოვდივარ ყოველ ორ, ან სამ თვეში ერთხელ მაინც. მაგრამ, ცოტა ხნით, მაქსიმუმ სამი დღით.



შემიყვარდა, ცოლად მომყავს და დარჩენილი ცხოვრება მასთან ერთად უნდა გავატარო – ასეთი მომენტი ჯერ არ მქონია

**– რამდენადაც ვიცი, ერთხელ იყავით შეყვარებული. დღეს რამე ხომ არ შეცვლილა?**

– არა, არაფერი შეცვლილა. იმ ერთხელაც საკმარისი იყო *(იცინის)*. ჯერ არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, ვისთან ერთადაც ოჯახს შევქმნი. შემიყვარდა, ცოლად მომყავს და დარჩენილი ცხოვრება მასთან ერთად უნდა გავატარო, ასეთი მომენტი ჯერ არ მქონია.

**– ანუ, ისევ გართობა გირჩევნიათ ოჯახის უღელს?**

– მთლად ეგრეც ვერ ვიტყვი, ალბათ, არა. უბრალოდ, არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, ვისაც ჩემს ცოლს დავარქმევ *(იცინის)*. როდესაც მივხვდები, რომ ის, ის არის, ამ შანსს აუცილებლად არ გავუშვებ ხელიდან *(იცინის)*. რომ გითხრათ, დღე და ღამე ოჯახის შექმნაზე ვფიქრობ-მეთქი, ტყუილია, მაგრამ გამიელვებს ხოლმე თავში რაღაც მსგავსი. მხოლოდ ფიქრიც არაფერია.

**– ქართველი უნდა იყოს თქვენი რჩეული თუ ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს?**

– ქართველი იქნება თუ რუსი დიდი მნიშვნელობა მართლა არა აქვს, მთავარია, ნორმალური და ერთგული ადამიანი იყოს.

**– კიდევ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?**

– როგორი უნდა იყოს ჩემი ცოლი? როგორი და ქალი უნდა იყოს, ოჯახი, ბავშვები უნდა უყვარდეს. მხიარული ადამიანი უნდა იყოს. ძალიან მიყვარს გოგო რომ იღიმის, გაბრაზებული და ბრაზიანი გოგონები, ზედმეტად რომ თავს იფასებენ, შორს *(იცინის)*. მინდა ჩვეულებრივი იყოს, განსაკუთრებული და ყველასგან გამორჩეული, არ მინდა. კიდევ ერთს დავამატებ, შავგვრემანი მირჩევნია ქერას.

**– გინანიათ რამე ცხოვრებაში?**

– თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ არასდეს არაფერი მინანია. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში არასოდეს არაფერი არ უნდა ინანო. ვიცხოვრე შეცდომებით, მაგრამ არ მინანია. შეცდომები ცოტა ცუდად ჟღერს, სერიოზულადაც არ შევმცდარვარ რამეში. ყველანი ადამიანები ვართ და რაღაცეებში ვცდებით ხოლმე. არაფერს არ ვნანობ აბსოლუტურად.

**– ჩოგბურთელობა თავად გინდოდათ?**

– მამას ჰქონდა სურვილი, რომ ჩოგბურთზე მევლო. თავადაც საკმაოდ კარგად თამაშობდა. ყველა ეუბნებოდა, რომ მისი შვილი ნიჭიერი იქნებოდა ამ სპორტში და შემიყვანა. დაბადებული არ ვიყავი, ჩოგბურთელის „იარლიყი" რომ დამკიდეს *(იცინის)*.

**– რამდენადაც ვიცი, აგასის თამაშის დაწყების წინ უთქვამს, საქართველო რომელია, მანდ საერთოდ ჩოგბურთი იციანო. ეს მართალია?**

– კი, მართალია. ვვარჯიშობდი და ჩემს მეგობარს შეეკითხა, საქართველოში საერთოდ ჩოგბურთი არისო. ჩემმა მეგობარმა უპასუხა, ცოტა ხანში ნახავ, როგორი ჩოგბურთიც არისო *(იცინის)*. გაეცინა თურმე, როგორ იფიქრებდა, რომ მოვუგებდი.

**– საქართველო რომ არ დაგეტოვებინათ, აქ როგორ აეწყობოდა თქვენი ცხოვრება?**

– არ მიფიქრია ამაზე, რადგან ვიცოდი, აუცილებლად წავიდოდი. ძალიან მინდა აკადემიის დაარსება, მაგრამ ერთი კაცი ვერ შეძლებს ყველაფერს. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ქაბაბისა და ხინკლის მეტი არაფერი აინტერესებთ.

**– რა გინდათ ყველაზე მეტად ცხოვრებაში რომ გამოგივიდეთ?**

– რაც მინდოდა, ნაწილობრივ ავისრულე კიდეც. მწვრთნელის კარიერა მინდა მქონდეს კარგი და ჩემი ბავშვებიდან რომელიმე მაინც გახდეს ცნობილი ჩოგბურთელი. მეორე, რაც მსურს ისაა, რომ ერთი-ორი პატარა ირაკლი ლაბაძე დარბოდეს *(იცინის)*. ერთი ირაკლი ლაბაძე დარბის უკვე, ჩემი ძმის შვილია, მეორეც იქნება, აბა, სად წავა *(იცინის)*. ცხოვრება სიურპრიზებითაა სავსე. შვილი როცა მეყოლება, აუცილებლად შევიყვან ჩოგბურთზე. თუ ჩემი გენები გამოჰყვება ბავშვს და არა დედამისის... ოღონდ დედა არ ვიცი, ჯერ ვინ იქნება *(იცინის)*.

**ეთო ხურციძე**

34-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 19 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** მხ/ფ **"ზუსტად ის კაცი"** **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** მხ/ფ **"გულები"** **00.00** მხ/ფ **"სხვა სამყარო"** **02.10** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** "ნანუკას შოუ" **00.30** კიმონო **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.30, 2.20** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.55** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.45 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **0.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**7.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.45** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** EMERGENSY **00.55** მხ/ფ **"ბრძოლის წესები"**.

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** მხ/ფ **"ხაფანგი"** ll ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"ჭა"** **13.35** კონცერტი - ელისო ვირსალაძე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** კარაბადინი **15.30** მხ/ფ **"ჭირვეული მეზობლები"** **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ **"მონანიება"** ll ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური "სამი პატრიარქი" **01.00** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** l ნაწ. **01.05** ირაო.

## ხუთშაბათი 20 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** "ეს საქართველოა" **17.30** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"ჩემი ადგილი მზის ქვეშ"**.

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** პროფილი **23.55** აჭარა ბეთის გათამაშება **00.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** **23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"იპმანი-ლეგენდის დაბადება"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე"** **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად — თოქ შოუ **00.00** მხ/ფ **"ბედს ვერ გაექცევი"** (ვ.ჰარილსონი) **01.50** მხ/ფ **"ბრილიანტის ამბავი"**(ტიტ.).

**06.10** ეთნოგრაფია **06.30** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.55** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** l ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"მონანიება"** ll ნაწ. **13.25** ივერიის ეკლესია **13.40** კონცერტი - რუსუდან სებისკვერაძე **15.05** კარაბადინი **15.30** მხ/ფ **"ორი ოჯახი"** **16.55** დ/ფ "ღირსი ასურელი მამა ანტონ მარტყოფელი **17.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ზღარბი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** თეთრიდან თეთრამდე **21.40** დ/ფ "წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი" **22.25** დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ **"აღდგომის ბატკანი"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** ll ნაწ. **02.05** ირაო.

## პარასკევი 21 ნოემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.00** "მოამბე" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **14.20** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **15.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **17.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **21.00** ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **23.30** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** **02.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**06.30** სერ. **"მათრობელა სიყვარული"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ბრავო **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

**7.00, 1.30** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასოდეს დაგივიწყებ"** **11.50** პრესა ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30** მაესტროს შუადღე შუადღის შოუ **15.45** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **16.00 სერიალი "წარსულის იარა"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო

ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "ნარჩიტა" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.15 სერიალი "ქუჩეი და გუნეი" 23.30 სერიალი "დიდებული საუკუნე" 1.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **2.10** პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"მთამსვლელი"**.

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული" 11.20** სერ. **"სილა" 12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** რეაქცია (პ/ე) **00.00** მხ/ფ **"მანკიერი ვნება"** (ტ. როტი) **02.00** მხ/ფ **"ბედს ვერ გაექცევი"**.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** II ნაწ. **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.50** მოკ./ფ **"ზღარბი" 13.15** კონცერტი - ლიანა ისაკაძე, ნიკა რაჭველი **15.05** კარაბადინი **15.30** მხ/ფ **"ზოლიანი დოლი" 17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"თეთრი ქარავანი" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** III ნაწ. **02.10** ირაო.

## შაბათი 22 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "ზუ" "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ანიმაც/ფ. "პატარა პოლარული დათვი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი" 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.30 კონცერტი**: კლასიკური მუსიკის შედევრები **13.30** "გურმანია" **14.00 კალათბურთი**. სუპერლიგა: **"არმია" – "სოხუმი" 16.30** ქართ. მხ/ფ **"დიდი მწვანე ველი" 18.00** დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** მხ/ფ **"შერლოკ ჰოლმსი" 00.10** მხ/ფ **"დედა წყვდიადი" 02.10** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** ვინ დაამარცხებს ვასოს **15.30** ნიჭიერი **18.30** ევროპა ბეთის გათამაშება **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.30** განსხვავებული აქცენტები **23.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 00.00** მხ/ფ. **მისტერი პიტკინი ჯარში" 01.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00 სერიალი "ასი" 10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50, 14.50, 17.50, 18.35** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა **"60** კითხვა ინტერიერში" **13.05** სერიალი **"10** წლის შემდეგ" **15.30** ოთარ ტატიშვილის შოუ **16.30, 22.00 სერიალი "1 ნაბიჯი" 17.30** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **18.45 სერიალი "ნარჩიტა" 20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 2.20** მხ. ფილმი **"მკვლელობების განყოფილება"**.

**07.20** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **07.45** მხ/ფ **"ასტერიქსი ოლიმპიურ თამაშებზე" 10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. **"სინდბადი" 13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ. **"უდანაშაულო" 17.35** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 19.03** სერ. **"ღირსების საქმე" 20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი" 22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00, 00.00** სერ. **"შუა ქალაქში — 5" 01.00** მხ/ფ **"მაგარი ნაშა" 02.50** მხ/ფ **"მანკიერი ვნება"**.

**06.10** საგალობელი **06.20** მხ/ფ **"თუში მეცხვარე"** III ნაწ. **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართულ მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"თეთრი ქარავანი" 13.30** დ/ფ "საქართველოს ისტორია" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"დაისი" 16.30** დ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "ჩვენი ამბავი" **22.35** დ/ფ "საქართველო,ჩვენი სამშობლო" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ **"ამაღლება"**.

## კვირა 23 ნოემბერი

**08.00** ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **09.00** გიორგობა. **13.00** ქართ. მხ/ფ **"დედაო ღვთისავ" 13.30** "გურმანია" **14.00** მხ/ფ **"ამერიკის პრეზიდენტი" 16.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **16.53 რაგბი**. ტესტმატჩი: **საქართველო – იაპონია** (პ/რ დინამო არენადან) **18.45** ქართ. მხ/ფ **"ლაზარეს თავგადასავალი" 20.00** "ტელებლოგი" **21.00** კონცერტი: არჩილ კერესელიძე **100** წლის იუბილე **22.30** მხ/ფ **"შეყვარებული შექსპირი"** (გ.პელტროუ) **00.30** მხ/ფ **"ცხოვრება როგორც სახლი"**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** P.შ. **22.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 23.30** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ.

**7.00, 2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"მაგიის რაინდები" 8.40** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **9.00 სერიალი "ასი" 10.00** NX სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** დოკ. სერიალი "ქალაქი და ადამიანი" **11.30** უცნობი ისტორიები **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "იდ" **13.05** მხ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო" 15.30** სუბიექტური აზრი **16.30** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **17.30** დოკ. ფილმი"ყაზახეთი-თავისუფალი სულების ქვეყანა" **18.30** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "ნარჩიტა" 20.00** გადაცემა "ფული და სურვილები" **20.30** "აბების/ კვირის ანეკდოტები **21.30 სერიალი "10 წლის შემდეგ" 23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00 სერიალი "დიდებული საუკუნე" 2.20** მხ. ფილმი **"გენერალი"**.

**08.00** ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **09.00** მხ/ფ **"ჯაშუში ბავშვები - 4" 11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"სინდბადი" 13.00** EMERGENSY **14.35** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები **20.00** იმედის კვირა **22.00** ქ/სერ. **"ფსიქოპატთა თამაშები" 4** სერ. **23.00** მხ/ფ **"გამარჯვებისთვის დაბადებული" 00.45** მხ/ფ **"ანგარიშსწორების დრო"**.

**06.10** საგალობელი **06.15** მხ/ფ **"ამაღლება" 06.20** დ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **09.00** გიორგობა (ტრანსლაცია) **12.10** მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი" 13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** დ/ფ "ჯგრაგი" **18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **18.30** დროის ჩანაწერები **19.25** "ჩვენი ამბავი" **19.35** მხ/ფ **"რაც გინახავს,ველარ ნახავ" 21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე გიორგი" **23.35** დ/ფ "წმინდა კონსტანტინე ქართველი" **00.30** პორტრეტები **01.20** კონცერტი - ქართველი ვარსკვლავები პარიზში.

# რა გავლენას ახდენს ტანსაცმლის ფერი ადამიანის ემოციებსა და სექსუალურობაზე

*პლანეტების კოსმობიოლოგიური ვიბრაციები უშუალო ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე, კერძოდ კი – მათ ფსიქიკაზე, ემოციების ცვალებადობაზე, რაც, საბოლოოდ, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში შესაბამისი საქციელით ვლინდება. ყოველ პლანეტას თავისი ფერი აქვს, ამიტომ, ყოველ ფერს შესაბამისი პლანეტისთვის დამახასიათებელი ენერგოინფორმაციული ველი გააჩნია.*

**ყვითელი** – მზის ფერია. ამ ფერის შეტანა ჩაცმულობაში თქვენგან ითხოვს ყურადღების ცენტრში მოქცევას; თქვენი ინტელექტისა და გონებამახვილობის გამორჩევას; ენერგიის, სითბოს, კეთილშობილების გამოვლენას. თუ ეს ფერი გადამეტებულია, ესე იგი, თქვენში თვითგამოვლინების გადამეტებული სურვილებია განვითარებული.

**თეთრი** ფერი უკავშირდება მთვარეს, რომელიც წარმოადგენს სისპეტაკის, მგრძნობიარობის, სისუფთავის სიმბოლოს. ამავე ფერით აღინიშნება ადამიანის დამოუკიდებლობა და განცალკევება, ამიტომ, ამ ფერით ლიდერული თვისებების გამოვლენას საზოგადოება არაადეკვატურად აღიქვამს. თუ არ გაქვთ სხვისი პრობლემების მოსმენის ან საკუთარი შინაგანი სამყაროს სხვებისთვის გახსნის სურვილი, მაშინ ეს ფერი სავსებით მისაღებია.

**წითელი** – პლანეტა მარსის ფერია, რომელიც აძლიერებს აგრესიულობას, შემტევ ხასიათს, ლიდერულ თვისებებს, სექსუალურობას, აქტიურად და ენერგიულად მოქმედების უნარს. მეტად იზიდავს საპირისპირო სქესის პარტნიორებს; თუ ხშირად იცვამთ წითელს, ესე იგი, გამორჩეული ხართ მასისგან; თქვენგან ელიან მებრძოლ სულისკვეთებას. თუ აღარ მოგწონთ ამ ფერის ტანსაცმელი, ესე იგი, ემოციურად გადაღლილი ხართ და სიმშვიდე და დასვენება გჭირდებათ.

**მწვანე** ფერი შეიცავს სიყვარულის პლანეტის – ვენერას ენერგიებს. ეს არის სულიერი ჰარმონიის, წონასწორობის, სტაბილურობის, პრაქტიკულობის, დიპლომატიურობის ფერი. კარგია საქმიანი და ყველა სხვა სახის მოლაპარაკებებისა და კონტრაქტებისთვის. გაითვალისწინეთ, რომ ამ ფერით ემოციათა სიუხვეს თავად ვერ მიაღწევთ, შეიძლება, თქვენით სხვები უფრო დატკბნენ. თუ თქვენ ძირითადად მწვანე ფერს იცვამთ, ეს, შესაძლებელია, იყოს შემცირებული თვითშეფასების ნიშანი. ნუ თრგუნავთ თქვენს გრძნობებსა და სურვილებს.

**ნარინჯისფერი** – პლანეტა მერკურის ფერია. ამახვილებს ინიციატივას, თავისუფლებას, გონებამახვილობას, ენთუზიაზმს, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას. კარგია გართობისთვის, სწავლისთვის, სპორტული თამაშებისა და ახალი ნაცნობობისთვის. ის გამათავისუფლებთ ზედმეტი კომპლექსებისა და შიშებისგან, ხელს შეგიწყობთ ძალების აღდგენაში.

**ლურჯი** – პლანეტა იუპიტერის ფერია. ხელს უწყობს პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. ის უხდება სერიოზულ, ძალაუფლებით დაჯილდოებულ, მოწესრიგებულ ადამიანებს. ავითარებს დისციპლინას, საქმიან შესაძლებლობებს. ამიტომ, ამ ფერის ტანსაცმლით პაემანზე წასვლა არ არის რეკომენდებული, ის უფრო საქმიანი ურთიერთობებისთვისაა კარგი. ლურჯი ვერცხლისფერთან ერთად, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, ამსუბუქებს სტრესს.

**იისფერი** – პლანეტა ურანის ენერგიას ატარებს. ფილოსოფოსებისა და პოეტების, ასტროლოგების ასტრონომებისა და მკვლევრების ფერია. ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას, საკუთარ თავში ჩაღრმავებას, კოსმიურ კანონებში ჩახედვას, სიახლეებს, პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტას, არასტანდარტულ მოქმედებას. თუ აღარ მოგწონთ იისფერი, ესე იგი, თქვენში ძლიერდება პირადი დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში.

**ცისფერი** – პლანეტა ნეპტუნის ფერია. აადვილებს ცხოვრებისეულ დინებაში ცურვას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მოღვაწეობას, ფანტაზიას, კოლექტიურ შემოქმედებას. კარგია ხელოვანი ადამიანებისთვის. თუ თქვენს ჩაცმულობაში ეს ფერი ძირითადია, ესე იგი, თქვენ ვერ იტანთ მარტოობას.

**ნაცრისფერი** – პლანეტა სატურნისა და შინაგანი ბარიერის ფერია. კარგია, თუკი გინდათ სერიოზული და საქმიანი ადამიანის იმიჯის შექმნა; ამ ფერს არ უყვარს ჭკუამხიარული და ინტრიგანი ადამიანები. ნაცრისფერ სამოსში სანდო პარტნიორის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ის ხელს შეგიწყობთ, დაამყაროთ იდეალური ურთიერთობები როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში.

**შავი** – პლანეტა პლუტონის ფერია, რითაც ადამიანები ხაზს უსვამენ საკუთარ ინდივიდუალურობას, განსაკუთრებულობასა და სხვებისგან განსხვავებულობას. ამ ფერით თქვენ თავს იცავთ. ის ხელს უწყობს მასისგან განცალკევების პროცესს, ამიტომ, კარგია საზოგადოებაში გამოსვლის დროს, დღესასწაულებისთვის. შავი ფერი აძლიერებს თქვენს იდუმალებასა და მაგიურობას. მართალია, კომუნიკაბელურ ადამიანს გაუჭირდება ამ ფერთან „ურთიერთობა", მაგრამ, მნიშვნელოვან საქმეში ან საპასუხისმგებლო პერიოდში ის ხელს შეუწყობს თქვენი შინაგანი პრობლემების დამალვას. სიყვარული შავისადმი ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ძალიან აფასებს წესრიგს როგორც საქმეებში, ასევე ურთიერთობებში.



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2003 წლის 24 ივნისს, დილის 7-დან 8 საათამდე. რა არის მისი კოსმიური მისია დედამიწაზე და რომელი პროფესია უნდა აირჩიოს სამომავლოდ, რომ წარმატებებს ადვილად მიაღწიოს?**

**პასუხი**: დედამიწაზე თქვენი შვილის კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოს ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანი მხარჯველი. უნდა შექმნას სტაბილური საოჯახო, სანათესაო კავშირი; სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე და ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია; უნდა დაეყრდნოს ინტუიციას, დაიცვას საიდუმლო; უნდა იყოს სამშობლოს პატრიოტი და ემსახუროს მას; დაიცვას ტრადიციები და ადათ-წესები; უნდა შეძლოს შუამავლის ფუნქციის შესრულება ორგანიზაციებსა და კერძო პირებს შორის; დაეყრდნოს ოპტიმიზმს, აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას. რაც შეეხება პროფესიებს, მისთვის წარმატების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმის ფართო სპექტრი; პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი; ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პედიატრია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო სფერო, ავიაციის ბიზნესი ან შემოქმედება, იურისპრუდენცია, პროფესიონალური დიპლომატია ან ტურიზმი.

**კითხვა: დავიბადე 1996 წლის 19 იანვარს, ღამის 3 საათზე. რომელი პროფესიები ჩემთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი**: თქვენთვის კარგია და მისაღები: დრამატურგია, სცენარისტობა, რეჟისურა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, აუდიოვიდეო სისტემები, სოციოლოგია, ავიაციის ბიზნესი, შემოქმედება, სამეცნიერო კვლევა, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საკონსტრუქტორო და საგამომგონებლო საქმე, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, პედიატრია.



### ვერძი

ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ. შესაძლოა, მოგიწიოთ გარისკვაც, რაც ნერვიულობის საბაბი გახდება. სერიოზულად დაფიქრდით მომავალ ცხოვრებასა და მიზნებზე. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან სიტუაცია დაგეძაბოთ, ამიტომ, იყავით მეტად თავშეკავებული.



### კურო

გამოიყენეთ თქვენი შესაძლებლობები სამსახურში სიტუაციის გამოსასწორებლად და ახალი პოზიციის დასაკავებლად. სასიყვარულო ურთიერთობაში შეგეცვლებათ განწყობა და უფრო ღრმა გახდება თქვენი კავშირი რჩეულთან. შემცირდება გადაადგილებები.



### ტყუპები

ბევრი საქმე გექნებათ, თუმცა, მატერიალურ სფეროზე ეს დადებითად აისახება. კარგია იმიჯის მოწესრიგება და გარეგნობის შეცვლა. დიპლომატიის უნარის გამოვლენით საყვარელ ადამიანთანაც სიმშვიდეს მოიპოვებთ და საქმესაც დადებითად შეასრულებთ.

### კირჩხიბი

იმოქმედეთ აქტიურად და არ დაზოგოთ თავი წარმატებების მისაღწევად. დაისახეთ მიზნები და გეგმები. მოიმატებს მატერიალური შემოსავალი და ამაღლდება საზოგადოებრივი სტატუსი. მეგობრები დიდ დახმარებას გაგიწევენ. სასიყვარულო ურთიერთობაში შეინარჩუნებთ სტაბილურობას. კარგია ახალი ნაცნობობა.





### ლომი

მოერიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვასა და ბევრ ხალხთან ურთიერთობას. კარგია დასვენება. საქმიანი პარტნიორები ყურადღებით შეარჩიეთ. საყვარელ ადამიანთან იყავით უფრო მეტად თბილი და გულღია. ნუ აჩქარდებით პირად ცხოვრებაში ცვლილებების შეტანისას.



### ქალწული

სამსახურის საქმეებს მიუდექით მეტად სერიოზულად. კარგია გადაადგილებები, შეხვედრები, ურთიერთობები, ხელშეკრულებების დადება და საქმიანი მოლაპარაკებები. კარგი შანსი მოგეცემათ უცხოეთში გასამგზავრებლად.

### სასწორი



ნუ აიღებთ საკუთარ თავზე იმაზე მეტ საქმეს, რისი შესრულებაც შეგიძლიათ. ნერვული სისტემა ხშირად გიმტყუნებთ, ამიტომ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე. შეამცირეთ კონტაქტები. საყვარელ ადამიანთან კი არ დაიწყოთ საქმის გარჩევები და არ წაუყენოთ ულტიმატუმი. კარგია მკურნალობის დაწყება.



### მორიელი

გონებამახვილი და მხიარული იქნებით. შეხვედრები ბევრ დროს წაგართმევთ, მაგრამ, მომავალში წარმატებას მოგიტანთ. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებს. გაითვალისწინეთ საყვარელი ადამიანის რჩევები. ნუ აჩქარდებით და იყავით მშვიდი.



### მშვილდოსანი

ახალი მოლაპარაკებები და საქმიანი კონტაქტები მეტად წარმატებულს გაგხდით. კარგია ცოდნის გაღრმავება. მეგობრები დახმარებას გაგიწევენ. თქვენი ენერგობალანსი დაქვეითებულია, ამიტომ, მოერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. კარგია მოგზაურობა. სასიყვარულო სფეროში დაძაბული მდგომარეობა თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს.



### თხის რქა

შესაძლოა, მიიღოთ ახალი საქმიანი შემოთავაზებები, რაც თქვენს მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს. კარგია ახალი ნაცნობობა და კონტაქტები. საყვარელ ადამიანთან კონტაქტი სიამოვნებას მოგანიჭებთ. მეტი დრო დაუთმეთ სპორტს.



### მერწყული

კარგია სანათესაო-სახლობლო ურთიერთობები. ყურადღებით აირჩიეთ ახალი საქმიანი პარტნიორები. უცხოელებთან კონტაქტი კარგ შემოსავალს გპირდებათ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ფინანსურ საბუთებს. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. საცხოვრებელი გარემოს შეცვლა ცხოვრებაში კარგ ცვლილებებს გპირდებათ.



### თევზები

ახალი პერსპექტივები მიგიზიდავთ, თუმცა წინააღმდეგობებსაც წააწყდებით. მოერიდეთ უკანონო ქმედებებს. ხშირად მოიწყვეთ განტვირთვის და დასვენების დღეები. არ ვარგა გარიგებები და ფინანსური ოპერაციები. საყვარელ ადამიანთან გაუგებრობები კი სჯობს დროულად მოაგვაროთ.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 22 ნოემბერი 12:35 სთ.**

### ორშაბათი

იყავით ფრთხილი და წინდახედული. არ აჰყვეთ პროვოკაციებსა და ავანტიურულ ქმედებებს. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ნუ ჩაერევით სხვების საქმეში. ატარეთ ყავისფერი, ნარინჯისფერი, მწვანე, ყვითელი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ლაბრადორი, ობსიდიანი ან რუხი ტოპაზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ყელი.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### სამშაბათი

ადამიანებში მოიმატებს მგრძნობელობა, დიპლომატიურობა, ეჭვიანობა და პირდაპირობა. მოერიდეთ პროვოკაციებს და ხშირად დაისვენეთ. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, გართობა, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.*

### ოთხშაბათი

### გეომაგნიტური დღე

სერიოზულად მიუდექით საქმეებს. მოერიდეთ მერყევ პოზიციას. დაიცავით სამართლიანობა. არ ვარგა მანქანის ყიდვა-გაყიდვა. კარგია იურიდიული საქმეები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, ჩალისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, საფირონი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

### ხუთშაბათი

ნუ იქნებით ზედმეტად პატივმოყვარე. გამოავლინეთ მეტი სიყვარული. ატარეთ წითელი, მწვანე, ყვითელი ან შინდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, გიაცინტი, ტოპაზი, ონიქსი ან მარგალიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია თვითშემეცნება, მანქანის ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### პარასკევი

### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტელექტი და ინტუიცია. ნუ მიიღებთ სწრაფ გადაწყვეტილებებს. ნუ აჰყვებით ცდუნებებს და პროვოკაციებს. ატარეთ წითელი, შავი, ყვითელი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, გიშერი, ქრიზოპრაზი ან ტურმალინი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. კარგია მშენებლობა. სუსტდება ცხვირი, შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### შაბათი

### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს ახალმთვარეობაა – უარყოფითი კოსმიური ენერგიები მეტად განაპირობებენ კონფლიქტებს, ავარიებს, დეპრესიის, აგრესიის გამოვლენის ალბათობას. ასევე, სუსტდება ჯანმრთელობა და იმატებს ცდუნებები. იყავით ფრთხილი და წინდახედული. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, სარდიონი, საფირონი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ მოგზაურობას, ადგილსამყოფლის შეცვლას. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, შარდსასქესო სისტემა.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.*

### კვირა

### გეომაგნიტური დღე

ნურავის დაჰპირდებით იმას, რის გაკეთებასაც ვერ შეძლებთ. იცხოვრეთ თავისუფალი დღის გრაფიკით და ნურაფერს დაგეგმავთ. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, იაგუნდი, ლაზურიტი ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია სწავლა, უცხოელებთან კონტაქტი. სუსტდება მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# თქვენ და გარშემო მყოფები

*როგორი დამოკიდებულება გაქვთ იმ ადამიანებთან, რომლებიც თქვენ გარშემო არიან: მოსწონთ თქვენი საზოგადოება? ან, იქნებ, მხოლოდ გიტანენ, რადგან, უნებლიეთ, ეგოისტურად ექცევით?!*

**1. შეგიძლიათ, სერიოზული თანხა გადაიხადოთ ნათესავის, ახლო მეგობრის საჩუქარში?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.



**2. აგრძნობინებთ ახლობლებს, რომლებიც სულ თავის პრობლემებზე გელაპარაკებიან, რომ თქვენ ეს არ გეხებათ?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 1 ქულა.

**3. ხშირად ეუბნებით ადამიანებს სასიამოვნო სიტყვებს ყოველგვარი მიზეზის გარეშე?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**4. თუ თქვენი მეგობარი ცუდ პარტნიორობას გიწევთ კარტში ან სხვა რომელიმე თამაშში, ეჩხუბებით მას?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**5. გახასიათებთ ახლობლების მიმართ უცერემონიო და უხეში ხუმრობები?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 1 ქულა.

**6. მიატოვებთ შეყვარებულს ან პარტნიორს, თუ ის გაწყენინებთ?**

ა) დიახ – 0 ქულა; ბ) არა – 1 ქულა.

**7. დიდხანს გახსოვთ წყენა, რომელიც საყვარელმა ადამიანმა მოგაყენათ?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 1 ქულა.

**8. შეგიძლიათ, დიდხანს და ყურადღებით უსმინოთ ახლობელს, რომლის საუბარიც არ გაინტერესებთ?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**9. როცა პრობლემაა, თავგამოდებით ცდილობთ საკუთარი სიმართლის დამტკიცებას?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**10. ხალისით ეხმარებით ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებიც რთულ სიტუაციაში არიან?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**11. ადვილად უსრულებთ სხვებს სურვილებს?**

ა) დიახ – 1 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**12. შეგიძლიათ, სხვების გასამხიარულებლად ჯამბაზივით მოიქცეთ?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 1 ქულა.

***4 ქულაზე ნაკლები:*** *იფიქრეთ თქვენს საქციელზე. თუ ასე გააგრძელებთ, ფსიქოლოგიურ პრობლემებს მარტო სხვებს კი არა, საკუთარ თავსაც შეუქმნით. ცოტა კორექცია და – შავი ღრუბლები გაიფანტება.*

***4-8 ქულა:*** *თქვენი სიკეთე გარემო პირობებზეა დამოკიდებული. ყველაფერზე იმ ადამიანის გამო წახვალთ, ვინც მართლა გიყვართ. ცხადია, ყველასთვის კარგი ვერ იქნებით.*

***8 ქულაზე მეტი:*** *უკეთილშობილესი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ არც თავად ხართ ბედნიერი და ვერც სხვებს აბედნიერებთ. მუდმივად სხვაზე ზრუნვა და საკუთარი სურვილების იგნორირება იმათ ეგოისტებად აყალიბებს, თქვენ კი სტრესს გაყენებთ. უნდა იცოდეთ, როგორ თქვათ „არა" – ზოგჯერ ეს აუცილებელია.*

**მოამზადა
ელენე წულუკიძე**

# როგორ თქვა კონსტანტინე გამსახურდიამ 3 მილიონ მარკაზე უარი

1919 წელს ბერლინში, უნივერსიტეტში ლექციების დროს კონსტანტინე გამსახურდიამ გაიცნო მოხუცი კაცი. რადგან მოხუცი აუდიტორიაში იჯდა, ახალგაზრდა გამსახურდიას ის ახალი პროფესორი ეგონა. იმ დროს გამსახურდია დოქტორანტი იყო უკვე.

აღმოჩნდა, რომ მოხუციც დოქტორანტი ყოფილა. უსწავლელ მამას ერთხელ შვილები გახუმრებიან, ვერასოდეს შეძლებ დირექტორი გახდეო. მისი შვილები ქარხნების დირექტორები იყვნენ. შვილებისათვის თავისი შესაძლებლობის დამტკიცების მიზნით, მოხუცმა გადაწყვიტა, ბერლინის უნივერსიტეტში ესწავლა. როცა გამსახურდია გაიცნო, ის უკვე დოქტორანტი გახლდათ.

მოხუცი გერმანელი ებრაელი აღმოჩნდა, გვარად ვასერმანი. ვასერმანებს ჩვიდმეტამდე ტყავის ქარხანა ჰქონდათ ბერლინში და ბერლინს გარეთ.

მოხუც ებრაელს, ალბათ, მოეწონა თავისი შვილების ტოლი და კიდევ უფრო უმცროსი ახალგაზრდა. შაბათობით, მოხუცი დოქტორანტი მეგობარი მანქანას უგზავნიდა ახალგაზრდა დოქტორანტ გამსახურდიას და თავის მდიდრულ ვილაში ეპატიჟებოდა. კონსტანტინე ხათრს ვერ უტეხდა მზრუნველ მოხუცს და ესტუმრებოდა ხოლმე. ვასერმანის მეუღლე – ალეფტინა სპეციალურად, ქართველი სტუმრის პატივსაცემად, თავისი ხელით აცხობდა ნამცხვარს და სთავაზობდა მეუღლის უმცროს ამხანაგს.

ვასერმანი მეგობრულად ზრუნავდა გამსახურდიაზე, ხანდახან კრედიტსაც სთავაზობდა, თუმცა კონსტანტინე არ ართმევდა. იმხანად, ის ხელფასად საკმაოდ მაღალ თანხას - 1 500 მარკას იღებდა თვეში და კიდევაც ეხმარებოდა ბერლინში ჩასულ ახალბედა ქართველ სტუდენტებს.

გავიდა დრო, გერმანიაში დაიწყო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი. ეგრეთ წოდებული კაპიტალის გაქცევა გერმანიიდან.

დიდი თუ პატარა კაპიტალისა და ქონების მფლობელები ცდილობდნენ, გერმანიიდან ანაბრები შვეიცარიაში გაეტანათ. ცუდი დღე გაუთენდა გერმანულ ბანკებს.



ერთ საღამოს, ვახშმის მერე, ვასერმანმა თავის ვილაში მყოფ კონსტანტინე გამსახურდიას უთხრა: „მე კარგად ვიცი, თქვენ როგორც საელჩოს ატაშეს, დიპლომატიური პასპორტი გაქვთ და გერმანიის საზღვრებზე ისე გადახვალთ, ვერავინ გაბედავს თქვენი „ბაგაჟის" გაჩხრეკას. მე ხვალვე გადმოგცემთ თქვენ ჩვიდმეტ მილიონ მარკას. აქედან სამი თქვენი იყოს, ხოლო დანარჩენი შვეიცარიის რომელიმე ბანკში შეიტანეთ ჩემს სახელზე".

სამი მილიონი მარკა იმ დროისათვის ძალიან დიდი ფული იყო. ამ დროისთვის მარკა საკმაოდ სტაბილური ვალუტა გახლდათ, კარგი მსყიდველობითი უნარით. ასეთი დიდი ფულით ადამიანს შეეძლო, მაშინდელ ევროპაში ფუფუნებაში ეცხოვრა. შეიტანდა ბანკში და პროცენტებით მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ან ოქროდ აქცევდა ანდა რაიმე საქმიანობას წამოიწყებდა. მსოფლიო ომში მარცხმა გამოიწვია გერმანიის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, რაც მთავარია, დაიწყო პანიკა. არა მარტო გერმანელი ებრაელები, არამედ გერმანელი კაპიტალისტებიც კი, ცდილობდნენ თავიანთი ანაბრებისა და ფულის გადარჩენას ამგვარი მეთოდებით.

ასეთ მაცდურ და საქმიან წინადადებაზე – 3 მილიონი მარკის შეთავაზებაზე, ებრაელ კაპიტალისტს, ახალგაზრდა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გაულიმა და ასე უპასუხა:

„სამწუხაროდ, გულახდილად უნდა გითხრათ, ჰერ ვასერმან, ასეთ საქმეში მე ვერ გამოგადგებით. ერთიც ვნახოთ, გერმანიის კონტრდაზვერვამ დაარღვიოს საერთაშორისო კანონი და ასეთი რამ, როგორც მოგეხსენებათ, არა ერთხელ მომხდარა. ეს რომ მოხდეს და ყოველივე გამოაშკარავდეს, ჩემს ქვეყანას და მე საქვეყნოდ თავი მოგვეჭრება".

მოხუცი კაპიტალისტი კარგა ხანს დუმდა. ეტყობა, ეწყინა ამდენ ფულს რომ ვერ გადაარჩენდა. ალბათ, უფრო საქმიანი თუ პრაგმატული ეგონა ქართველი, ან უარს არ ელოდა, თანაც, ასეთი დიდი თანხის სანაცვლოდ. ასეა თუ ისე, გამსახურდიას უთხრა: „ბატონო გამსახურდია, ნუ გეწყინებათ. გულწრფელად გეტყვით: თქვენგან საქმის კაცი არასოდეს გამოვა. თქვენ, ალბათ, გამოუსწორებელ რომანტიკოსად დარჩებით, ხოლო რომანტიკოსების ხვედრი თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. დიდი პოეტი შილერი და დიდი მუსიკოსი შოპენი რომანტიკოსები იყვნენ და მიტომაც შიმშილით ამოძვრათ სული".

მეოცე საუკუნის დიდმა რომანტიკოსმა ასე მიმართა კაპიტალისტს: „თუ ჩემგან საქმიანი კაცი არ გამოვა, ამას არ ვიდარდებ. მე დიახაც რომანტიკოსი გახლავართ და ასეთად დავრჩები, ალბათ, სიკვდილამდის".

**გიორგი მახოგაშვილი**

# როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №27-45(724)

კოტემ ისედაც ცუდად იცოდა ინგლისური და დიანასთან სიახლოვემ სულ დააბნია. მისი სხეულისგან წამოსული სითბო მაგიურად მოქმედებდა კაცზე და ამუნჯებდა. ნატრობდა, დიდხანს გაგრძელებულიყო მოულოდნელად თავს დატეხილი უჩვეულო ბედნიერება. დეა თითქოს ვერ ხვდებოდა ამას, ხალისიანად იცინოდა და დროდადრო სახეში აშტერდებოდა. კოტეს ჰაერი არ ეყო, პირი გააღო და ღრმად ჩაისუნთქა ცივი ჰაერი...

– რატომ გამოგვექეცით? მოგწყინდათ ჩვენთან? პრინციპში, ცოტა მოწყენილობა კი იყო იქ... მეც წამოვედი.

კოტემ ამოიოხრა და სათქმელს ძლივს მოუყარა თავი:

– ხელი აღარ შეგიშალეთ... ბოდიში უნდა მოგიხადოთ ჩემი ინგლისურის გამო, – ძლივს თქვა და ისევ ამოიოხრა.

დეამ გადაიკისკისა:

– არა უშავს, მაინც გავაგებინებთ ერთმანეთს... მიყვარს ჩემზე უფროს მამაკაცებთან საუბარი, მით უფრო, სხვა ქვეყნიდან ჩამოსულებთან.

– კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

– ყველაფერი... ალექსანდრეს თქვენ შესახებ არაფერი უთქვამს. ძალიან ხომ არ გავთამამდი? ხომ არ გაწუხებთ ჩემი შეკითხვებით?

– არა, პირიქით, ძალიან სასიამოვნოა ასეთ ლამაზ გოგონასთან ერთად სეირნობა. ალბათ, რამდენ ბიჭს შურს ახლა ჩემი... თქვენ დიდი ხანია, სანდროსთან, ჩემს შვილთან მეგობრობთ? – პასუხის მოლოდინში კოტემ ნაბიჯი შეანელა.

დეამ თვალები მოჭუტა და ტუჩთან ახლოს, მარჯვენა ლოყა ჩაეჩვრიტა საყვარლად...

– არც ისე. ალექსანდრე კარგი ბიჭია, ტომასიც, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, მე ჩემზე უფროსი მამაკაცები მომწონს.

კოტე ვერ მიხვდა, რა შეიძლებოდა ეგულისხმა გოგოს ამ სიტყვებში. რა თქმა უნდა, ისეთი ოპტიმისტიც არ იყო, პირდაპირი მნიშვნელობით გაეგო ნათქვამი.

– ესე იგი, თქვენ ბიზნესმენი ხართ...

– დიახ, ვცდილობ.

– მოგწონთ, რასაც აკეთებთ?

კოტემ გაიღიმა. მაინც დაძაბული იყო. ყველა კუნთი დაეჭიმა და სტკიოდა.

– ვერ ვიტყვი, რომ უკეთესს არ ვისურვებდი საკუთარი თავისთვის, მაგრამ ფული საჭიროა.

დეამ გაიცინა:

– მახსოვს, ერთხელ მამაჩემმაც ზუსტად ასე თქვა, ძალიან დაღლილი რომ მოვიდა ოპერაციიდან.

– მამა ექიმია?

– დიახ, კარდიოლოგი. გულზე აკეთებს ოპერაციებს, – უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, გოგომ მკერდზე მიიდო გაშლილი ხელისგული. ლამაზი თითები ჰქონდა, ნატიფი და გრძელი. ლაკი არ ესვა და ფრჩხილებზე, ჩვილი ბავშვის თითებივით, ღია ვარდისფერი გადაჰკრავდა. კოტე მიხვდა, რითაც გადარია დიანამ – ეს მისი ბუნებრიობა და თითქმის პირველყოფილი, ხელუხლებელი სილამაზე იყო.

– არ მეგონა, – აღმოხდა უნებლიეთ ის, რაც იმ წამს გაიფიქრა.

– მაპატიეთ, მე მითხარით რამე? კარგად ვერ გავიგონე.

– არ მეგონა, ასეთი გოგოები თუ კიდევ იყვნენ ევროპაში.

– მაინც, როგორი? ან, ევროპელი გოგონები რანაირები გეგონათ? მითხარით, მითხარით, მაინტერესებს თქვენი აზრი.

– როგორ გითხრათ... ყოველ შემთხვევაში, თქვენსავით უბრალოები და ბუნებრივები არა; უფრო ცხვირში საყურით და რაღაც ამდაგვარი...

– ჰა, ჰა, ჰა!.. ძალიან სასაცილოა.

– ვიცი, მაგრამ, ეტყობა, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ფანტაზიაში ცოტა მოვიკოჭლებ.

– კარგად ვერ გავიგე, რა თქვით, მაგრამ, მგონი, რაღაც ასაკს დააბრალეთ. რა სისულელეა. ადამიანი, მით უფრო, მამაკაცი, რაც მეტი წლის არის, მით უფრო საინტერესოა.



– მართლა ასე ფიქრობთ?

– დიახ, რა თქმა უნდა. არ არის ასე?

– ძნელია, დაგეთანხმოთ ან არ დაგეთანხმოთ... – კოტემ გაუბედავად შეახო ხელი თითებზე, გოგოს მის მკლავზე რომ ედო და ოდნავ მოეფერა.

– სულ გაგყინვიათ თითები... შეგცივდათ?

– არა. მე შეჩვეული ვარ სიცივეს. აი, თქვენთან კი, მგონი, სულ ცხელა.

– სად, საქართველოში? არა, ასეც არ არის საქმე... თოვლიც მოდის და ყინავს კიდეც. თუმცა, ირლანდიასთან შედარებით თბილი ამინდებია და მზე უფრო ხშირად გვაქვს.

– მე ლონდონში ვცხოვრობ, – თქვა დეამ ღიმილით, – თუმცა, ლონდონშიც არ გვანებივრებს მზე ხშირად.

– ლონდონში ცხოვრობთ? – კოტესთვის უცებ ყველაფერი ნათელი გახდა, – ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის.

– რა არის გასაგები? ვერ მივხვდი...

– ჩემი შვილი, სანდრო, თქვენ გამო ხომ არ აპირებს ლონდონში გადმოსვლას? ახლაც იმან მოგაგზავნათ ჩემთან, რომ დამიყოლიოთ? – კოტეს გულში წამით ანთებული იმედის ნაპერწკალი ერთბაშად ჩაქრა და ტუჩზეც კი იკბინა, იმედგაცრუებით გამოწვეული ტკივილი რომ დაეძლია.

დიანა ერთბაშად გაჩერდა, კაცს მკლავზე ხელი უშვა და წყენით ჩაილაპარაკა:

– თურმე ეჭვიანი ყოფილხართ, ბატონო... არ ვიცი, თქვენი შვილი რას აპირებს, მაგრამ, მე მის გადაწყვეტილებებთან კავშირი არ მაქვს. საერთოდ არ ვიცი, რას ფიქრობს და რა უნდა... კარგად იყავით, დაგემშვიდობებით...

კოტემ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაარჩია დიანას ნათქვამში, მაგრამ, იმას კი მიხვდა, რომ გოგო ძალიან იყო ნაწყენი და შეურაცხყოფილი.

– არ წახვიდეთ... შეიძლება, რაღაც შემეშალა... – დაიწყო ბორძიკით და ქართულ და ინგლისურ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა, – მე არც მიფიქრია თქვენი წყენინება... მართლა ძალიან ვწუხვარ... მოდი, კაფეში შევიდეთ, ყავაზე და ნამცხვარზე დაგპატიჟებთ..

– არ მინდა, – თქვა დეამ. სახეზე ისევ ეტყობოდა გაბრაზება.

– ძალიან გთხოვთ. მეც არ ვიცი, ეს რატომ ვთქვი... მაპატიეთ, რა...

– არა, ახლა მართლა უნდა დაგემშვიდობოთ... ხვალ, თუ სურვილი გექნებათ, ამ ადგილას შევხვდეთ. შეხედეთ, დაიხსომებთ ამ კაფეს?

კოტემ დაბნეული მზერით მოათვალიერა ქუჩა და კუთხეში პატარა კაფეც შენიშნა.

– ოთხი საათისთვის კაფეში ვიქნები... – დეა შებრუნდა და გაოგნებული, ნირწამხდარი კაცი თავის ფიქრებთან მარტო დატოვა...

სანდრომ გვიან შენიშნა, რომ ტუალეტში გასული დიანა უკან აღარ დაბრუნდა. აწრიალდა... რამდენიმე წუთი მოუსვენრად ცქმუტავადა, მერე ნერვებმა უმტყუნა და ტომასთან მხიარულ საუბარში გართულ ლინას მკლავზე მოჰკიდა ხელი:

– სად წავიდა?

– ვინ? – გაიოცა ლინამ, – ვისზე მეკითხები, მამაშენზე?

– არა, მამაჩემი რა შუაშია. დიანა... მგონი, სადღაც წავიდა... შენთვის არაფერი უთქვამს?

– არა! – მხრები აიჩეჩა ლინამ, – რამე ხომ არ აწყენინე?

– მე? რა უნდა მეწყენინებინა? მშვენიერ გუნებაზე იყო, ვლაპარაკობდით... უცებ, ცო-

ტა ხნით უნდა გავიდეო და აღარ მობრუნდა... ტუალეტში ხომ არ გავიდა? არ შეგიძლია, ნახო?

– ანუ, ტყუალეტში გავიდე და მოვძებნო? – ლინამ გაოცებით შეხედა ბიჭს, – სანდრო, ასე რატომ ნერვიულობ? დიანა უკვე დიდი გოგოა, არ დაიკარგება.

– რა მოხდება, რომ ნახო? – მუდარით მოებრიცა სახე ბიჭს და საქმეში ტომასი ჩაერია.

– რა პრობლემაა, მე გავალ და ვნახავ, – ტომასი წამოდგა და საპირფარეშოებისკენ გაემართა.

– არ ვიცი, რატომ შფოთავ ასე, მით უმეტეს, თუ არ გიჩხუბიათ... ალექსანდრე, შენ გეკითხები.

– მეც არ ვიცი. ავფორიაქდი და იმიტომ. სად უნდა წასულიყო მარტო? ღამეა უკვე...

– ვაიმე, ალექსანდრე... შენ შეყვარებული ხარ და, თანაც როგორ! – ხელი ხელს შემოჰკრა ლინამ.

– ჰო, შეყვარებული ვარ და არ ვმალავ. რა აზრი აქვს? მიყვარს, ძალიან მიყვარს და, როცა ვერ ვხედავ, ცუდად ვხდები. აი, ახლაც ცუდად ვარ... – წამოენთო ბიჭი, – ტომას, რა ქენი?

– იქ არ არის, ყოველ შემთხვევაში, თუ კაბინაში არ არის ჩაკეტილი.

– სად უნდა წასულიყო? – სანდრო მოიღუშა და თავზე იტაცა ხელები.

– დავურეკოთ, – უცებ გაახსენდა ლინას, – როგორ არ მომაფიქრდა. ახლავე გავიგებთ, სად არის ჩვენი დეიკო...

მობილური სადღაც სულ ახლოს აწკრიალდა, იმდენად ახლოს, რომ ლინამ თავის ტელეფონს დახედა, შემთხვევით ტომასის ნომერი ხომ არ ავკრიფეო.

– ჩანთა და ტელეფონი აქ დაუტოვებია... წარმოუდგენელია... რატომ უნდა მოქცეულიყო ასე? ახლა უკვე მეც ავღელდი, – თქვა ლინამ და ბიჭებს გადახედა.

სანდრო წამოხტა:

– მორჩა, მის საძებნელად მივდივარ!

– მოიცა, – შეაჩერა ტომასმა, – სად მიდიხარ? ვერ ვხვდები, რისთვის ატეხე ეს ამბავი. გოგომ არც ჩანთა წაიღო და არც მობილური, ესე იგი, სადღაც ახლოს არის და სანერვიულო არაფერია. შენ რომ მოსაძებნად წახვიდე, ჯერ ერთი, არ იცი, სად მოძებნო და, მეორეც, დიანა ძალიან გაგიბრაზდება.

– ჰო, გაბრაზდება, – ტომასს მხარი აუბა ლინამაც, – დავმშვიდდეთ, დაველოდოთ და მოვა...

***

... თიკო ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მიაშტერდა. შეშაზე ავარდნილი ალი ანათებდა ტყავებით მოფენილ ოთახს... სასიამოვნოდ თბილოდა, მაგრამ, თიკომ მაინც შეისწორა შიშველ სხეულზე მიფარებული ხალათი...

– არ შეგცივდეს შენ... შიშველ მხარზე მიეფერა კაცი და აკოცა, – რა თქმა უნდა, მე შენი მშვენიერი სხეულის ცქერა მირჩევნია, მაგრამ, ისიც არ მინდა, რომ ავად გახდე.

– ბუხარი... ცეცხლი... ტყავები... თავი სიზმარში მგონია, – აჩურჩულდა ქალი, – ვერ ვიჯერებ, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა.

– ხომ არ ნანობ? – შეცბა კაცი. სიგარეტს გადასწვდა და მოუკიდა.

– არა, ეს არ მიგულისხმია... უბრალოდ, საკუთარი თავის მიკვირს.

– ანუ, ხომ არ იჩქარე? თიკო, მე მესმის შენი... არც არაფერს გკითხავ. ჩემთვის მნიშვნელოვანი დღევანდელი დღეა და არასოდეს დავინტერესდები, რა იყო გუშინ.

– თუ, ვინ იყო გუშინ? – დაუზუსტა ქალმა, – იყო ერთი... თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარდა ან მასზე გათხოვება მქონდა გადაწყვეტილი... ხომ ხედავ, როგორი გულახდილი ვარ...

– ვხედავ და კიდევ უფრო მეტად მომწონხარ ასეთი გულახდილობისთვის. არაჩვეულებრივი ქალი ხარ, შენთან ყველგან ბედნიერი ვიქნები.

– მართლა არაფერი გინდა იცოდე ჩემზე?

– რაც მინდა და მჭირდება, უკვე ვიცი, გარდა ერთისა – ცოლად გამომყვები?

თიკო წამოჯდა და მკერდი ხელით დაიფარა.

– ახლავე უნდა გიპასუხო?

კაცს სახე დაუსევდიანდა:

– ეს უარს ხომ არ ნიშნავს?

– არა, პირიქით... ანუ, იმის თქმა მინდა, რომ უნდა ვიფიქრო. ძალიან ბევრი ემოცია მივიღე ერთბაშად და ცოტა დაბნეული ვარ. მინდა, საკუთარ თავშიც დავრწმუნდე და შენშიც.

კაცმა ორივე ხელი მოხვია და მაგრად ჩაიხუტა.

– მე დავიცდი. არასდროს ვყოფილვარ ასეთი დარწმუნებული საკუთარ გადაწყვეტილებაში. შენ ის ქალი ხარ, რომელთან ერთადაც მინდა გავატარო დარჩენილი ცხოვრება... შვილებს გამიჩენ და უბედნიერეს კაცად მაქცევ... თიკო, შენ ეს შეგიძლია!.. შენი ყოველი დანახვა სიხარულით მავსებს. ჩემი ნება რომ იყოს, აღარსად გაგიშვებდი აქედან.

– ბეჟან, დრო უნდა მომცე. მართლა არ შემიძლია, ახლავე მივიღო გადაწყვეტილება. მომხდარისგან ჯერ ისევ შოკში ვარ...

– მესმის, საყვარელო, მაგრამ, დილამდე მაინც დარჩი.. არ დამტოვო ამ ცარიელ და ცივ სახლში, რომელიც შენ გაათბე და მშობლიური გახადე ჩემთვის.

– ძალიან კარგი სახლია. ცოტა ცარიელი ნამდვილად არის, მაგრამ, ამას ეშველება.

– ჰო, შენ უნდა გვიშველო. სახლსაც და მეც... სად იყავი აქამდე? ეტყობა, მთელი ცხოვრება მარტო შენ გელოდებოდი...

თიკო კაცს მიაშტერდა:

– ასე რომ მელაპარაკები, უცნაური განცდა მაქვს, უფრო სწორად, უჩვეულო – ვერ წარმოვიდგინე თავი შენი ცოლის როლში.

– ჰო, ვხვდები, რთულია. შენ თავისუფალი ქალი ხარ და შენი ცხოვრება გაქვს. ალბათ, ბევრსაც მოსწონხარ – დარწმუნებული ვარ ამაში. გპირდები, თუკი, რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვები შენთვის რამის გარანტი იქნება, არ ვიქნები სტანდარტული ქმარი და მართლა ვიზრუნებ იმაზე, რომ ბედნიერი იყო...

თიკომ შეკრული შუბლი გახსნა და ტუჩის კუთხეები ღიმილმა გაუპო.



კაცმა აღფრთოვანებული მზერა ვეღარ მოაშორა:

– ძალიან ლამაზი ხარ.

– მართლა?

– ჰო. თვალს ვეღარ გაცილებ... ვერ გრძნობ, როგორ შემცვალე? რაც გაგიცანი, აღარავინ მინდა, შენ მეტი. მეგობრებსაც აღარ ვნახულობ. თუ ჩემ გვერდით არ ხარ, მინდა, შენზე ვიფიქრო და წარმოგიდგინო... თუ ცოლობაზე არ დამთანხმდები, ვიტყვი, რომ აზრი არ ჰქონია ჩემს ცხოვრებას... დარჩები დღეს?

– დავრჩები... – ხმადაბლა ჩაილაპარაკა თიკომ და შუბლით მხარზე მიეყრდნო.

– ჩემო საყვარელო, შენ ხარ ჩემი ბედნიერება... – ბეჟანი უკვე მთვრალი იყო ქალის სხეულისა და თმის სურნელით... გადარეულივით ჰკოცნიდა და ეფერებოდა მის მკლავებში განაბულ თიკოს...

***

სანდრომ საათზე დაიხედა და წამოხტა:

– მეტი ლოდინი აღარ შემიძლია... თქვენ იყავით აქ, მე გავალ და ახლომახლო ქუჩებს მოვივლი.

– არ გინდა, მოვიდა, – კარისკენ მიახედა ლინამ და მეგობარს მიეგება:

– დიანა, სად იყავი?

– არსად, – უთხრა დეამ და დაჯდა, – კოქტეილი შეუკვეთეთ, რა, ჩემთვის!

– რას ნიშნავს, არსად? ძალიან გვანერვიულე, – გაბრაზდა ტომასი, – სანდრო ხომ, უკვე შენს საძებრად აპირებდა წამოსვლას.

– რატომ? – გულგრილად იკითხა დეამ.

– არ გითხარი, ვინერვიულეთ-მეთქი? – ახლა ლინაც გააღიზიანა მისმა მშვიდმა ტონმა, – მობილურიც კი არ წაგიღია, რომ დაგვერეკა და ამბავი გვეკითხა.

– არ წარმოადგენდა აუცილებლობას, მხოლოდ გავისეირნე.

– მეც გამოგყვებოდი, რატომ არ მითხარი? – ჰკითხა სანდრომ.

– მარტო მინდოდა ყოფნა, – მკაცრად თქვა დიანამ და სანდროს ისე შეხედა, ნირწამხდარ ბიჭს ღიმილი უშნო გრიმასასავით შერჩა სახეზე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: რა სიხშირით მოვრწყა საგოვანა?**

**პასუხი:** ოთახის ნორმალურ ტემპერატურაზე ყოფნისას ამ მცენარის მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ, არა წყლით გაჟღენთილი. ზამთარში, ტემპერატურის დაცემისას, შედარებით იშვიათად მორწყეთ, გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე კი ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ ბალანსირებული თხევადი სასუქი. საგოვანა უძლებს დაბალ ტემპერატურას, არარეგულარულ მორწყვასა და მშრალ ჰაერს, მაგრამ სითბო, რეგულარული მორწყვა, განოყიერება და სინათლე მცენარეს ახალ ფოთლებსა და სიჯანსაღეს შეჰმატებს. ზომიერ კლიმატში შეგიძლიათ ზაფხულობით გარეთ გადგათ.

**კითხვა: როგორ მოვუარო კალიზიას?**

**პასუხი:** მას კაშკაშა სინათლე სჭირდება და საუკეთესოა ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. მცენარის აქტიური ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქით. თუ მცენარე ძალიან გაიბადრა, თამამად გაკრიჭეთ – ეს ხელს შეუწყობს ახალი ყლორტების ამოყრას. წაჭრილი ღეროები მალე გაიდგამს ფესვებს და ნესტიან მიწაში ჩაარჭობთ.

**კითხვა: ჩემს დიფენბახიას ფოთლების წვეროები გაუყავისფრდა, ხომ ვერ ამიხსნით, რისი ბრალია?**

**პასუხი:** ფოთლების წვეროების გაყავისფრება წყლის ნაკლებობის ან ჰაერის სიმშრალის ნიშანია. ქოთანი სველკენჭებიან ლანგარზე დადგით. არ დაგავიწყდეთ, რომ მისი წვენი შხამიანია, ამიტომ, ფრთხილად იყავით, განსაკუთრებით – ძველი ფოთლების მოშორებისას. ზრდის პერიოდში მისი მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. კაშკაშა გაბნეული შუქი დიფენბახიას ფოთლებს სიჭრელეს შეუნარჩუნებს. ზაფხულში სიცხეს მოარიდეთ.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორია ეუფორბიას მოვლის პირობები და არის თუ არა ეს მცენარე პრეტენზიული?**

**პასუხი:** ეუფორბია რთული მოსავლელი არ არის, თუმცა, რაც უფრო დიდ სივრცეს გაიმეტებთ მისთვის, უფრო შთამბეჭდავი გახდება. მთელი წელი კარგი განათება სჭირდება. ზამთარში ყველაზე მზიან ადგილას გაიტანეთ. ჰყოფნის ოთახის ტემპერატურა, მაგრამ, სიცხესაც აიტანს. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 10-11 გრადუსი. ზაფხულობით იშვიათად მორწყეთ, ზამთარში კი მხოლოდ იმდენი წყალი დაუსხით, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. ზაფხულში თვეში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. კარგი იქნება, თუ ეუფორბიას ზამთრის ბაღში ან სამხრეთის ფანჯარაზე ამყოფებთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო მუდმივი ტენიანობა ციპერუსს? როგორც ვიცი, თურმე, ამ მცენარეს ძალიან უყვარს ნესტი...**

**პასუხი:** ის ერთ-ერთია იმ მცენარეთაგან, რომლებსაც მუდმივად სველი ნიადაგი სჭირდება. მუდმივი ტენიანობის შესანარჩუნებლად ციპერუსიანი ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით. ასე მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება და ფესვებიც მუდმივად ტენიანი ექნება.

**კითხვა: რა სიხშირით მორწყვა სჭირდება იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი – შედარებით იშვიათად. თუ ფოთლები მოიწყენს, მიხვდებით, რომ წყალი აკლია. ფოთლებს სიმუქეს შეუნარჩუნებთ, თუ მიწას რეგულარულად გაუნოყიერებთ ფოთლოვანი მცენარისთვის განკუთვნილი სასუქით. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ოდენობის ჯარიმაა გათვალისწინებული კანონით სამშენებლო და სხვა სახის მსგავსი ნარჩენების ქუჩაში უნებართვო დაყრისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების, უვარგისი კონსტრუქციების, მასალების, ნივთების, მიწისა და კლდოვანი ქანების გზებზე, მდინარეებში, ტბებში და მათ ნაპირებზე, ფერდობებზე, ხევებში, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, გაზონებზე, ეზოებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრა, ნარჩენებისა და ნაგვის გატანის, გადატანა-გადაზიდვისა და დასუფთავების წესების დარღვევა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით; ხოლო, იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სად შეიძლება, გასაჩივრდეს პოლიციელის მიერ პიროვნების ქუჩაში გაჩერება, მისთვის ნივთების გასინჯვა და ჩამორთმევა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ პიროვნების ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში, თანამდებობის პირთან ან პროკურორთან.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ვადაა კანონით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისთვის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ოდენობის ჯარიმაა გათვალისწინებული მოტოციკლის მძღოლის მიერ სპეციალური ჩაფხუტის გამოუყენებლობისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა სახის გადაადგილების საშუალებები ითვლება სატრანსპორტო საშუალებებად?**

**პასუხი:** სატრანსპორტო საშუალებად ჩაითვლება ყველა სახეობის ავტომობილი, ტრაქტორი და სხვა თვითმავალი მანქანა, ტრამვაი და ტროლეიბუსი, აგრეთვე, მოტოციკლი და სხვა ძრავით მოძრავი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, მოპედის გარდა.

# რა ნიუანსებს უნდა მივაქციოთ ყურადღება ავტომობილის დაზიანებამდე

*განვაგრძობთ იმ პრობლემებზე საუბარს, რომლის მოგვარებაც თავადვე შეგვიძლია.*

**მევლუდ მელაძე**: გამოუცდელობის გამო ჩვენს ქუჩებში ძალიან ხშირია საბურავის დაშვება. ამას იმწამსვე ვერ ვაფიქსირებთ და ასეთ მდგომარეობაში გარკვეულ მანძილსაც გავდივართ. ეს გრძელდება მანამ, სანამ ვიღაც არ მიგვანიშნებს, რომ საბურავმა დაიშვა. ამით კი საბურავს ძალიან ვაზიანებთ. ყოველთვის, როცა დილით ავტომობილით გასვლას აპირებთ, ურიგო არ იქნება, თუ მას გარშემო შემოუვლით და ნახავთ, რაიმე პრობლემა ხომ არ აქვს, ან სადმე ხომ არ არის დაწეული. ძალიან კარგი იქნება, თუ დროდადრო მაინც შეივლით ვულკანიზაციაში და მწარმოებლის მიერ მითითებული ნორმების მიხედვით, საბურავების წნევას გაზომავთ და დაამატებინებთ. ეს ნორმები ან ბენზინის სახურავის შიდა მხარესაა მითითებული, ან უფრო ხშირად, რომელიმე კარის კუთხეში მიწებებულ სტიკერზე. როგორ მივხვდეთ, რომ საბურავი იშვებს? თუ პრობლემა წინა საბურავშია, მაშინ ავტომობილი ერთ მხარეს მოხვევისკენ ხდება მიდრეკილი. ანუ, იმისთვის, რომ სწორ ხაზზე იაროთ, საჭისთვის ძალდატანება გიწევთ – იქით, რომელი მხარეც უფრო სუსტია. თუ უკანა საბურავია დაზიანებული, ამას ამოიცნობთ ასე: უკანა, მარჯვენა საბურავის დაზიანების შემთხვევაში, მარჯვნივ მოხვევისას, ავტომობილი ისეთ შეგრძნებას ტოვებს, თითქოს უნდა მოცურდეს. ავტომობილის უკანა მხარე გაწელილს ჰგავს. მაგრამ, ეს მოცურება არ არის.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

**– დაცინვის მიზნით, ქალებს ძალიან ხშირად ეკითხებიან, როგორ იცვლება საბურავი. ეს ყველაზე კარგი თემაა მამაკაცებისთვის. მაგრამ, ბევრი მათგანი მინახავს, თავადაც რომ არ იცის, როგორ იცვლება საბურავი. მოდი, ქალებსაც და მამაკაცებსაც გვასწავლე, როგორ ხდება ეს.**

– დაშვებული საბურავით შორს ვერ წახვალთ. ეს ფრთის ქვეშ განთავსებულ ელექტროგაყვანილობასაც დააზიანებს და ავტომობილის გარეგნულ იერსახესაც – საღებავი აძვრება. სხვადასხვა ავტომობილს სათადარიგო საბურავი სხვადასხვა ადგილას აქვს. ძირითადად, ეს არის საბარგულის ქეჩის ქვეშ, სადაც საბურავი ერთი დიდი მომჭერით არის დამაგრებული. არის ისეთი ავტომობილები, მაგალითად, „პეჟო", „რენო" და სხვები, რომელთა საბურავი საბარგულის გარეთა მხრიდანაა დამაგრებული და საბარგულის შიგნიდან, ღერძიდან მომჭერით იხსნება. მანქანაშივეა განთავსებული სპეციალური ქანჩები, ანუ „კლუჩები" და „დანგრატი". ქანჩის საშუალებით უნდა მოხსნათ საბურავი, ხოლო „დანგრატით" მანქანა მიწის ზედაპირიდან ჰაერში ასწიოთ. სხვადასხვა მანქანას სხვადასხვა ადგილას ედგმება „დანგრატი". ყველგან მას ვერ შეაცურებთ, რადგან ძარის ზედაპირს დააზიანებს და შეღუნავს. თუ კარგად დააკვირდებით მანქანებს, ეს ადგილი ძალიან კარგად ეტყობა, პლასტმასის პატარა ნაჭრითაა დაფარული და იზოლირებულია. ამ პლასტმასს მოხსნით და „დანგრატს" იქ ჩადგამთ. სანამ ავტომობილს ასწევთ, მასზე დამაგრებული „ბოლტები" ოდნავ უნდა მოუშვათ, რადგან უკვე ჰაერში აწეული საბურავი დაბზრიალდება. ქალბატონებს ვურჩევ, თუ ძალიან გაუჭირდათ მისი მოშვება, ფეხი ან ქვა მაგრად დაარტყან. ამით „ბოლტები" არ დაზიანდება. მანქანის აწევამდე, აუცილებლად უნდა ჩააგდოთ ის პირველ სიჩქარეში, ამოწიოს ხელის მუხრუჭი და ქვები დაადოთ იმ საბურავის უკანა ჯვარედინ მხარეს, რომელსაც ცვლით. ამის შემდეგ აუცილებლად, უახლოეს ვულკანიზაციაში მიხვალთ, რათა გადაამოწმოთ, სწორად არის თუ არა გაკეთებული ყველაფერი. საერთოდ, ჩემი რჩევა იქნება, თქვენს ავტომობილზე გაფუჭებული და ისევ აღდგენილი საბურავი დააყენოთ, ვიდრე სათადარიგო დატოვოთ. უცხოური ავტომობილების უმეტესობას სათადარიგო საბურავი ბევრად ვიწრო აქვს, ვიდრე ჩვეულებრივი, რადგან ნაკლები ადგილი დაიკავოს და ავტომობილიც ძალიან არ დაამძიმოს.

საბურავებთან დაკავშირებით, კიდევ ერთი რამ უნდა დავამატო. თუ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი ავტომობილი გყავთ, მას ხშირად ექმნება ყუმბარების პრობლემა. ავტომობილს რომ ყუმბარები დაუზიანდა, ამის გაგება ძალიან იოლია. მოხვევის დროს ისმის ტკაცუნის ხმა. სწორედ ის ყუმბარაა დაზიანებული, რომელ მხარესაც მოხვევისას ტკაცუნი ისმის.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მყავს რუსული სპანიელი. მაინტერესებს, როგორ და როდის უნდა შევაჩვიოთ წყალში შესვლას?**

**პასუხი:** აღნიშნული ჯიში განეკუთვნება მაძებარ ძაღლებს, კერძოდ, სპანიელების ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებით უყვარს წყალი, ამიტომ, მათთვის წყალში შესვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თუ ძაღლი სანადიროდ გინდათ, დასაგეშად რომ გაიყვანთ, მაშინვე უნდა შეუშვათ წყალში. ამიტომ, ძირითადად, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

**კითხვა: ძალიან მომწონს ჩაუ-ჩაუს ჯიშის ძაღლები და მინდა შევიძინო. მაინტერესებს, რა ღირსებით გამოირჩევა ჩაუ-ჩაუ? იქნებ, რამდენიმე სიტყვით მითხრათ.**

**პასუხი:** ამბობენ, რომ ეს პირველადი ჯიშია. როგორც ამტკიცებდნენ, ის ლაიკასთან ნაჯვარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ლურჯი ენა ამ სქემაში არ ჯდება. მოგვიანებით დადგინდა, რომ ჩაუ-ჩაუ დამოუკიდებელი ჯიშის ძაღლია. ის არც ისე მაღალია – საშუალოდ 43-51 სანტიმეტრი. ის ჰარმონიულად განიერი, ჩადგმული ძაღლია, კისერზე კარგი „ფაფარით". აქვს შედარებით მოკლე ცხვირი. „სტოპი" კარგად აქვს გამოკვეთილი, მაგრამ, იმის გამო, რომ თვალზედა ყვრიმალები კარგად აქვს განვითარებული, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „სტოპი" უფრო ღრმა და მაღალია. ძაღლს ჰარმონიული აგებულება უნდა ჰქონდეს. მართალია, დიდი თავი აქვს, მაგრამ, კორპუსზე ის უნდა იყოს „მიდგმული," რომ ბალანსს არ არღვევდეს. ჩაუ-ჩაუს სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ უკანა ფეხების კიდურების კუთხეები გასწორებული უნდა იყოს და არა მკვეთრად გამოხატული. შესაბამისად, ის ტეხილი მოძრაობებით მიაბიჯებს, რაც შოუ-რინგზე ფასდება ხოლმე. ის, რაც სხვა ძაღლებისთვის და, საერთოდ, კინოლოგიური ნორმაა, აქ ცოტა გვერდზეა გადაწეული.

**კითხვა: მაინტერესებს რა ითვლება ტაქსას ჯიშის ძაღლებში ყველაზე რთულ დაავადებად?**

**პასუხი:** ტაქსას ჯიშის ძაღლებში, ყველაზე რთულ დაავადებად ხერხემლის დაავადება ითვლება. ტაქსას სელექციაში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა. მას რომ მაღალი ფეხები ჰქონოდა სირბილის დროს დარტყმა თანდათან ხერხემალს გაავარჯიშებდა და უფრო შეიკვრებოდა, მაგრამ მოკლე ფეხების გამო ამის საშუალება არ აქვს, უფრო პატარა ნაბიჯებით დადის და, ამიტომ, ზურგის კუნთებიც სათანადოდ არ უვითარდება. სელექციონერების ამოცანაა, ძლიერზურგიანი ტაქსები გაამრავლონ, რათა დისკების ამოვარდნა არ დაემართოთ.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჯიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# მაფიის შვილობილი

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-45(724)**

– თქვენ ფიქრობთ, რომ ფანტომი დღესაც არსებობს?

– დარწმუნებული ვარ, – მტკიცედ თქვა გენერალმა, – მართალია, რუზგენ ჩოჩიანი



ძალიან გამოცდილი და ვერაგი ნაძირალაა, მაგრამ მყარი ზურგის გარეშე, ის ასეთ სიმაღლეებს ვერ მიაღწევდა. მას ამისთვის, უბრალოდ, ინტელექტი არ ეყოფოდა. მის უკან ვიღაც მთავარი დგას და სწორედ ის მართავს ყველაფერს, ანუ – ფანტომი. ამიტომ, ჩემო ვაჟა, სწორედაც რომ, ფანტომი ცოცხალია. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოგიყევი, რომ გაითვალისწინო და კარგად გაითავისო, თუ ვისთან გვაქვს საქმე. გვარს ნუ ახსენებ, მაგრამ ეს ყველაფერი გივი ჯაფარიძესაც უთხარი, რომ მოსალოდნელი საფრთხეები იცოდეს და მხოლოდ რუზგენ ჩოჩიანზე ნუ იქნება კონცენტრირებული.

– აუცილებლად ვეტყვი, ბატონო მერაბ, – თქვა ზვიადაურმა, – დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენ, ვაჟა.

– ბატონო მერაბ, ვიცი, რომ ირგვლივ უერთგულესი, წლების განმავლობაში შემოწმებული ადამიანები გყავთ შემოკრებილი, მაგრამ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, გთხოვთ, ნურავის გაუმჟღავნებთ გივი ჯაფარიძის ვინაობას. რა იცით, რა ხდება. შემთხვევითობა არც ერთ საქმეში არაა გამორიცხული და ამიტომ გიბედავთ ამის თქმას.

– აბსოლუტურად გეთანხმებით, ვაჟა. საწყენი აქ არაფერია და მეც სწორედ მასე ვმუშაობ ყოველთვის. კოტე სოხაძე რომ კოტე სოხაძეა, ჩემი მოადგილე და უახლოესი მეგობარი, ჩემი კოტეს ნათლია, დღემდე იმანაც კი არ იცის, რომ ფანტომი ნესტორ პესკასელი მეგონა. ეს არც მაშინდელი მინისტრისთვის გამიმხელია. შენც იმიტომ გითხარი, რომ ასეთ სარისკო საქმეს კურირებ და ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყო. მშვიდად იყავი, გივი ჯაფარიძეზე არავის არაფერს ვეტყვი.

– გმადლობთ, ამხანაგო გენერალო და ბოდიში, რომ ასე გავკადნიერდი, – თქვა ზვიადაურმა და დაამატა, – ხვალ სოჩაში გადავფრინდები და მორფინას დავამუშავებ. შემდეგ მოსკოვში ჩავალ. ჯერ ლიადოვთან შევათანხმებ ყველაფერს და ბოლოს გივის დაველაპარაკები.

– შევთანხმდით. მე კი ორ-სამ დღეში ჩვენი დახურული ფონდიდან ორ მილიონ ნაღდ ფულს გამოვიტან და სეიფში მექნება. როდესაც დაგჭირდება, მოხვალ და საჭირო თანხას წაიღებ. მე მგონი, ამოვწურეთ საკითხი, ხომ?

– დიახ. კითხვები არ მაქვს. თქვენ?

– მე ერთი კითხვა მაქვს შენთან.

– გისმენთ, ბატონო მერაბ.

– ცოლი როდის მოგყავს, – გაეღიმა გამრეკელს, ზვიადაურმა კი ღიმილითვე მიუგო:

– როგორც კი ამ ოპერაციას წარმატებით დავასრულებთ, ორ კვირაში ცოლსაც მოვიყვან და სათამადოდ მოემზადეთ.

– მპირდები?

– დიახ, გპირდებით.

– ნახვამდის. აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ, – მინისტრმა ხელი ჩამოართვა ვაჟა ზვიადაურს და კაბინეტიდან გაისტუმრა.

სოჭში ჩასული ვაჟა ზვიადაური სასტუმრო „მოსკვაში“ დაბინავდა. ცოტა დაისვენა და კოოპერატივ „ჩორნოე მორეში“ გაემართა, სადაც ზაურ ხრიკული, იგივე „მორფინა” მუშაობდა.

– მორფინ, შეიძლება? – ირონიით იკითხა ზვიადაურმა და ხრიკულის კაბინეტის კარი მოიხურა.

პოდპოლკოვნიკის დანახვაზე ხრიკული წამით შეცბა. შემდეგ ჩაეცინა და მიუგო:

– გეშლებათ, მოქალაქევ. მე ზაურ მალხაზოვიჩი ვარ და გთხოვთ, ტაქტი დაიცვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი დაცვის თანამშრომლებს გამოვიძახებ და აქედან გაგიყვანენ.

– მორფინ, დაცვა რად გინდა, პრეზიდენტი ხარ? – ზვიადაური სავარძელში ჩაეშვა, ფეხები კი პირდაპირ მაგიდაზე შემოუწყო, თან გააბოლა.

– მორფინა ტელეფონის ყურმილს დასწვდა, რომ დაცვა გამოეძახებინა. პოდპოლკოვნიკმა კი უთხრა:

– ორი ყავა მოგვიტანონ, თან ვიდეომაგნიტოფონიც მოაყოლონ. მძაფრსიუჟეტიანი ფილმი უნდა გიჩვენო.

– ორი ყავა მოგვიტანე, – უთხრა მორფინამ მდივანს და ზვიადაურს ფერწასულმა ჰკითხა:

– რა ფილმი?

– მძაფრსიუჟეტიანი. ხომ გითხარი, უკვე. „პრისტავკაც“ მოატანინე, – გაეცინა ზვიადაურს და მაგიდიდან ფეხები ჩამოიღო, რადგან მდივანმა ყავა შემოიტანა.

– კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ, ზაურ მალხაზოვიჩ? – იკითხა ტანწერწეტა მდივანმა.

– არა. თავისუფალი ხარ, – გაისტუმრა მორფინამ მდივანი და დაუპატიჟებელ სტუმარს მიუბრუნდა:

– „პრისტავკა“ აქ მაქვს. რა გინდა, კაპიტანო?

– პოდპოლკოვნიკო, მორფინ. სანამ შენ „ბარიგობისთვის“ ზონას ხეხავდი, ორი ჩინით დავწინაურდი. რა მინდა და პორნოფილმი უნდა გიჩვენო – ვარსკვლავ მორფინასა და ერთი ქერათმიანი სექსბომბას მონაწილეობით.

„ქერათმიანი სექს-ბომბას“ ხსენებაზე მორფინა ცარცისფერი გახდა, მაგრამ მაინც უყურა ორსაათიანი ჩანაწერის დასაწყისს. შემდეგ ვიდეომაგნიტოფონი გამორთო და პოდპოლკოვნიკს უთხრა:

– რა გინდა, რისთვის მოხვედი?

– აი, ეს უკვე საქმიანი ლაპარაკია. ერთ საქმეში უნდა დაგვეხმარო და პირობას გაძლევ, ამ კასეტას გაჩუქებ. შენ კი სამუდამოდ შეგეშვები.

– რა საქმეში?

– ჰეროინი უნდა იყიდო, ვითომდა ევროპაში გასატანად.

– სად მაქვს ჰეროინის ფული. თანაც, მე ამ საქმეს უკვე დიდი ხანია, შევეშვი და სუფთა ბიზნესი მაქვს.

– ბინძური ფულით სუფთა ბიზნესს ვერ აწარმოებ. ჰეროინის ფულს კი ჩვენ მოგცემთ.

– არ მაწყობს, – კატეგორიულად უთხრა მორფინამ.

ვაჟა ზვიადაური სავარძლიდან წამოდგა და სანამ კარისკენ გაემართებოდა, მორფინას უთხრა:

– არ გაწყობთ და ნუ გაწყობთ, ზაურ მალხაზოვიჩ. კასეტის ასლს საჩუქრად გიტოვებთ. ორიგინალს კი ამ საღამოსვე მი-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

იღებს ადრესატი და შეგიძლიათ, წინასწარ შეუკვეთოთ კუბო ან კოიკა უახლოეს საქათმეში. ეს იმაზეა დამოკიდებული, რას გადაწყვეტს ქერათმიანის ქმარი.

კუბოსა და საქათმის პერსპექტივამ მორფინას კანკალი დააწყებინა და ენის ბორძიკით ჰკითხა ზვიადაურს:

– რა უნდა გავაკეთო?

– ნაძირლები დაგვაჭერინო. მართალია, შემდეგ შენ უკვე ველარ შეძლებ საჯაროდ გამოჩენას ხალხში, მაგრამ ჩვენ დაგიცავთ. ახალ პასპორტს მოგცემთ და თუ თანახმა იქნები, გარეგნობასაც კი შეგიცვლით. ფული გაქვს და ახალი ცხოვრების დაწყება არ გაგიჭირდება.

– კონკრეტულად რა უნდა გავაკეთო?

– კონკრეტულად ის, რასაც ადრე „ჩალიჩობდი“, მაგრამ უფრო დიდ მასშტაბებში. ერთ ნაძირალას ჰეროინის შემოტანა უნდა და „ოპტომ“ გასაღება. გვაქვს ინფორმაცია, რომ ის შენთან აპირებს დაკონტაქტებას. ჰოდა, როცა დაგეკონტაქტება, ეტყვი, რომ ევროპაში გასატანი არხი გაქვს და ფულს „პოსლეზე“ გადაუხდი. თუ დაგეთანხმა, ხომ კარგი. თუ არა და, ორ-სამ დღეში შეპირდი გადახდას.

– გასაგებია. როდის მომაკითხავენ?

– ჯერ არა. მაგრამ წინასწარ მოემზადე. გაიხსენე ძველი უნარ-ჩვევები და სამუშაოდ განეწყვე.

– მაინც, როდისთვის უნდა ველოდო?

– ექვს-რვა თვეში, – მიუგო ზვიადაურმა, – მაგრამ კარგად დაიმახსოვრე, მუდმივი თვალთვალის ქვეშ ხარ და თავის დაძრომა არ გაბედო. უცხოეთშიც რომ შეძლო გაქცევა, იქაც მოგძებნიან. გასაგებია?

– გასაგებია.

– წავედი ახლა. ეგ კასეტა კი გაანადგურე. შემთხვევით ვინმემ არ უყუროს და თავი არ დაიღუპო, – უთხრა ზვიადაურმა ხრიკულს და გამოუმშვიდობებლად წამოვიდა მისგან. იმავე საღამოს ვაჟა ზვიადაური მოსკოვში ჩაფრინდა და ჯერ ლიადოვს დაურეკა კონსპირაციულ ტელეფონზე და დაშიფრულად ელაპარაკა, შემდეგ კი კონსპირაციულ ბინაში შეხვდა და მოსალოდნელი ოპერაციის შესახებ უამბო.

– არ უნდა გამეშვი თბილისში და არ უნდა შევლეოდი შენისთანა თანამშრომელს. მშვენივრად დაგიგეგმავს ყველაფერი, – უთხრა ლიადოვმა ზვიადაურს და ჰკითხა, – გივის ელაპარაკე?

– ჯერ არა. ისიც კი არ ვიცი, სადაა ახლა ის.

– ოფიციალურად „სროკზეა“. ისე კი აქაა, მოსკოვში, – ლიადოვმა საათს დახედა და თქვა, – პირველის ნახევარი სრულდება. გივი და თეა ახლა დიდ თეატრში არიან, სოტკილავას კონცერტზე და შეგიძლია, მათ სახლთან დახვდე.

– ჩემი ნათლულიც თან ჰყავთ?

– არა, რას ამბობ?! სამი წლის ბავშვს ამ დროს სძინავს, – გაეცინა ლიადოვს, – ჯაბა ჩვენთანაა. ჩემმა ცოლმა გამოიყვანა ბაღიდან. უფრო სწორად წამოიყვანა. სვეტა ბაღის გამგეა და ჯაბა მისი აღსაზრდელი.

– კარგი. გავიქეცი. გივის დაველაპარაკები.

– შევთანხმდით. როგორც მოვილაპარაკეთ, ისე გავაკეთოთ. სამ დღეში გივის „კრესტებში“ გავამწესებთ და ოპერაციაც დაიწყება. თუ დაგჭირდი, ძალაშია ძველი პაროლი და დამიკავშირდი. აბა, შენ იცი. წარმატებას გისურვებ, – უთხრა ლიადოვმა ზვიადაურს და დაყოლა, – ჰო, მართლა, თეას უთხარი, რომ ჩემს ცოლს მისი ნახვა უნდა. ბაღის მერე, ხვალ საღამოს სახლში ესტუმრება და ჯაბასაც მიიყვანს.

– კარგი, ვეტყვი. ნახვამდის, – ზვიადაური პირველი წამოვიდა კონსპირაციული ბინიდან და გივი ჯაფარიძის სახლისკენ გაემართა.

ვაჟა ზვიადაური ტაქსით მივიდა ჯაფარიძეებთან და ოციოდე წუთი ელოდა ცოლ-ქმარს. ჯერ სახლში შესვლა აცადა. შემდეგ კარზე დააკაკუნა და დაელოდა. კარი თეამ გაალო და ზვიადაური რომ დაინახა, გადაეხვია, ბინაში შეიპატიჟა.

– ხესთან იმალებოდი და სახლში შემოსვლა გვაცადე ხომ? – უთხრა გივი ჯაფარიძემ მეგობარს და გადაეხვია.

– შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებს კაცი. არწივის თვალი გაქვს, – მიუგო ზვიადაურმა.

– უფრო ბუსი, – გაეცინა ჯაფარიძეს და მეუღლეს გასძახა:

– შენებურად დატრიალდი. კონიაკს დავლევთ. ვაჟა მეტს არაფერს სვამს.

– როგორ ხარ, გივი? – ჰკითხა ვაჟამ მეგობარს, – თითქმის ერთი წელია, ერთმანეთს არ შევხვედრივართ.

– ძველებურად. შენ როგორ ხარ? რა ხდება ჩვენს სამშობლოში?

– რა უნდა ხდებოდეს, ძველებურადაა ყველაფერი. ლიადოვს შევხვდი.

– ლიადოვს ტყუილად არ შეხვდებოდი და არც აქ მოხვიდოდი ასე სასწრაფოდ. აღარ იტყვი, რა ხდება? – გაუღიმა გივი ჯაფარიძემ ვაჟა ზვიადაურს.

ზვიადაურმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო ჯაფარიძეს და ბოლოს უთხრა:

– ერთი სიტყვით, ნარკოტიკებზე უნდა წამოვიკიდოთ და ამგვარად დავუსვათ წერტილი ამ ნაძირლების ბოგინს.

– როგორც ყოველთვის, ეს ოპერაციაც ძალიან ოსტატურად დაგიგეგმავს და სამმაგი დაზღვევაც ძალიან მომწონს. ვერაფერს იტყვი, პოლკოვნიკი ნიაზ მუხამედოვი, „კნუტი“ და ზორბევ შილბანი რომ გაგიწევენ რეკომენდაციას, იქ ეშმაკიც კი შეცდება. ვფიქრობ, მაგ ჩოჩიანის გაცურება არ გაგვიჭირდება. მაგრამ, ერთი შენიშვნა მაქვს.

– რა შენიშვნა? – გაუკვირდა ზვიადაურს, რადგან თერთმეტწლიანი ერთობლივი მუშაობის განმავლობაში ჯაფარიძისგან პირველად ესმოდა ასეთი რამ.

– რა და, ოპერაციის ფინალის ნაწილი უნდა შევცვალოთ.

– კონკრეტულად რა?



– რა და, ბანდის აყრის დროს ყველამ უნდა ნახოს, თუ როგორ მომკლავენ და ასე დასრულდება ჩემი კრიმინალური ცხოვრება. მეყო ციხე-ციხე ხეტიალი. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, როგორც კი ეს ოპერაცია დასრულდება, ახალი ცხოვრება დავიწყო. შენი ნათლული იზრდება და მეტი ყურადღება სჭირდება ჩემგან. თანაც, არც თეაა განებივრებული ჩემთან ყოფნით. ყველაფერი რომ დასრულდება, კოსმეტიკურ რემონტს გავიკეთებ. ახალ პასპორტს ავიღებ და ახალ სამუშაოს ვიშოვი.

– ესე იგი, მილიციიდან მიდიხარ?

– სულაც არა. გენერალ-მაიორმა მითხრა, უმუშევარს არ დაგტოვებ და ჩვენს აპარატში გამოგიძებნით რამესო.

– ესე იგი, პავლე ლიადოვმა იცის, რასაც აპირებ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ერთად მივედით ამ აზრამდე. უფრო სწორად, ლიადოვის იდეა იყო ეს.

– რაღაცას არ მეუბნები ბოლომდე. ჩემთან არ ითქმის?

– კარგი ახლა, ნუ დაიქოქე. როგორ არ ითქმის. გეტყვი.

– აბა, გისმენ, – თქვა განაწყენებულმა ზვიადაურმა. ჯაფარიძემ კი ხუმრობით წკიპურტი მიარტყა ცხვირზე მეგობარს და უთხრა.

– „როჟა“ გაასწორე, ბიჭო და მომისმინე.

– გავასწორე და გისმენ.

– მოკლედ, ძმაო, სანამ შენ აქ გველოდებოდი მე და თეას, ლიადოვი დიდ თეატრში დამადგა. დარბაზიდან გამომიყვანა. ყველაფერი მიამბო და მირჩია, ამ ოპერაციაში მონაწილეობაზე უარი მეთქვა.

– უყურე ამ მელას. კი მაგრამ, რატომ?

– გენერალს მიაჩნია, რომ ახალი მეთოდებით მუშაობაა საჭირო და მე და ჩემნაირები ცენტრალურ აპარატში უფრო მეტ სარგებელს მოვუტანთ საერთო საქმეს, ვიდრე ოპერატიულ სამუშაოზე. მისი აზრით, „პრისტუპანი მირში“ ფასეულობები იცვლება და ასპარეზზე ახალგაზრდა, დაუნდობელი ხალხი გამოდის. ის დარწმუნებულია, რომ დიდი დარტყმის ქვეშ ვდგავართ და ამიტომ მირჩია, ამ ოპერაციაზე უარი მეთქვა. მისი აზრით, ახალ ბანდებში ახალი, ახალგაზრდა თანამშრომლები უნდა ჩაინერგონ. ჩვენ, ძველებმა კი, კაბინეტებში



გავაგრძელოთ მუშაობა. პრინციპში, მართალიცაა ლიადოვი. საქართველოში მაგ მხრივ ჯერჯერობით სიმშვიდეა, მაგრამ იქაც მალე დაიწყება ომები. რუსეთში კი ბესპრედელი უკვე ძალებს იკრებს და ავტორიტეტებს პანტა-პუნტით ხოცავენ ეს ახალგამომცხვარი ნაბიჭვრები. მეც ხომ ავტორიტეტი ვარ და სწორედ ამისი ეშინია გენერალს. ავტორიტეტები იქით იყოს და უკვე ქურდებსაც გადასწვდნენ. ხომ ხვდები, რას ვამბობ?

– ლიადოვი მართალია. მაგრამ, აქ ერთი თავისებურებაა. ჩვენს ოპერაციას სწორედ შენნაირი კაცი სჭირდება. ძველი, გამოცდილი კრიმინალური ავტორიტეტი.

– სწორედ ამის გამო არ ვამბობ უარს და თანახმა ვარ, – გაეცინა ჯაფარიძეს, – მაგრამ ერთი პირობით.

– რა პირობით?

– ლიადოვთან არ წამოგცდეს, რომ ყველაფერი „ჩაგიკაკლე". ხომ იცი, როგორ უყვარხარ და რომ შეიტყოს, გაიგე, შენს ზურგსუკან რომ მოქმედებდა, იუხერხულებს.

– ეგ მელა, ეგა... – თავი გააქნია ზვიადაურმა, – შევთანხმდით. ლიადოვს არაფერს ვაგრძნობინებ.

– ჰო და, ძალიან კარგი. ახლა მოვრჩეთ „ბაზარს" და სუფრას მივუსხდეთ. შენთვის ფრანგული კონიაკი მაქვს და ამ დღისთვის ვინახავდი, – უთხრა ჯაფარიძემ ზვიადაურს და მასთან ერთად სამზარეულოსკენ გაემართა...

***

პოდპოლკოვნიკი ვაჟა ზვიადაური ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა თბილისში. აეროპორტიდან პირდაპირ სამსახურში მივიდა და მინისტრს ეახლა.

– მადლობა ღმერთს, როგორც იქნა, დაბრუნდი. რა ხდება, როგორაა საქმე? – ჰკითხა მერაბ გამრეკელმა პოდპოლკოვნიკს. ხელი ჩამოართვა და სკამზე მიუთითა.

– ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის. ოპერაცია დაიწყო და დარწმუნებული ვარ, წარმატებით დასრულდება, – მიუგო ზვიადაურმა.

– კონკრეტულად მომახსენე.

– ჯერ სოჩაში ვიყავი და მორფინა დავამუშავე. მზადაა და კონტაქტს ელოდება. შემდეგ გენერალ-მაიორ პავლე ლიადოვს შევხვდი, ბოლოს კი – ჯაფარიძეს, – უთხრა ზვიადაურმა მინისტრს. ყველაფერი დაწვრილებით უამბო და ბოლოს დაამატა, – თუ ჩვენი მოსკოველი კოლეგა არ აზვიადებს და პროგნოზში არ ცდება, სულ მალე ძალიან გაუარესდება მდგომარეობა და მზადყოფნაში უნდა ვიყოთ.

– არ ცდება. პავლე ლიადოვი ძალიან ჭკვიანი კაცია. რაღაც-რაღაცეები მეც გავიგე. მაგრამ, ჩვენ ჩვენს საქმეს უნდა მივხედოთ. მუდმივი მზადყოფნა კი ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. კონკრეტულ საკითხს დავუბრუნდეთ. სადაა ახლა გივი ჯაფარიძე?

– კრესტებში, ამხანაგო გენერალო. ამდენი ხანი იმიტომ დამაგვიანდა, რომ ოპერაციის საწყისი ეტაპი პირადად გავაკონტროლე. გივი ჯაფარიძე მოსკოვიდან ციმბირის სტროგაჩებში გადაისროლეს და ეტაპით რომ ლენინგრადში გამოუშვეს, იქ დავხვდი. გეგმის მიხედვით, ის, სამი დღე კრესტების ადინოჩკაში გააჩერეს. კნუტმა რომ მისი ეტაპირების ამბავი შეიტყო, იჩალიჩა და თავის კამერაში ამოსწია. ახლა ერთად სხედან. უკვე იბაზრეს და როგორც ვვარაუდობდი, კნუტმა მას ზორბეგ შილბანთან დაპაძელნიკება შესთავაზა. მეტიც, კნუტმა სვიდანიაზე გამოიძახა შილბანი და კრესტებშივე გააცნო გივი. ერთი სიტყვით, პროცესი კარგად აეწყო და სანამ არ დავრწმუნდი წარმატებულ დასაწყისში, თბილისში გამომგზავრება ვერ გავბედე.

– სწორად მოიქეცი. ჯაფარიძეს როდის უმთავრდება სროკი?

– ზუსტად ოთხ თვესა და სამ კვირაში.

მინისტრმა ცეცხლგამძლე სეიფისკენ მიანიშნა ზვიადაურს და უთხრა:

– ორი მილიონი მანეთი უკვე გამოვიტანე და იქ მაქვს შენახული. თუ თანხა დაგჭირდება, მითხარი და მოგცემ.

– ჯერ არ მგონია. ალბათ, ხუთ-ექვს თვეში, როცა გივი გამოვა „კრესტებიდან" და აჩალიჩდება.

– ციხეში არ სჭირდება ფული?

– ციხეში სხვები აფინანსებენ, – გაეცინა ზვიადაურს, – შავი სამყაროს ობშჩიაკზეა გივი მიერთებული და იქიდან იკვებება.

– არა, რა, ვერ ვდგავართ საჭირო სიმაღლეზე, თორემ შავი სამყარო ასე ძლიერი ვერ იქნებოდა, – სინანულით გააქნია თავი გენერალმა.

– რას გულისხმობ, ბატონო მერაბ?

– თუნდაც ობშჩიაკს. ერთი უბედურება ისაა, რომ ისინი, ბოროტმოქმედები, დანაშაულს სჩადიან და მათ ჩვენ ასე თუ ისე ვუმკლავდებით. მაგრამ, არანაკლები ჭირია ეს მათი ობშჩიაკი. არც მეტი, არც ნაკლები, მათ საკუთარი ბანკი აქვთ. უზარმაზარ თანხებს ატრიალებენ და ეს მათი ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯია. ამიტომ საჭიროა, რომ მათ ეს წყარო გადაეკეტოთ და ჩათვალე, ნახევარზე მეტი საქმე გაკეთებულია. მარტო ციხეებში შმონი და ობშჩიაკების ჩამორთმევა ამ პრობლემას ვერ აღმოფხვრის.

– სხვა, რა უნდა გავაკეთოთ?

– კანონი უნდა გამკაცრდეს.

– რას გვთავაზობთ, ამხანაგო გენერალო?

– რას და, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში ჩაიწერება, რომ ბოროტმოქმედებისთვის ფულის შეგროვება და გადაცემა, ან გადაცემის მცდელობა, მკაცრად დაისჯება, ბევრი ველარ გაბედავს ამის გაკეთებას... და, კიდევ სხვა ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. მაგრამ, ეგ იქით იყოს, ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. შენ ის მითხარი, გივი ჯაფარიძის ცოლ-შვილი თუ არის საიმედოდ დაცული და უსაფრთხოების რა გარანტიები გააჩნიათ. შენი მეგობარი კი არის გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი, მაგრამ ჩვენს საქმეში შეიძლება ყველაფერი მოხდეს. დავუშვათ და გაიშიფრა. გამორიცხული არაა, ვინმემ შურისძიება მოინდომოს მის ცოლშვილზე და რა ზომებია ამის საწინააღმდეგოდ მიღებული?

– გივის გაშიფვრა გამორიცხულია, – თავდაჯერებულად თქვა ზვიადაურმა და გამრეკელს გაუღიმა, – დარდი ნუ გაქვთ, ბატონო მერაბ. ეს არ მოხდება.

– კი, ბატონო. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ასეთი ვარიანტიც უნდა ვივარაუდოთ.

– დავუშვათ, გივი გაიშიფრა, რომ ის მილიციელია. უფრო შორს ვერავინ წავა. ლიადოვის, ჩემსა და თქვენ გარდა, თუ არ ჩავთვლით თეას, არავინ იცის, რომ მას ცოლ-შვილი ჰყავს და ასეთ რამეს ვერც ვერავინ შეიტყობს, ოფიციალურადაც რომ მოინდომოს. თეა არსად მუშაობს და საბუთებში არ უწერია, ვგულისხმობ სამსახურის საბუთებს, რომ ქმარი ჰყავს. ჯაბა, მართალია, დადის ბაღში, მაგრამ იმ ბაღის გამგე ლიადოვის ცოლია და ის აკონტროლებს ბავშვს და საბუთებიც „გასუფთავებული" აქვს.

– გამოდის, რომ გივის შესახებ ლიადოვის ცოლმაც იცის?

ზვიადაურს გაეღიმა და გამრეკელს მიუგო:

– ცოლები არ ითვლება, ამხანაგო გენერალო. ადრეც ხომ გითხარით, რომ ცოლქმარს ერთ მთლიანად მივიჩნევ და ამიტომ.

– ხუმრობა ცუდი არაა და ზოგჯერ მუშაობებშიც გვეხმარება, – თქვა გენერალმა. ჩაფიქრდა და განაგრძო, – რას იტყვი, ვაჟა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ოპერაციის დასრულებამდე ჯაფარიძის ცოლ-შვილი მოსკოვს გამოვარიდოთ და თუნდაც სადმე, მყუდრო სოფელში გავამწესოთ დროებით?

– ბოდიშს გიხდით, ბატონო მერაბ, მაგრამ ასე დაჟინებით რატომ გსურთ ეს, გული ცუდს გიგრძნობთ?

– დაზღვევის მიზნით. მაინც, ყოველი შემთხვევისთვის.

– არ იზამს ამას თეა. თანაც, გივიმ რომ შეიტყოს, შეიძლება, ანერვიულდეს. მე მგონი, არ ღირს.

– კარგი, ბატონო, არ ღირს, ნუ ღირს. შენ უფრო ჩახედული ხარ ამ საქმეში. თუ-

მცა, ჩემი აზრით, ასეთი დაზღვევა ზედმეტი არ იქნებოდა. თავის დროზე ერთი ასეთი შეცდომა მომივიდა და დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის.

– რა შეცდომა, ამხანაგო გენერალო?

– ჩემს მამობილს, ასთამურ შამბას ვგულისხმობ. გული მიგრძნობდა, რომ ხიფათი ელოდა. ვუთხარი კიდეც – ფრთხილად იყავით-მეთქი, მაგრამ ის მაინც მოკლეს. თანაც, ასე საზარლად. არადა, მე ან გულბათ მარგიანი მის გვერდით რომ ვყოფილიყავით, ძია ასთამური დღესაც იცოცხლებდა.

– ბატონო მერაბ, თქვენი მამობილის მკვლელები ხომ ქალი და კაცი იყვნენ?

– კი, ბატონო.

– მანამდე, კი ისინი ჯერ თქვენ დაგესხნენ თავს არა?

– კაცი დამესხა თავს და მე მკლავში დავჭერი ჩემს სადარბაზოში. მოგვიანებით, ექსპერტიზამ ამოაგდო მისი სისხლის კვალი და ასე გაიშიფრა.

– ჩოჩიანების ბანდის წევრები იყვნენ ხომ, ამხანაგო გენერალო? მე ამას საქმის შესწავლისას მივხვდი.

– მეც ასე მგონია დღემდე, – დაუდასტურა ზვიადაურს გამრეკელმა, – თუმცა, ამისი დამტკიცება ვერ მოხერხდა. რუზგენ ჩოჩიანი რომ დავაპატიმრეთ, მან ეს კატეგორიულად უარყო.

– თუ არ მეშლება, კაცი ანზორ შიშლიანი იყო, ქალი კი – ზაირა გაგრიანი.

– არ გეშლება, – მიუგო გამრეკელმა და ის დღე გაახსენდა, სამზარეულოში რომ ცარცივით გაფითრებულ მართას თავზე წამოადგა. გენერალი კვლავ მოგონებებში ჩაეფლო და თვალწინ დაუდგა, თუ როგორ მიიდო ტუჩზე საჩვენებელი თითი მართამ და სიძეს უთხრა:

– ჩუმად, მერაბ, თამარმა არ გაიგოს ასთამურის ამბავი და რამე არ დაემართოს. რამე უნდა მოვიფიქროთ და თბილისში გავიტყუოთ...

გენერლის მეხსიერებაში კალეიდოსკოპური სისწრაფით გაიარა წლების წინ მომხდარი ამბების საშინელმა კადრებმა და რომ გამოერკვა, ზვიადაურს უთხრა:

– ძალიან ფრთხილად იმოქმედეთ, ვაჟა. შემთხვევითობა არც ერთ საქმეში არაა გამორიცხული, მაგრამ ჩვენ ეს უნდა გამოვრიცხოთ. გახსოვდეს, სასწორზე ყოვლად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე არ უნდა დავდოთ და ასეთი რამ, თუნდაც მთელი შავი სამყაროს განადგურების ფასადაც კი, არ ღირს.

– დარდი ნუ გაქვთ, ამხანაგო გენერალო. ყველაფერი კარგად იქნება. გივი უბადლო შემსრულებელია და არ გაიშიფრება. ერთადერთი საშიშროება ინფორმაციის გაჟონვაა, მაგრამ რისკი აქაც ნულია. ჯაფარიძის შესახებ ისეთმა ხალხმა ვიცით, ვისგანაც ეს ამბავი არ გავა.

– კარგი. თავისუფალი ხარ. შეგიძლია, წახვიდე. ხოლო თუ რამე ახალი გამოჩნდა, ან სასწრაფოდ დაგჭირდი, ნებისმიერ დროს დამიკავშირდი.

– გასაგებია, ბატონო მერაბ. ნახვამდის, – ვაჟა ზვიადაური მინისტრის კაბინეტიდან გამოვიდა. თან, გუნებაში უკვირდა, რამ შეაშფოთა გენერალი და გივი ჯაფარიძის გაშიფვრის რატომ ეშინოდა. ზვიადაურს გაეცინა და გაიფიქრა: „გენერალი გივის არ იცნობს და ამიტომ ნერვიულობს. დავასრულებთ ამ ოპერაციას, გივის გენერალს გავაცნობთ და სამივე გულიანად გავიცინებთ ამ ყველაფერზე“.

***

სანამ გივი ჯაფარიძე ლენინგრადის „კრესტებში“ იჯდა და ციხიდან გამოსასვლელად ემზადებოდა, ვაჟა ზვიადაურმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია ჩაატარა და საშიში ბოროტმოქმედები გაანეიტრალა. მიუხედავად იმისა, რომ პოდპოლკოვნიკს უამრავი საქმე ჰქონდა და მუშაობაში დღე-ღამეს ასწორებდა, გივი ჯაფარიძე წამითაც არ ავიწყდებოდა. მისგან რეგულარულად იღებდა ინფორმაციებს. დროგამოშვებით, ზვიადაური ლენინგრადშიც ჩადიოდა და „კრეტსებში“ ფარულად ხვდებოდა ჯაფარიძეს. პოდპოლკოვნიკს, მორფინაც მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდა და რამდენჯერმე სოჭშიც კი ჩააკითხა მას.

გივი ჯაფარიძის ციხიდან გამოსვლამდე ოთხი დღით ადრე, ზვიადაური ლენინგრადში გაემგზავრა, რომ გათავისუფლებულ მეგობარს ფარულად შეხვედროდა და ერთად შეეფასებინათ ოპერაციის პირველი ეტაპის შედეგები. მანამდე კი სოჭში გაიარა, მორფინას ეწვია და უთხრა:

– როგორ ხარ, მორფინ? ჩვენი დახმარება ხომ არ გადაიფიქრე?

– თქვენ ჩემს მტერს გადაეკიდეთ. ბარემ კი არ მინდა, მაგრამ, რას ვიზამ. საკუთარი ტყავი ძვირად მიღირს. თანაც, კარგი ცხოვრება მოდის და მინდა, დავტკბე, გავიხარო.

– დატკბი, დატკბი, – ირონიით მიუგო ზვიადაურმა, – მაგრამ, კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, ჩვენს გაცურებას თუ მოინდომებ, იცოდე, მაგ სიტკბოს სიმწარედ გადაგიქცევ.

– კარგი რა, უფროსო. ისევ იმ პლასტინკას ატრიალებ? ხომ გითხარი საკუთარი ტყავი ძვირად მიღირს-მეთქი. გიჟი ვარ, თავი გავიფუჭო?

– ესე იგი, მზად ხარ?

– რა თქმა უნდა.

– ჰო და უფრო მოემზადე. ინფორმაცია გვაქვს, რომ სულ მალე მოგაკითხავენ და არ დაიბნე.

– მე და დაბნევა? გეკადრება, უფროსო?! ვიღაც ნაბიჭვარი ლოხები კი არა და,



ბობოლა ძაღლები გამიცურებია, – მიუგო მორფინამ ზვიადაურს და ენაზე იკბინა, – ბოდიში, უფროსო, მილიციელები უნდა მეთქვა.

– მორფინ, შენი განწყობა არ მომწონს, – უთხრა ხრიკულს ზვიადაურმა.

– ბოდიში ხომ მოვიხადე, უფროსო, წამომცდა.

– მაგას არ ვგულისხმობ.

– აბა, რას?

– რას და ნაბიჭვარ ლოხებს რომ უწოდებ იმ ხალხს.

– რატომ უფროსო, მერე რა?!

– რა და, მასეთი განწყობით შეიძლება, დაიწვა და მთელი საქმე ჩაშალო. შენ გამო რომ ოპერაცია ჩაიშალოს, იცოდე, ისეთ დღეში ჩაგაგდებ, საკუთარ გაჩენას დაწყევლი. გასაგებია?

– გასაგებია, უფროსო.

– ჰო და, თუ გასაგებია, მთელი ძალები მოიკრიბე და მათთან შესახვედრად მოემზადე. არ ვიცი, ზუსტად როდის, მაგრამ ძალიან მალე მოგაკითხავენ.

– კარგი, უფროსო, არ ინერვიულო. ყველაფერი კარგად იქნება და ჩემს როლს ხუთიანზე შევასრულებ, – დააიმედა მორფინამ ზვიადაური. პოდპოლკოვნიკი კი სოჭიდან ლენინგრადში გაემართა გივი ჯაფარიძესთან შესახვედრად.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# როგორ მოაწყო კოლონიიდან ფანტასტიკური გაქცევა თხილამურებით ცნობილმა „მედვეჟატნიკმა“ – „ნემსმა“



### პირველი საქმე

1916 წელს დაბადებული ნოდარ ქურციკიძე სეიფების მძარცველი, ანუ, „მედვეჟატნიკი“ იყო. თავისი პირველი დანაშაული მან 1935 წელს, 19 წლის ასაკში ჩაიდინა. ნოდარმა მაშინ, ეგრეთ წოდებული „მუშ-ურ-გლეხური სასწავლებლის“ სეიფი გახსნა და იქიდან 39 ათასი საბჭოთა მანეთი გაიტაცა, რომელიც პედაგოგთა ხელფასებისთვის იყო განკუთვნილი. ნოდარი თავად სწავლობდა ამ სასწავლებელში. მან გვიან ღამით მოახერხა სახურავზე აძრომა, შემდეგ კი თოკით დაეშვა მეორე სართულზე, სადაც დირექტორის კაბინეტი მდებარეობდა. სწორედ იქ იდგა ფულით სავსე სეიფი. ქურციკიძემ წინასწარ დამზადებული „ატმიჩკა“ მოარგო კაბინეტის კარს და უპრობლემოდ შევიდა. შემდეგ „ბრანდის“ საიმედო სეიფი, რომელსაც სამმაგი კლიტე ჰქონდა, წუთ-ნახევარში გახსნა და ფული გამოიღო. ნოდარს თავისუფლად შეეძლო იმავე გზით წასვლა, რომლითაც შემოვიდა, მაგრამ, იმპროვიზაციას მიმართა: პირველ სართულზე ჩავიდა და ტუალეტში ეგრეთ წოდებული „დიმაუშკა“ გაუშვა. სანამ ორი დარაჯი ტუალეტისკენ გაემართა იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა, ნოდარმა სულ რაღაც თხუთმეტ წამში გახსნა მასიური კარის ორი საკეტი, ცენტრალური გასასვლელიდან გავიდა და ფულიანად მიიმალა. კრეატიული მძარცველის დაპატიმრება მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ მოხერხდა, თანაც იმიტომ, რომ ის წინდაუხედავად იქცეოდა: ყოველ საღამოს ფეშენებელურ რესტორნებში ვახშმობდა, დილამდე ატარებდა იქ დროს და, ამიტომაც მოხვდა „ჩეკას“ მეთვალყურეობის ქვეშ. ის დააკავეს, ბინა გაუჩხრიკეს და ტახტის ქვეშ 35 ათასი მანეთი აღმოუჩინეს, რომელიც ბანკის ქაღალდში იყო გახვეული. ნოდარ ქურციკიძე გაასამართლეს და 11 წლით ჩასვეს ციხეში, თან, დახარჯული 4 ათასი მანეთის გადახდაც დააკისრეს.

### გაქცევისადმი მიდრეკილი

„ნემსი“ ნოდარ ქურციკიძეს იმის გამო შეარქვეს, რომ მას საპყრობილეში დიდი ხნით გაჩერება არ უყვარდა და ხშირად გარბოდა ხოლმე. „ნემსია, ნამდვილი ნემსი, ყველა ხვრელში შეუძლია გაძვრეს...“ – ასე ახასიათებდნენ ქურციკიძეს კოლეგები და ეს მეტსახელი მას ერთადერთ მეტსახელად შერჩა სიცოცხლის ბოლომდე. ნოდარ ქურციკიძის ოპერატიულ საქმეში ხაზგასმით ეწერა: „მიდრეკილია გაქცევისადმი და მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება“. ამის გამო, ნემსს ყველაზე საიმედო საკნებში ათავსებდნენ და კოლონიებში თითქმის არასდროს უშვებდნენ. სწორედ მორდოვიის №9, მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიიდან მოახერხა ქურციკიძემ პირველად გაქცევა და ეს ძალიან ორიგინალურად განახორციელა. 1936 წლის დეკემბრის სუსხიანი ღამე იდგა. 02 საათსა და 25 წუთზე ნემსი ჩუმად გამოვიდა ბარაკიდან და სამუშაო ზონაში გადაიპარა, სადაც მას თავისივე ხელით გაკეთებული თხილამურები ჰქონდა დამალული. ნოდარი სამსართულიანი შენობის სახურავზე აიპარა, თხილამურები მყარად მოირგო ფეხებზე და 18 მეტრის სიგრძის, მოყინულ სახურავზე სწრაფად დაეშვა... ნოდარს იქ წინასწარ ჰქონდა გაკეთებული ტრამპლინი. მან ეს მაშინ მოახერხა, როდესაც სხვა პატიმრებთან ერთად სახურავიდან თოვლს ძირს ყრიდა. მორიგმა დიდთოვლობამ სახურავი უკვე სატრამპლინო ტრასად აქცია და ქურციკიძის გათვლამ გაამართლა – ის დიდი სისწრაფით დაეშვა, ჰაერში 40 მეტრი იფრინა. სამ მავთულხლართს გადააფრინდა და, თხილამურებითვე, ერთ ღამეში გაიარა 20-კილომეტრიანი, დათოვლილი ტაიგა... ამ ფანტასტიკური გაქცევის შემდეგ, ქურციკიძეს ორი წელი ეძებდნენ. ამ დროში კი მან სამი მსხვილი ძარცვა განახორციელა და სახელმწიფო 200 ათასი მანეთით აზარალა. ის მხოლოდ 1938 წელს დააკავეს ქალაქ ვლადივოსტოკში და „კაპეზეში“ მოათავსეს, შემდეგ კი ეტაპით გაგზავნეს მოსკოვში, მაგრამ, სანამ ბადრაგს მაგრად ეძინა, ნოდარმა საეტაპო ვაგონის სამი საკეტი გახსნა, მატარებლიდან გადახტა და მიიმალა.

## ფულის რეფორმის გამო, „ნემსის“ მიერ გადამალული 400 ათასი მანეთი მაკულატურად იქცა

### ომის ვეტერანი

ნემსი 1940 წელს დააპატიმრეს და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თან, ქალაქ ვლადიმირის „კრიტში“ გამოამწყვდიეს, საიდანაც გაქცევა შეუძლებელი იყო. ნოდარ ქურციკიძემ იქ 13 წელი გაატარა, 1953 წელს კი, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ეგრეთ წოდებული „ბერიას ამნისტიით“ გამოუშვეს. მას პასპორტი ჩამოართვეს და მისცეს ცნობა, რომელშიც ეწერა, რომ 7 წლით ეკრძალებოდა დიდ ქალაქებში ცხოვრება, მოსკოვს კი 500 კილომეტრის რადიუსზე არ უნდა გაჰკარებოდა. ნემსი ურალის ერთ პატარა დაბა კრისტალნაიაში გაამწესეს და მკაცრი ზედამხედველობა დაუწესეს, მაგრამ, ქურციკიძემ სიკვდილის იმიტაცია გაითამაშა და კრისტალნაიადან გაიქცა: ათეულობით ადამიანის თვალწინ მას „გული წაუვიდა“ და მდინარეში ჩავარდა, მერე კი წყალქვეშ გაცურა, უკაცრიელ ნაპირზე გამოვიდა და მოსკოვში გაემგზავრა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მან ყალბი პასპორტი და დიდი სამამულო ომის ვეტერანის საბუთი იშოვა არტურ მიქოიანის გვარზე და ახალი საქმის მომზადებას შეუდგა.

1957 წელს ნემსი მოსკოვის №3 შემნახველ სალაროში დარაჯად მოეწყო. 1958 წელს კი სალაროს სიგნალიზაცია გათიშა, ორი უზარმაზარი სეიფი გახსნა, 470 ათასი მანეთი გაიტაცა და იმავე ღამეს თბილისში გამოემგზავრა. სანამ მილიცია ცხელ კვალზე ცდილობდა ბოროტმოქმედის დაკავებას, ქურციკიძემ 400 ათასი მანეთი სვანეთის უბანში, თავისი ბავშვობის დროინდელი შეყვარებულის, ირინე თაყაიშვილის სარდაფში დამალა საიმედოდ, 70 ათასი მანეთით კი შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა. იქ სხვა ყალბი პასპორტი იშოვა იური ტკაჩენკოს გვარზე და ქალაქ ვლადივოსტოკში დასახლდა, სადაც კერძო კარმიდამო შეიძინა და „ფსკერზე“ დაწვა... შესაძლოა, ნემსს არც განეახლებინა თავისი ძველი საქმიანობა, რომ არა 1961 წლის ფულის რეფორმა, რომელიც საბჭოთა კავშირში განხორციელდა – ფული შეიცვალა და, 400 ათასი მანეთი, რომლის გადაცვლაც მან ვერ მოასწრო, მაკულატურად იქცა...

ნოდარ ქურციკიძე 1963 წელს, კიევში, საკუთარ ქორწილში დააკავეს და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მან 8 წელიწადში მოახერხა ციხიდან გამოსვლა, კიევში დასახლდა და შთამომავლების გარემოცვაში, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

**ნიკა ლაშაური**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

# რატომ მოკლა მამაკაცმა ძმისცოლი და როგორ დასრულდა გაშვილებული ბავშვის გამო დაწყებული ოჯახური დრამა

59 წლის ნუგზარ ჭ-ძემ საკუთარი ძმის ცოლი მისსავე სახლში მოკლა ნაჯახით. მან 55 წლის მაგული მ-შვილს სასიკვდილო ჭრილობა თავის არეში მიაყენა. დანაშაული ოჯახური კონფლიქტის დროს, რამდენიმე თვითმხილველის თვალწინ მოხდა. აფექტში მყოფმა კაცმა რძალს დარტყმა ისე მოულოდნელად მიაყენა, რომ თვითმხილველებმა დანაშაულის აღკვეთა ვერ შეძლეს. თუ რა გახდა ოჯახური დრამის მიზეზი, სამართლდამცველებისთვის დანაშაულის ჩადენიდან ძალიან მალე გახდა ცნობილი. მათ შემთხვევის ადგილზევე დააკავეს მამაკაცი, რომელმაც ჩადენილი დანაშაული აღიარა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მკვლელობას წინ უძღოდა დაძაბული ურთიერთობა მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირსა და გარდაცვლილ ქალბატონს შორის, რომელიც ნუგზარ ჭ-ძის შვილს ბავშვის აყვანაში დაეხმარა. ეს ისტორია მკვლელობამდე ექვსი თვით ადრე მოხდა. მაგული მ-შვილმა მაზლის ოჯახი ნაცნობი ექთნის დახმარებით დაუკავშირა გოგონას, რომელიც ბავშვის გაშვილებას გეგმავდა.

საქმის მასალების მიხედვით, ნუგზარ ჭ-ძის შვილმა და რძალმა, შვილის გაჩენის რამდენიმეწლიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ, ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს. მათ სთხოვეს მაგული მ-შვილს, რომ გასაშვილებელი ბავშვის მოძებნაში დახმარებოდა. მაგული წარსულში საავადმყოფოში მუშაობდა და ნაცნობი ექთნისგან შეიტყო, რომ მეზობელ რაიონში გოგონა იყო ორსულად და ბავშვის გაჩენასა და გაშვილებას მშობლებისგან მალულად აპირებდა. მაგულმ გოგონას კვალს თბილისში მიაგნო, მოგვიანებით რამდენჯერმე შეხვდა მას და დეტალებზეც შეუთანხმდა. როგორც ოჯახთან დაახლოებული პირებისგან გახდა გამოძიებისთვის ცნობილი, ნუგზარი და მისი ცოლ-შვილი თავად სთხოვდნენ რძალს, მაგულის, რომ მათი ნდობით აღჭურვილი პირი და შუამავალი ყოფილიყო.

## მიწაზე დაჩოქილი მკვლელი ხმამაღლა ტიროდა

ამონაწერი გარდაცვლილი ქალის შვილის ჩვენებიდან: „დედაჩემი თვეების განმავლობაში დასდევდა ორსულ გოგონას, ექიმთანაც კი დაჰყავდა, რომ ჯანმრთელი ბავშვი დაბადებულიყო. როდესაც ბავშვი სახლში მოიყვანეს, ბიძაჩემი დედაჩემით ისეთი კმაყოფილი იყო, მის სახელს იფიცებდა. სამი თვის შემდეგ კი ყველაფერი აირ-დაირია – გოგონას მშობლებმა ყველაფერი გაიგეს და ოჯახში მოგვაკითხეს ბავშვის უკან დაბრუნების მოთხოვნით. ბავშვი არაოფიციალურად იყო გაშვილებული, გოგონას კი 2 ათასი დოლარი გადავუხადეთ. მისი მშობლები პოლიციის ჩართვითა და ბავშვის წართმევით დაგვემუქრნენ. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უკმაყოფილება დედაჩემსა და ბიძაჩემს შორის. ნუგზარი დედას ეუბნებოდა, შუამავალი შენ იყავი და სიტუაციაც შენვე უნდა მოაგვაროო. დედამ შესთავაზა, სახლი გაყიდეთ, სხვაგან გადადითო, მაგრამ ამაზე უარი თქვეს. იმ გოგონას ოჯახის წევრები – დედა და ძმა, რამდენჯერმე მოგვიცვივდნენ მუქარითა და ჩხუბით, დედას დაჭერითაც კი ემუქრებოდნენ.“

საქმის მასალების მიხედვით, მორიგი კონფლიქტი რძალსა და მაზლს შორის გაშვილებული ბავშვის ბიოლოგიური დედის ოჯახის წევრების ვიზიტს მოჰყვა. ამ ინციდენტს მაგული მ-შვილთან და ნუგზარ ჭ-ძესთან ერთად მათი ოჯახის რამდენიმე ახლობელიც შეესწრო.

ამონაწერი 42 წლის ნანა ბ-ოვის ჩვენებიდან: „ნუგზარისა და მაგულის მეზობელი ვარ, მათთან ახლო ურთიერთობა მაქვს და კარგად ვიცოდი ის პრობლემას, რაც ამ ოჯახს ჰქონდა. იმ დღეს, როდესაც მკვლელობა მოხდა, მაგულის დილით ველაპარაკე. ეს საქმე გადამიყოლებსო, – მითხრა. ძალიან ნერვიულობდა იმ ყველაფერზე, რაც ოჯახში ხდებოდა. მაზლი ხან მუქარით, ხან კი რბილად სთხოვდა სიტუაციის მოგვარებას, მაგრამ, მაგული ვერაფერს გახდა – ბავშვის ოჯახი მის უკან დაბრუნებას ითხოვდა. ორჯერ მოიტანეს ფული, რაც გადაუხადეს, მაგრამ, ნუგზარმა და მისმა ცოლმა არც ფულს მოჰკიდეს ხელი და სახლშიც კი არ შემოუშვეს ისინი. ბავშვის უკან დაბრუნებას კი არ აპირებდნენ. ნუგზარმა რამდენჯერმე თქვა – ექვსი თვეა, ბავშვს ვზრდი და ცოცხალი თავით უკან არ დაგიბრუნებთო. მკვლელობის დღეს ნუგზარის სახლთან უცხო მანქანა შევნიშნე და ეზოდან ხმაური შემომესმა. მივხვდი, რაც ხდებოდა მათ ოჯახში და დაუძახებლად შევედი. ეზოში ჩემთვის უცნობი სამი ადამიანი იდგა – ორი ქალი და ერთი კაცი, ხმაური მესმოდა სახლიდანაც – ბავშვის ბიოლოგიური ბებია ნუგზარსა და მის ცოლს ეჩხუბებოდა. მაგულიც იქვე იყო. აღელვებული ნუგზარი მაგულის მივარდა და უთხრა, როგორც გამხვიე ამ შარში, ისე გაიყვანე ეს ხალხი ჩემი ეზოდანო, ბოლოს კი თვითონ მოკიდა ხელი იმ ქალს და ეზოში ძალით გაყვანა სცადა. იქვე ეყარა დაჩეხილი შეშა და გვერდით ნაჯახი იდო. მოულოდნელად ნუგზარმა ნაჯახი აიღო და იყვირა: ყველას თავს გაგიხეთქავთ, გადით ჩემი ეზოდანო. როგორც მივხვდი, უცხოები წასვლას არც აპირებდნენ. მაგული ნუგზართან ახლოს იდგა, ჩვენ ცოტა მოშორებით ვიდექით და არ გვესმოდა, მაგული ნუგზარს რას ეუბნებოდა ჩუმად. უცბად ყველა ერთად გავხდით იმის მომსწრე, როგორ ჩაარტყა ნუგზარმა ქალს თავში ნაჯახი, მერე მეორეჯერაც მოუქნია. ჩვენ ყვირილი ავტეხეთ. ქალი ძირს დავარდა, თავიდან სისხლი მოსდიოდა დიდი რაოდენობით. პირველი მე მივვარდი მაგულის, რომელიც ძირს იყო დავარდნილი, თავი მიწაზე ედო, თავქვეშ კი სისხლის გუბე იდგა. არ მახსოვს, იმ არეულობაში ვინ გამოიძახა სასწრაფო. როცა ექიმები მოვიდნენ, მაგული უკვე სულს ებრძოდა. მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო და საკუთარი ქალიშვილის თვალწინ დალია სული. ერთი, რაც მახსოვს, ისაა, რომ ნუგზარი ეზოს ბოლოში დავინახე – მიწაზე იყო ჩაჩოქილი და ხმამაღლა ტიროდა. ცოტა ხანში პოლიციაც მოვიდა და ნუგზარი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.“

სამართალდამცველებმა შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს მკვლელობის იარაღი – ნაჯახი, რომელზეც ქალის სისხლის კვალი იყო დარჩენილი. დაკავებულმა რძლის მკვლელობა აღიარა და განაცხადა, რომ აფექტურ მდგომარეობაში მისმა სიტყვებმა ჩააგდო – ბავშვი ხომ არ დავუბრუნოთო. სასამართლომ ნუგზარ ჭ-ძე დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ბრალდებით და მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 17 ნოემბერი

1839 – – მილანში გაიმართა ჯუზეპე ვერდის პირველი ოპერის – „ობერტაი, ბოკაჩოს გრაფი“ – პრემიერა.

1855 – ინგლისელმა მოგზაურმა დევიდ ლივინგსტონმა აფრიკაში აღმოაჩინა ვიქტორიას ჩანჩქერი, რომელსაც „ვიქტორია” შეარქვეს.

1869 – ოფიციალურად გაიხსნა სუეცის არხი.

1948 – კრეისერი „ავრორა“ მუზეუმად გადააკეთეს.

### 18 ნოემბერი

1307 – თუ ლეგენდას დავუჯერებთ, სწორედ ამ დღეს მოარტყა ვილჰელმ ტელმა ისარი თავისი შვილის თავზე დადებულ ვაშლს.

1626 – რომში ეკურთხა წმიდა პეტრეს ტაძარი, რომლის მშენებლობა 1452 წელს დაიწყო.

1865 – შედგა მარკ ტვენის ლიტერატურული დებიუტი.

### 19 ნოემბერი

1703 – ბასტილიაში გარდაიცვალა პატიმარი, რომელიც ცნობილია როგორც „ადამიანი რკინის ნიღაბში“.

1891 – გასაყიდად გამოვიდა პირველი სათამაშო რკინიგზა.

1978 – ჯორჯთაუნში (გაიანა) ერთდროული თვითმკვლელობის აქტი მოაწყო 900-მა სექტანტმა – ეს იყო ყველაზე მასობრივი თვითმკვლელობა მე-20 საუკუნეში.

### 20 ნოემბერი

1815 – გამოცხადდა შვეიცარიის ნეიტრალიტეტი და მისი საზღვრების ურღვევობა.

1917 – კამბრეს ბრძოლა პირველ მსოფლიო ომში, რომელიც გამორჩეული იყო იმით, რომ პირველად ისტორიაში, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ტანკებმა.

1929 – პარიზში შედგა სალვადორ დალის პირველი პერსონალური გამოფენა.

1969 – პელემ გაიტანა თავისი მეათასე გოლი.

### 21 ნოემბერი

1783 – საჰაერო ბურთით პირველად გაფრინდნენ ადამიანები: ფრანგები – პილატ-არ დე-როზე და ფრანსუა ლორენ-დარლანდი.

1877 – თომას ალვა ედისონმა გამოიგონა ფონოგრაფი – ხმის ჩამწერი პრიმიტიული მოწყობილობა.

### 22 ნოემბერი

1906 – ოფიციალურად დაკანონდა სიგნალი SOS, როგორც საშველად სახმობი ნიშანი ზღვებზე კატასტროფისას.

1917 – კანადაში დაარსდა ნაციონალური ჰოკეის ლიგა NHL.

1928 – პარიზში შედგა მორის რაველის „ბოლეროს“ პრემიერა.

1975 – ესპანეთის მეფე გახდა ხუან-კარლოს I ბურბონთა დინასტიიდან.

### 23 ნოემბერი

1899 – სან-ფრანცისკოში სასტუმრო „პალე როიალში“ დაამონტაჟეს პირველი მუსიკალური ავტომატი.

1946 – ფრანგულმა ესკადრამ დაბომბა ვიეტნამის ქალაქი ხაიფონი, დაიღუპა 6 000 ადამიანი.

1979 – გამოვიდა „პინკ ფლოიდის“ გახმაურებული ალბომი – THE WALL.

2003 – მოხდა „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში.

# სარეკლამო სვლა

## გარი სლეზერი



კომპანიაში, რომელსაც მსხვილი მწარმოებლები რეკლამებს უკვეთდნენ ხოლმე, ჰარისონ ფელს დიდი სიმპათიით აღარ უყურებდნენ. საქმე ის იყო, რომ, სეიფების მწარმოებელმა „ჰოლდველმა“ მისი ორი იდეა დაიწუნა და კომპანია აუცილებლად დაკარგავდა ასეთ მდიდარ შემკვეთს... ჰოვარდ ბლოსმა, სარეკლამო კომპანიის შეფმა, უნიჭო თანამშრომელი თავისთან დაიბარა. მისდა გასაოცრად, ჰარისონი საკმაოდ კარგ გუნებაზე შევიდა მასთან.

– იცი, რატომ დაგიბარე? – ჰკითხა მოღუშულმა.

– დიახ. რომ მითხრათ, დათხოვნილი ხარო, მაგრამ, ჯერ მომისმინეთ, მხოლოდ ხუთი წუთი დამჭირდება.

– არ ვიცი, რის თქმას აპირებ, მაგრამ, თუ ისევ რამე სისულელეს დააბრეხვებ, ისე გაგაგდებ და ისეთი სკანდალით, არსად რომ აღარ მიგიღონ სამსახურში. გასაგებია?

– დიახ. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება. პირიქით, თქვენც მადლობელი იქნებით და „ჰოლდველიც“ კმაყოფილი დარჩება. მათთვის არაჩვეულებრივი რეკლამა მოვიფიქრე, თან, ძვირიც არ დაუჯდებათ და სარეკლამო ბიზნესშიც გადატრიალებას მოვახდენთ. გუშინ ამერიკის ყველაზე ცნობილი სეიფების გამტეხი გაათავისუფლეს.

– ფელ, გუშინ კარგად გეძინა? რას ბოდავ, ვინ სეიფების გამტეხი?

– სემ მორისეი – „მარჯვე თითები“. სასჯელი მოიხადა და გამოუშვეს. ის არის, ვინც ჩვენ გვჭირდება. „სეიფი 801“ საუკეთესო რეკლამას გაიკეთებს მისი დახმარებით.

– წესიერად მოყევი, რა იდეა გაქვს.

ფელმა კმაყოფილებით გაიღიმა, მაგიდიდან უცერემონიოდ აიღო შეფის სიგარა და მოუკიდა. სხვა დროს ჰოვარდი თავის ხელქვეითს ამას არ აპატიებდა, მაგრამ ამჯერად ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც შეუნიშნავს.

– მოკლედ, ყველაზე მაგარ რეკლამას გავაკეთებთ, მინიმალური დანახარჯით. მე დაველაპარაკები ამ სემ მორისეის და ვეტყვი, საჯაროდ გატეხოს „სეიფი 801“ – ჟურნალისტებისა და პოლიციელების, ასევე, მოწვეული სტუმრების თანდასწრებით. მიხვდით, ჩემს ჩანაფიქრს? საოცარი შედეგი ექნება ასეთ რეკლამას, გამაოგნებელ ეფექტს მოახდენს. აღიარეთ, შეფ, რომ გენიალური იდეაა.

– საინტერესოა. მაგრამ, ჯერ სტარკს უნდა დაველაპარაკოთ – იქნებ, თავისი სეიფისთვის ასეთი რეკლამა საერთოდ არც სჭირდება.

სეიფების მწარმოებელი კომპანია აღაფრთოვანა ჰარისონ ფელის იდეამ და სეიფების ცნობილი გამტეხისთვის ჯილდოდ ხუთი ათასი დოლარი დააწესა, თუ ის ამ ავანტიურაში მონაწილეობას მიიღებდა; გარდა ამისა, დაკეტილ სეიფში ასი ათასი დოლარი იდებოდა და, თუკი სემ მორისეი – „მარჯვე თითები“ მოახერხებდა „სეიფი 801-ის“ გახსნას, კომპანია „ჰოლდველი“ აღიარებდა თავის მარცხს და იმ ასი ათას დოლარს მძარცველს აჩუქებდა. ამით სეიფის მწარმოებლები ხმამაღალ განაცხადს აკეთებდნენ თავიანთი სეიფის საიმედოობაში დარწმუნებასთან დაკავშირებით...

სემ მორისეიმ გაოცებით შეხედა ჰარისონ ფელს. ეს ახალგაზრდა კაცი გამაოგნებელ რამეს სთავაზობდა – სეიფი უნდა გაეხსნა ხალხის, პოლიციელების თანდასწრებით და ამაში ფულსაც კი უხდიდნენ.

– დიახ. უარეს შემთხვევაში, ხუთი ათასი დოლარი შენი იქნება, უკეთესში – ასი ათას დოლარს ჩაიდებ ჯიბეში.

– რამეს ხომ არ მიწყობთ? – დაეჭვებით გადააქნია თავი სემმა, – იცოდეთ, ციხეში აღარ მინდა.

– მომისმინეთ, ის, რასაც მე გთავაზობთ, კანონის ფარგლებს არ სცდება, დამიჯერეთ. ამაზე კარგ რეკლამას თქვენ ვერც გაიკეთებთ. ერთ დღეში პოპულარული გახდებით და, თან, ფულსაც იშოვით.

– პოპულარობა არაფერში მჭირდება, აი, ფული კი სხვა საქმეა. მგონი დავთანხმდები. კიდევ ერთხელ მითხარით, რა უნდა გავაკეთო...

დანიშნულ დღეს, ქალაქის ყველაზე დიდი და პრესტიჟული საგამოფენო დარბაზი სავსე იყო ხალხით. აქ იყვნენ კორესპონდენტები, ჟურნალისტები, პოლიციელები, მსხვილი ბანკების წარმომადგენლები, ცნობილი ბიზნესმენები და დიდი კომპანიების მფლობელები. ფელს აინტერესებდა, ვინ დარჩებოდა გამარჯვებული ამ საინტერესო ორთაბრძოლაში – „სეიფი 801“ თუ სეიფების ცნობილი გამტეხი. სემ მორისეი ჩია ტანის, გამხდარი კაცი იყო. ერთი შეხედვით, ვერ მიხვდებოდი, სეიფების რისხვა თუ იდგა შენ წინაშე. რაც შეეხება „სეიფ 801-ს“, განსაკუთრებული ლითონის ფურცლებით იყო დაფარული და თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

– აბსოლუტურად საიმედო სეიფი არ არსებობს, – ხმამაღლა გამოაცხადა პოლიციის შეფმა, რომელიც პირადად ესწრებოდა მთელ ამ სარეკლამო აჟიოტაჟს, – თუკი მძარცველს ექნება საკმარისი დრო და საჭირო ინსტრუმენტები, ნებისმიერ სეიფს გააღებს.

– ჩვენ ამ მითს დავამსხვრევთ! – ამაყად გამოეპასუხა „ჰოლდველის“ სპეციალური წარმომადგენელი, – მისტერ სემს საკმარისი დროც ექნება და ყველა საჭირო ინსტრუმენტიც, რასაც კი მოითხოვს. წამახალისებელი ჯილდოც აქ მაქვს... – მან პიჯაკის ჯიბიდან ბაფთით შეკრული მოზრდილი კონვერტი ამოიღო და მაღლა ასწია, რომ ყველას დაენახა, – ამ ასი ათას დოლარს მე სეიფში ჩავკეტავ... მისტერ მორისეი, მობრძანდით! – კომპანიის წარმომადგენელი სეიფების გამტეხს გადაეხვია და ბეჭებზეც კი მოუთათუნა კონვერტიანი ხელი. „სემ – მარჯვე თითებმა“ უხერხული მოძრაობა გააკეთა და „კეთილმოსურნეს“ მკლავებიდან გაუსხლტა.

წარდგენამ ხმაურით ჩაიარა: შემაღლებულ, განათებულ პატარა რინგზე, სადაც მთავარი ორთაბრძოლა უნდა გამართულიყო სეიფსა და სეიფების გამტეხს შორის, უკვე დაებრძანებინათ „სეიფი 801“. პოლიციელებმა საკუთარი ხელით აიტანეს და სეიფის სიახლოვეს დადგეს პატარა ურიკა, რომელზეც ყველა ის იარაღი ეწყო, რაც კი სემ მორისეიმ მოითხოვა. რეპორტიორებმა კამერები მოიმარჯვეს და წამზომი ჩაირთო. პოლიციელების აპლოდისმენტების ქვეშ მორისეიმ სეიფთან ბრძოლა დაიწყო – მას ორი საათი ჰქონდა მიცემული... ყველა გაფაციცებული ადევნებდა თვალს. მორისეიმ ნახევარ საათზე მეტი მოანდომა სეიფის შესწავლას – დიდხანს უვლიდა მას გარშემო, მერე კი შეუტია. გული მოსდიოდა, რადგან, ვერაფერს გახდა – სეიფი მედგრად იდგა. სულ ბოლოს სემმა უკიდურეს გზას მიმართა. სეიფს სკოჩით დაამაგრა დინამიტი და მოუკიდა. აფეთქება საკმაოდ ძლიერი იყო, დარბაზის ფანჯრებმა დაიზრიალეს, მაგრამ გაუძლეს. სეიფი კი უძრავი დარჩა... ეს სემის დამარცხებას უდრიდა. მან ხელები ასწია. მძიმედ სუნთქავდა და შესაბრალისი სანახავი იყო. სამაგიეროდ, კომპანია „ჰოლდველის“ მესვეურნი ზეიმობდნენ. ზეიმობდა ჰარისონ ფელიც – ის საკუთარ თავს უკვე კრეატიული ჯგუფის ხელმძღვანელად ხედავდა. „სეიფი 801“ ელვის სისწრაფით გახდა პოპულარული – იმავე საღამოს კომპანიამ რამდენიმე შეკვეთა მიიღო სეიფზე... ყველაფერმა ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ჰარისონს ჰქონდა წარმოდგენილი. ამიტომ, ძალიან გაუკვირდა, როდესაც მეორე დღეს ჰოვარდ ბლოსმა გაცეცხლებულმა დაურეკა. კაცს მღელვარებისგან ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი:

– ნამდვილი იდიოტი ხარ, ფელ... იდიოტი!

– ამას მე მეუბნებით? მეგონა, შემაქებდით, – დაიბნა ჰარისონი, – კი მაგრამ, ასეთი რა მოხდა? „ჰოლდველის“ სასწაულ სეიფზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ყველა გაზეთის პირველი გვერდები მათი ფოტოებით არის აჭრელებული.

– ჰო, მაგრამ, ეს ყველაფერი მათ ძალიან ძვირი დაუჯდათ... კოლოსალურად ძვირი, – ამოიხავლა ჰოვარდ ბლოსმა.

– სულ რაღაც ხუთი ათასი დოლარი, დარბაზის არენდა და ალა-ფურშეტი სალაპარაკოდაც არ ღირს.

– ასი ათასი დოლარიც არ დაგავიწყდეს.

– რომელი ასი ათასი დოლარი? – ვერ მიხვდა ფელი.

– ის, რომელიც სეიფში იდო. როცა კომპანიის წარმომადგენელმა „801“ გააღო, იქ კოვენტში, დოლარების მაგივრად დაჭრილი გაზეთის ფურცლები აღმოჩნდა.

– რა?

– „ჰოლდველის“ ხელმძღვანელობა გაგიჟებულია. მითხარი, როგორ უნდა გამქრალიყო ფული სეიფიდან?

– სემ მორისეი... ეს მან გააკეთა... – ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა ფელმა, – გადავწყვიტე, ხელი სხვა საქმეს მოვკიდოო, მაგრამ, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჯიბის ქურდობაშიც დაოსტატებული იყო... ამას ვერაფრით ვიფიქრებდი! მან, მან... კონვერტი შეცვალა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

# თვის ბოლოს თბილისში



28 ნოემბერს ქვეყანაში  არც ბიზნეს და არც ეკონომიკური ფორუმი არ იგეგმება, თუმცა, ამ დღეს, პარასკევ საღამოს, თბილისში სხვადასხვა ქვეყნიდან ასამდე წარმატებული ბიზნესმენი ჩამოდის – მათ 29-ში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, თბილისის ახალი უბნის – დირსის გახსნის თარიღი უნდა აღნიშნონ.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თბილისის აღმოსავლეთი ნაწილი 29 ნოემბერს დილიდანვე ახმაურდება. სპეციალური შოუ-პროგრამა ოფიციალური სიტყვით გაიხსნება –  ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს დირსის მშენებელი კომპანიის, აზერბაიჯანული საინვესტიციო ჰოლდინგ „ეი ეს გრუპ ინვესტმენტის“ დამფუძნებელი მიმართავს. ამის შემდეგ კი, საზეიმო ვითარებაში, წითელ ლენტს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და დირსის პროექტის ხელმძღვანელები გაჭრიან. სწორედ ამ წუთიდან, იმ 450 მობინადრეს, რომლებსაც საცხოვრებელ კომპლექსში ბინა უკვე შეძენილი აქვთ, დირსიში საცხოვრებლად გადასვლა შეეძლება.

29 ნოემბერი განსაკუთრებული თარიღი მხოლოდ დირსისუბნელებისთვის  არ იქნება – ღონისძიება „თბილისობის” ფორმატით გაიმართება და მასზე დასწრებას, სპეციალურ სტუმრებთან ერთად, ნებისმიერი მსურველი შეძლებს. ღონისძიების პროგრამა მართლაც მრავალფეროვანია. ქართველი და აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები სპეციალურად გაკეთებულ მარნებში ერთად დაწურავენ ღვინოს და პირველი მობინადრეების სადღეგრძელოსაც შესვამენ. სპეციალურად მოწყობილ მინი-სამზარეულოებში ქართული და აზერბაიჯანული კულინარიის ნიმუშები დამზადდება. სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, ხინკალი, მწვადი, მაყალზე შემწვარი ბოსტნეული და თევზი დააგემოვნონ. ადგილი დაეთმობა ჩურჩხელის, აზერბაიჯანული ტრადიციული ტკბილეულისა და ალკოჰოლის დახლებს. დირსის უბანშივე სიმბოლურად დაიწურება ღვინო და დირსის მობინადრეები დაილოცებიან. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ქართული მუსიკისა და ცეკვის გარეშე არ ჩაივლის – ღონისძიებას განსაკუთრებულ ხიბლს შეჰმატებენ ანსამბლები – „ფორტე”, „ქართული ხმები“ და „ქსოვრელები“. სპეციალურ ნომრებს შეასრულებენ „სუხიშვილების“ მოცეკვავეები. საღამოს გალა კონცერტზე კი საზოგადოების წინაშე ნანი ბრეგვაძე წარდგება. სცენაზე აზერბაიჯანელი ხელოვანებიც ავლენ. ღონისძიებას ცხადია, ტორტი, ფოიერვერკი და ფურშეტი დააგვირგვინებს.



ღონისძიების მეორე ნაწილი განსაკუთრებით საინტერესო იქნება ბიზნესსექტორის წარმომადგენელთთავის. ინვესტორები აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იმ პროექტების პრეზენტაციებს გამართავენ, რომლებიც დირსის უბანს მომავალში შეემატება – საუბარია 35-სართულიანი სასტუმროს, იტალიური სტილის სავაჭრო ცენტრისა და სამედიცინო კლინიკის მშენებლობაზე,

ორი წლის წინ, როდესაც საინვესტიციო ჰოლდინგი „ეი ეს გრუპ ინვესტმენტი“ ქართულ სამშენებლო ბაზარზე შემოვიდა, ის მხოლოდ დირსის მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას გეგმავდა.  დირსის პროექტის წარმატებამ კი ის ფაქტორი განაპირობა, რომ პირველი ეტაპის საზეიმო გახსნის ღონისძიებაზე დირსი ახალი პროექტების დაწყებას აანონსებს. 30 ნოემბერს სავაჭრო ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობაში სიმბოლური კაფსულა ჩაიდება.

„დირსი მოლი” აქამდე ყველა არსებულისგან განსხვავებული სტრუქტურის იტალიური სტილის სავაჭრო-გასართობი ცენტრი იქნება. დირსის სავაჭრო ცენტრში განთავსდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ბრენდები, კვების ობიექტები და ჰიპერმარკეტი; გამოიყოფა პარკინგის ტერიტორია 900 მანქანის დასაყენებლად. ეს არ იქნება ადგილი მხოლოდ შოპინგისთვის, აქ მოსულ მომხმარებელს  დასვენებისა და გართობისთვის საჭირო ყველა პირობა დახვდება. დირსის უბანშივე იფუნქციონირებს 35-სართულიანი სასტუმრო, რომელიც რამდენიმე ზონად დაიყოფა. სასტუმროში გარკვეული სართულების რაოდენობა ბიზნესცენტრს, საკონფერენციო დარბაზებს, ნომრებსა და „პენტჰაუსებს“ დაეთმობა.

„ეი ეს გრუპ ინვესტმენტის“ პროექტის მესამე ეტაპზე დირსის უბანში ელიტური, პრემიუმ-კლასის საცხოვრებელი კომპლექსი გაშენდება. ეს იქნება 3-4-სართულიანი სახლები საკუთარი ეზოებითა და ვიწრო ქუჩებით, რომელთა დაპროექტებაზეც იტალიელი არქიტექტორები იმუშავებენ.





დაბადება

ჩვენთან ახლოს

ჭოტის. ზარნაშოს

პაუზა

არის ასეთი ქალაქი იაპონიაში

ცისფერი მამაკაცი

ჩვენებური პური

პოეტების საყვარელი ყვავილი

პოკერის ინვენტარი

გრამატიკული კავშირი

(........) არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს

(.......) გარდნერი

ქალაქი საფრანგეთში

(........) ელიავა

დიდი სპარსელი პოეტი

ქართული გაზეთი

4,444 კმ

ჩვენი ტბა

აზიის ქვეყანა

მსგავსი არსება

ძველი ბრაზილიელი ფეხბურთელი

(.....) ბესინჯერი

რაიცენტრი სამეგრელოში

იანის ჩინელი კოლეგა

უნგრელი კომპოზიტორი

ჩვენი წარმართული ღვთაება

თანხმობა

(.....) პუგაჩოვა

თეატრის კოლექტივი

ჩაქიებით ლაპარაკი

უფროსი ოფიცერი

ვაზის ჯიში

ხარაგაულის სოფელი

1000 გრამი

გრამატიკული კავშირი

ქალაქი ავსტრიაში

მცირე ფასის

მბრუნავი ხელსაწყო

ფრანგი მევახშე

რბოლა ანუ?

სასმისი

(........) ისაკაძე

მუხის ნახოფი

ატამი ასეთიც არის

ადამიანთა ფერი

(.......) მერფი

ძველთბილისელი პერსონაჟი

მეოთხე ნოტი

ქალაქი ინგლისში

სახელოვანი დირიჟორი ჰერბერტ ფონ....

ქალაქი პოლონეთში

პარაზიტული წარმონაქმნი

ვეება, ზორბა

ბანგლადეშის დედაქალაქი

პატარა

ძვ.ბერძნ. ღვთაება

ძველბერძენი

მე-16-17 სს იტალიელი ფილოსოფოსი ტომაზო...

უდედმამო

(.......) ბარათი

ჭირი იქა, ლხინი (......)

ქალაქი ინგლისში

იხილე ფოტო ფილმი?

(........) გუდიაშვილი

ბაშიაჩუკის გვარი

შვეიცარიის დედაქალაქი

საფრანგეთის მდინარე

მხატვრის დაფა

„ჩემო თბილის-ქალაქო შენმა დარმაც (..........)“

ბერძნ. მითოლ. კენტავრი

ხრწნა ანუ?

ფრანგი მწერალი

არა (ინგლ.) ასეთი საიკერიც არის

კლდეა ასეთი

.....ბაბაჯანიანი

საცალფეხო გზა

ქედი სამხრეთ საქართველოში

შემქმნელი

არის ასეთი სახელი ჩვენში

ნალებს აჭედებს

თევზსაჭერი

მომღერალი

ნიკო ლორთქიფანიძის რომანი

მაუგლის მეგობარი პითონი

მოკლე, სხარტი

ძველი კიეველი ფეხბურთელი იოჟეფ....

მღერე, უნიჭო

ციმბირის მდინარე

საუნა

ჩინელი პოეტი ლი.....

ავადმყოფის საწოლი

პერუს დედაქალაქი

ფრანგი მსახიობი ჟან.....

ცხოველთ მეფე

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | 9 | | 10 | 5 | | 8 | 4 | | 4 |
| 1 | 3 | 6 | | 4 | | | | | | | | | | | | | | 13 | 11 | 9 | 3 | 16 | 1 | 4 | 16 | 2 | 4 | 12 | 3 |
| 1 | 1 | 1 | 15 | 11 | | 2 | 12 | 10 | 10 | | 10 | 9 | 4 | 14 | 14 | 14 | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 16 | 14 | 1 | 1 | 1 | 15 | 1 | 1 | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 1 | 4 |
| | | | 5 | 8 |
| | | | 3 | 11 |
| | | | 5 | 13 |
| | | 4 | 2 | 15 |
| | | | 5 | 15 |
| | | | 5 | 16 |
| | | 5 | 11 | 4 |
| | 5 | 10 | 2 | 2 |
| 7 | 6 | 2 | 2 | 2 |
| | 18 | 2 | 2 | 2 |
| | 18 | 1 | 1 | 2 |
| | 18 | 2 | 2 | 2 |
| | 17 | 2 | 2 | 2 |
| | 15 | 2 | 2 | 2 |
| | 13 | 1 | 2 | 2 |
| | 10 | 1 | 1 | 1 |
| | 7 | 1 | 2 | 2 |
| | | 5 | 1 | 1 |
| | | | 3 | 1 |
| | | | 1 | 1 |
| | | | | 1 |
| | | 3 | 1 | 12 |
| | | | | 1 |
| | | 5 | 6 | 16 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 5 | 1 | | 8 | 3 | | 4 |
| | | 3 | 9 | | 5 | | 7 | |
| | 8 | | | 7 | | | 6 | |
| 3 | | 4 | 5 | | 2 | 6 | | 7 |
| | 5 | | 7 | | 9 | 4 | | 8 |
| | 9 | | | 1 | | 2 | 5 | |
| | | 9 | | 5 | | 7 | | |
| | 2 | | 8 | | 7 | 5 | 3 | 6 |
| 5 | 6 | | 2 | | 3 | | 8 | 9 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 3 | 8 | | | | 2 | |
| 2 | | 6 | | 7 | | 4 | | |
| | | | | | | | 3 | 6 |
| 1 | | | 7 | | | 2 | | |
| | | 5 | | | 9 | | | 7 |
| 9 | | | 2 | | | 5 | | |
| | | 1 | | 9 | | | 5 | |
| 6 | | 2 | | | | 9 | | 4 |
| | 5 | | | 1 | | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალით დაიწყეთ მულტფილმის გმირის ხატვა



2. მიახატეთ დრუნჩი



3. შემდეგ — კიდევ ორი წრე



4. მიახატეთ წარბები



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ 10 განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# მხიარული მზე









ეს ფერადი მზე ძალიან გაალამაზებს თქვენი შვილის ოთახს და ბავშვსაც გაახალისებს.

დაგჭირდებათ ძველი დისკი, ფერადი ქაღალდები, წებო და მაკრატელი. თუ პრიალა ფერადი ქაღალდები გაქვთ, ოქროსფერი და ვერცხლისფერი თამამად გამოიყენეთ – ძალიან ლამაზი მზე გამოგივათ.

მზის ძირითადი ნაწილი ყვითელი უნდა იყოს. დისკი დადეთ ფერად ფურცელზე, შემოხაზეთ და გამოჭერით ორი ცალი. შავი მარკერიც არ დაგავიწყდეთ.

ფერადი ფურცლებისგან გამოჭერით 0,5 სანტიმეტრი სიგანის ან ოდნავ უფრო ბრტყელი ზოლები. კარგად დააკვირდით მოცემულ სურათებს. დისკის ერთ მხარეზე დააწებეთ მრგვალი ყვითელი ფურცელი.

მარკერით დაახატეთ თვალები ან თეთრი ფურცლისგან გამოჭერით და დააწებეთ. დაუხატეთ ცხვირი, წითელი მარკერით კი – პირი. ახლა დააწებეთ „სხივები“ იმ მხრიდან, სადაც ჯერ კიდევ არ დაგიკრავთ ყვითელი ფურცელი. როცა სხივების დაკვრას მორჩებით, დააწებეთ ყვითელი წრეც. მეორე მხრიდანაც დაუხატეთ თვალები, ცხვირი, პირი და – მზად არის.

# რიცხვრებუსი

,7,, 2,, ,,0 0,,, 2,,

# მგლები და ძაღლები
## (იგავ-არაკი)

ერთხელ მგლებმა ძაღლებს უთხრეს: ერთმანეთს ძმებივით ვგავართ. აზრები კი სხვადასხვა გვაქვს. ჩვენ თავისუფლად ვცხოვრობთ, თქვენ ადამიანებს ემსახურებით, ათას უბედურებას იტანთ; თქვენ ფარას მწყემსავთ, ისინი ხორცს მიირთმევენ და ძვლებით გიმასპინძლდებიან; ცხვრის ფარა გადმოგვაბარეთ და მერე ერთად მოვილხინოთო.

ძაღლები დაყაბულდნენ. მგლები შეცვივდნენ თუ არა ფარეხში, ჯერ ძაღლებს დაერივნენ, მერე კი ცხვრებს.

ასე ისჯებიან მოღალატენი.



**საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის, ისტორიული ჰერეთის ნაწილი – ჭარ-ბალაქანი, რომელსაც გარკვეული პერიოდიდან საინგილო ეწოდა, დღეს საქართველოს შემადგენლობაში აღარ არის. თუ როგორ დავკარგეთ საინგილო, ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი ვახტანგ გურული.**

# როგორ მზადდებოდა საინგილოს ტრაგედია

**– ბატონო ვახტანგ, როდის დაიწყო ის პროცესი, რომელიც, საბოლოოდ, ისტორიული ჭარ-ბელაქნის (საინგილოს) დაკარგვით დამთავრდა?**

– ეს პროცესი მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგიდან იღებს სათავეს. ჯერ ირანის შაჰს კახეთი საბოლოოდ დაპყრობილი არ ჰქონდა, როცა გადაწყვიტა, ისტორიული ჰერეთის ნაწილი – ჭარ-ბელაქანი, კახეთის სამეფოსათვის ჩამოეცილებინა. ანუ, ეს ტერიტორია კახეთის მეფის იურისდიქციიდან უნდა გამოსულიყო. შაჰმა მიზანს მიაღწია – ჭარ-ბელაქანი მოსწყდა დედასამშობლოს. ცოტა მოგვიანებით სხვა უბედურებაც დაატყდა ამ კუთხეს თავს: კახეთსა და ქართლში მოთარეშე ლეკებმა ჭარში დაიწყეს დამკვიდრება. აქედან ისინი გამუდმებით ესხმოდნენ თავს კახეთსა და ქართლს, ძარცვავდნენ ქვეყანას, იტაცებდნენ ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ ახალციხის მონათა ბაზარზე ყიდდნენ. კახეთის მეფეებს ირანის შაჰი ჭარ-ბელაქანში შესვლის უფლებას არ აძლევდა. ირანელებმა, განსაკუთრებით კი ლეკებმა, ჭარ-ბელაქნის ქართველობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეს. იქაურ ქართველებს პირწმინდად ძარცვავდნენ, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი ხოცავდნენ. მტერმა ჭარ-ბელაქნის ქართველებში დაიწყო აგიტაცია: თუ ქართველი გამაჰმადიანდებოდა, მას, როგორც უკვე მაჰმადიანს, ვერავინ შეავიწროებდა და გაძარცვავდა. მალე ქართველები დარწმუნდნენ – ან უნდა გამაჰმადიანებულიყვნენ, ან მუდმივი შევიწროების, ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის მსხვერპლი გახდებოდნენ. გამაჰმადიანებულ ქართველებს მართლაც აღარ ავიწროებდნენ, რაც, სამწუხაროდ, სხვა ქართველთათვის რჯულის შეცვლის სტიმული გახდა. მალე ჭარ-ბელაქანში ქართველთა გამაჰმადიანებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. სწორედ ამ დროს გაჩნდა ტერმინი „ინგილო“, რაც „მოქცეულს“, ანუ, „ქრისტიანობიდან“ ისლამზე „მოქცეულს“ ნიშნავს. პირველ ხანებში იძულებით გამაჰმადიანებული ქართველები, რა თქმა უნდა, ისლამს ფორმალურად აღიარებდნენ, მაგრამ, ათწლეულების შემდეგ ისლამმა უკვე ძლიერად მოიკიდა ფეხი ჭარ-ბალაქანში.

**– ნუთუ ქართველი მეფეების მხრიდან არასდროს ყოფილა ჭარ-ბელაქნის გათავისუფლების მცდელობა?**

– ცხადია, იყო. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში ქართლის მეფე თეიმურაზ მეორემ და კახეთის მეფე ერეკლე მეორემ, სცადეს ომის გზით ჭარ-ბელაქნიდან ლეკების განდევნა. ირანი ამ დროს იმდენად იყო დასუსტებული, რომ ქართველი მეფეების ამ მცდელობას წინ ვერ აღუდგებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, თეიმურაზისა და ერეკლეს მცდელობა მარცხით დამთავრდა: შაქ-შირვანის მფლობელმა ჰაჯი-ჩალაბმა მუსლიმური სახანოების გაერთიანება მოახერხა და თეიმურაზი და ერეკლე დაამარცხა.

**– რა ბედი ეწია შემდგომ ხანებში ჭარ-ბელაქანსა და იქ მცხოვრებ ქართველობას?**

– რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის დროისთვის (1801-1802 წლები) ჭარ-ბელაქანი ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, თუმცა, დიდხანს აღარ დარჩენილა ირანის შემადგენლობაში. 1804-1813 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ირანის ომი, რომელიც რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. გულისტანის ზავით, ჭარ-ბელაქანი (საინგილო) რუსეთს გადაეცა. თუმცა, რუსეთი გართულებას მოერიდა და საინგილოში ჯარების შეყვანისაგან თავი შეიკავა. 1826-1828 წლებში უკვე მეორე ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და ირანს შორის. ირანი კვლავ დამარცხდა და თურქმანჩაის ზავმა კვლავ დაადასტურა, რომ საინგილო რუსეთისა იყო. 1830 წელს რუსეთმა საინგილოში ჯარები შეიყვანა.



**გამაჰმადიანებულ ქართველებს მართლაც აღარ ავიწროებდნენ, რაც, სამწუხაროდ, სხვა ქართველთათვის რჯულის შეცვლის სტიმული გახდა**

**– რა მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის შემადგენლობაში მოქცეული საინგილო?**

– ირანისთვის წართმეული საინგილოს ტერიტორია რუსეთმა ცოტა მოგვიანებით ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულში – „ზაქათალის ოკრუგში“ (ოლქში) გააერთიანა და თბილისის გუბერნიას დაუქვემდებარა. ამ სტატუსით დარჩა საინგილო რუსეთის იმპერიაში 1917 წლამდე – იმპერიის აღსასრულამდე.

**ჯერ ირანის შაჰს კახეთი საბოლოოდ დაპყრობილი არ ჰქონდა, როდესაც გადაწყვიტა, ისტორიული ჰერეთის ნაწილი – ჭარ-ბელაქანი კახეთის სამეფოსათვის ჩამოეცილებინა**

**– რა ხდებოდა საინგილოსთან მიმართებაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში?**

– 1917-18 წლებში იყო მცდელობა საინგილოს საკითხის გადაჭრისა საქართველოს სასარგებლოდ. როგორც გაირკვა, საინგილოს დასაკავებლად საკმაოდ სერიოზული სამხედრო ძალა იყო საჭირო, ასეთი კი მაშინ საქართველოს არ გააჩნდა. აქტიურად მოქმედებდა ირანის აგენტურა. საინგილოს საკითხი სერიოზულად დადგა 1920 წლის მაისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკების პერიოდში. მოლაპარაკების პროცესში ქართველებმა რუსებს შესთავაზეს ასეთი ფორმულა: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიად საბჭოთა რუსეთს უნდა ეცნო თბილისისა და ქუთაისის ყოფილი ტერიტორიები. გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ, რუსები ამ წინადადებას დათანხმდნენ. რეალურად საკითხი ასე დადგა: თუ თბილისის გუბერნიას რუსეთი მთლიანად საქართველოს ტერიტორიად ცნობდა, მაშინ, გამოდიოდა, რომ თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში მყოფი „ზაქათალის ოკრუგიც“ უნდა ეცნო საქართველოს ტერიტორიად. ხელშეკრულების მიხედვით, „ზაქათალის ოკრუგი“ (ჭარ-ბელაქანი, საინგილო) საქართველოს ტერიტორიად იქნა აღიარებული.

**– გამოდის, რომ ამ ხელშეკრულების შემდეგ კვლავ დავკარგეთ საინგილო?**

– სწორედ ასეა. 1920 წლის 30 აპრილს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას კი მოსკოვში ხელი მოეწერა 1920 წლის 7 მაისს. საბჭოთა აზერბაიჯანის ბოლშევიკმა ლიდერებმა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართეს, არ დაეშვათ საინგილოს საქართველოს ტერიტორიად აღიარება. რადგან საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იყო და მისი შეცვლა აღარ შეიძლებოდა, მოსკოვმა ხერხს მიმართა: სხვადასხვა საშუალებით, საქართველოს დელეგაცია აიძულეს, 1920 წლის 12 მაისს ხელი მოეწერა „დამატებით შეთანხმებაზე“, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა. დამატებითი შეთანხმების მიხედვით, საინგილოს ტერიტორიის საქართველოში დარჩენა თუ აზერბაიჯანისთვის გადაცემა უნდა გაერკვია შერეულ კომისიას. ამ კომისიაში შევიდოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები, კომისიის თავმჯდომარე კი იქნებოდა რუსეთის წარმომადგენელი. ეს, პრაქტიკულად, ნიშნავდა, რომ სამი ხმიდან ორი ხმა (საბჭოთა აზერბაიჯანისა და საბჭოთა რუსეთისა) საინგილოს აზერბაიჯანისთვის გადაცემას დაუჭერდა მხარს. თუმცა, საინგილოს საკითხზე სამთა კომისიას არ უმუშავია.

**– მაშ, როგორ გადაწყდა საინგილოს საკითხი?**

– 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაიპყრო და საკითხიც თავისთავად გადაწყდა. მოსკოვის ნებით, საინგილო საბჭოთა აზერბაიჯანს გადაეცა. ცხადია, ამ საქმეში საძრახისი როლი ითამაშეს ქართველმა ბოლშევიკმა ლიდერებმა – ფილიპე მახარაძემ და სხვებმა, რომლებიც წინ ვერ აღუდგნენ მოსკოვის ნებას.

**ეკა სალაღაია**

# რატომ კვებავდნენ მზეს აცტეკები ადამიანთა გულებითა და სისხლით

კოლონიზაციის პერიოდის ერთ-ერთი ევროპელი ავტორი წერდა: „ურიცხვ კერპს ითვლიდა მექსიკა" – მხოლოდ აცტეკების პანთეონი ორი ათას ღმერთს ითვლიდა და მათგან უმეტესი სისხლიან მსხვერპლს ითხოვდა, უპირველეს ყოვლისა კი – ადამიანის სისხლს. ღმერთებს ჰქონდათ ამის უფლება: ოდესღაც ხომ ისინიც თავიანთ სხეულს და სისხლს იღებდნენ მსხვერპლად ადამიანებისთვის. აცტეკების წარმოდგენით, ქვეყნიერებას პერიოდულად კატაკლიზმების გავლა უხდებოდა, რომელიც არა მარტო კაცობრიობის განადგურებით მთავრდებოდა, არამედ მნათობებისაც. ღმერთებიდან რომელიღაცას კი სამსხვერპლო ცეცხლში ჩავარდნა უხდებოდა, რათა თავისი ცეცხლწაკიდებული სხეულიდან შეექმნა ახალი მზე და ახალი მთვარე. მეოთხე ერის დამთავრების შემდეგ და მსოფლიოს მეხუთე, თანამედროვე ერაში შებიჯებამდე, ღმერთებმა თვითონვე გამოკვებეს ხელახლა შექმნილი მზე თავიანთი სისხლით. ღმერთმა კეცალკოატლმა კი თავისი სისხლით მორწყა ადრე გარდაცვლილ ადამიანთა ძვლები, რათა ახალი კაცობრიობისთვის მიეცა სიცოცხლე. კერძოდ, ადამიანები, ღმერთებმა შექმნეს უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ მზე მოემარაგებინათ საკვებით.

მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანებში ჩაწერილი „ჩიმალპოპოკის კოდექსი" გვიყვება იმაზე, თუ როგორ შექმნა, უშუალოდ ღმერთმა ტესკატლიპოკამ მზის შექმნამდე, „400 ადამიანი და 5 ქალი" – „ადამიანებს", ანუ მამაკაცებს, უნდა უზრუნველეყოთ მზე თავდაპირველი (საწყისი) საკვებით. როცა მზე ამოვიდა, ქვეყნიერებას კიდევ ოთხასი ინდიელი მოევლინა, მაგრამ მათი ამოცანა იყო, არა ახალი კაცობრიობის შექმნა, არამედ უნდა მომკვდარიყვნენ, „რათა მზეს საკვებად ჰქონოდა მათი გულები". ამიტომ, მათი მოკვდინებისთვის შეიქმნა კიდევ ხუთი „მებრძოლი". იმ დროიდან მოყოლებული და ევროპელთა მოსვლამდე, აცტეკებისთვის ზუსტად იყო ცნობილი, რომ თუ მზეს არ გამოკვებავდნენ ადამიანთა გულებითა და სისხლით, ის აღარ ამოვიდოდა და დაიღუპებოდა თავისი ღამის მიწისქვეშა გზაზე. მოგვიანებით, მათ მოუწიათ იმაში დარწმუნება, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ მანამდე, სანამ ესპანელებმა ბოლო არ მოუღეს მათ სისხლიან კულტებს (როდესაც მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა, რომელიც სრულად შეესაბამებოდა აცტეკთა ანალოგიურ ქმედებას), არავის გაუაზრებია, შეემოწმებინათ, ამოვიდოდა თუ არა მზე მისთვის განკუთვნილი საკვების გარეშე.

დანარჩენი ღმერთებიც ასევე სისხლით იკვებებოდნენ. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ნებაყოფლობითი და ზომიერი მსხვერპლით კმაყოფილდება. მაგალითად, მთავარი ღმერთების ტრიადაში შემავალი კეცალკოატლი – სტიქიის მბრძანებელი და მეცნიერებისა და კულტურის მფარველი, სისხლის მიმლები იყო, მაგრამ სიკვდილს არ ითხოვდა. მორწმუნეებს და „ჰუმანური" ღმერთის თვით ქურუმებსაც კი, ყურები ან ენა უნდა გაეხვრიტათ და ნახვრეტში ეკლიანი აგავას ბოჭკოს ზონარი გაეტარებინათ. ამ დროს ჩამონადენი სისხლი სრულად აკმაყოფილებდა კულტურის მფარველი ღმერთის მოკრძალებულ მოთხოვნილებებს. ეპისკოპოსი დიეგო დე ლანდი თავის თხზულებაში „შეტყობინებები იუკატანის ამბებზე", ასე აღწერს ამ წეს-ჩვეულების ერთ-ერთ ვარიანტს (თუმცა არა აცტეკებში, არამედ იუკატანის მაიას ტომში):



**ადამიანები ღმერთებმა შექმნეს უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ მზე მოემარაგებინათ საკვებით**

„სხვა შემთხვევებში ისინი უსინდისო და სავალალო მსხვერპლშეწირვებს ახორციელებდნენ. ისინი, ვინც ამას აკეთებდნენ ტაძარში იკრიბებოდნენ – დგებოდნენ მწკრივში და სასქესო ასოზე რამდენიმე ღიობს (ნახვრეტს) იკეთებდნენ, რის შემდეგაც ამ ღიობებში რაც შეიძლება მეტ ზონარს იტარებდნენ. ყველა ასოდან ჩამოდენილ სისხლს კი დემონის სტატუეტს აცხებდნენ. ვინც მეტად გაირჯებოდა, უფრო კარგ ვაჟკაცად ითვლებოდა".

მართალია, ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ კეცალკოატლის განსაკუთრებულად თავგამოდებული თაყვანისმცემელნი ადამიანებს სწირავდნენ მას მსხვერპლად, მაგრამ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ჩატარება, მეცნიერების მფარველის სამსხვერპლოზე, არ იყო მიღებული. ამ საკითხში კეცალკოატლი მკვეთრად გამოირჩეოდა აცტეკთა პანთეონში. თუმცა, ტოლტეკებისა და აცტეკებისთვის და ნაუას (ნაუა – ენით მონათესავე ინდიელ – იუტოაცტეკურ ტომთა ჯგუფი) ყველა ტომისთვის, ის რაღაცნაირად უცხო იყო. მექსიკის უძველესი ბინადარნი დიდი ხნით ადრე ეთაყვანებოდნენ მას, სანამ პირველი ნაუები გამოჩნდებოდნენ ისტორიულ არენაზე. ტყუილად კი არ გამოდიოდა გამუდმებით კეცალკოატლი, როგორც ანტაგონისტი სისხლმოწყურებული ტესკატლიპოკისა – ორეულისა, ომისა და მზის ღმერთისა – უიტსილოპოჩტლისა.

მაგრამ კეცალკოატლი იშვიათი გამონაკლისი იყო. დანარჩენი ღმერთები არა მარტო სისხლს ითხოვდნენ, არამედ მსხვერპლის სიცოცხლესაც. ყველაფერზე მეტად კი, მათ მსხვერპლის გული სჭირდებოდათ. ტლალოკი – წვიმისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი კეთილისმყოფელ ღვთაებად ითვლებოდა. მას ხელოვნურად შექმნილ წყალსატევებს უძღვნიდნენ. ის ხალისით იღებდა თავის თაყვანისმცემელთაგან საჭმელ მცენარეთა მარცვლეულს. ტლალოკის მთავარ დღესასწაულზე მისი ქურუმები წყალში ყვინთავდნენ და მის გასახარად ცდილობდნენ ბაყაყების ხმისა და მოძრაობის იმიტაცია გაეთამაშებინათ. თუმცა, ასეთი გასართობებით ღმერთი არ კმაყოფილდებოდა. მისთვის მიღებული იყო, შეეწირათ ბავშვები და ქალიშვილები: მათ გულს აცლიდნენ მკერდიდან, ხოლო ნეშტს კრძალავდნენ.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბ | ა | თ | უ | | ა | | კ | რ | ი | ტ | ი | კ | ა |
| კ | | გ | | გ | ა | რ | ბ | ო | | ლ | | ზ | | ლ |
| ო | | უ | | ვ | | ვ | | ბ | ა | ი | ყ | უ | შ | ი |
| კ | ა | რ | ტ | ა | ხ | ე | ნ | ა | | ლ | ი | ა | ნ | ა |
| ა | | ი | ო | ნ | ა | | ი | | | | რ | | | ქ |
| | კ | | ლ | ო | რ | კ | ა | | | | ი | ბ | რ | ო |
| მ | ა | ხ | ე | | კ | | ვ | | | | მ | | | თ |
| | ტ | | დ | ვ | ი | რ | ი | | | | ი | კ | ა | ი |
| პ | ო | ბ | ო | ი | | ა | | | | | | ე | | |
| ა | | რ | | ლ | ა | მ | უ | | | | | ს | | ს |
| ლ | ი | ო | ნ | ი | | პ | | ა | ბ | ე | ს | ა | ძ | ე |
| ვ | | ს | | ს | ტ | ა | მ | ბ | ა | | უ | ნ | უ | ნ |
| ა | ტ | ე | ლ | ი | ე | | გ | ა | მ | ო | ფ | ე | ნ | ა |
| | ბ | | ი | | გ | რ | ო | შ | ი | | თ | | ნ | |
| კ | ა | კ | ა | დ | უ | | ს | ი | | კ | ა | ც | ი | ა |
| რ | | ლ | | უ | | ს | ა | ძ | მ | ო | | ი | | რ |
| ი | ლ | უ | ი | გ | რ | ე | ნ | ე | | ლ | ი | რ | ფ | ი |
| ჭ | | ბ | | მ | ა | რ | ი | | ა | ბ | ა | კ | | ფ |
| ა | მ | ი | რ | ა | ნ | ი | | ა | ლ | ა | დ | ი | ნ | ი |
| | ე | | ე | | ტ | ა | ქ | ტ | ი | | ო | | ა | |
| კ | რ | ე | მ | ლ | ი | | | ი | ს | ა | ნ | ა | ნ | ა |
| | ი | | ა | რ | ე | ვ | ი | კ | ა | | ი | ლ | ი | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 4 | 6 | 8 | 1 | 9 | 2 | 3 |
| 8 | 9 | 2 | 4 | 3 | 5 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 6 | 1 | 7 | 9 | 2 | 4 | 5 | 8 |
| 2 | 3 | 6 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 4 | 5 | 9 | 2 | 3 | 8 | 7 | 6 |
| 9 | 7 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 6 | 8 | 9 | 3 | 1 | 7 | 2 | 4 | 5 |
| 4 | 2 | 3 | 8 | 5 | 9 | 6 | 1 | 7 |
| 5 | 1 | 7 | 2 | 4 | 6 | 3 | 8 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 1 | 9 | 2 | 4 | 6 | 5 | 7 |
| 7 | 6 | 2 | 3 | 1 | 5 | 8 | 9 | 4 |
| 9 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 | 3 | 1 |
| 5 | 1 | 3 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 9 | 4 | 2 | 3 |
| 2 | 9 | 4 | 8 | 3 | 6 | 1 | 7 | 5 |
| 3 | 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 |
| 1 | 5 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 | 6 | 8 |
| 4 | 8 | 9 | 5 | 6 | 3 | 7 | 1 | 2 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: 1. კალიგრაფია. 2. წერა-კითხვის გავრცელება – კოლოფზე გამოსახულ საგანთან ის ლათინური ასო ეწერა, რომლითაც ამ საგნის სახელი იწყებოდა. 3. ყალბი. 4. სტრადივარიუსის ვიოლინოების. 5. 1998 წელს ფილმში „ტრუმენის შოუ" მთავარი გმირი სწორედ ხელოვნურად შექმნილ სამყაროში ცხოვრობს, რომელიც ტელევიზიით რეალითი შოუდ გადაიცემა. 6. წინადაცვეთის „აღდგენა", ებრაელებს პლასტიკური ქირურგიით არაებრაელებად აქცევდა. 7. ქოლგას. 8. რაიხი დალტონიკი იყო. 9. ფრესკას – მხოლოდ სველ ბათქაშზე იხატება, ანუ გაშრობა არ უნდა მოასწროს. 10. სამჭედლოს.**

**ჩვენს რუბრიკაში ერთი და იმავე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.**

# რისი გაკეთება მოასწრო ნიკუშა შენგელაიამ „ვირის კუდივით მოკლე“ ცხოვრების განმავლობაში და ჩაუდენია თუ არა მას სისულელეები

**– ვინ ხართ, გაგვეცანით?**

– ნიკუშა შენგელაია, – მხატვარი, საქართველოს მოქალაქე.

**– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან...**

– პირველად ფეხბურთის ტყავის ბურთი რომ მაჩუქეს. ჩვენს დროს სად იყო ეგეთი ბურთები. ისე გამიხარდა, იმ ღამეს, ბურთთან ერთად მეძინა. ალბათ 6 წლის ვიყავი მაშინ.

**– დაახასიათეთ საკუთარი თავი.**

– საკუთარი თავის დახასიათება რთულია. ხან როგორ ხასიათზე ვარ, ხან – როგორზე.

**– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?**

– გააჩნია როდის, ბევრი შეცდომაც მომსვლია, ბევრჯერ სწორი არჩევანიც გამიკეთებია. მე ვფიქრობ, ცხოვრება შედგება შეცდომების, პრობლემებისა და მათი გამოსწორება-დაძლევისგან. ადამიანი ყოველთვის იბრძვის საკუთარ თავთან – შენში ნათელსა და ბნელს შორის ყოველთვის მიმდინარეობს ბრძოლა – მთელი ცხოვრება ის არის, რომ ბოლოს და ბოლოს, სინათლემ უნდა გაიმარჯვოს.

**– გაინტერესებთ, რას ფიქრობენ თქვენზე?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ გამოცდილებიდან და ასაკიდან გამომდინარე, თანდათან მინელდება ეს ინტერესი. იმიტომ რომ, ვხვდები, ადამიანები ხშირად სხვაზე ფიქრით უფრო არიან დაკავებულნი, ვიდრე საკუთარ თავსა და საქმეზე. ამიტომ, ნელ-ნელა უფრო ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას, თუ რას ფიქრობენ ჩემზე.

**– ვინ გინდოდათ ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს?**

– გონების წყობით, მე ვარ შემეცნებისკენ ძალიან მიდრეკილი ადამიანი. მაინტერესებდა ყოველთვის ასტროლოგია, ფიზიკა, მეცნიერება. ამ დროს, ბუნებითა და ნიჭით, აღმოვჩნდი ხელოვანი, მაგრამ ყოველთვის შემეცნების ეს ლტოლვა მაინც რჩება ჩემში. დროდადრო ჩემში მეცნიერი ებრძვის შემოქმედს, უფრო სწორად ეს ბრძოლა კი არაა, ერთმანეთს ავსებენ. საკუთარი შიდა სამყაროს შემეცნება და გარე სამყაროს მოყვანა რეალობასთან, ყოველთვის ჩემი ინტერესის სფეროა, ვფიქრობ შემოქმედებით ნაწილშიც ამ შიდა სამყაროს გადმოცემა ხდება უნებურად. ენით აუღწერელს რასაც გულისხმობს მხატვარი, ის გადადის ნახატში. ეს არის მისი ბუნება და ყველაფერი ეს არის ხელოვნება. ასე რომ, ერთადერთი, მეტ დროს დავუთმობდი როგორც ხატვას, ისე ფიზიკას, გენეტიკას, ასტრონომიას.

**– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?**

– თავში არ მომწონს ის, რომ ხშირად ძალიან დიდხანს ვფიქრობ რაღაც გადაწყვეტილების მიღებისას. ასევე, არ მომწონს, რომ ბევრი იდეა გავატარე და რეალიზაცია არ გავუკეთე, ჩემი თუ ორგანიზების მიზეზის გამო. კიდევ, ბევრი რამ არ მომწონს ჩემს თავში...

მომწონს, რომ ბოღმა და ბოროტი არ ვარ, გულში არაფერს ვიდებ. მომწონს, რომ სხვისი უფლებების გამო – თუ ვხედავ, რომ ძლიერი სუსტს ჩაგრავს, საშინელ რეაქციას მაძლევს და მზად ვარ, შევაკვდე. კიდევ მომწონს, რომ სხვა ადამიანებს ვაცლი ლაპარაკს და მიყვარს მოსმენა.

**– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ?**

– სისულელების მეტი რა ჩამიდენია. ხანდახან რომ მეუბნებიან, შენს ასაკთან შედარებით, კარგად გამოიყურებიო, სამ რეცეპტს ვაძლევ: 1. არ უნდა შემოუშვა სიბრძნე; 2. არ დაკარგო სისულელეების კეთების უნარი; 3. არ იყო ბოღმა.

**– ყველაზე მეტად გიყვართ...**

– მიყვარს ადამიანები, განსაკუთრებით ჩემი ოჯახის წევრები და მეგობრები.



**ჩემთვის სიყვარული უფრო დიდი სიტყვაა სახარებაში, ვიდრე ჯვრისწერა**

**– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?**

– შუა საუკუნეების აღორძინების ხანაში ვიცხოვრებდი და გავაკეთებდი იგივეს, რასაც ახლა ვაკეთებ – დავხატავდი. საინტერესო იქნებოდა ჩემთვის აგრეთვე რომის და საბერძნეთის პერიოდში ცხოვრება. იმ პერიოდში ვიქნებოდი ალბათ სამხედრო ხელმძღვანელი.

**– დღეს იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?**

– ამას მხოლოდ ჩვენ არ ვწყვეტთ. მე საერთოდ, ვფიქრობ, რომ სადაც გაჩნდები და სადაც ხარ, ესე იგი განგებას უნდა, რომ იქ იყო.

**იმ ღამეს, ბურთთან ერთად მეძინა**

**– როდის გრძნობთ თავს უხერხულად და როგორი ხართ ამ დროს?**

– უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა მაქებენ, ჩემს ოჯახს აქებენ და იმ ეპითეტებით მამკობენ, რაც გასაგონად უხერხულია ჩემთვის. მე ვფიქრობ, იმის ნახევარიც კი არ გამიკეთებია, რანაირადაც ხანდახან მომმართავენ. ჩემი აზრით, ბევრად მეტის გაკეთება შემეძლო და კიდევ შემიძლია. ამიტომ, როცა უხერხულად ვგრძნობ თავს, ვცდილობ, შევაწყვეტინო ქება. თუ არ შეწყვეტს, ვცდილობ, გავერიდო.

**– საერთოდ ფიცხი ხართ?**

– ხანდახან ფიცხი ვარ.

**– როგორი ხართ გაბრაზებული?**

– გაბრაზებული რომ ვარ, კახურადაც ვიგინები ხოლმე. მტვრევით არაფერს ვამტვრევ.

**– მეშინია...**

– ცხოვრების დროებითობის, ანუ სიკვდილის მეშინია – ბუნებრივი შიშია. ამაზე უფრო მეშინია, ჩემი ახლობლების სიკვდილის.

**– მინდა...**

– მინდა, რომ ნიჭი, წესიერება, სილამაზე, სილაღე სიკეთე მეფობდეს.

**– მომწონს...**

– მომწონს მშვენიერი ქალბატონები... ასევე, როცა ადამიანის საქციელი არის ლამაზი. მომწონს ბუნება, ვგიჟდები ველურ ბუნებაში გასვლაზე, მომწონს ხელოვნება...

**– მაღელვებს...**

– უნიჭობა მაღელვებს და ჩემი ქვეყნის მომავალი.

**– მაშფოთებს...**

– უზნეო ადამიანების მოქმედება, არადამსახურებული ადამიანების დროებითი გამარჯვება და მათი დემაგოგია. ერთი სიტყვით, მაშფოთებს უშნო ადამიანი შინაგანადაც და გარეგნულადაც.

**– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...**

– თანამოაზრეთა გარემოში ვარ.

**– ხშირად დამთვრალხართ? როგორი ხართ ამ დროს?**

– ძალიან ხშირად დავმთვრალვარ. მიყვარს ქეიფი – ვმღერი, მხიარული ვარ და როგორც სხვები მეუბნებიან, იმდენად გადასარევი სიმთვრალე გაქვს, ფხიზელ ნიკუშა შენგელაიას ჯობიხარო *(იცინის).*

**– როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი ჩვეულებრივ, ანუ მაშინ, როცა არავის ელით?**

– ზუსტად ისევე, როცა ვინმეს ველი. მე მიყვარს, როცა ვიცი, რა ნივთი სად, როგორ და რანაირად დევს. მხატვარი ვარ და ჩემთვის ფუნქციურ მხარესაც მნიშვნელობა აქვს და ესთეტიკურსაც.

**– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?**

– ძალიან ბევრს ეკუთვნოდათ ეს რჩევები – დაწყებული ბერძენი ფილოსოფოსებიდან დამთავრებული ჩემი მშობლებით. შინაარსი იყო გამოცდილება, რაღაცის მიმართ დამოკიდებულება და გააზრება იმისი, თუ რა, როგორ არის მოწყობილი. დედაჩემის ერთ რჩევას გავიხსენებ, მეუბნებოდა: დროს ნუ კარგავ, ეს ცხოვრება ვირის კუდივით მოკლეა და რა ნიჭიც ღმერთმა დაგანათლა, უკან უნდა დაუბრუნოო.

**– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...**

– ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი სასწავლი მაქვს.

**– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ...**

– ბედნიერი ვარ, რომ გავჩნდი ამქვეყანაზე. გავჩნდი ჩემი მშობლების ოჯახში, ჩემს ქვეყანაში. მინდა, ყველამ იცოდეთ, რომ მიყვარხართ.

**– რისთვის ღირდა ცხოვრება?**

– ერთხელ ზამთარში ბარდნიდა, მე სვეტიცხოველში გადავძვერი გალავანზე შუაღამისას და დავწექი მიწაზე. ქვემოდან სვეტიცხოველს ავყურებდი, ზემოდან ბარდნიდა და იყო სიჩუმე. ამ შეგრძნებისთვის ღირდა ცხოვრება. ცხოვრება ღირდა იმისათვისაც, რომ დამენახა მზე, ცა, ჩემი საყვარელი ადამიანების თვალები.

## უნიკალური გამოფენა – „ქართველები პირველ მსოფლიო ომში"

15 ნოემბერს საქართველოს მუსიკის, კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წლისთავს.

გამოფენის სახელწოდებაა „ქართველები პირველ მსოფლიო ომში". მასზე წარმოდგენილია უნიკალური ფოტომასალა, წერილები, პროპაგანდისტული პლაკატები, ხმლები და სხვა ნივთები, რომლებიც უკავშირდება პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქართველებს. მათ შორის არის გენერალ კვინიკაძის, გენერალ მაზნიაშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გელოვანების ფოტოები.




გამოფენაზე წარმოდგენილი იყო წიგნი-ბროშურა „ქართველები პირველ მსოფლიო ომში", რომელშიც შესულია სხვადასხვა საინტერესო ისტორია და, ასევე, წიგნი, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველთა ფოტოებია დაბეჭდილი.

გამოფენას ესწრებოდნენ მაღალი რანგის სტუმრები, მაღალჩინოსნები, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

ღონისძიება გაიმართა მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის, არჩილ გელოვანის და თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

გამოფენის ინიციატორი იყო მუსიკის, კინოს, თეატრისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი გიორგი კალანდია.

მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის უშანგი რუხაძის განცხადებით, „გამოფენის მიზანია, რომ დავიწყებას არ მიეცნენ ქართველები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პირველ მსოფლიო ომში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მასში; მომავალმა თაობებმაც კარგად იცოდნენ მათ შესახებ. გამოფენა ერთ თვემდე გასტანს და ამით წლევანდელი გამოფენები დასრულდება, მომავალი წლიდან კი კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი გამოფენა იგეგმება".

## ნათია დუმბაძე ქართული „მაფიის" დიასახლისი გახდა

*ცოტა ხნის წინ, თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის №2-ში ახალი ლაუნჯ-ბარი – „მაფია" გაიხსნა. უკრაინაში „მაფია" ცნობილი რესტორნების ქსელია, სადაც ხშირად იყრიან თავს როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული სტუმრები, რადგან, ეს არის ადგილი, სადაც ადამიანები პოზიტიურ და თბილ გარემოში გემრიელ იტალიურ და იაპონურ კერძებს მიირთმევენ. თბილისში გახსნილი ლაუნჯ-ბარი „მაფიაც" სწორედ მისი ანალოგია. ის ფაქტი კი, რომ ბარის დიასახლისი და პიარ-მენეჯერი ნათია დუმბაძეა, კიდევ უფრო ამტკიცებს აზრს, რომ „მაფიაში" საკმაოდ პოზიტიური გარემო გველოდება და მისი სტუმარი არაერთი ცნობილი ადამიანი იქნება. „მაფიის" საზეიმოდ გახსნას, ნათიას მეგობრებთან ერთად, ბევრი ცნობილი ადამიანი დაესწრო, რომლებიც ისე მოიხიბლნენ გარემოთი, ინტერიერითა და გემრიელი იაპონური და იტალიური სამზარეულოთი, რომ პირობა დადეს: შოუ-ბიზნესის „მაფია" ხშირად ივლის „მაფიაში" . ასე რომ, უკრაინულმა „მაფიამ" უკვე თბილისში გადმოინაცვლა.*



**ნათია დუმბაძე**: გაიხსნა ლაუნჯი „მაფია", სადაც, შეგიძლიათ, მიირთვათ იტალიური და იაპონური კერძები. ერთ-ერთი განსხვავებული და ორიგინალური კერძია ერთმეტრიანი, ოცნაჭრიანი პიცა და, ასევე, უგემრიელესი იაპონური სუში. ჩვენთან არის დაბალი ფასები, ყოველდღე უკრავს დიჯეი და, რაც მთავარია, პოზიტიური, ოჯახური, შინაურული გარემოა. „მაფია" იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „ოჯახს," „ოჯახურ ღირებულებებს." ასე რომ, ნებისმიერი სტუმარი ჩვენთან თავს ისე იგრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და, რაც მთავარია, კარგი მუსიკის ფონზე, გემრიელ კერძებსაც დააგემოვნებს.

## გიორგი ბასილაშვილმა სამი მსოფლიო რეკორდი რამდენიმე წუთში დაამყარა

25 ოქტომბერს, თბილისში, ვარდების ბაღის ამფითეატრში, გიორგი ბასილაშვილმა სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 1) მარცხენა ფეხზე, 6 წუთსა და 30 წამში მან 142 ბუქნი შეასრულა. 2) მარჯვენა ხელზე, წოლბჯენში, 20-კილოგრამიანი სიმძიმით, ერთ წუთში 48 მიზიდვა შეასრულა და, 3) 100-კილოგრამიანი ადამიანის შესმით, მან 1 წუთის განმავლობაში ორივე ხელზე წოლბჯენში, 24 მიზიდვა შეასრულა.



ყოველივე ამას ორგანიზება გაუკეთა კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციამ და სპორტულმა კლუბმა „რეკორდმა".

ფაქტია, გიორგიმ სამი მსოფლიო რეკორდი მოხსნა და იქ დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავის შესაძლებლობებში.

**– რა გიქმნით დისკომფორტს?**

– ბევრი რამ მიქმნის დისკომფორტს, ყველაზე მძაფრად პიკის საათში მოძრაობა და ამ დროს მანქანებში შეწუხებული ადამიანების სახეები.

**– რას არ გააკეთებთ არასდროს, რამდენი ნულით დაბოლოებული თანხაც არ უნდა შემოგაძლიონ?**

– არასდროს არ თქვა არასდროს.

**– რაზე არ ამბობთ არასდროს უარს?**

– არასდროს არ ვამბობ უარს, დილით ერთ ღერ სიგარეტსა და ფინჯან ყავაზე. უარს არ ვამბობ იმის გაკეთებაზე, თუ ეს ახლობელს სჭირდება.

**– ყველაზე ჭკვიანური გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიმიღია...**

– მიმიღია რო, ჭკვიანური გადაწყვეტილება?... *(იცინის).*

**– რით ხართ მდიდარი?**

– ადამიანებით, მეგობრებით, ჩემი ქართველი ხალხის სიყვარულით, რომელსაც ყოველდღიურად ვგრძნობ – იქნება ეს ქუჩაში, ქალაქში თუ სოფელში.

**– რელიგიური ხართ?**

– მე ვარ ქრისტიანი.

**– რელიგიური ადამიანი არის...**

– რელიგიურია ადამიანი, რომელსაც სჯერა და მიჰყვება იმ მცნებებს, რასაც ქადაგებდა იესო ქრისტე.

**– სხვა რელიგიის წარმომადგენელი რომ შეგყვარებოდათ და მას არ მიეღო თქვენი რჯული, მაინც იქორწინებდით?**

– არანაირი შეფერხება არ იქნებოდა. ხელს მოვაწერდით და დავრჩებოდით ჩვენ-ჩვენ რწმენაზე.

**– ჯვარს რომ არ დაგწერდნენ?**

– მერე რა, ჩემთვის სიყვარული უფრო დიდი სიტყვაა სახარებაში, ვიდრე ჯვრისწერა.

**– როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სიბერეში?**

– ნეტა, დავბერდე და... თუ გაჩერდნენ ჩემთან შვილიშვილები, იმიტომ რომ, ერთი შვილი ერთ ქვეყანაშია, მეორე – მეორეში, კალთაში ჩავისვამ და ზღაპრებს მოვუყვები, ეგ მინდა. თუმცა, ვფიქრობ, სიბერეში გაცილებით მეტ დროს დავუთმობ ფერწერას, ვიდრე – ახლა.

**– რას დაწერენ თქვენზე 22-ე საუკუნეში?**

– „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო" *(იცინის).* მე არ მაინტერესებს ჩემზე რას დაწერენ, მე მაინტერესებს ჩემი შვილები ამაყად ივლიან თუ არა, როცა ჩემს სახელს ახსენებენ.

**ეკა სალაღაია**

მილოცვა



ანა კვირიაშვილსა და ზაზა ლაბაძეს ვულოცავთ შვილის, ლეოს დაბადების დღეს. ბედნიერი და ჯანმრთელი ვაჟკაცი გაგვეზარდოთ!

**ხატია, მევლუდი და გაბრიელი**

**ცნობილი რეჟისორი ელდარ შენგელაია სულ ახლახან დაბრუნდა უკრაინის დედაქალაქიდან, სადაც ჩატარდა 44-ე საერთაშორისო კინოსფესტივალი „მოლოდოსტ". ამ ფესტივალზე ბატონი ელდარი მიწვეული იყო ფილმით „ცისფერი მთები" და დაჯილდოვდა პრიზით – „კინემატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის."**

**1970 წლიდან მოყოლებული, ფესტივალი „მოლოდოსტ" ყოველწლიურად ტარდება. მისი პრიზიორები სხვადასხვა წლებში იყვნენ ისეთი ცნობილი სახეები, როგორებიც არიან: რომან პოლანსკი, სოფი ლორენი, ზანუსი, ლუდმილა გურჩენკო, ფანი არდანი, ჟერარ დეპარდიე, კრისტოფერ ლამბერტი, სოფი მარსო და სხვები.**

# ᲒᲐᲓᲐᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲚᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ ᲜᲐᲢᲝ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲚᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲘᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ

**– ბატონო ელდარ, გილოცავთ კიდევ ერთ წარმატებას. გვიამბეთ ამ ფესტივალის შესახებ.**

– კიევში ძალიან საინტერესო ფესტივალი იყო. ეს საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად ტარდება, მოყოლებული 1970 წლიდან. ახალგაზრდული ფესტივალია. უნდა ითქვას, რომ წინა პერიოდში ის ძალიან დიდი იყო, რადგან, ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო აფინანსებდა და უამრავ ცნობილ რეჟისორსა და მსახიობს ჰქონდა აღებული ეს პრიზი. ძალიან პრესტიჟული პრიზია. წელს მოინდომეს ეს პრიზი ჩემთვის გადმოეცათ. პირადად იუშჩენკომ გადმომცა.

**– კონკურენტები გყავდათ?**

– არავითარი კონკურენტი. იქ ყოველ წელს ირჩევენ ერთ ადამიანს და აჯილდოებენ. „ოსკარზეც" ასეა: რომ გადასცემენ პრიზს ახალ ფილმს, რეჟისორს, ქალისა და კაცის როლების შემსრულებლებს და ასე შემდეგ, იქ ყოველთვის არის ვიღაც, ვისაც დამსახურებისთვის აძლევენ პრიზს.

**– ამჟამად თუ მუშაობთ რაიმე სცენარზე?**

– ვმუშაობ, „სავარძელი" ჰქვია. ისტორია არის მინისტრზე, რომელსაც უყვარს თავისი სავარძელი უფრო მეტად, ვიდრე თავისი ოჯახი და შვილები. სცენარი უკვე თითქმის მზად მაქვს.



**მოხდა დიდი უბედურება – მოინდომა მანქანა. მე კი ვუთხარი, ნუ დაჯდები საჭესთან-მეთქი, მაგრამ, მაინც მოინდომა. ამ მანქანამ დაგვღუპა ჩვენ**

**– თქვენი და გია ყანჩელის დუეტი ყოველთვის საუკეთესო შედეგს იძლეოდა კინემატოგრაფიაში...**

– მართალია.

**– გახსოვთ, როგორ შედგა ეს ტანდემი?**

– ბაკურიანში ვიყავი, მაშინ კომკავშირი ატარებდა ხოლმე სიმპოზიუმებს ხელოვნების სხვადასხვა დარგში. იქ შევხვდი მე გიას. მახსოვს, გაბუნიას მუსიკა მომასმენინა და ძალიან მომეწონა. მერე მე ვთქვი, რომ ეს მუსიკა არ მქონდა თბილისში. ამიტომ, მივედი გიასთან სახლში და მომასმენინა – აქედან დაიყო ჩვენი ურთიერთობა. „არაჩვეულებრივი გამოფენა" იყო ჩვენი პირველი ერთობლივი ფილმი, მერე იყო „შერეკილები," აქ ჩართო უკვე ჯანო კახიძე – თვითონ მითხრა, რომ ჯანო იყო საჭირო და ჯანოს ხმამ დიდი როლი ითამაშა უდავოდ. „სამანიშვილის დედინაცვალიც" ერთად გავაკეთეთ; ბოლოს ჩვენი ერთობლივი ნამუშევარი იყო „ცისფერი მთები".

**– არ შეიძლება, თქვენ გარეშე ვისაუბროთ გია ყანჩელის კინომუსიკაზე.**

– ჩემი და გია დანელიას გარეშე – ალბათ, ასე უფრო სწორი იქნება.

**– კინოზე ვსაუბრობთ და დავინტერესდები – დედის შემოქმედებაზე რას მეტყვით?**

– რა გითხრათ, მუნჯი კინოდან მე ყველაზე მეტად მომწონს „სამი სიცოცხლე", „ჯვაროსნები" და „მამის მკვლელი". რაც შეეხება ხმოვან ფილმებს, „არსენაშია" ძალიან კარგი, „ქაჯანაში" და „აკაკის აკვანში".

**– ყოველდღიურობაში როგორი იყო ვარსკვლავი დედა?**

– დედა იყო აბსოლუტურად ჩვეულებრივი დიასახლისი. გვივლიდა მე, გიორგის და თენგიზს ისე, როგორც ყველა კარგი დედა. გაჭირვებაში გავიზარდეთ, ომის დროს. ნავთის რიგებში ვიდექით და, რა ვიცი...

**– კიდევ რას გაიხსენებთ?**

– ჩვენ გვყავდა „ემ ადინი" – მანქანა, რომელიც ომის დროს წაიყვანეს. სხვათა შორის, როგორც ადამიანების გარდაცვალებას იუყებობდნენ, ისე გამოგვიგზავნეს ჩვენც დეპეშა, რომ ეს მანქანა დაიღუპა ქერჩში. ეს დეპეშა დედას შენახული ჰქონდა. ომი რომ დამთავრდა და დაიწყო გერმანული მანქანების შემოყვანა, დედა მივიდა, წარადგინა „ემ ადინის" გარდაცვალების მაუწყებელი დეპეშა და მისცეს გერმანული წარმოების მანქანა – „შტერი". ამის შემდეგ მეგობრები დასცინონდნენ: სამი შტერი ჰყავდა სახლში, ახლა მეოთხე შტერი მოემატაო.

როდესაც მოსკოვში ვაბარებდი, კინოინსტიტუტში, დედას ვუთხარი: შენ თუ მოხვალ (არ მინდოდა, რომ მისი სახელით შევსულიყავი), მე წავალ ინსტიტუტიდან-მეთქი. წავედი. დაიწყო გამოცდა. შენგელაია – „შ" არის ბოლოში, 9 საათიდან, უკვე 5 იყო და ჯერ ჩემი ჯერი არ იყო მოსული. ამ დროს მოვიდა ერთი ბიჭი და მეუბნება, ვიღაც ქალი გიხმობსო. ჩავედი – დედაჩემია. ვუთხარი: დედა, წავიდე აქედან-მეთქი?! არა, შენ ახლა გშიაო, – მითხრა, – წამოდი, შეჭამ რაღაცას, მერე მოხვალ და ჩააბარებო. მართლაც, წავედით. ტროლეიბუსში ჩავჯექით და ბელორუსსკი ვაგზალზე მივედით. იქ იყო კაფე. დედაჩემი კახელი ქალი გახლდათ და, ყოველთვის, სადილზე, თვითონაც სვამდა ერთ ჭიქა ღვინოს და ჩვენც გვასმევდა, როგორც წამალს. ამჯერადაც, საჭმელთან ერთად მოიტანეს ერთი ჭიქა არაყი. დედა, ეს შენთვისაა-მეთქი? – ვკითხე. არა, შენ უნდა შეჭამო, დალიო, კარგად გახდები და ჩააბარებო, მიპასუხა. მართლაც, კარგად ჩავაბარე. მახსოვს, რუსულს რომ ვაბარებდი (მე ხომ ქართული სკოლა მქონდა დამთავრებული), ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, მომცა ძალიან ბევრი „შპარგალკა." მე შემხვდა „გორკი და სოციალური რეალიზმი". მართლაც, ავიღე „შპარგალკა" და „გადავიხატე," რაც მასზე ეწერა. მეორე დღეს მოვდივარ და ერთი აბიტურიენტი ამბობს: ერთმა ქართველმა მიიღო ხუთიანი, ჩვენ – ოთხიანი და სამიანიო. მე კი ვიცოდი, ვინ იყო ის ქართველი, მაგრამ, მაინც შევიცხადე. შემდეგ გამოგვიცხადეს ნიშნები და ლექტორმა თქვა: შენგელაიამ, რომელსაც ქართული სკოლა აქვს დამთავრებული, ისე დაწერა „გორკი და სოციალური რეალიზმი", რომ საკანდიდატო ეკუთვნისო. ასე ჩავაბარე „ვგიკში" ***(იცინის).***

## ᲜᲐᲢᲐ ᲘᲧᲝ ᲐᲓᲠᲔ, ᲛᲔᲠᲔ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲨᲔᲐᲠᲥᲕᲐ ᲜᲐᲢᲝ

დედა მაშინ პოპულარობის ზენიტში იყო. წარმოგიდგენიათ, მოსკოვშიც კი, ყველა ქუჩაში სცნობდა. მაშინ კინო იყო ყველაფერი, თბილისში უამრავი კინოთეატრი ფუნქციონირებდა.

**– თვითონ რას ამბობდა საკუთარ თავზე დიდი ნატო ვაჩნაძე?**

– ნატო ვაჩნაძე ძალიან მორიდებული ადამიანი იყო, ძალიან.

**– ნატა თუ ნატო, როგორაა სწორი?**

– ნატო არის სწორი. ნატა იყო ადრე, მერე, სხვათა შორის, სტალინმა შეარქვა ნატო. მაშინ ყოველ წელს ტარდებოდა დეკადები. იყო ქართული დეკადა. ერთ-ერთ ასეთ დეკადაზე სტალინმა აჩუქა თავისი ფოტო დედას და მიაწერა: „ამხანაგ ნატოს სტალინისაგან". სტალინის წარწერას იმხელა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამის შემდეგ გახდა ნატო.

**– დღეს თუ გადაიღებდით ფილმში ნატო ვაჩნაძის მსგავსი გარეგნობის მქონე ქალს?**

– მე ვერ ვხედავ ასეთ ადამიანს.

**– ხშირად გესიზმრებათ?**

– არა. მე ძალიან უცნაური სიზმრები მესიზმრება, მაგრამ, არც დედა, არც მამა და არც ჩემი ელენე არ მესიზმრებიან, საუბედუროდ. ყველაზე მეტად ელენე მენატრება – ჩემი ქალიშვილი. ელენე კარგი გოგო იყო ძალიან. შესანიშნავად იცოდა ინგლისური, რუსული, ქართული. ბოლო მომენტში სან-ფრანცისკოში იყო და იმდენად კარგად ჩააბარა გამოცდები, რომ ყველა საგანში მაღალი შეფასებები ჰქონდა მიღებული. დირექტორმა მოსწერა მას: შენ პროფესიონალურად იცი ინგლისური. უნდა იკითხო ინგლისური წიგნები და უყურო ინგლისურ ფილმებს და არა ამერიკულსო. ასეთი ამბავი ჩამოგვიტანა, გამოცდების შემდეგ რომ ჩამოვიდა და ძალიან გაგვახარა. მერე მოხდა დიდი უბედურება, – მოინდომა მანქანა. მე კი ვუთხარი, ნუ დაჯდები საჭესთან-მეთქი, მაგრამ, მაინც მოინდომა. ამ მანქანამ დაგვღუპა ჩვენ, იმიტომ რომ, ავარიაში მოყვა და დაიღუპა.

ელენე მე დავარქვი... პირველ ქალიშვილს დედაჩემის სახელი დავარქვი, მეორეს – კატია, ბებიაჩემის სახელი (დედის მხრიდან), ელენეს მამიდაჩემის სახელი ერქვა.

დრო გადის და არაფერი იცვლება, ყოველთვის მენატრება ელენე.

ელენე რომ დაიბადა, „ცისფერი მთების" გადაღებას მაშინ ვამთავრებდი. ამიტომ, ახლა „ცისფერ მთებს" წარწერა გავუკეთე: „ჩემს ქალიშვილს, ელენეს" – მას მივუძღვენი...

**ᲔᲙᲐ ᲡᲐᲚᲐᲦᲐᲘᲐ**

**11 ნოემბერს, შუაღამისას, პეკინის ქუჩაზე განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს 23 წლის ცნობილი ტრანსსექსუალი ბექა ბერიანი, იგივე საბი. მკვლელმა, სავარაუდოდ, ის ჯერ დანით მოკლა, შემდეგ კი, კვალის დასაფარავად, ბინას ცეცხლი წაუკიდა, რის შემდეგაც ცეცხლმოკიდებული ბინის კარი დაკეტა და მიიმალა. ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოების თანამშრომლების ერთობლივი ოპერაციის შედეგად, მეორე დღესვე დააკავეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი, 26 წლის ლევან კ., რომელმაც დანაშაული აღიარა. ამ ეტაპზე მკვლელობის ოფიციალურ მოტივად სახელდება ნასესხები თანხა, რომლის დაბრუნებასაც ითხოვდა ბექა ბერიანი, თუმცა, ორგანიზაცია „იდენტობა“ სხვა ვერსიასაც განიხილავს, კონკრეტულად კი, იმავე ღამით გარდაცვლილის მეგობრის, აგრეთვე ტრანსგენდერ ბიანკა შიგუროვას მოკვლის მცდელობას, თუმცა, ამ უკანასკნელმა თავის დაცვა მოახერხა და მეზობლების დახმარებით უცნობი მამაკაცი ბინიდან გააგდო.**

# როგორ ეხმიანება კესარია აბრამიძე საბი ბერიანის მკვლელობას

**ბიანკა შიგუროვა**: „თავდამსხმელს ხელში ელექტროშოკი ეჭირა, ხელებით მახრჩობდა და მეუბნებოდა, ხმა არ ამოიღო, უნდა მოგკლაო. მე ვუთხარი, რომ სახლში კამერები მქონდა დაყენებული, პასუხად კი მივიღე, რომ ის პოლიციელია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ყველა ცნობილი ტრანსგენდერი მოკლას“.

*ასევე, მეზობელმა მოისმინა, თუ როგორ დარეკა მამაკაცმა ტელეფონზე და უცნობს ბიანკას ბინის მისამართზე მისვლა სთხოვა. მეზობლის მონაყოლის გამო, ტრანსგენდერი ვარაუდობს, რომ თავდამსხმელი მარტო არ მოქმედებდა.*

*აღნიშნულ ფაქტს არაერთი ცნობილი სახე გამოეხმაურა.*

**დუტა სხირტლაძე**: „იცით, ვის მინდა, ვაგინო?! მთელი გულით... აი იმ ხალხს, რუსთავში ლეკვის ჩაქოლვაზე ერთი ამბავი რომ ატეხეს და, მოკლულ ტრანსგენდერზე რომ ამბობენ, ღირსიაო. თქვენი ავადმყოფი ტვინები მოვტ...ნ მე!!! ვინ დაგზარდათ და სად?!", – წერს დუტა.

*მეგობრების თქმით, ბექა (საბი) ბერიანი ფულს აგროვებდა, რომ დედისთვის გრანდიოზული საჩუქარი გაეკეთებინა, თუმცა, ის მის დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე მოკლეს.*

**ბექა ბერიანის დედა**: „ვიცოდი, ამ დღეებში უნდა ჩამოსულიყო და მოუთმენლად ველოდი. ბექა ჩემი ერთადერთი შვილი იყო. მასთან არასდროს ვსაუბრობდი მის ორიენტაციაზე, რადგან, მე ის ისეთი მიყვარდა, როგორიც იყო, დანარჩენს კი გულში ვიმარხავდი. ახლა ჩემს ტკივილს მასთან ერთად ვმარხავ."

*პეკინზე მდებარე კაფე „ნიკალაში“ თითქმის ყოველდღე მიწევდა ჭამა ან ინტერვიუს ჩაწერა. შესაბამისად, მომსახურე პერსონალსაც კარგად ვიცნობდი. ერთ მშვენიერ დღეს კი, დახლთან უნიფორმაში გამოწყობილი ახალი ბარმენი დამხვდა, რომლის სქესის გარჩევა გამიჭირდა. სამაგიეროდ, არ გამჭირვებია ურთიერთობაში შესვლა. ის საკმაოდ კომუნიკაბელური, მხიარული და ენერგიული ბიჭი იყო, რომელიც 30 წამში, წვენის დასხმამდე, ასწრებდა მისი პიროვნების საინტერესოდ წარმოჩენას, რის გამოც ინტერვიუ შევთავაზე. თუმცა, მითხრა, ამისთვის ჯერ მზად არ ვარო. მაგრამ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბექა ატირებული დამხვდა ბართან და მითხრა, მზად ვარ, ინტერვიუ მოგცეო. მეორე დღეს, 2010 წლის 21 ივლისს, დაიბეჭდა ბექა ბერიანის საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ. მაშინ პირველად გაიცნო საზოგადოებამ ბიჭი, რომელიც ქალობაზე ოცნებობდა, რასაც მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება, რა თქმა უნდა, აღნიშნული ინტერვიუს გამო. ამის შემდეგ, კაფეს ხელმძღვანელობას შევხვდი და ავუხსენი, რომ ორინეტაციის გამო, თანამშრომლის სამსახურიდან გაშვება დააზარალებდა კომპანიის რეპუტაციას და ხელმძღვანელობამ ის სამსახურში დააბრუნა. თუმცა, დაბრუნებაზე უარი თავად ბექამ განაცხადა, რადგან ფიქრობდა, რომ ისეთ პირობებს შეუქმნიდნენ, მაინც აიძულებდნენ, საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამუშაო. პერიოდულად, ბექას ვეკონტაქტებოდით. გვაინტერესებდა, იშოვა თუ არა მან ახალი სამსახური. თუმცა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ის უმუშევრად დარჩა. ერთი პერიოდი, ნანობდა, რომ ეს ნაბიჯი გადადგა და ინტერვიუ მომცა და მაშინ მკითხა: სწორად მოიქცა თუ არა?! შესაძლოა, მის გარდაცვალებაში მეც მიმიძღვის ბრალი, რადგან, ვინ იცის, როგორი იქნებოდა მისი ცხოვრება დღეს, რომ არა მისი პირველი ინტერვიუ ჩემთან. თუმცა, მაშინ მე მას ავუხსენი მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტები და რამდენჯერმე ვკითხე, ნამდვილად იყო თუ არა მზად ამ ყველაფრისთვის. მოგვიანებით კი, მის კითხვაზე სწორად მოიქცა თუ არა – ვუპასუხე, რომ თუ ამას მხოლოდ სამსახურის დაკარგვის გამო ნანობდა, არ ენერვიულა, რადგან ადრე თუ გვიან, სამსახურს იშოვიდა, სამაგიეროდ, ამ ნაბიჯით მან საკუთარი თავი იპოვა.*



*გთავაზობთ ამ ინტერვიუდან ამონარიდს:*

**– ბექა, როდის აღმოაჩინე შენში ქალი?**

**კესო: „არაერთი ჰომოფობი პარტნიორი მყოლია, რომლებიც ქალობაზე ოცნებობენ და მიუხედავად ამისა, მაინც გეებს აგინებენ და მზად არიან მათ დასახოცად. იმას კი ვერ ხვდებიან, ასეთ შემთხვევაში, მკვლელობა ჯერ თვითმკვლელობით უნდა დაიწყონ“**

– ასაკს ვერ გეტყვი, რადგან, ასეთად დავიბადე. მაგრამ, სადღაც, 13 წლამდე ვერ ათვითცნობიერებ, რა გინდა და ვინ ხარ. კი გრძნობ, რომ გამორჩეული ხარ ყველასგან, მაგრამ, რატომ, ამას ვერ იგებ. მერე უკვე ყალიბდები, უფრო მძაფრდება ქალურობისკენ მიდრეკილება და ნელ-ნელა ხვდები, რაც ხდება შენს თავს.

**– ბექა, შენ არ მალავ შენს ორიენტაციას და ოჯახში რას გეუბნებიან?**

– დასამალი რა არის? შენ რატომ არ მალავ ქალები რომ გიზიდავს? ასევეა, ჩემთვისაც ეს მომენტი. სახლში ამაზე არასოდეს მისაუბრია და, შესაბამისად, არ ვიცი, რას ფიქრობს დედა ამის შესახებ. თუმცა, მისთვის ყველაფერი ნათელია, მაგრამ დედაა და თვალებს ხუჭავს. სხვათა შორის, ამის გამო, არც არასდროს უსაყვედურია ჩემთვის და არც გამიგია, ეწუწუნოს – რატომ არის მაინცდამაინც ჩემი შვილი ასეთიო.

**– გინდა, რომ ქალის ტანსაცმელში გამოწყობილმა იარო ქუჩაში?**

– ძალიან მინდა. ჩემს თავს გეიდ არ მივიჩნევ. მე უფრო ტრანსსექსუალი ვარ, ვიდრე გეი. ხელს ის მიშლის, რომ ტრანსსექსუალისთვის, თუნდაც, სამსახურის მოძებნა, ძალიან ძნელი კი არა, წარმოუდგენელია. ამიტომ, თავს იმის ფუფუნების უფლებას ვერ მივცემ, კაბა ჩავიცვა და სახლში დავჯდე ფეხი-ფეხზე გადადებული. მე არსებობა, ჩემი ჯიბის ფული მჭირდება. ეს, შეიძლება, გავაკეთო, თუ სპონსორი მეყოლება, რომელსაც არ მობეზრდება ჩემთან ურთიერთობა და ყველანაირ კომფორტს შემიქმნის იმისთვის, ნამდვილ ქალად ვიგრძნო თავი.

**– ჯერ პატარა ხარ და, ალბათ, სწორი გზისკენ მიმთითებელი რომ გყავდეს, მოძღვარი აიყვანო, შეიძლება, ჩვეულებრივ კაცურ ცხოვრებას დაუბრუნდე.**

– არ ვიცი, შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ, მთავარი მონდომებაა. მე კი ძალიან აშვებული მაქვს – რაც ვარ, მომწონს. ასეთი ვარ და ალბათ, უფრო არ მსურს, სხვანაირი ვიყო, თორემ, რა პრობლემაა. ესეც ღვთის ნებაა ან უფრო, სასჯელი. ანუ, წინაპრის ცოდვა ჩემზე გადმოვიდა, რომელსაც ვერ, ან არ შევებრძოლები. ერთი მხრივ, ისიც არის, რომ სკოლებში არ ისწავლებოდა რელიგია, ღმერთის სიყვარულს არ გვინერგავდნენ და ეკლესიისკენ არ გვითითებდნენ. ახლა კი ასწავლიან, მაგრამ, როგორც ვიცი, ძალიან ზერელედ. გარდა ამისა, განსხვავებული ორიენტაცია ტაბუდადებული თემა იყო. არადა, მე ვიცნობ ბევრ 50-60 წლის ადამიანს, რომლებმაც ახლა აღმოაჩინეს საკუთარი თავი – რომ თურმე, სხვა რაღაც სდომებიათ ცხოვრებაში. ეს ხომ საშინელებაა, დაბერდე და მერე მიხვდე, ვინ ხარ და რა გინდა.

*მიუხედავად იმისა, რომ კესარია აბრამიძეს და საბი ბერიანს მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონდათ, ის პირველი ტრანსსექსუალი იყო, ვინც საბის გარდაცვალების შემდეგ პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას ტოლერანტულობისკენ მოუწოდა.*

– უპირველესად, მინდა, თანავუგრძნო ბექას დედას და ვუთხრა, რომ გამაგრდეს. მეორე კი, ყველა დედას მივმართავ და ვთხოვ, შვილები მეტი სიყვარულითა და ჰუმანურობით გაზარდონ. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ „ლგბტ" ადამიანები ყველაზე უშიშარი და უვნებელი ხალხია. ჩვენ არ წარმოვადგენთ საფრთხეს საზოგადოებისთვის, პირიქით, ჩვენ ყველაზე ჰუმანური და არააგრესიული ნაწილი ვართ ამ საზოგადოების.

არაერთი ჰომოფობი პარტნიორი მყოლია, რომლებიც ქალობაზე ოცნებობენ და მიუხედავად ამისა, მაინც გეებს აგინებენ და მზად არიან მათ დასახოცად. იმას კი ვერ ხვდებიან, ასეთ შემთხვევაში, მკვლელობა ჯერ თვითმკვლელობით უნდა დაიწყონ.

**ბესო მახარაშვილი**

**ის, რომ მარიამ როინიშვილი კარგი მომღერალია, ყველამ ვიცით, მაგრამ, მოცეკვავეც რომ არანაკლები აღმოჩნდა, ამაში ბოლო რამდენიმე კვირაა, ყოველ სამშაბათს ვრწმუნდებით. მასთან ინტერვიუზე ძალიან გაბრაზებული მივედი, რის მიზეზსაც ქვემოთ წაიკითხავთ, მაგრამ, ისეთი თვალებით დამხვდა, ჟურნალისტური „სიგველე" მლიქვნელობაში გადამივიდა; თანაც, რომ არა თამრიკო ჭოხონელიძისა და გია როინიშვილის შვილობა, მთლად სანდომიანი ღიმილითა და ლამაზი თვალებით ვერ მომაჯადოებდა, თუმცა, სათქმელი, რომელიც მსუბუქი ფორმებით მაინც დავაფიქსირე, მის კოლეგებს უფრო ეხება.**

# რის გამო შეიძლებოდა მიეტოვებინა საკუთარი ნებით „ცეკვავენ ვარსკვლავები" მარიამ როინიშვილს და ემზადებოდა თუ არა ის ცეკვაში პროექტში მონაწილეობამდე დიდი ხნით ადრე

**– მარიამ, პირველ ყოვლისა, საყვედურებით უნდა დავიწყო ჩვენი საუბარი, რომელიც მხოლოდ შენ არ გეხება: დაგვიანება, ტელეფონზე არპასუხი, დათქმულ ინტერვიუზე არმოსვლა და, ზოგადად, ზერელე დამოკიდებულება პრესის, ჟურნალისტების მიმართ – ეს პრეტენზიების ის მოკლე ჩამონათვალია, რაც ნაწილობრივ შენ და შენს კოლეგებს გეხებათ.**

– ასეთი რამ არასდროს მახასიათებდა და, რა თქმა უნდა, ამას სპეციალურად არ ვაკეთებ, მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩემი დაჭერა, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რთული გახდა. თქვენ კი არა, ხშირად დედაჩემსაც ვერ ვპასუხობ ხოლმე და ამიტომ ბოდიშს გიხდით ყველას; თუმცა, კიდევ გეტყვით, რომ ეს გამიზნულად არ ხდება, დარწმუნებული ვარ, არც ჩემი კოლეგებისგან.

**– რა თქმა უნდა, არც შენი კოლეგები იქცევიან გამიზნულად, უბრალოდ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ზოგადი დამოკიდებულებაა ჟურნალისტების მიმართ. მაგალითად, იოანე არაბულმა დამიბარა – რეპეტიციაზე უნდა მივსულიყავი და ჩაგვეწერა ინტერვიუ, მაგრამ, წასული დამხვდა. რომ დავურეკე, ისიც გულწრფელად შეწუხდა და მითხრა, სულ გადამავიწყდაო, მიუხედავად იმისა, რომ ორი საათით ადრე შევახსენე. ახლა კი დავუბრუნდეთ „ცეკვავენ ვარსკვლავებს". განვითარების რა ეტაპზე ხარ ამ პროექტში?**



ჩავაბარე სანტა ჩეჩილიას აკადემიაში, რომელიც არის საკმაოდ სერიოზული

– ვფიქრობ, რომ დეგრადაციის გზაზე არ ვდგავარ და, ასე ვთქვათ, უფრო პროგრესულად მიდის ჩემი საქმე. მაგალითად, პირველ ცეკვას რომ ვუყურებ, ვფიქრობ, რომ მას შემდეგ უფრო დავიხვეწე. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცეკვა ერთნაირად კარგი ვერ გამოვა და ყოველთვის იქნება გარკვეული ხარვეზები, მაინც ვფიქრობ, რომ პატარ-პატარა ნაბიჯებით, მაგრამ, წინ მივდივარ. არ ვიცი, როდემდე გაგრძელდება ასე, რადგან, მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ვნახოთ, რა მოხდება.

**– ანუ, შეიძლება ითქვას, პიკს ჯერ ვერ მიაღწიე?**

– პიკი, ზოგადად, არ არის კარგი მდგომარეობა, მით უმეტეს, ხელოვანი ადამიანისთვის. როცა ამას მიაღწევ, მერე აღარაფერი გრჩება საკეთებელი. შემოქმედებაში მიაღწიო პიკს – ნიშნავს, დაამთავრო კარიერა. კონკრეტულად ამ პროექტთან მიმართებაში, შესაძლოა, გამარჯვება ჩაითვალოს შენი შრომის დაფასების პიკად, მაგრამ, არა განვითარების, ვინაიდან, ადამიანი ყოველდღიურად ვითარდება, იხვეწება და ილტვის პროგრესისკენ.

**– თუმცა, ამას ყველა აღიარებს და, თავმდაბლობის გარეშე თუ ვისაუბრებთ, ასეა.**

– სულელი ვიქნები, დავიჯერო, რომ ძალიან მაგარი ვარ. იმიტომ კი არა, რომ ამის შემდეგ ფარ-ხმალს დავყრი და უფრო მეტის გაკეთებას აღარ მოვინდომებ, არამედ, იმიტომ, რომ, რეალურად ყველა ძალიან მაგარია და რაც მთავარია, ძალ-ღონეს არავინ ვიშურებთ. ბუნებრივია, იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა ქუჩაში გამვლელები მაქებენ და თბილ სიტყვებს არ იშურებენ, რაც მცირეოდენი ლიდერობის განცდას მანიჭებს, მაგრამ, ეს მხოლოდ მეტის კეთების სტიმულია.

**– რედაქციაში ვთამაშობთ „შიდა ტოტალიზატორს "და ფსონებს ვდებთ ყოველ კვირას, ვინ დატოვებს პროექტს. მოგების პრეტენდენტებად ორი კანდიდატი სახელდება – შენ და ნუცა ბუზალაძე. მიუხედავად იმისა, რომ შენზე ძალიან გაბრაზებული ვარ და ეს იცის ყველამ, მარიამ როინიშვილი მაინც ჩემი ტკივილია – მაინც შენზე მაქვს ფსონი დადებული და, იმედია, მოვიგებ.**

– ძალიან მრცხვენია, ამას რომ მეუბნები და კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს. რაც შეეხება მოგებას, მაქსიმალურად ვცდილობ, ვაკეთებ ყველაფერს, ძალ-ღონეს არ ვიშურებ და, იმედი მაქვს, ეს მონდომება დამიფასდება. რაც მთავარია, მოტივირებული ვარ, რაც შეიძლება დიდხანს ვიყო პროექტში, თუმცა, არ ვარ ფოკუსირებული გამარჯვებაზე. უბრალოდ, ძალიან მიყვარს ცეკვა – ეს არის ის, რაც არასოდეს დამღლის. არ მინდა, ისე გამიგონ, თითქოს გამარჯვებაზე არ ვფიქრობდე – ეს რომ ვთქვა, ტყუილი იქნება და არავინ დაიჯერებს; თითოეული მონაწილე, ბუნებრივია,

## „პადნოშკებზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია

გამარჯვებაზე ფიქრობს, მაგრამ, იმის თქმა მინდა, რომ, ადამიანისთვის, რომელსაც ცეკვასთან არასდროს ჰქონია შეხება, ფინალში მოხვედრა უკვე მოგების ტოლფასია და დიდი სურვილი მაქვს, ფინალამდე მეც მივაღწიო.

**– ცოტა ინტრიგანული კითხვა უნდა დაგისვა: ამბობენ, როინიშვილი და პროექტის ზოგიერთი მონაწილე დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ ამ პროექტისთვისო. მართალია?**

– *(იცინის)* გულიანად გამაცინე. რა თქმა უნდა, სრული სიცრუეა, სხვათა შორის, ეს ჭორი პირველად გავიგე და ჯერ ჩემამდე არ მოსულა – ალბათ, ახალია *(იცინის)*. სინამდვილეში, სამეჯლისო ცეკვებთან არასდროს მქონია შეხება, ეს არის პირველი მცდელობა და, ხალხმა შეაფასოს, როგორ გამომდის.

**– გამოდის, რომ ფენომენალურ ნიჭთან გვქონია საქმე?**

– ვერ ვიტყოდი. ვერანაირად ვერ დავარქმევს ამას ფენომენალურ ნიჭს. პროექტში ჩემნაირი ბევრია და, ფაქტია, რომ დღემდე, ჩემსავით, არავის ჰქონია შეხება, თითქმის არავის. ზენიჭიერება არაფერ შუაშია, უბრალოდ, საჭიროა, გიყვარდეს, რასაც აკეთებ; მოინდომო და იშრომო უკეთესის მისაღწევად. რასაც ხელს ვკიდებ, თავისთავად, ნიშნავს, რომ მიყვარს და, რადგან ცეკვა მიყვარს, ამიტომაც, თავდაუზოგავად ვშრომობ.

**– ამ პროექტის გამო უარი თქვი რომში გამგზავრებაზე, სადაც გამოცდები ჩააბარე. უფრო კონკრეტულად რომ მითხრა ამის შესახებ?**

– ჩავაბარე სანტა ჩეჩილიას აკადემიაში, რომელიც არის საკმაოდ სერიოზული და ყველა საოპერო მომღერლისთვის სასურველი სასწავლებელი. იქიდან გამომდინარე, რომ წესები შეიცვალა და შესაძლებლობა მეძლევა, წლის ნებისმიერ მონაკვეთში ჩავიდე და გავიარო მასტერკლასები, ამ ეტაპზე პროექტში დარჩენა ვამჯობინე, მაგრამ, როგორც კი დასრულდება პროექტი ან მაყურებლის გადაწყვეტილებით დროზე ადრე შევწყვეტ მონაწილეობას, მაშინვე წავალ და გავაგრძელებ სწავლას.

**– გლამურული ცხოვრების შეგრძნება თუ გაქვს, თუნდაც ამ პროექტის ფარგლებში – „ცეკვავენ ვერსკვლავებს" ვგულისხმობ?!**

– გლამურული არ ვიცი, მაგრამ, ძალიან შეიცვალა ჩემი ცხოვრება და არა მარტო ჩემი, არამედ, ზოგადად, პროექტის ყველა მონაწილის – უფრო მრავალფეროვანი გახდა ყოველი დღე; მეტი მოტივაციაა იმისა, რომ ფორმაში იყო; მეტი ინტერესი რაღაცის კეთების... მოკლედ, საოცარი პროექტია. გარდა ამისა, ძალიან კარგი გარემოა და საერთოდ ვერ აღვიქვამთ ერთმანეთს კონკურენტებად, არადა, კონკურსის პრინციპი კონკურენციაა.

**– ანუ, ეგრეთ წოდებულ „პადნოშკებს" არ უდებთ ერთმანეთს?**

– არა ნამდვილად. ძალიან ღირსეული კონკურსანტები არიან და „პადნოშკებზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია. მე მესმის, რომ ასეთ პროექტებში ხშირია დაძაბულობა, კონფლიქტი, ინტრიგა და ასე შემდეგ, მაგრამ, ჩვენთან ეს არ ხდება, პირიქით, ერთმანეთს რჩევებსაც კი ვაძლევთ. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდად დარჩება ეს პროექტი და გული დამწყდება, როცა დასრულდება.

**– ინტერვიუს დასასრულს, შენ მიერ გამწარებული კიდევ ერთი ჩვენი ფოტოგრაფი მინდა გაგახსენო, რომელმაც რამდენიმე დღე გდია და ვერ დაგიჭირა. საბედნიეროდ, ახლა გიორგი ცაავა გვაწვდის ყველა მონაწილის ფოტოს, რისთვისაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მას, რომ აღარ გვიწევს თითოეული მონაწილის დევნა ფოტოების გადასაღებად.**

– გიორგი უნიჭიერესი ფოტოგრაფია და მიხარია, რომ ჩვენთან თანამშრომლობს.

**ბესო მახარაშვილი**

# რატომ იცვლება ხმა

მეცნიერები დიდი ხანია იკვლევენ ხმის წარმოქმნის მექანიზმს. უფრო და უფრო ღრმავდებიან ადამიანის სახმო-სამეტყველო აპარატის საიდუმლოებებში.

ადამიანის სამეტყველო ხმის წარმოქმნა ბუნებრივი, ცოცხალი პროცესია. ხმის სწორი შემართვისა და ჩამოყალიბების საქმეში დიდ როლს თამაშობს ხახა, რბილი სასა, ნაწილობრივ ენის ძირი, მაგრამ ხორხი რომ სახმო ბგერების წყაროა, ცნობილი იყო ანტიკური დროიდან (გალენეუსი).

ხმის წარმოქნის მექანიზმის შესწავლა დაიწყეს მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, ენდოსკოპიური მეთოდის შემოღებასთან დაკავშირებით. ამ დროს წარმოიშვა ფონაციის მიოელასტიკური თეორია, რომლის მიხედვით მბგერავი იოგების რხევა წარმოიქმნება სასუნთქი აპარატის ან მოწოდებული ჰაერისა და იოგების ელასტიურობის შედეგად. პედაგოგები ამ თეორიაზე დაყრდნობით ქმნიდნენ ხმის აღზრდის შესაფერის მეთოდიკას. მაგ.: ვოლკონსკი, სერიოჟანიკოვი, სარიჩევა. ამ თეორიით განიმარტებოდა ხმის წარმოქმნის მხოლოდ ფიზიკური მხარე და არაფერი იქმნებოდა მართვის ნერვულ მექანიზმზე.

სეჩენოვისა და პავლოვის ფიზიოლოგიური გამოკვლევების გამოჩენის შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა გადახედეს ტრადიციულ მიოელასტიკურ თეორიას. 1932 წელს მეცნიერმა-ფონიატრმა რაბოტნიკოვმა და 1934 წელს - მალუტინმა დაამტკიცეს მჭიდრო კავშირი თავის ტვინსა და სახმო აპარატს შორის. ხოლო მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ფრანგმა მეცნიერმა იუსონმა ჩამოაყალიბა მბგერავი იოგების რხევის ახალი თეორია-ნეიროქრონაქსიული.

ამ თეორიის მიხედვით, ცენტრალური ნერვული სისტემიდან გამომდინარე შებრუნებული ნერვის მეშვეობით, გაღიზიანების იმპულსების სიხშირე ზედმიწევნით შეესატყვისება ხორხში გამოცემული ძირითადი ტონის სიხშირეს.

ამ ორი თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ განვლო ოც წელზე მეტმა, მაგრამ კამათი ამ ორ თეორიის მიმდევართა შორის არ წყდებოდა. შემდეგ მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხმის წარმოქმნა განისაზღვრება ორი ერთდროულად მოქმედი მექანიზმის: მიოელასტიკურისა და ნეიროქრონაქსიულის - თანაარსებობით.

ასეთი დასკვნა უფრო შეესაბამება მეცნიერების დიალექტიკურ ბუნებას, ვიდრე ერთ-ერთი მექანიზმის ხელაღებით უარყოფა.

მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ სამეტყველო ხმას, არის დიდი დიაპაზონი და სუფთა, სწორი ჟღერადობა ამ დიაპაზონზე.

სრულყოფილი სახის სამეტყველო ხმის თვისებებია:
სასიამოვნო ტემბრი, მოქნილობა და ძალდაუტანებლობა, დიდი დიაპაზონი, გამძლეობა, ძლიერება და სიწმინდე. ასეთი ხმის მონაცემები ხშირად ადამიანს ბუნებისგან აქვს ბოძებული, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით აუცილებელია მისი გავარჯიშება, რათა ძლიერი დატვირთვის შედეგად მან არ დაკარგოს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები.

ხმას ხშირად გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვა აქვს. (ხშირი საჯარო გამოსვლები, სპექტაკლები, ყოველდღიური საეთერო გამოსვლები და ა.შ.). ამგვარ ვითარებაში ხმის მონაცემების შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ კარგად გაწვრთნილ და გავარჯიშებულ სამეტყველო აპარატს.

ხშირად ვხვდებით პროფესიონალურ ნაკლოვანებებს. ესენია: დახშული, ხრინწიანი, არაგამომსახველი ხმა, ხმის პატარა დიაპაზონი, განუვითარებელი დაბალი ან მაღალი რეგისტრი, დაჭიმული ყელისმიერი ხმა და ა.შ. ამის მიზეზი მრავალგვარია.

პირველ რიგში ეს გამოწვეულია არასწორი რეჟიმით: თამბაქოს წევით, გაცივების შემდეგ ხმაზე დიდი დატვირთვით, ხმამაღალი სიმღერითა და ყვირილით და ა.შ.

ხმის დაკარგვის, ჩახლეჩისა თუ სხვა ცვლილებისას აუცილებლად უნდა დაადგინოთ მისი მიზეზი. თუ ეს სახმო აპარატის გადაძაბვაა, მას დასვენება სჭირდება. რამდენიმესაათიანი დატვირთვის შემდეგ აპარატი ყოველთვის დაასვენეთ. ასეთ დროს ტელეფონით საუბარიც კი არასასურველია. თუ ხმა ხელმეორედ ჩაგეხლიჩათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს მიზეზის დასადგენად და ყველა მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად.
საუკეთესო არჩევანს კი წარმოადგენს გერმანული მცენარეული პრეპარატები ისლა მოოსი და ისლა მინტი. პრეპარატის მთავარი შემადგენელი კომპონენტია ისლანდიური ხავსი. 1860 წელს გერმანელმა მეცნიერმა კარლ ფილიპ ენგელჰარდმა შექმნა ისლანდიური ხავსის ბაზაზე პრეპარატი ისლა მოოსი და ისლა მინტი. ისლანდიური ხავსი შეიცავს დაახლოებით 50%-მდე ლორწოს მსგავს გლუკანებს, რომლებიც იცავენ ლორწოვან გარსს გაღიზიანებისაგან (ეს ნივთიერებები წარმოქმნიან ლორწოვან გარსზე დამცავ ფენას).

- ბრონქოლიტური და ანთებისსაწინააღმდეგო ეფექტი აიხსნება ლეიკოტრიენების აქტივობით.
- პოლისაქარიდები განაპირობებენ იმუნოსტიმულაციურ ეფექტს, ზრდიან სეკრეტორული იმუნოგლობულინების წარმოქმნას, იცავენ ლორწოვან გარსს ვირუსებისა და ბაქტერიებისაგან.

პრეპარატ ისლა მინტს და ისლა მოოსს ახასიათებს: დამცველობითი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, იმუნომოდულატორული მოქმედება.

ისლა მოოსისა და ისლა მინტის ჩვენებებია:
ხმის დაკარგვა, ხმის ჩახლეჩა, ყელში ფხაჭნის და სიმშრალის შეგრძნება, ხმის იოგების დაძაბვა, ყელისა და ხახის ანთებით-ინფექციური დაავადებები.
ისლა მოოსის შემადგენლობაში შედის:
ისლანდიური ხავსის თხევადი ექსტრაქტი, აგარ-აგარი, საქაროზა, პარაფინი.
ისლა მინტის შემადგენლობაშია: ისლანდიური ხავსის თხევადი ექსტრაქტი, აგარ-აგარი, სორბიტოლი, ასპარტამი, პარაფინი, პიტნის ზეთი. ისლა მინტის შემადგენლობიდან გამომდინარე მისი მიღება შეუძლიათ დიაბეტიან პაციენტებსაც.

წამლის გამოშვების ფორმაა საწუწნი პასტილა, რომელსაც ბევრი უპირატესობა გააჩნია საწუწნ ტაბლეტთან შედარებით:

- არ აღიზიანებს ლორწოვანს;
- საწუწნი პასტილა განაპირობებს შემადგენელი კომპონენტების პირხახაში ხანგრძლივ დაყოვნებას;
- იწვევს ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფას, რაც განაპირობებს ლიზოციმის რაოდენობის ზრდას;
- გამოყენებისას ეკვრის სასას და ხელს არ უშლის საუბარს.

პრეპარატზე ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ მისი გამოყენების შემდეგ მედიკამენტი ამცირებს პირხახაში სიმშრალის შეგრძნებას, ხმის დაღლის გრძნობას, ხველის სიხშირეს.

მიღების წესი და დოზირება:
მოზრდილები და ბავშვები 12 წლის ზემოთ:
1 პასტილა ჩასაწუწნად ყოველ 1 სთ-ში (დღეში არაუმეტეს 12 საწუწნი პასტილისა).
ბავშვები 4 წლიდან:
1 პასტილა ჩასაწუწნად ყოველ 2 სთ-ში (დღეში არაუმეტეს 6 საწუწნი პასტილისა).


## ისლა მინტი ისლა მოოსი

- ყელის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, როგორიცაა: ფარინგიტი, ლარინგიტი, მათ შორის ალერგიული წარმოშობის (მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, ხმის ჩახლეჩა);
- მშრალი ხველის თერაპია მწ. და ქრ. ბრონქიტებისა და ბრონქული ასთმის დროს კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში;
- სახმო იოგების მეტისმეტი დაჭიმვა (მომღერლებში, მასწავლებლებში, ლექტორებში).
- პირის ღრუს და ხახის ლორწოვანი გარსის სიმშრალე და გაღიზიანება (მშრალი, არასაკმარისად ნოტიო ჰაერის ჩასუნთქვა შენობებში გათბობის პერიოდში, კონდიცირებით აღჭურვილ შენობებში, ცხვირის სუნთქვის შეზღუდვის გამო და აგრეთვე სპორტული შეჯიბრების დროს).

ხმის წასვლის, ხმის ჩახლეჩისა და
მშრალი გამაღიზიანებელი ხველის დროს!




„გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს"

# ბრძნული აზრები

**ავრელიუსი**: აი, მოძალადის დასჯის უკეთესი წესი: ნუ ემსგავსები მას!

**პრუდონი**: მართლად სჯას უფრო მეტი გამბედაობა უნდა, ვიდრე ჭკუა.

**სენეკა**: ადამიანისთვის საჭიროა იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევძლოთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნა და განმტკიცება.

**ჰაინე**: ჯარს, ერს, არ უყვარს დაცინვა. ერი, როგორც გენიოსი, როგორც სიყვარული, როგორც ტყე, როგორც ზღვა, გულჩახვეული და წარბშეჭმუხნილია.

**შილონი**: სიმდიდრე ზღვას ჰგავს, რომელიც მით მეტად აძლიერებს წყურვილს, რაც მეტს სვამ.

**შილერი**: რამდენჯერმე განმეორებული ცოდვა სირცხვილის გრძნობას აქვავებს.

**ლონგეტი**: ხშირად, ვითომდა სირცხვილის გამო, ადამიანი სამარცხვინო საქმეს სჩადის.

**ფულტონი**: ბიბლია უფრო დიდი საკვირველებაა, ვიდრე ყველა საკვირველება, მის მიერ მოთხრობილი.

**ფონტენელი**: ყველაზე უსიხარულოა ხნიერობა, სიბერე იმ დედაკაცებისა, რომელთა ღირსება მარტო სილამაზეა.

**სტოზე**: როდესაც ადამიანს მორთულს ხედავთ, იცოდეთ, რომ მის მახლობლად სხვა კაცი ძონძებშია გახვეული.

**ლესინგი**: სირბილში გაჯიბრებულ კოჭლთა შორის ერთმა რომ სხვებს გაასწროს, მაინც კოჭლია.

**ლევისი**: ზარმაცი კაცი ფლანგავს თავის სიცოცხლეს, შრომისმოყვარე კი ხარჯავს.

**ლაროშფუკო**: ყველაზე ძნელია, კაცმა ილაპარაკოს მაშინ, როცა ჩუმად ყოფნა სირცხვილია.

**დემოკრიტე**: ხშირად ჩვენს საქმეს ღმერთს შევავედრებთ ხოლმე, რომ საზრუნავი მოვიშოროთ და სიზარმაცით დავტკბეთ.

**გრიმი**: სასჯელის გამოყენება სჭირდება იმას, ვისაც სიყვარული არ ულევის გულში. აგრძნობინეთ ბავშვს, რომ გიყვართ და მაშინ ნახავთ, რომ საჭირო არ არის ცემა-ტუქსვა, რადგან, თქვენი სიყვარული გამოიწვევს მის სიყვარულსაც.

**ბულვერი**: ბუზებს შეეძლოთ, კაცი დაემარცხებინათ, უკეთუ თანხმობით და ერთობლივად იმოქმედებდნენ.

**ბუასტი**: ზნედაცემული ადამიანი თავის დღეში თავისუფალი არ იქნება.

**ციცერონი**: შიშველი ტანის გამოჩენა დასაწყისია მრუშობისა.

**სენკევიჩი**: ტკბილია სურვილი, მაგრამ, სასურველად ყოფნა უფრო ტკბილია.

**ვინკლერი**: ვინც ჩვეულია სხვის უკან სვლას, იგი წინ ვერასოდეს მოექცევა; ვისაც კარგის შექმნა თავისით არ შეუძლია, იგი ჯეროვნად ვერ გამოიყენებს სხვის ნამოქმედარს.

**დელარუ**: ნაკლოვანება სილამაზისა ხშირად დედაკაცს ხელს უწყობს, ჭკუით და გონებით განვითარდეს.

**ფლეშიე**: მამაკაცების მოხუცებულობა იმ დღიდან იწყება, როცა დედაკაცები მიენდობიან ხოლმე.

# თუ გაერკვევით

1. ისლამი უარყოფითადაა განწყობილი ნებისმიერი ცოცხალი არსების ფერწერული სახით ან ქანდაკებით გამოხატვის მიმართ. ამიტომ, ისლამურ სამყაროში განსაკუთრებით განვითარდა ხელოვნების ის დარგი, რომელმაც ესთეტიკური დატვირთვა მისცა შინაარსს. **დაასახელეთ ხელოვნების ეს დარგი.**

2. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ეკვადორში გამოუშვეს ასანთის კოლოფების სერია, რომლის კომპლექტში 28 ცალი შედიოდა, თითოეულზე სხვადასხვა საგნის გამოსახულებით. ამ კოლოფების დანიშნულება კი ეკვადორის მთავრობის ბრძანებულების მოსახლეობაში გატარება იყო. **რა მიზანი დაისახა ეკვადორის მთავრობამ?**

3. შვეციის ნაციონალური ბანკის სიამაყეა ევროპაში გამოშვებული ერთ-ერთი პირველი ბანკნოტი, რომელიც 1662 წელს დაიბეჭდა. აღმოჩნდა, რომ ის უფრო მეტად ფასეულია, ვიდრე აქამდე ითვლებოდა, რადგან ასევე, პირველია, გარკვეული კატეგორიის ბანკნოტებს შორის. **რა კატეგორიის ბანკნოტია ის?**

4. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ფრანგი ოსტატი ჟან-ბატისტ ვიიომი ხშირად დადიოდა ბაზრებში და ეძებდა ძველ ავეჯს, რომლის მასალაც მას ასლების გაკეთებაში გამოადგებოდა. სწორედ ამ საქმიანობით გაითქვა მან სახელი. სპეციალისტების განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურა მის მიერ დამზადებულმა „მესიის“ ასლებმა. **რის ასლებს ამზადებდა ვიიომი?**

5. ფსიქიკური დაავადების ერთ-ერთი სახეა, როცა ავადმყოფი დარწმუნებულია, რომ მის ირგვლივ, რაც კი არსებობს და ხდება, ყველაფერი ინსცენირებული, დადგმული და ხელოვნურია. 2008 წელს მეცნიერებმა ჯოელმა და იან გოლდმა წამოაყენეს წინადადება, ამ დაავადებისთვის დაერქმიათ „ტრუმენის შოუს სინდრომი“. **რატომ?**

6. მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში პოლონელმა ქირურგმა ასობით ერთნაირი ტიპის ოპერაცია გააკეთა, რომელსაც ცირკუმციზია ჰქვია და ამით სიკვდილისგან ნამდვილად ბევრი ადამიანი გადაარჩინა. **რა არის ცირკუმციზია?**

7. მეცხრამეტე საუკუნის ლონდონში არსებობდა კომპანია, რომელიც ყველა მსურველს დროებითი სარგებლობისთვის აძლევდა აუცილებელ ნივთს, რომლის დაბრუნება მას ქალაქის ნებისმიერ უბანში მდებარე ამ კომპანიის პუნქტში შეეძლო. **რას აქირავებდნენ ლონდონში?**

8. ქიმიური ელემენტის, ინდიუმის სახელი სულაც არ არის დაკავშირებული ინდოეთთან, ის ინდიგოს ფერის გამო დაარქვეს. მის პირველ აღმომჩენებად ითვლებიან პროფესორი ფერდინანდ რაიხი და მისი ასისტენტი სპექტროსკოპული დაკვირვების მიმართულებით, თეოდორ რიხტერი, რომლის გარეშეც რაიხი ექსპერიმენტებს არ ატარებდა. **რის გამო იქცეოდა ასე პროფესორი?**

9. ფერწერის ამ მიმართულების მეორე სახელია giornate (ჯორნატე), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ის, რისი დახატვაც დღის განმავლობაში შეიძლება“. **დაასახელეთ, რას ვუწოდებთ ასეთ მხატვრობას ჩვენ?**

10. ჰარმონია შეისწავლის სხვადასხვა სიმაღლის ბგერათა შეწყობას. ანტიკური ისტორიკოსის ცნობით, ჰარმონიის კანონების შესწავლის იდეა ჯერ კიდევ პითაგორას დაებადა, როცა გვერდით ჩაუარა... **რას ჩაუარა პითაგორამ?**

***პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე***

# პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

### მკვდარ ზღვაში არანაირი ცოცხალი არსება არ ბინადრობს

მკვდარი ზღვა არამც და არამც არ არის მკვდარი მასში ბიოლოგიური სიცოცხლის თვალსაზრისით, იქ ბინადრობს სხვადასხვა მიკროორგანიზმი, რომლებიც ცელულოზით იკვებებიან. აქ ცხოვრობენ ზღვის კიბორჩხალები და ბუზების ერთი სახეობა, რომლის კვერცხებიც ტროპიკული თევზებისთვის საკვების როლს ასრულებს. და, ბოლოს, აქ არის მცენარეებიც, ეგრეთ წოდებული გალიფიტები, რომლებიც, უბრალოდ, ძალიან მლაშე და ტუტოვან გარემოში ყვავიან.

### „ღვთაებრივი კომედია“

დანტე ალიგიერი თავის ცნობილ ნაწარმოებს, უბრალოდ, „კომედიას“ (La Commedia) უწოდებდა. სიტყვა „ღვთაებრივი“ პირველად გამომცემლებმა დაამატეს 200 წლის შემდეგ და ეს გააკეთეს იმისთვის, რათა 1555 წელს ლუდოვიკო დოლჩის ტიპოგრაფიიდან გამოსული წიგნის „კომერციალიზაცია“ მომხდარიყო.

### ცივ ზამთარში ფრინველები შეიძლება გაიყინონ

მკაცრი ზამთრის პერიოდში ზოგჯერ ბუჩქებისა და ხეების ქვეშ მკვდარ, გაყინულ ფრინველებს პოულობენ, მაგრამ ისინი სიცივისგან არ არიან გაყინული, ისინი შიმშილმა დაღუპა – მათ რომ საკმაო საჭმელი ჰქონოდათ, ვერანაირი ყინვა ვერ მოერეოდა.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh3-c8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ბაღში სკამზე ქალი ზის და ხმამაღლა მოთქვამს:

– ეს რა უბედურებაა, ეს რა დამემართა, ესენი ვინ არიან...




ჩამოიარა პატრულმა და შეწუხებული ქალი რომ დაინახა, გვერდით მიუჯდა:

– ქალბატონო, ხომ ვერაფრით დაგეხმარებით, რა მოგივიდათ?

– აი, ნახე, რა მომივიდა.... სკამია ახალი შეღებილი...

***

– ალო, ტელევიზიაა? პროგრამა „უკანალით სოფლისკენ“?

– არა, ბატონო, ეს არის გადაცემა „სახით ქალაქისკენ“.

– ჰო, ეგრეა, ჯო, მა სოფლისკენა რითი ხართ?

***

– შენთან ხომ არ ავიდეთ, ყავას დავლევდით...

– სხვა რამეზე ნამდვილად არ შემაწუხებ?

– არა, არა... აი პრეზერვატივიც კი არ წამომიღია...

– მე მაქვს...

***

ცხოვრების მკაცრი სინამდვილე. მანიაკმა კუპიურებს საწამლავი დაასხურა და საბავშვო სახლს შესწირა. მოიწამლა 15 დეპუტატი, 3 მინისტრი და მერი...

***

დილაა. ბავშვი ბაღშია წასაყვანი. მეზარება და ქმარს ვეუბნები:

– ადექი, ლიზი ბაღში წაიყვანე და ხუთ ლარს მოგცემ.

– ათი მომეცი და მე თვითონ წავალ!

***

ვუყიდე დედამთილს ცირკის ბილეთი, პირველ რიგში... ცოცხალი ვეფხვების წარმოდგენა იყო... და ვუპრიალებ ახლა დედამთილს ვეფხვის ბეწვით ფეხსაცმელებს...

***

წინა კვირას ცოლს კორპორატიული საღამო ჰქონდა და ფეხები გაიპარსა, თუმცა შარვალს იცვამდა. ამ შაბათს მე მაქვს კორპორატიული – დემონსტრატიულად დავიჭერი ფრჩხილები – ინერვიულოს!

***

მატჩის დროს არბიტრმა შემთხვევით, ყვითელი ბარათის ნაცვლად, ფეხბურთელს პრეზერვატივი აჩვენა... ვერც ერთმა მოთამაშემ თამაშის ბოლომდე წესის დარღვევა ვერ გაბედა.




## ანეკდოტი ონისე ონიანისგან



გურული პატრულმა გააჩერა და უთხრა:

– მოქალაქევ, თქვენ გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდით!

გურული არ დაიბნა:

– რადარი მაჩვენეთ, ბატონო!

– რადარი არ გვაქვს.

– აბა, რაფრა მიხვდით, სწრაფად რომ ვმოძრაობდი, მანქანა იყო გაოფლილი?!

## რა აკავშირებდა ერთმანეთთან ზურაბ ქაფიანიძის მამას და ეროსი მანჯგალაძეს

რუსთაველის თეატრში უშტატო ახალგაზრდები ბევრნი ვიყავით და ვამხანაგობდით ერთმანეთთან. ვიდრე ინსტიტუტში გამოცდები დაიწყებოდა, ერთმა მითხრა, ეროსი მანჯგალაძემ უნდა შემამოწმოს და თუ გინდა, წამომყევიო. წავყევი. ეროსიმ გასინჯა, შენიშვნები მისცა, გაასწორეო. მერე მე მომიტრიალდა: შენც აბარებო? – კი, ბატონო-მეთქი. სადაური ხარ? – რაჭველი-მეთქი და რამე თუ იცი, წამიკითხეო. წავუკითხე. თუ მიღებაა, შენ უნდა მიგიღონო, კმაყოფილი ღიმილით მითხრა და ამის შემდეგ ეროსის უსალმოდ




აღარ ჩაუვლია ჩემთვის – რაჭველს გაუმარჯოსო. მიხაროდა, ან კი იმ საქართველოში ვის არ უხაროდა ეროსის ნაცნობობა. თეატრალურ ინსტიტუტში სიების სანახავად ჩამოვიდა მამა. ნახა ლექციებზე მესამე დასვენება ნახევარსაათიანი იყო. მე და მამა საჭმელად წავედით რესტორან „თბილისში“. თეატრის წინ ეროსი იდგა. ოო, რაჭველს გაუმარჯოსო! – მეც გახარებული მივესალმე, რადგანაც მამასთან ერთად ვიყავი. მამამ მითხრა, რა ნაცნობი ხმა ჰქონდა, ვინ არისო. ეროსია მანჯგალაძე-მეთქი. რას ლაპარაკობ, მიდი, ერთი, სთხოვე, რესტორანში თუ იკადრებს, ჩემთან ერთი ჭიქა ღვინის დალევასო. მე ეროსისთან მივედი: ბატონო ეროსი, მამაჩემი რაჭიდან ჩამოსული კაცია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და გთხოვათ, თუ იკადრებს ჩემთან ერთი ჭიქა ღვინის დალევასო. სად არის? – აგერ. გაიცნეს ერთმანეთი. ეროსი მომიტრიალდა და შენ აღარა ხარ საჭირო, წადი ლექციებს მიხედეო. ლექციების შემდეგ ჩავედი რესტორანში. არის ერთი გნიასი. ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კარლო ღლონტი და ნოდარ ჩხეიძე – მამა სიცილისგან დაოსებული იყო. ცალკე გამიყვანა და მითხრა: შვილო, ფული არ გადამახდევიეს, შუა ქეიფის დროს მივედი და მებუფეტეს ფული მივეცი. ის აიღე, რასაც დავხარჯავთ, დანარჩენი დამიბრუნე-მეთქი! მაგათ მითხრეს, ამ კაცს რომ ფული გადაახდევინო, ხვალიდან მოხსნილი იქნებიო. იზამენ ეგენი მაგას! სუფრასთან მაგრად დაძმაკაცდნენ. წამოსცდენიათ, რაჭული ლორი გვიყვარსო და სანამ მამა ცოცხალი იყო, უგზავნიდა ყოველ წელს ეროსის და რამაზს ლორს და საოცარი მეგობრობა გააგრძელეს. ეროსი რომ გარდაიცვალა, ოფიციოზის სუფრა ცალკე იყო, რაც ძალიან არ მიყვარდა. ეროსის უახლესი მეგობრები ცალკე სუფრაზე გაგვიყვანეს და თამადად დამსვეს, ასე დაიბარა ამ ცხონებულმაო.

**ზურაბ ქაფიანიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## ნიკო მუსხელიშვილის ხუმრობები

***ნიკო მუსხელიშვილი, ყველაფერთან ერთად, დიდი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული. მას ცხოვრებაში ბევრი კურიოზი გადახდა.***

***

ნიკომ დაქვრივების შემდეგ, თავისი მდივანი რუზანა შეირთო ცოლად.

პროფესორ ლეო მაღნარაძეს კი შრომების დაბეჭდვაში ცოლი ეხმარებოდა.

ამასთან დაკავშირებით ნიკომ ბრძანა: მე მდივანი ცოლად გავიხადე და ლეო მაღნარაძემ ცოლი მდივნად გადააქციაო.

***




ნიკო მუსხელიშვილი ბგერა „რ“-ს კარგად ვერ გამოთქვამდა. ერთხელ მას ახლო მეგობრებში დაუჩივლია:

რა უბედური კაცი ვარ, ასო „რ-ს“ ვერ ვამბობ და ბედმა კი ისე განსაჯა, ჩემს პირველ მეუღლეს თამარი ექვა, ცოლის დას – რუსუდანი, ცოლის ძმას – გიორგი, გიორგის მეუღლეს – ჟორჟეტა. სიდედრი გურამიშვილის ქალი მყავდა და შვილს გურამი დავარქვით. რომ დავქვრივდი, მეორე ცოლი შევირთე – რუზანა...

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

**გიორგი ქობელაშვილი პროფესიონალი მხატვარია. მის ნამუშევრებს არაერთი საგამოფენო დარბაზი აქვს მოვლილი. ეს ნამუშევრები შესრულებულია, როგორც ავტორის მხედველობის დაკარგვამდე, ისე – მხედველობის დაკარგვის შემდეგ. დღეს გიორგი ქობელაშვილი 43 წლისაა. თვალის ჩინი 27 წლის ასაკში დაკარგა. თუმცა, პროფესიისთვის არ უღალატია. იყო მხოლოდ მცირე პაუზა...**

# როგორ იქმნება უსინათლო მხატვრის გიორგი ქობელაშვილის ნამუშევრები

**გიორგი ქობელაშვილი**: ბავშვი ვიყავი, როცა ხატვა დავიწყე, 7 წლისამ, საავადმყოფოში ვიწექი, დიაბეტი დამემართა. მაშინ ნანახი მქონდა ფლომასტერები და ძალიან მინდოდა, ვითხოვე, რომ მოეტანათ. მართლაც მომიტანეს. ვიწექი და თან, ვხატავდი. ცხენების ხატვა მიყვარდა, მექსიკელები... ვესტერნის ჟანრი...

სკოლაში სწავლის პერიოდშიც სულ ვხატავდი – კედლის გაზეთის გაფორმება დასჭირდებოდათ, თუ რაიმე სხვა სტენდის მოწყობა... მახსოვს, სამხედროს მასწავლებელი ლოზუნგებს მაწერინებდა. გაკვეთილიდან გამიყვანდნენ და მეც მომწონდა *(იცინის)*. პიონერთა სასახლეშიც დავდიოდი ხატვის წრეზე.



**როცა ვხატავ, დედაჩემს ვეკითხები, ტყუილა ხომ არ ვუსვამ ფუნჯს, ეტყობა-მეთქი. რომ მეტყვის, ეტყობაო, ვაგრძელებ ხატვას...**

**– დარწმუნებული ვარ, აკადემიაში ჩაბარება არ გაგიჭირდებოდათ...**

– აკადემიაში ჩასაბარებლად, ჩემი საბუთები რომ მიეღოთ, შემოწმება უნდა გამევლო აკადემიის ექიმთან. მან უარი განაცხადა, ხელს ვერ მოვაწერ ამ საბუთებსო. არც ვამტყუნებ იმ ექიმს, ეს მისი მოვალეობა იყო.

**– ამ პერიოდში უკვე გქონდათ მხედველობის პრობლემა?**

– არა, არანაირი. ხელს იმიტომ არ აწერდა, დიაბეტიანი რომ ვიყავი. ზეთის ფერადების სუნი გავნებსო. ამ დროს ვხედავდი ძალიან კარგად. ისე, რა კი არა, საერთოდ, სათვალეც არ მჭირდებოდა.

**– მერე როგორ მოიქეცით?**

– რექტორთან შევიტანე ჩემი ნამუშევრები. გრაფიკაში მქონდა შესრულებული. დიდხანს ათვალიერებდა, მერე თქვა: როგორ შეიძლება, ამ ნამუშევრების შემქმნელს უარი ვუთხრათ აკადემიაში ჩაბარებაზეო. საბუთები მიიღეს და მერე ჩვეულებრივად ჩავაბარე.



ბევრი ნამუშევარი შევქმენი სტუდენტობის პერიოდში. სახლში ვიჯექი და ვმუშაობდი. მერე ჩემი ლექტორები მომყავდა და ვათვალიერებინებდი.

**– მხედველობის პრობლემამ როდის იჩინა თავი?**

– ერთდროულად მომივიდა ორი რაღაც. თან ნეფრიტიც მქონდა, ველარ დავდიოდი გასიებული ვიყავი. ისეთი მდგომარეობა მქონდა, ექიმმა მამაჩემს უთხრა: ყველაფრისთვის მზად იყავითო. ღმერთის წყალობით, ცოცხალი ვარ. სწორედ ამ პერიოდში იჩინა მხედველობის პრობლემამაც თავი. მახსოვს, ერთხელ ფოტოებს ვათვალიერებდი და აღმოვაჩინე რომ მათზე სახეებს ვერ ვარჩევდი.... ასე ნელ-ნელა დამეწყო. ეს იყო 1997 წელი. ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე რომ ვილაპარაკოთ, ვერ ვიტყვი, რომ პანიკა მიპყრობდა. ადვილი ასატანი არაა, მაგრამ რაღაც შემართებით ვიყავი. თვითონ ექიმებიც კარგად მომიდგნენ, კარგად მმკურნალობდნენ. თვალის ექიმთანაც დავდიოდი, ნემსებს მიკეთებდა თვალებში, მაგრამ მაინც ჩამოიშალა ბადურა. ბოლოს მხოლოდ სინათლეს ვხედავდი. მერე ისიც გაქრა... 1998 წლიდან უკვე საერთოდ ველარ ვხედავ.

მოლბერტი, ზეთის ფერადები, ყველაფერი გავაჩუქე... ტყუილა დებას...

**– ხელმეორედ როდის დაიწყეთ ხატვა?**

– ხელმეორედ ხატვა დავიწყე 2001 წლიდან. მანამდე საერთოდ არ ვფიქრობდი ხატვაზე, მაგრამ... მენატრებოდა. მოძღვარი მყავს, ეკლესიაში დავდიოდი, დღესაც, შეძლებისდაგვარად, დავდივარ ქაშუეთში მამა ელიზბართან. რაღაც უნდა აკეთოო მითხრა. მე მხატვარი ვარ და ხატვა მინდა-მეთქი. დამლოცა, დახატეო...

ვფიქრობდი, როგორ დამეხატა... გამოვართვი დედაჩემს ფანქარი, ქაღალდი. წამებში მოვხაზე მეცხვარე ცხვარით.

**– პირველად, რა თქმა უნდა, დედა შეაფასებდა.**

– მერე დავხატე მთავარანგელოზი, ნადირობის სცენა. მქონდა მომენტი, როცა რამდენიმე ნახატი დავხიე.

**– რატომ?**

– ვერ გაარჩიეს, რა დავხატე.

**– იმედგაცრუება იყო ეს თუ...**

– არა, იყო ცაკლე, რაღაც ცხოვრებისეული პობლემები. ადამიანმა იმის მაგივრად, რომ საქმე აკეთოს, ხან რა პრობლემა იჩენს თავს, ხანაც რა... ამის შემდეგ, ჯვარცმა დავხატე. ეს იყო 2007 წელს.

ეს ნამუშევრები ნახა ჩემმა პედაგოგმა გია მარკოზაშვილმა და მოეწონა. მომიტანა ფლომასტერები. გააკეთე კიდევ რამე, დახატეო, თან იდეა მომაწოდა. შემოსაზღვრე ჩარჩო და მასში ჩადე ფურცელიო. ასეც მოვიქეცი და საქმე უფრო გამიადვილდა. ამას კიდევ მოჰყვა სხვა მიგნებები. დავუშვათ, რაიმე კომპოზიციას ვხატავ – ხეს. ვამაგრებ ჭიკარტებს თუ საით უნდა გავუშვა ტოტები და ჭიკარტების დახმარებით, ვაკეთებ მიმართულებებს. ვთქვათ, პორტრეტს ვხატავ – თვალის, ყურის, ცხვირის ადგილებში ჭიკარტებს ვამაგრებ და ასე ხდება გადანაწილება, სიმეტრია. ჭიკარტის გარეშეც შეიძლება დაიხატოს, მაგრამ ეს უფრო აბსტრაქცია გამოვა. ეგეც საინტერესოა.

**– ჯერ ჩარჩო შემოსაზღვრეთ, მერე ჭიკარტები დაიხმარეთ, ფერები როდის შემოვიდა თქვენს ნახატებში?**

– ეგ არაა პრობლემა. ფერები ისედაც ვიცოდი, თუ რა რასთან, რამდენი რამდენთან უნდა შევაზავო. დედაჩემს ვეტყვი, რომელი ფერი მომაწოდოს და მაწვდის. როცა ვხატავ, დედაჩემს ვეკითხები, ტყუილა ხომ არ ვუსვამ ფუნჯს, ეტყობა-მეთქი. რომ მეტყვის, ეტყობაო, ვაგრძელებ ხატვას... მერე მეორე ფერს გადავატარებ და ასე.

**– მე როგორც მივხვდი, ახლა თქვენი თვალები დედათქვენია... დედა თუ ხატავს?**

– არა.

**– როდესმე სიზმარში თუ გინახავთ ის, რასაც მერე დახატავთ?**

– ამას წინათ ვნახე სიზმარში, ვითომ რაღაცას ვხატავდი. ისეთი სასიამოვნო ლურჯი ფერი იყო – პირდაპირ ვიყურებოდი, ცა ჩანდა. ხმელეთს ვერ ვხედავდი, მაგრამ ზევით რომ ავიხედე, ისეთი სასიამოვნო სილურჯე იყო... მეორე დღეს დავხატე.



ზოგჯერ სიზმარში ზღვას ვხედავ. არადა, მაინცდამაინც ისე ხშირად არ ვყოფილვარ ზღვაზე. რამდენიმე დღის წინ ვნახე, რომ ვხატავდი...

**– პირველი გამოფენა გახსოვთ?**

– პირველი პერსონალური გამოფენა იყო 2000 წელს, აკადემიის დამთავრებიდან 6 წლის შემდეგ. მანამდეც იყო რაღაცეები, მაგრამ მე მას სერიოზულად არ მივიჩნევ. ბოლო პერიოდშიც არაერთი გამოფენის მონაწილე გახლდით.



**– როგორ იქმნებოდა თქვენი ნამუშევრები?**

– ფიქრით – როცა ვხედავდი მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც.

**– რომელი ნამუშევარი გიყვართ განსაკუთრებულად?**

– დონ კიხოტის პორტრეტი – ამოკაწრული. რატომღაც მინდა, სულ პორტრეტები ვხატო. კარგი დასახატია.

**– როდესმე გაგიყიდიათ ნახატი?**

– მხოლოდ ერთხელ, გაჩუქება უფრო მომწონს.

**ეკა სალაღაია**

**ყველაფერი გაცილებით მარტივი იყო, როცა ადამიანები დიდ ჯგუფებად ცხოვრობდნენ, ყოველგვარი ეროვნული ნიშნის გარეშე... ერთად ნადირობდნენ და გადარჩენისთვისაც ერთად იბრძოდნენ. მერე გაიყვნენ, მონიშნეს ტერიტორიები, ამ ტერიტორიებისთვის ბრძოლაც დაიწყეს და... სწორედ მაშინ მოხდა ადამიანში ძირეული ცვლილებები და სერიოზული პრობლემებიც შეიქმნა.**

**კი მკითხა, რა პატრიოტიზმი აგიტყდაო, მაგრამ, როცა შემხვდა, საინტერესოდ ვისაუბრეთ ქართველზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანზე, ადამიანისთვის დამახასიათებელი ყველა ნაკლითა და ღირსებით...**

# რატომ არ ნიშნავს ცივილიზაცია ტექნიკურ პროგრესს და რისთვის უნდა წამოუთაქო ქართველს თავში, ჟანრი ლოლაშვილის აზრით

**ჟანრი ლოლაშვილი**: ცივილიზაცია ხშირად არ ნიშნავს ტექნიკურ პროგრესსა და ადამიანის მონაპოვარს. არსებობს კაცობრიობის გამოცდილება და მარადიული ცნებები, მაგალათად, სამშობლო, რომელიც მშობლიდან მოდის. ქართველებს კიდევ გვაქვს გამოთქმა — „ადგილის დედა“ და ეს მარტო ეტიმოლოგია არ არის. ყველა ადამიანში და, ცხოველშიც კი, რომელიც მონიშნავს ხოლმე ტერიტორიას, დევს სამშობლოსა და მისი დაცვის განცდა. საკმარისია, ცხოველს დაურღვიო მისი ტერიტორიის საზღვრები, რომ მაშინვე რთული ხდება მასთან ურთიერთობა. ასევეა ადამიანიც — ის იწყებს ომს და, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ტერიტორიებისთვის ბრძოლა დღესაც აქტიურად გრძელდება. მრწამსისა და რწმენის გამოც ყოფილა ომები — ჯვაროსნული, მაგალითად, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, უფრო მეტად გავლენის სფეროსთვის იბრძოდნენ.

თუ ქართველებზე ვიტყვი რამეს, მხოლოდ იმას, რომ, გარე მტერზე მეტ საფრთხეს ჩვენ თვითონ წარმოვადგენთ ერთმანეთისთვის. ერთმანეთისგან უნდა გადავრჩეთ — ეს საფრთხე რეალურად არსებობს. ლამის არის, თვალები დავთხაროთ ერთმანეთს. „იმისისტები“, „ამისისტები“... მესამე ათასწლეულში სასაცილოა, გიყვარდეს ხელისუფალი და დებილურად მიჰყვებოდე, როგორი დიადი იდეებიც არ უნდა ჰქონდეს მას. ხელისუფალზე მარტო ანეკდოტი ვიცი მე. მაგრამ, არსებობენ ავადმყოფები, რომლებსაც სჭირდებათ შეძახილი და ვიღაცისგან ჭკუის დარიგება. მერე უკვე, როცა ეს „ვიღაც” პათოლოგი აღმოჩნდება, გვიანაა.

**— და, გჭირს მუდმივად იმედგაცრუება...**

— მაგაშია საქმე! ეს ურაპატრიოტიზმი და გულში მჯიღის რტყმით „სამშობლო, სამშობლოს“ ძახილიც არ მესმის. მავანისა და მავანისთვის, ეს არის ზრახვები, ავი და ეგოისტური ზრახვები; მომხვეჭელობა და სკამზე მოკალათება; გამდიდრების კარგი წყარო. მაგრამ, არ იფიქროთ, რომ ეს მარტო ქართველისთვის არის დამახასიათებელი — ადამიანია ასე მოწყობილი. არც ღმერთის შიში შველის ამას. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ადამიანმა თავი გადაირჩინოს, იმიტომ რომ, ადამიანი ძალიან სუსტი მოვლენაა. გმირობებზე ლაპარაკი დღეს ჩემთვის სასაცილო ხდება. ხშირ შემთხვევაში, გმირობა აფექტურობის შედეგია და მეტი არაფერი.

**— ჰო, მაგრამ, ჩვენ გვყავდა გმირები.**

— კი ბატონო. ჩვენც გვყავდა და სხვასაც ჰყავდა — ნუ დავივიწყებთ ამას. ეს ქართველობა რა სენია, საერთოდ ვერ გავიგე, სახადია რაღაც. შეძახილი „არიქა!” უკვე ნათელს ხდის იმას, რომ კარგისკენ არ უბიძგებს ადამიანს. ბუნებრივი პირობების გამო, ჩვენ ვართ გაბრექილები — ზღვაც გვაქვს, მთაც გვაქვს, ტროპიკებიც, მაგრამ, ამას რომ მოვლა უნდა, არავის ახსენდება. მარტო ვიბრიქებით, რომ ლამაზია ეს ქვეყანა. მე სხვა ერის პოეზიაში არ მინახავს მსგავსი ფრაზა — „ნეტავ სად არის კიდევ ცა“... ამისთანა რამეს არავინ წერს, რომ — არა, არა, ჩემისთანა სამშობლო არავის აქვსო. მაქსიმალიზმის გაუგებარი გამოვლინებები და „პატრიოტნიკობა” გვახასიათებს, რაც ჩემთვის გაუგებარია. სამშობლოს სიყვარული მტკიცდება სხვანაირად — შენი საკუთარი შრომით, პატივისცემით იმ საქმის მიმართ, რომელსაც აკეთებ და რასაც პროფესიონალიზმი ჰქვია... დიდი ცოდნითაც — აი, რა გამოადგება შენს ქვეყანას და შენს სამშობლოს.



**მე სხვა ერის პოეზიაში არ მინახავს მსგავსი ფრაზა — „ნეტავ სად არის კიდევ ცა“... ამისთანა რამეს არავინ წერს, რომ — არა, არა, ჩემისთანა სამშობლო არავის აქვსო**

სამშობლოს სიყვარული გენეტიკური მოვლენაა. ჩიტი რომ ჩიტია, იმან იცის სამშობლო, ასე რომ, აქ ბევრი არაფერია სალაპარაკო, რადგან რა ფენომენი „მუშაობს“ ამ დროს, ამას მეცნიერები დღემდე ვერ არკვევენ. თითქოსდა არაფერია ქვიშის მეტი უდაბნოში, მაგრამ, ბედუინისთვის მისია ეს და არ უნდა სხვაგან უკეთესად ცხოვრება, არ მიდის არსად. მე თუ მკითხავთ, ეს დიდი შემოქმედის კარნახია ზემოდან და ბუნებაც ბრძენია — ის იძლევა ყველანაირ რესურსს, რომ, თუ გაქვს ცოდნა და სიყვარული, იცოცხლო იქ, სადაც გაჩნდი და საქმენი საგმირონიც კი აკეთო, არ სჭირდება ამას უშიშრობა, ვაჟკაცობა და პატრიოტიზმი. ჩემთვის ასევე გაუგებარია სხვის ტერიტორიაზე შევარდნა — ეს თითქოს ღვთისგან დაწესებული კანონზომიერების დარღვევაა. ამიტომაც არ მესმის რუსეთის ქმედებები. თუმცა, მარტო რუსეთი არ არის ასე, ვისაც დიდი ძალა აქვს, ყველა ასეა...

**— ქართველს რატომ არა აქვს ამისი სურვილი, დიდი ძალა რომ არასდროს გვქონია?**

— ბუნებრივი საშუალებები ხელს უწყობს ადამიანის განვითარებას. ყველაფერი მორთმეული ჰქონდა ქართველს — ხის ქვეშ იჯდა, ვაშლი ჩამოვარდებოდა... ზარმაცია და უყვარს პატივისცემა. ადამიანებთან ურთიერთობისთვის არის გაჩენილი ქართველი. სტუმართმოყვარეც არის და ღვთისმოსავიც; თავის გამოჩენაც უყვარს და მოსწონს...

„ფეშენს“ იყენებს ქართველი ურთიერთობებისთვის უცხოსთან. ჩვენთვის გაუგებარია შინაურთან კოჰაბიტაცია და ყოველთვის გაუგებარი იქნება. მიქელანჯელო რესპუბლიკელი იყო, მედიჩები კი, ეს იერარქიული, სასტიკი, ძალაუფლებისმოყვარე ოჯახი, შაბათობით მასთან მიდიოდნენ ხელოვნებაზე სასაუბროდ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ მისი რესპუბლიკელობის ამბავი. ასეთი აზრთა განსხვავებები კი ქართველში იწვევს მტრობასა და აგრესიას. აქედან მოდის ლოზუნგები: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერიას“ მსგავსი. ამასვე იყენებდნენ ნაცისტებიც, კომუნისტებიც და, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი არაჯანსაღი ფსიქიკიდან მოდის. ზრახვებს ძალიან შორს მიჰყავს ადამიანი და დამღუპველიც არის. „ევრიკა“ იყო ის, რასაც ატომური ბომბი ჰქვია და, ხედავთ, რა დღეში ჩააგდო კაცობრიობა? არც ეკლესიური სიფრთხილე, არც რაღაცის შიში, არ ხდის ადამიანს კეთილსა და მიმტევებელს. ვერც ისტორიულმა გამოცდილებამ და ვერც ფილოსოფიამ ვერ უშველა ადამიანს, ვერც ჩვენ გვიშველა. გურულებმა იციან: რამეს რომ დააშავებს, შეუძლია, ბოდიში მოგიხადოს, მაგრამ, გეტყვის — ასე ვარ მინაჩოვიო!.. ყველა თავის ტრადიციაზე ცხოვრობს. ტრადიცია კი, მოგეხსენებათ, რა მოვლენაც არის — კარგს არაფერს უქადის ადამიანს.

**— რატომ? ცუდია ტრადიციულობა?**

— ისე, როგორც ჩვენ გვესმის, ცუდია. ტრადიციებით გვერგო ჩვენ საშინელი ქელეხები და უაზრო, ხალხმრავალი ქორწილები, რომლებიც ჩემთვის სასაცილო მოვლენაა. თუმცა, კითხვა მაინც ჩნდება: რატომ ჩამოყალიბდა ეს ყველაფერი ასე? გადასახედია რაღაც-რაღაცეები და ბევრ კითხვაზეა პასუხი გასაცემი. ვერც გლობალიზაციას ავცდებით, იმიტომ რომ, აგერ, მობილური გაქვს და ერთ წამში რეკავ ნიუიორკში; კიდევ სამ წამში გაიგებ, რა ღირს ყავა ბრაზილიაში... კარგია ეს, ცუდი კი არ არის, მაგრამ, ტაციობაზე რომ არის ადამიანი გადარეული და ალარ ფიქრობს იმაზე, მის გვერდით მყოფ ადამიანს სითბო და სიყვარული რომ სჭირდება, ეს არის ცუდი... მარტოა ადამიანი. სამოცი შვილი რომ ჰყავდეს და ოცდაოთხი ცოლი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, დედა ერთია, მარტოსულია მაინც — ასეა ეს... ვიშენებთ კერპებს, ვადგენთ რაღაც მოვლენებზე ჩვენს რეაქციებს, ვაწესებთ დღესასწაულებს — „ამის დღე“, „იმის დღე“... ვჯახირობთ, ვწვალობთ, რაღაცეებს ვიგონებთ, მაგრამ, მაინც ერთ ადგილს ვტკეპნით და ვართ — ადამიანის საშველი არ არსებობს. სუფრასთან კახელი მეუღლესთან ერთად ზის და, თამადა უყურებს, რომ ხანგამოშვებით წამოუთაქებს ხოლმე ცოლს თავში. ჰკითხა ბოლოს — რას აკეთებო. ამასო, დროდადრო ტრაკული აზრები მოსდის თავში და ვფერთხამ, უფანტამ, უფანტამო... ქართველსაც ძალიან სჭირდება ხანგამოშვებით წამოთაქება და დაფერთხვა. ცხოვრება არის სისულელეების ჩამონათვალი, რა დროს რა ჩაიდინო. ჩვენი ისტორიაც გადასახედია და თავიდან დასაწერი... ადამიანს რომ რამე გააკეთებინო, მწყობრიდან უნდა გამოიყვანო და გზაზე დააყენო...

**ნინო წულუკიძე**

# გამოცადე იღბალი!

15

იანვარი

18:30

რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში

ჩაერთე გათამაშებაში
და მიიღე შანსი მოიგო:



200 000 ₾

30 000 ₾

20 000 ₾

10 000 ₾

5 000 ₾

აკრიფე

*500#

რეგისტრაცია უფასოა!

ნებართვა N 19-03/119

11 01 01 www.beeline.ge

ბილაინი®